ლიბერალიზმის წინაპირობები ქართულ ისტორიაში

ავთანდილ ჯოხაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინარული სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ზურაბ ჭიაბერაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემი ორიგინალური ნამუშევარია და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ავთანდილ ჯოხაძე

15 იანვარი 2020

აბსტრაქტი

ლიბერალიზმმა, როგორც პოლიტიკურმა ფილოსოფიამ და საზოგადოებრივმა მოძრაობამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეაღწია, შედარებით ფართოდ, რუსეთის იმპერიაში და, შესაბამისად, მის "ქართულ გუბერნიებშიც"; მაშინდელი ქართული საზოგადოება სოციალური და ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის ქარცეცხლში იყო გახვეული და ლიბერალიზმი, როგორც თავისუფლების იდეოლოგია, ბუნებრივად მიესადაგა მის მისწრაფებას, მით უმეტეს, რომ ლიბერლიზმის მიმღებლობის იდეური წინაპირობები ქართულ ისტორიაშივე იყო ბორჯგადგმული. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ეს იდეური წინაპირობებია გამომზეურებული. ნაჩვენებია, როგორ წარიმართებოდა პიროვნების სოციალური გათავისუფლების პროცესი ქართულ საზოგადოებაში; გამორკვეულია, რომ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე (ასე, დაახლოებით XIII საუკუნიდან) ქართული საზოგადოების ევოლუცია მთლიანობაში წინარე დროთა განმავლობის დიამეტრალურად საპირისპირო მიმართულებით შებრუნდა და თავისუფლებისმოყვარე საზოგადოება მონობის და უუფლებობის ტყვეობაში აღმოჩნდა. საქართველოს სოციო–პოლიტიკური ევოლუციის აქ წარმოდგენილი თარგები პირველწყაროების შესწავლის და ქართველ ისტორიკოსთა შრომებზე დაკვირვების შედეგად არის ამოხაზული და დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, ჰეგელის ცნობილი პარადიგმის - "ბატონობის და მონობის" მოშველიებით გაანალიზებული. გათვალისწინებულია პიროვნული თავისუფლების და კერძო საკუთრების ურთიერთკავშირის თემაზე არსებული თანამედროვე ლიტერატურაც. კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცე ამ ქვეყნის მკვიდრების პიროვნული და სოციალური უფლების პირდაპირპროპორციულად იცვლებოდა. ქართული სახელმწიფოს კვდომა და ხელახალი აღორძინება - პიროვნების სოციალური თავისუფლებისთვის ბრძოლაში მიღწეული წარმატების და განცდილი მარცხის პირდაპირი შედეგი გამოდგა. ლიბერალიზმის ისტორიული წინაპირობების გამორკვევამ დაგვანახა, რომ თანამედროვე ქართული საზოგადოების ლიბერალური ღირებულებებით დაინტერესება მხოლოდ გლობალიზაციის პროცესისადმი ფეხის შეწყობის სურვილით ან საგარეოპოლიტიკური კონიუნქტურის

კარნახით არაა გამოწვეული და საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობის იმპერატივიცაა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პიროვნების თავისუფლება. პატრონყმობა. ბატონყმობა. პარლამენტი. ლიბერალიზმი.

Abstract

Liberalism – as a political philosophy and public movement – began to spread across the Russian Empire, including its Georgian provinces, on a relatively large scale from the second half of the XIX century. The Georgian society which at that time was in the thick of the struggle for national independence and social freedom readily embraced liberalism, perceived as an ideology of liberty, as it naturally fitted in with the Georgian people's aspirations and especially as ideological preconditions for liberalism had strong historical roots in Georgia. The given paper intends to shed light just on this ideological background, providing an insight into the process of social liberation of an individual in Georgia. It shows that at a certain point in history (somewhere around XIII century) the evolution of the Georgian society made a complete U-turn on the previous years' developments, plunging the freedom loving Georgian nation into the dark age of slavery and oppression of civil rights. The Georgian socio-political evolution is outlined in the paper on the basis of the works of Georgian historians and analyzed using a prominent German philosopher Friedrich Hegel's famous "master-slave" paradigm, as well as contemporary studies of the relationship between personal freedom and private property. The analysis revealed that there was a clear correlation between the strength of the Georgian statehood and individual and social freedoms of its citizens. The rises and falls of the Georgian state were a direct result of successes or defeats in the struggle for social freedom. The research of historical preconditions for Georgia's acceptance of liberalism shows that the Georgian society's present day interest in liberal values cannot be attributed solely to the desire to keep pace with the globalization process or other dominant global trends. It demonstrates that this strategic imperative is also rooted in the country's historical legacy.

Main keywords: individual freedom, feudalism, serfdom, parliament, liberalism.

მადლობა

პირველ ყოვლისა, მადლიერი ვარ აკადემიკოს გურამ თევზაძის, ვინც მუდმივად მაძლევდა საჭირო რჩევებს და სხვადასხვა საშუალებებით მეხმარებოდა კველევა-ძიების წარმართვაში; მისი დამსახურებაა, რომ სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკა ჰეგელის ფილოსიფიის ჭრილშიც არის გაანალიზებული. მისივე ხელშეწყობით მოვემზადე და გამოვედი მოხსენებით ქართული ანარქიზმის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ვარლამ ჩერქეზიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, - ანაქრიზმს, როგორც ქართული სინამდვილის გავლენიან იდეურ ნაკადს, მისი რჩევის შედეგად ეთმობა ჯეროვანი ადგილი კვლევაში, რომლის პირველი ნაწილიც წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის სახითაა წარმოდგენილი.

მადლობელი ვარ პროფესორ მამუკა ბერიაშვილის მის მიერ ჩემთვის გაზიარებული საყურადღებო მოსაზრებებისთვის ადამიანის უფლებების პრობლემატიკასა და ჰეგელის ფილოსოფიაში. დიდად ვაფასებ იმ მხარდაჭერას, რომელიც მან არაერთხელ აღმომიჩინა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას.

მადლობელი ვარ პროფესორ ზურაბ ჭიაბერაშვილის, ვინც უყოყმანოდ აღმომიჩინა საჭირო დახმარება და თანამიდგა, ნაშრომის წარდგინების პროცესში მოულოდნელად წარმოქმნილი პრობლემის დაძლევაში.

მადლობელი ვარ ილიას უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ გიგა ზედანიასი სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცესში წარმოქმნილი ორგანიზაციული სიძნელეების გადალახვაში აღმოჩენილი დახმარებისა და გულისხმიერი მოპყრობისთვის.

მადლობა პროფესორ ომარ გოგიაშვილს; მასთან საუბრები ფრიად სასარგებლო გამოდგა ქართული ლიბერალიზმის მამამთავრის, ილიას მსოფლმხედველობის გააზრებისთვის და აისახა კიდეც ქართული დიპლომატიის წელიწდეულში (N14, "არტანუჯი, 2011) გამოქვენებულ ჩემს შრომაში - "ილია XXI საუკუნეში".

მადლობა ჟურნალ "ისტორიის რეკონსტრუქციების" სამეცნიერო რედაქტორს, ბატონ დავით დარჩიაშვილს და ქალბატონ მარიამ მათიაშვილს ჩემი სტატიის "XI-XII

საუკუნეების მიჯნის ქართული სახელმწიფო" ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გაწეული შრომის და რეკომენდაციებისთვის.

მადლობა ჟურნალ "კადმოსის" მთავარ რედაქტორს, ბატონ ზურაბ კიკნაძეს და პსუხისმგებელ მდივანს, ქალბატონ ელენე ტატიშვილს ჩემი სტატიის "გახელმწიფდეს დიდებულნი" გამოქვეყნების საჭირო პროცედურების წარმართვისათვის.

დასასრულ, მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს: ბატონებს: გიორგი გვალიას, ზვიად დარჩიაშვილს, გიორგი ალადაშვილს, ქალბატონებს: ანა მიქაუტაძეს, ლელა ბერიძეს, ლიკა ნოზაძეს, ნინო კახაძეს, მაკა ლაშხიას და მაკა პატარიძეს - კეთილმეგობრული დამოკიდებულების და სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურების უზრუნველყოფისთვის.

სარჩევი

შესავალი ---------- 1-29

ა. საკვლევი თემის აქტუალობა ---------- 1-6

ბ. ნაშრომის მიზანი და კომპოზიცია ---------- 6-9

გ. ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა და მისი დასაბუთება ---------- 9-10

დ. წყაროები და საკითხის კვლევის ისტორია ---------- 10-21

ე. მეთოდოლოგია ---------- 21-22

წინათქმა (იდეოლოგიური არჩევანი) ---------- 23-33

თავი 1. თავის თვადი თუ თავაშვებული ---------- 34-51

დიდი თავისუფლება და "წვრილი ერი" ---------- 34-46

"სჯობს სახელისა მოხვეჭა" ---------- 46-51

თავი 2. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული სახელმწიფო ---------- 52-103

მეფის ხელი ჟამთასვლაში ---------- 53-55

თვითმპყრობელობის სიძნელეები ---------- 56-67

"კარავისელთა" გამოსვლა ---------- 67-73

"გახელმწიფდნეს დიდებულნი" ---------- 73-78

წარმომადგენლობითი საკრებულო და მეფის უფლებამოსილება ---------- 78-83

მოგვიანო ხანის დარბაზი ---------- 83-87

დარბაზი, "დივანი" და აღმასრულებელი სავაზირო ---------- 87-93

დარბაზი, როგორც - სასამართლო ხელისუფლება ---------- 93-97

გიორგი რუსი ---------- 97-103

დასკვნები ---------- 103

თავი 3. კანონის უზენაესობის ისტორიული წინაპირობები ---------- 104-136

"ზეცის ჩაძახილი" და უძველესი ხანის დემოკრატიული საბჭო ---------- 105-110

საბჭოთა საქმის მეცნიერნი და სისხლის სამართლის სამძებრო ---------- 110-117

ბატონყმური ხანის მართლმსაჯულება ---------- 117-121
ზოგი რამ ბატონყმური ხანის საეკლესიო და სამოქალაქო სამართალზე ------ 121-127
კანონის უზენაესობა (Rule of Law) ---------- 127-136

თავი 4. რუსულ მახეში ---------- 137-164
"ნუ გათათრდები" ---------- 137-145
"ქედმოუხრელი ერთგულება" ---------- 146-150
დაყმევებული "წვრილი ერის" მანიფესტი ---------- 151-156
ახალი ქართული ელიტის ფორმირება შოკური თერაპიის შედეგად ---------- 156-161
ახალი ციკლის დასაწყისი ---------- 161-164

დასკვნა ---------- 165-171

ბიბლიოგრაფია ---------- 172-185
პირველწყაროები ---------- 172-174
სამეცნიერო ლიტერატურა ---------- 174-185.

შესავალი

ა. საკვლევი თემის აქტუალობა

ლიბერალიზმი, როგორც იდეოლოგია, განსაკუთრებულ დატვირთვას პოსტსაბჭოთა ქვეყნების (და მათ შორის საქართველოს) დემოკრატიზაციის პროცესში იძენს. ნობელის პრემიის ინდოელი ლაურეატი - ეკონომიკის დარგში - *ამარტია სენი* (დაბადებულია 1933 წ.) დემოკრატიზაციის პროცესს კეთილ გამოსავალს ჰპირდება: დემოკრატიას, როგორც პოლიტიკურ სისტემას, სენის აზრით, ალტერნატივა არ აქვს. აღარავინ დავობს, რომ დემოკრატიას, საზოგადოდ, სხვა სისტემებზე უკეთ შეუძლია ეკონომიკური წინსვლის უზრუნველყოფა. დემოკრატიული საზოგადოება უკეთ უძლებს ეკონომიკურ რყევებს თუ კრიზისებს; "დემოკრატიის უნივერსალურად მისადაგებულ სისტემად ცნობა ... XX საუკუნის მთავარ მიღწევად და ნამდვილ გადატრიალებად მესახება ჩვენს აზროვნებაში."[1]

ინდური წარმომავლობის მეორე ანალიტიკოსი - *ფარიდ ზაქარია* (დაბადებული 1964 წელს) ნაკლებად ოპტიმისტურია; დემოკრატიის საყოველთაოდ გავრცელებას, მისი აზრით, ხარისხის გაუარესება მოჰყვა. *მიზეზი ლიბერალური პრინციპების უგულებელყოფაშია.* "პერუდან პალესტინამდე, სიერა ლეონედან სლოვაკეთამდე, პაკისტანიდან ფილიპინებამდე ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ცხოვრებაში შემაშფოთებელი ფენომენის გამოჩენას. ეს არის არალიბერალური დემოკრატია."[2] ჩვეულებრივი დემოკრატიისგან განსხვავებით, ლიბერალური დემოკრატია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით არ იფარგლება და ლიბერული პრინციპების ცხოვრებაში გატარებასაც გულისხმობს: კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ძალაუფლების დაყოფას, სიტყვის და რწმენის თავისუფლებას, კერძო საკუთრების ხელშეუვალობას, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს და ა. შ. დემოკრატია მთელი დედამიწის ზურგზე ვრცელდება, ლიბერალური დემოკრატია კი - ქვეყნების შედარებით შეზღუდული წრის ხვედრია. "დემოკრატია კონსტიტუციური ლიბერალიზმის გარეშე, უბრალოდ, შეუსაბამო კი

---

[1] ამარტია სენი, "დემოკრატია, როგორც უნივერსალური ფასეულობა", *საზოგადოება და პოლიტიკა* N 3 (თბილისი: CIPDD, 2000), 11.

[2] ფარიდ ზაქარია, "არალიბერალური დემოკრატიის აღზევება", *საზოგადოება და პოლიტიკა* N 3 (თბილისი: CIPDD, 2000), 27.

არა, საშიშია, რადგან მას თან მოაქვს თავისუფლების ეროზია."[3] ქვეყნები, სადაც დემოკრატია მხოლოდ *შუმპეტერისეულ* მინიმალისტურ განსაზღვრებას[4] აკმაყოფილებს, ანუ სადაც ხელისუფლების ცვლას არჩევნების გზით, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებაც არ უმაგრებს ზურგს, ფარიდ ზაქარიას აზრით, ავტორიტარიზმის პირობებში უფრო მოახერხებენ კანონის უზენაესობის ლიბერალური პრინციპის გატარებას და განვითარებას.[5]

ბოლო დროს დასავლეთში "დემოკრატიზაციის ახალი, მეოთხე ტალღისადმი"[6] დაეჭვებულ დამოკიდებულებაზე საუბრობს ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, *გია ნოდიაც:*[7] დემოკარტიზაციის პროცესის ერთგვარი ეროზიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი რუსეთია, სადაც ელცინის პლურალისტური დემოკრატია პუტინის ე.წ. "სუვერენულმა დემოკრატიამ" ჩაანაცვლა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ავტოკრატიული მმართველობა.[8] გია ნოდია იზიარებს მოსაზრებას, რომ დემოკრატიული ტრანზიცია მაშინ უფროა წარმატებული, როცა საამისო წინაპირობების სახით მოცემულ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციისთვის საჭირო ის სტრუქტურული რესურსებიც არსებობს, რომლის დეფიციტსაც საქართველო განიცდის, მაგრამ

"საქართველოს საზოგადოებას და პოლიტიკურ ელიტას შედარებით მყარი არჩევანი აქვს გაკეთებული დემოკრატიზაციის სასარგებლოდ. ეს მჟღავნდება, უპირველეს ყოვლისა, იმაში რომ ... საქართველოში არ ჩამოყალიბებულა

---

[3] ფარიდ ზაქარია, *არალიბერალური დემოკრატიის აღზევება*, 49.

[4] იხ. Joseph Schumperer, *Capitalism, Socialism, and Democracy* (New Yourk: Harper Perennial, 1942), 269-273.

[5]ფარიდ ზაქარია, *არალიბერალური დემოკრატიის აღზევება*, 22-43.

[6] დემოკრატიზაციის პროცესის გაფართოებას სამუელ ჰანთინგთონმა დემოკრატიზაციის ახალი ტალღა უწოდა (იხ. Samuel Huntington, *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century,* Norman and London: University of Oklahoma Press, 1991), მაიკლ მაკფოლმა კი პოსტ-კომუნისტური ქვეყნები ცალკე, "მეოთხე ტალად" გამოყო (ის. Michael McFaul, "The Fourth Wave of Democracy and Dictatorship: Noncoopertarive Transitions in the Postcommunist World", *World Politikcs*, Vol. 54, No. 2 (Jan. 2002), 212-244).

[7] გია ნოდია, "დემოკრატიზაცია და გარე ფაქტორები: დემოკრატიული თეორია და საქართველოს მაგალითი", *დემოკრატიზაცია საქართველოში გარე ფაქტორების როლი* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მშვიდობის, დემოკრატის და განვითრების კავკასიური ინსტიტუტი, 2010), 27-29. მეტი დამაჯერებლობისთვის ბატონი ნოდია ცნობილი ექსპერტებს: კარნეგის ფონდის ვიცე-პრეზიდენტს, თომას კაროტერსს, დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) ყოფილ პრეზიდენტს, კარლ გერშმანს და ამავე ფონდის საგანგებო თანაშემწეს, მაიქლ ალენს იმოწმებს: Thomas Carothers, "The Backlash Agianst Democracy Promotion", *Foreigh Affaits* (March/April, 2006); და Carl Gershman and Michael Allen, "The Assault on Democracy Assistance", *Journal of Democracy,* Vo. 17. No 2, (April 2006), 36-51.

[8] გია ნოდია, *დემოკრატიზაცია და გარე ფაქტორები,* 27.

პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმაციის ალტერნატიული ნორმატიული ჩარჩო, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის იდეას დაუპირისპირდებოდა. საფიქრებელია, რომ ეს ფაქტი უკავშირდება სხვა ყველაფერთან ერთად, იდენტობის არჩევანს; ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერ ხედავს განვითარების და ეროვნული თვითგანხორციელების სხვა გზას, თუ არა დასავლური ცივილიზაციის ნაწილად გახდომას. ერთადერი შესაძლებელი ალტერნატივა - რუსეთის სატელიტად ქცევა - სერიოზულ მხარდაჭერას ვერ პოულობს."[9]

ჩვენც სწორედ ეს ვითარება გვაქვს მხედველობაში, როცა ქართულ საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლების და ლიბერალური იდეოლოგიის წინაპირობების თემას ვაქცევთ სადისერტაციო შრომის ლაიტმოტივად. *დასავლური ცივილიზაციისკენ ლტოლვის კვალობაზე, საჭიროა ისიც გავაცნობიეროთ, რამდენად მყარი ისტორიული საფუძველი გააჩნია ლიბერალურ ღირებულებებს დღევანდელ ქართულ სინამდვილეში და არის თუ არა განპირობებული ლიბერალური პრინციპების მიმღებლობა ქართული საზოგადოების საკუთრი ისტორიის თავისებურებით.*

იმავე ფარიდ ზაქარიას წიგნში - "თავისუფლების მომავალი: არალიბერალური დემოკრატია აშშ-ში და მის ფარგლებს გარეთ,"[10] იგივე საკითხი კიდევ უფრო ღრმად და ჩაძიებით არის განხილული. თუ ტრანზიციის ეტაპზე მყოფ საზოგადოებას არ სურს ოხლოკრატიამდე, საბოლოოდ კი ტირანიამდე მივიდეს, დემოკრატიაზაციის პროცესის უსასრულოდ გაღრმავებით არ უნდა დაკავდეს. ტრანზიციის ეტაპზე მყოფ, განვითარებად ქვეყნებს არალიბერალურ დემოკრატიასა და ლიბერალურ ავტოკრატიას შორის მოუწევთ არჩევანის გაკეთება. ლიბერალური ავტოკრატიის უპირატესობა, - ავტორის აზრით, - ეჭვს არ იწვევს, რადგან ის დემოკრატიულ მმართველობად გადაზრდის რეალურ პოტენციალსაც შეიცავს, მაშინ როცა არალიბერალურ დემოკრატიას პიროვნების და მოქალაქის თავისუფლებამდე არ მივყავართ. დასავლურ და აღმოსავლურ ორიენტირებს შორის მერყეობა, რასაც ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო და საზოგადოება ამ მეოთხედი საუკუნის

---

[9] გია ნოდია, *დემოკრატიზაცია და გარე ფაქტორები,* 43.

[10] Fareed Zakaria, *The Future of Freedom: Illibearl Drmocracy at Home and Abroad* (W. W Norton & Company, 2003).

განმავლობაში განიცდის, როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრების აქტუალობას ადასტურებს.

იგივეს ამბობს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების კოლეჯის პროფესორი, *ფრენსის ფუკუიამაც* (დაბადებული 1952 წელს). სტატიაში "კანონის უზენაესობაზე გადასვლა",[11] პოლიტიკის საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი მიიჩნევს, რომ მკვლევარებმა და პოლიტიკოსებმა მომეტებული ყურადღება დემოკრატიზაციის პროცესს დაუთმეს, ხოლო კანონის უზენაესობის და ლიბერალიზმის პრინციპების გატარება, თითქოს მიივიწყეს. მიზეზი ლიბერალიზაციის სირთულეშია ჩაბუდებული: კანონის უზენაესობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება, - ავტორის აზრით, - მხოლოდ ოთხი სპეციალური პირობის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი; ოთხივე ამ წინაპირობის დაწვრილებით განხილვის მერე, იგი ასკვნის: ლიბერალური დემოკრატიის წარმატება დასავლეთის ქვეყნებში იმან განაპირობა, რომ იქ ეს პირობები დიდხანს, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ყალიბდებოდა. *საზოგადოებებში, სადაც ასეთი ისტორიული წინაპირობები არ მოქმედებს, კანონის უზენაესობის პრინციპის გატარება დიდ წინააღმდეგობას აწყდება.*

ჩვენი საკვლევი საკითხის აქტუალობა ამ მოსაზრების კვალობაზე აშკარავდება: გამოსარკვევია, ჰქონდა კი ადგილი ზემოხსენებულ წინაპირობებს ქართულ ისტორიაში, ანუ *რამდენად უწყობდა ფეხს ქართული საზოგადოების სამართლებრივი და პოლიტიკური წარსული ევროპული საზოგადოების ისტორიულ ევოლუციას?* ჩვენი კვლევა სწორედ ამ კითხვაზე დასაბუთებულ (და წინასწარ ვიტყვით – დადებით) პასუხს გულისხმობს. ამ ეტაპზე უკვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ფ. ფუკუიამას მიერ მითითებული ოთხივე ისტორიული წინაპირობა ქართულ სინამდვილეშიც იძებნება, ერთი გარემოება კი ქართულ და დასავლეთევროპულ საზოგადოებებს მაინც მკვეთრად განასხვავებს: სხვადასხვა სოციო–პოლიტიკური მიზეზით, დღევანდელი საქართველო "გახლეჩილ ქვეყნად" ყალიბდება და ქართული საზოგადოებაც გახლეჩილი ქვეყნისთვის დამახასიათებელ თვისებებს იძენს...

---

[11] Francis Fukuyama, "Transitions to the Rule of Law", *Journal of Democracy* (Volume 21, January 2010, N 1), 31-44.

გახლეჩილი ქვეყნის პარადიგმა სამეცნიერო დისკურსში საერთშორისო ურთიერთობების ჰარვარდის ცენტრის ყოფილმა დირექტორმა, საქვეყნოდ ცნობილმა ანალიტიკოსმა, *სამუელ ჰანთინგტონმა* (1927 - 2008) შემოიტანა. ევროპული და საერთაშორისო კვლევების ლუქსემბურგის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში - "საერთაშორისო სისტემა აღმოსავლურ-დასავლური წესრიგის მოშლის შემდეგ"[12] დაბეჭდილი მისი ცნობილი სტატიის – "ცივილიზაციათა შეხლა?" აკადემიურ ვერსიაში (სადაც ჩამოყალიბებული იდეები საბოლოოდ 1996 წელს ისტორიულ-ფილოსოფიურ ტრაქტატად გაფორმდა,[13] ამ თემას ცალკე თავი ეძღვნება. მომავალში, - წერს მკვლევარი, - სახელმწიფოებს, რომლის მოსახლეობაც თავს სხვადასხვა ცივილიზაციას განაკუთვნებს (იუგოსლავია, საბჭოთა კავშირი) დაშლა-დაქუცმაცება ელით, ხოლო პრობლემური ქვეყნების მეორე წყებაში შემავალ სახელმწიფოებს, რომელთა მკვიდრებიც მკაფიოდ გამოხატული კულტურული ჰომოგენურობის მიუხედავად, ცივილიზაციური კუთვნილების ნიშნით მაინც ორჭოფულ მდგომარეობაში არიან, ჰანთინგტონი "გახლეჩილ ქვეყნებს" (The torn counrties) უწოდებს. ასეთი ქვეყნების ლიდერებს მათი საზოგადოების დასავლური ცივილიზაციის ნაწილად ქცევა სწადიათ, მაგრამ ამ საზოგადოების კულტურა, ისტორია და ტრადიციები ასეთ თაოსნობას ეურჩება. მსგავსი ქვეყნების პროტოტიპად და ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ჰანთინგტონი თურქეთს ასახელებს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც მეზობლისთვის, ფრიად საყურადღებოა. დამაფიქრებელია ისიც, რომ გლობალური განზომილებით ყველაზე გავლენიან გახლეჩილ ქვეყნად ჰანთინგტონი საქართველოს მეორე მეზობელს - რუსეთს მიიჩნევს. ეს შეფასება მით უფროა საყურადღებო, რომ ბოლო დროს რუსულმა რელიგიურმა კულტურამ (რაც ჰანთინგტონის მიერ ამა თუ იმ ხალხის ცივილიზაციური იდენტობის ერთ-ერთ ძირითად პარამეტრად არის შერაცხული), მყარად მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების მომეტებულ ნაწილში.[14]

---

[12] Armand Clesse, Richard Cooper and Yoshikazu Sakamoto, eds., *The International System After the Collapse of the East-Wes Order* (Dordrecht/Boston/london, Kluwer Academic Publishers, 1994).

[13] Samuel P. Huntington, *The Clash of Civilisations and the Remaking of World Order* (New York: First Touchstone Eridion 1997).

[14] ამაზე იხ. Протоиерей Василий (Кобахидзе), "О современном положений грузинской православной церкви", *Роль православия в государствах и обшествах Грузии и Росии, Материалы грузино-российской конференции* (Тбилиси: Heinrich Böll Stiftiung, 2004), 179-192.

ეს პრობლემატიკა თავისებურადაა გაშუქებული ჩვენს ნაშრომში; ვავითარებთ მოსაზრებას, რომ "გახლეჩილობის" მიუხედავად, ქართულ საზოგადოებას დასავლური, ლიბერალ-დემოკრატიული ცივილიზაციის მიმღებლობის და საკუთარი ისტორიით ნასაზრდოები, რუსულთან შედარებით საკმაოდ განსხვავებული, წინაპირობები გააჩნია.

ბ. ნაშრომის მიზანი და კომპოზიცია

ამოცანა, რაც კვლევისას მიზნად დავისახეთ *ქართულ ისტორიაში ლიბერალიზმის იდეური წინაპირობების გამოვლენა და იმის დასაბუთება გახლავთ, რომ ახალი ქართველი ერის "დამფუძნებელი მამების" - პირველ რიგში ილია ჭავჭავაძის და მისი თანადასელების ნაზრევი თავისუფლებისადმი იმ დაუცხრომელი ლტოლვის გამოძახილია, რაც არასოდეს გაბათილებულა ქართულ ისტორიაში.*

საქართველო არ ითვლება წარმატებული დემოკრატიზაციის მაგალითად. მკვლევარები აქ "ჰიბრიდულ რეჟიმს" ხედავენ სადაც დემოკრატიული და ავტოკრატიული ნიშნები ერთმანეთშია აზელილი.[15] ასეთი ვითარება სრულ შესაბამისობაში იმყოფება იმ შეფასებასთან, რომლის თანახმადაც, საქართველო "გახლეჩილი" ქვეყანაა: პოლიტიკური პარტიების მომეტებული ნაწილი დასავლური ორიენტაციისაა, ან პროდასავლურობის დეკლარირებას ახდენს, მაშინ, როცა ქართული საზოგადოების მენტალური თავისებურებები: ღრმად ჩაბუდებული ტრადიციონალიზმი, ძვალ-რბილში გამჯდარი და ჯერაც დაუძლეველი რუსულ-საბჭოთა იდეოლოგიური სტერეოტიპები, "რუსულ-პრავოსლავური" იდეოლოგიის გავლენიანი პროპაგანდისტის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მაღალრეიტინგულობა[16] და ზოგი სხვა ფაქტორიც - დისონანსში მოდის

---

[15]ამ საკითხზე იხილეთ: Charls King, "Potemkin Democracy ",*The National Interest* 64 (Summer 2001), 51-69; Jonathan Wheatley, *Georgia from National Awakening to rose Revolution: Delayed Transition in the Former Soviet Union* (Aldershot: Ashgate 2005); Loncoln A. Mitchell, *Uncertain Democracy: U. S. Georgian Policy and Georgia's Rose Revolution* (Philadelphia: University of Philadelphia Press, 2009); Carls H. Fairbanks, Jr., "Georgia's Societ Legacy", *Journal of Democracy*, Vol. 21, N 1 (January 2010), 144-151; გია ნოდია, "დემოკრატიზაცია და გარე ფაქტორები; მისისვე, "დემოკრტატიზაციის კრიზისი საქართველოში? დემოკრატიული კონსოლიდაციის ხედვა, გზები და რესურსები", პოლიტიკის ნარკვევი, (თბილისი: CIPDD, 2012).

[16] იხილეთ საზოგადოებრივი განწყობის ყოველწლიური კვლევის შედეგები, ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ფიგურების საქმიანობის შეფასება:

პოლიტიკური ელიტის ზემოხსენებულ მისწრაფებასთან. წინამდებარე ნაშრომი ამ სახიფათო გახლეჩილობის სიღრმისეული მიზეზების დადგენის და პიროვნების სოციალური გათავისუფლების (ანუ მთავარი ლიბერალური იდეის რეალიზაციის) მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთიანი უწყვეტი სურათის გამოკვეთის ამოცანას ემსახურება და ამ შრომატევადი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია.

ლიბერალიზმის იდეური წინაპირობების ძიება, ქართულ სოციალურ ისტორიაში, ხელის ცეცებით არ დაგვიწყია. მართალია, საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი ფორმულირებით არასოდეს დასმულა და ლიბერალური დემოკრატიის ანდა ინდივიდის თავისუფლების ნიშნით ქართული ისტორია, მიზანმიმართულად, კაცმა რომ თქვას, არც არავის უკვლევია, მაგრამ სამაგიეროდ, ქართული სამართლის და განსაკუთრებით სოციალური ისტორიის არაერთი საკითხია საკმარისად დამუშავებული და შესწავლილი საიმისოდ, რომ ჩვენს ძიებებში დავეყრდნოთ.

ერთი შენიშვნაც: სოციალური ისტორიის საკითხები, ძირითადად, საბჭოთა პერიოდში დამუშავდა და იმდროინდელ ნაშრომთა ნაწილს ლენინიზმის იდეოლოგიური დამღა ასახიჩრებს; სოციალური ისტორიის მომეტებული ნაწილი კლასთა ანტაგონიზმის ჭრილშია დანახული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკვლევი საკითხების რეინტერპრეტირებისას გადაულახავ სიძნელეებს არ გადავყრივართ.

რაკი ლიბერალიზმის ანი და ჰოე პიროვნების სოციალური თავისუფლების საკითხია, ხოლო ქართული საზოგადოების ხანგრძლივი წარსული პიროვნული, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის უწყვეტი ბრძოლის ისტორიაა, საანალიზო მასალაც უზღვავი მოცულობის გამოდგა. ამ სირთულეს და ზემოთქმულ ნაკლს, რომ საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში კლასთა ბრძოლის მარქსისტულ–ლენინური იდეოლოგიის პრიზმაშია გაბრეცილი, საქართველოს სოციალური ევოლუციის ერთიანი, უწყვეტი და სისტემური სურათის არ არსებობაც დაერთო; ასეთი სურათის რეკონსტრუირება სამეცნიერო ჯგუფის ხანგრძლივი შრომის შედეგად თუ მოხერხდება. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ, ბუნებრივია, სოციალური

---

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final.pdf (22. 05.2018).

იხ. აგრეთვე - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC საქართველოს კვლევის შედეგები: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll%20press%20release_March%202018_GEO.pdf (22. 05. 2018).

ევოლუციის ერთიანი სურათის ზოგი მნიშვნელოვანი ფრაგმენტის დაზუსტების მცდელობით შემოვიფარგლეთ. კვლევის უზენაესი (უზოგადესი), მაგრამ არა უშუალო, სამიზნე კი, ცხადია, პიროვნების გამათავისუფლებელი მოძრაობის უწყვეტი ტრაექტორიის და მთლიანი სურათის რეკონსტრუქციაა.

სადისერტაციო ნაშრომი ტექნიკურ-ორგანზაციული შესავლის, წინათქმის, ოთხი თავის და დასკვნისგან შედგება; თან ერთვის პირველწყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის ამსახველი ბიბლიოგრაფიაც.

შესავალში საკვლევი თემის აქტუალობაზე, ნაშრომის მიზანზე და კომპოზიციაზეა საუბარი; წარმოდგენილია ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა და მისი დასაბუთება; მიმოხილულია წყაროები, რითაც კვლევისას ვსარგებლობდით და საკითხის კვლევის ისტორია. განმარტებულია გამოყენებული მეთოდები;

წინათქმაში ნაჩვენებია, როგორ გავრცელდა პოლიტიკური იდეალიზმი პირველი მსოფლიო ომის მერე ევროპის დასავლეთ პერიფერიაზე და როგორ იცვალა სახე გამათავისუფლებელმა იდეოლოგიამ კონტინენტის აღმოსავლეთ განაკიდურზე, ანუ ცარისტულ რუსეთში და, შესაბამისად, საქართველოშიც. ლიბერალიზმის, როგორც თავისუფლების ფილოსოფიის და ნიჰილიზმის, როგორც რუსული ინტელიგენციის განწყობის ურთიერთქმედებით გამოწვეულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ქართულ საზოგადოებაზეც მოახდინა საბედისწერო გავლენა; პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის მისწრაფებას ლიბერალიზმი პასუხობდა, მაგრამ რუსული იმპერიის ტყვეობაში მოქცეული ხალხის შეგნებას დასავლურ ლიბერალიზმთან ერთად რუსული ნიჰილისტური იდეოლოგიაც აყალიბებდა, თუმცა ღირებულებებს და პრინციპებს, რასაც ლიბერალიზმი აღიარებს, ქართული საზოგადოება საკუთარი ისტორიული გამოცდილებითაც იცნობდა. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ამ გამოცდილების გამომზეურებას ეძღვნება;

პირველ თავში ნაჩვენებია, რომ ლიბეარლიზმის ძირითადი ღირებულების, პიროვნების სოციალური გათავისუფლების პროცესი, რომელიც უხსოვარი დროიდან დაიწყო ქართული სოციუმის წიაღში, მისი განვითარების ბატონყმურ ფაზაში დამუხრუჭდა. ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ელიტის დანარჩენ ხალხთან დამოკიდებულება მორალურ ჩარჩოებს გასცდა და ექსტრემისტული ხასიათი შეიძინა;

მეორე თავში თამარ მეფის დროინდელი ქართული სახელმწიფოს ტიპოლოგიური რაობაა გამორკვეული. მაშინდელ ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში ძალაუფლების შეზღუდვის, სახელისუფლო შტოების გამიჯვნის და კანონის უზენაესობის ლიბერალური პრინციპები სავსებით შეგნებულად და მკაფიოდ იყო გატარებული;

მესამე თავში ის ოთხი ისტორიული წინაპირობაა განხილული, რომლის ნაკლებობაც - ამერიკელი პოლიტოლოგის ფრენსის ფუკუიამას თანახმად - ძნელად გადასალახ დაბრკოლებას უქმნის ამა თუ იმ საზოგადოებას კანონის უზენაესობის ლიბერალური პრინციპის გატარებაში. ამ წინაპირობების ქართულ ისტორიულ წარსულში არსებობის დემონსტრირება პირველწყაროების და ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვრების გამოყენებითაა ნაცადი;

მეოთხე თავში ეროვნული თავისუფლებისათვის მრავალსაუკუნოვანი ბროლის საქმეში მომხდარი არსებითი ხასიათის ცვლილებზე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სოციალური უფლებებისთვის მოძრაობად ტრანსფორმირებაზე და ახალი პოლიტიკური სუბიექტის - გლეხობის აქტივობაზეა საუბარი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ლიბერალური რეფორმების და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების კვალობაზე ქართული თავადაზნაურული ელიტა მატერიალურად და მორალურად კოტრდებოდა, ხოლო ეროვნული და პიროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშეობა ლიბერალურმა ინტელიგენციამ ე.წ. "თერგდალეულებმა" იკისრეს;

დასასრულ ნაშრომს დასკვნაც ერთვის, სადაც კვლევა-ძიების ძირითადი შედეგებია წარმოდგენილი.

გ. ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა და მისი დასაბუთება

ჰიპოთეზა: დღევანდელი ქართული საზოგადოების სწრაფვა ევროპული ცივილიზაციური იდენტობის შეძენა-განმტკიცებისკენ არა მხოლოდ გლობალიზაციის გავლენით, არამედ ქართული საზოგადოების ისტორიული გამოცდილებითაც არის გაპირობებული.

დასაბუთება: პიროვნების უფლების და თავისუფლების იდეის რეალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტების გამოკვეთა ქართულ ისტორიაში. ნაჩვენები იქნება, რა და რა მიმართულებით წარიმართებოდა პიროვნების გათავისუფლების

პროცესი ქართულ სოციუმში და პოლიტიკური ყოფაქცევის რა ჩვევები ილექებოდა - ამ პროცესის კვალობაზე - ქართული საზოგადოების მენტალიტეტში...

დ. წყაროები და საკითხის კვლევის ისტორია

შუა საუკუნეების დროინდელი სოციო-პოლიტიკური ვითარების შესაფასებლად უმთავრეს ნარატიულ პირველწყაროდ, ბუნებრივია, *"ქართლის ცხოვრების"* კრებული გამოვიყენეთ, რომელშიც არაერთი მემატიანის თხზულებაა შეტანილი; ჩვენი მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა - *დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს* (ვინც უაღრესად სანდო ავტორად არის მიჩნეული),[17] *თამარის ორივე მემატიანეს* (მათ სანდოობაზე მეტყველებს, რომ ორივე მათგანი თამარის თანამედროვეა), *ჟამთააღმწერელს (რომლის პირუთვნელობას ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა,[18] ხოლო რევაზ კიკნაძის სიტყვებით იგი "შუა საუკუნეთა ქართული ისტორიოგრაფიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი მოაზროვნე ისტორიკოსია")[19] და ვახუშტი ბატონიშვილისეულის "აღწერას"* ჰქონდა. ვსარგებლობდით, როგორც სიმონ ყაუხჩიშვილის, ისე აკადემიკოსების: ილია ანთელავას და ნოდარ შოშიაშვილის 1996 წლის და ზოგი სხვა გამოცემითაც[20] (იხ."ბიბლიოგრაფია").

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მკვლევარისთვის ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებსაც პირველწყაროს დატვირთვა აქვს; ამ კორპუსში შემავალი არაერთი ნაწარმოები: იქნება ეს - ნინოს ცხოვრება (რომელიც „ქართლის ცხოვრების“ კრებულში ისედაც შედის), შუშანიკის წამება, აბო თბილელის

---

[17] მარიამ ლორთქიფანიძე, "XI-XII სს. ისტორიის წყაროები", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* 3 (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 11.

[18] ივანე ჯავახიშვილი, "ძველი ქართული საისტორიო მწერლობა", *თხზულებანი 12 ტომად,* ტ. 8 (თბილისი: თსუ, 1977), 261.

[19] რევაზ კიკნაძე, "ჟამთააღმწერელი და მისი ასწლოვანი მატიანე", *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე* (თბილისი: მეცნიერება, 1987), 16.

[20] *ქართლის ცხოვრება,* ტომი I, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: სახელგამი, 1955); ტომი II (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1959); ტომი IV (თბილისი: განათლება, 1973); "ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი", *ქართლის ცხოვრება I,* 318-364; "ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი", *ქართლის ცხოვრება,* გამოსაცემად მოამზადეს ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა (თბილისი: ნიკე, 1996), 244-279; *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი,* საქართველოს ისტორიის წყაროები 62, ტექსტი მოამზადა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მზექალა შანიძემ (თბილისი: მეცნიერება, 1992), 157-224; *ქართლის ცხოვრება,* გამოსაცემად მოამზადეს ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა (თბილისი: ნიკე, 1996); ჟამთააღმწერელი, *ასწოლოვანი მატიანე.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რევაზ კიკნაძემ; საქართველოს ისტორიის წყაროები 48 (თბილისი, მეცნიერება, 1987).

მარტვილობა, თუ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, - პოლიტიკური და სოციალური ისტორიის უამრავ მონაცემს გვთვაზობს.

ზოგიერთი დეტალის გასარკვევად - და ასეთი შემთხვევები ნაშრომშია დამოწმებული, უცხოური (ბერძნული, არაბული, სომხური) მონაცემების თარგმანებითაც ვისარგებლეთ.

საჭირო საკითხებზე პასუხის ძიებაში ქართული სასულიერო და საერო სამართლის არაერთი ძეგლის კონტენტ-ანალიზსაც მივმართეთ: *დიდი და მცირე სჯულის კანონები, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ძეგლის წერა, ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნები, გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დება“, "კათალიკოსთა სამართალი", ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნების კრებული - ე.წ. კოდიკო და მისივე „დასტურლამალი“, დავით ბატონიშვილის სამართალი...* ზემოხსენებულ ძეგლთაგან ზოგი ("დასტურლამალი" და "ძეგლის დება" - განსაკუთრებით), გარდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებისა, საკონსტიტუციო სამართლის დებულებებსაც მოიცავს; ასეთივეა "ხელმწიფის კარის გარიგება"[21] და "წესი და განგება მეფედ კურთხევისანი";[22] ქართული სოციალური თუ სახელმწიფო-პოლიტიკური ანაგისის დეტალებსა და სპეციფიკაში გარკვევას სწორედ მათი გამოყენებით ვცდილობდით.

აგრარული ცივილიზაციის სოციალური ისტორიის, საადგილმამულო ურთიერთობების, მაშინდელი სამოხელეო ინსტიტუტების ფუნქციების, პიროვნების თავისუფლების და უფლებების გამოსარკვევად უხვ მასალას დოკუმენტური წყაროები გვთავაზობს, რომელიც ძირითად პროფესორ ისიდორე დოლიძის რედაქტორობით სხვადასხვა წლებში გამოცემული "ქართული სამართლის ძეგლების" რვატომეულიდან, აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილის "საქართველოს სიძველეებიდან" და თედო ჟორდანიას "ქრონიკებიდან" მოვჩხრიკეთ...[23]

---

[21] "კარის გარიგება" სხვადასხვა დროს გამოსცეს: ივანე ჯავახიშვილმა, ისიდორე დოლიძემ და ივანე სურგულაძემ.

[22] *ქართული სამართლის ძეგლები II,* ისიდორე დოლიძის რედაქციით (თბილისი: მეცნიერება, 1965), 50-54.

[23] იხ. *ქართული სამართვლის ძეგლები,* პროფ. ისიდორე დოლიძის რედაქციით: I (თბილისი: მეცნიერება, 1963); II (თბილისი: მეცნიერება, 1965); III (თბილისი: მეცნიერება, 1970); IV (თბილისი: მეცნიერება, 1972); V (თბილისი: მეცნიერება, 1974); VI 1977 (თბილისი: მეცნიერება, 1977); VII (თბილისი: მეცნიერება, 1981); VIII (თბილისი: მეცნიერება, 1985); თედო ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. წიგნი I. შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. (ტფილისი: მ. შარაძის სტ., 1892); წიგნი II.

უფრო ვრცლად უნდა შევჩერდეთ საკონსტიტუციო სამართლის ნორმების შემცველ ძეგლებზე:

"ხელმწიფის კარის გარიგებას" - რომლის ერთადერთ, ნაკლულ - XVII საუკუნის დროინდელ - ხელნაწერს ექვთიმე თაყაიშვილმა მიაკვლია[24] - ქართული სახელმწიფოს ყველა მკვლევარი განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს;[25] მისი სახით აკი საკონსტიტუციო სამართლის ძველი - "დასტურლამალზე" მთელი სამი საუკუნით უწინარესი - ძეგლი მოგვეძევება, რომლის აღდგენა-რესტავრირებაზე ე. თაყაიშვილის გარდა, ი. ჯავახიშვილმა და ნ. მარმაც იშრომეს.[26] ივანე ჯავახიშვილის აზრით, "კარის გარიგება" არა საკანონმდებლო ძეგლი, არამედ მანდატურთ-უხუცესის ხელქვეითი მოხელის ნაშრომია[27] და წინამორბედი ძეგლის საფუძველზეა შედგენილი: " 'ხელმწიფის კარის გარიგება' პირველი და ერთადერთი ამგვარი ნაწარმოები არ ყოფილა. როგორც ჩანს, ერთი იმ წყაროთაგანი, რომლითაც ჩვენს ავტორს თავისი შრომის შედგენის დროს უსარგებლია, სოფრომაძის დაწერილი ყოფილა."[28] გარიგება XIV საუკუნის დროინდელ ვითარებას აგვიწერს: სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციებს, დარბაზობის და ვაზირობის პროცედურას, მოხელეთა უფლება-მოვალეობებს... სახელმწიფოს მართვა, ძეგლის თანახმად, უწყებრივია; თითოეული უწყება საქმეს საკუთარი სამოხელეო აპარატის მეშვეობით იურვებს. ძეგლი არაერთ სახელმწიფო ინსტიტუტს გვიხასიათებს: ადგილობრივი მმართველობის ორგანებს; უზენაეს სასამართლოს - სააჯო კარს; ხაზინას და "საჭურჭლეს"; სახელმწიფო დაცვის სამსახურს, მისი თანამშრომლების რიცხოვნების ჩვენებით; აღწერილია: სავაზირო, ლაშქრობის გადაწყვეტილების პროცედურა, თვით ისეთი წვრილმანებიც კი, როგორიცაა მოხელეთა უნიფორმები, ან მაშხლების თუ სანათების რაოდენობა თანამდებობის პირთა ღამით გადაადგილებისას, მეფის

(ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხ., 1897); ექვთიმე თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი: ტ. I. გამოცემა II, წიგნი I (თფილისი: საქართველოს საისტორიო და საერთნოგრაფიო საზოგაოდება, 1920); *ტ. II. ტფილისი: საქართველოს საისტორიაო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. 1909. ტ. III. ტფილისი: საქართველოს საისტორიაო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. 1910.*

[24] ექვთიმე თაყაიშვილივეა ამ ძეგლის პირველი გამომცემელი. იხ. *ხელმწიფის კარის გარიგება* (ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1920).

[25] იხ. ჯავახიშვილი, "ქართული სამართლის ისტორია" I, *თხზულებანი 12 ტომად, ტ. 6* (თბილისი: მეცნიერება 1982), 74-75.

[26] იხ. ივანე სურგულაძე, *ქართული სამართლის ისტორიის წყაროები* (თბილისი: 2002), 54.

[27] ჯავახიშვილი, "ქართული სამართლის ისტორია" წიგნი I, *თხზულებანი 12 ტომად, ტ. 6 73.*

[28] ibid., *73.*

შეკაზმვაში მონაწილე ხელქვეითების შრომის დანაწილება ("ტანისამოსი მსახურთ-უხუცესმან ჩაცვას, ღილი მესაწოლეთ-უხუცესმან შეუკრას")...

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება "კარის გარიგებაში" "ისტორიანი და აზმანიდან" ჩართულმა პასაჟმა მიიქცია: "[თანადგომითა] და ერთნებ[აობ]ითა შვიდსავე სამეფოსა დიდებულთა ბ[რ]ძანა დამტკიცებად ჭყონდიდელად, მწიგნობართ-უხეცესად და ვეზირად გაზრდილივე მამისა მათისა მეფეთ მეფის, ანტონე გლონისთავისძე. ... და განაჩინა ამირ-სპასალარად სარგის მხარგრძელი..."[29] ამ ცნობას ქვემოთ არაერთხელ მივუბრუნდებით.

აღნიშვნის ღირსია "კარის გარიგების" ცნობა მოძღვართ-მოძღვრის შესახებაც: პატივით და ღირსებით იგი პირველი პირი ჩანს მეფის შემდეგ, მეფე კი "ღვთის სწორად" მოიხსენიება და ეკლესიის მოთავედ მოიაზრება, - მეფის ხელისუფლებას, "გარიგების" თანახმად, აშკარად თეოკრატიული ელფერი გადაჰკრავს და - მიუხედავად შეზღუდვისა - სხვა სახელისუფლებო სუბიექტებთან შედარებით ფართო უფლებამოსილება აბადია. "ძეგლის ავტორი ძლიერი ფეოდალური მონარქიის - აბსოლუტიზმის იდეებს ატარებს თავის შრომაში."[30]

მნიშვნელოვანი ცნობები მოიძევება "გარიგებაში" ჭყონდიდელის და ამირსპასალარის შესახებაც: ჭყონდიდელი "საჭურჭლეშიც შევა და ვითარცა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების."[31] ამისპასალარის გარეშე კი "ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის;" [32]

საკონსტიტუციო შინაარსის კიდევ ერთი, მოგვიანო ძეგლი - *"დასტურლამალი"* სხვადასხვა დროს გამოცემული კანონების, საკანონმდებლო აქტების და სიგელების კრებულია. " 'დასტურლამალი' იმ სახით, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ, შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ 1707-1709 წლებში, მაგრამ ამ ძეგლის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეფის მერ არის შედგენილი. ხოლო ვახტანგმა გააერთიანა ისინი. ამ მხრივ 'დასტურლამალი' კრებულია." [33]

---

[29] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია I;* "გარიგება ხელმწიფის კარისა", 399.
[30] ibid., 240.
[31] ibid., *387.*
[32] ibid., *403.*
[33]ივანე სურგულაძე, *ქართული სამართლის ისტორიის წყაროები*, 143.

საკონსტიტუციო სამართლის ძეგლების არსებობის და გამოყენების უწყვეტ ტრადიციაზე გვესაუბრება ი. ჯავახიშვილიც:

"ვახტანგმა თავისი 'დასტურლამალი'-ს შექმნით მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა კვლავ ერთი-ერთმანეთისგან განსაზღვრა და სახელმწიფო სამართლსაც ... მტკიცე საფუძველი დაუდვა. ... ჩანს, რომ დასტურლამალის ზოგიერთი ნაწილი 'პირველ მეფის გიორგისაგან' განწესებული ყოფილა და ვახტანგს მხოლოდ განუახლებია."[34]

პროფესორ ვალერიან გაბაშვილის თანახმად კი, ტერმინი, დასტურლამალი, სახელმწიფო სამართლის ძეგლის, "გარიგების" აღმნიშნვნელია.[35]

ძეგლი ორ, სამეფო და სადედოფლო ნაწილად განიყოფება. აღწერილია: სამეფო კარის და ადგილობრივი მმართველობის სისტემა, დარბაზობის წესები და ხელისუფალთა უფლება-მოვალეობა, მოცემულია მოხელეთა სიები; იქვეა სხვადასხვა სტატისტიკა მოსახლეობის აღწერის, თუ გზების შენახვის შესახებ; მოცემულია შემოსავლის დავთრების შედგენის წესები, რეგიონების და სოფლების საზღვრები; განმარტებულია საგადასახადო დაწესებულებების ფუნქციებიც: ფინანსები, სარგოები, გამოსაღებები, გაწერილია საფინანსო მოხელეთა მოვალეობები. ცალკე პარაგრაფები ეძღვნება საპოლიციო აპარატს და სასამართლოს; ჩამოყალიბებულია გათარხნება-გათავისუფლების წესი და რიგი, მოცემულია ქართლის სამეფოს ირანთან ვასალური დამოკიდებულების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები...

ძვირფასი ცნობებია დაცული ძეგლში საქალაქო წყობილების შესახებაც: ქალაქმმართველობის სათავეში ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილი მოურავი დგას, მის მოადგილეს ნაცვალი ეწოდება. ქალაქის მოხელეები არიან მელიქი და მამასახლისი;

სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით *"რუის ურბნისის კრების ძეგლისწრაც",* მნიშვნელოვანია; მნიშვნელოვანია ეს ძეგლი საეკლესიო სამართლისთვისაც, ამიტომ იგი "არამცთუ მარტო შენახულ იქნა და არის ეხლაც, არამედ დიდ სჯულისკანონშიაც კი იქმნა ძველადვე შეტანილი." [36] ქართული

---

[34] ჯავახიშვილი, "სახელმწიფო სამართლის ძეგლები" ნაწილი I, *თხზულებანი 12 ტომად, ტ. 6. ქართული სამართლის ძეგლები, წიგნი I,* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 83.

[35] ვალერიან გაბაშვილი, "სპარსული დასტულამალი", *თსუ შრომები XXXV* (თბილისი: თსუ, 1949), 191-220.

[36] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ძეგლები, ნაწილი I,* 53

სამართლის ძეგლების რვატომეულის გამომცემელი ი. დოლიძის შეფასებით: "დიდია ამ ძეგლის მნიშვნელობა ქართული საეკლესიო, სახელმწიფო, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ისტორიისათვის."[37] ძეგლში დავით აღმაშენებლის დროინდელი პოლიტიკური, სოციალური, სამეურნეო და ადმინისტრაციული პროცესებია წარმოჩენილი. დავით აღმაშენებელმა - რუის-ურბნისის კრების ძალით - საეკლესიო მიწების მამულად გადაქცევის უფლება მოუსპო დიდ მაგნატთა სახლიშვილებს, არადა, მიწების მათ ხელში მოქცევის პროცესმა, საზოგადოების შემდგომი ევოლუციის კვალობაზე, მაინც შეუქცევადი ხასიათი მიიღო. რუის-ურბნისის ძეგლისწერაში სწორედ ამ მწვავე ისტორიული პროცესის ერთი ფაზაა ასახული. იგი, ძეგლისწერა, არა სარწმუნოებრივ, არამედ ორგანიზაციულ საკითხებს მიეძღვნა და ეკლესიაში დაბუდებულ იმ "ქუაბ ავაზაკთა" (მიწისმფლობელი მაგნატების ოჯახისშვილების) წინააღმდეგ მიიმართა, ვინც საშვილიშვილოდ დაპატრონებოდა საეკლესიო ქონებას და თანამდებობებს. მკაცრი წესები დაუდგენია კრებას საეკლესიო ქონების მოსახმარადაც: ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი, ჭიქა... "არავის ხელეწიფოს ხმარება მისსა არარად, არცა ტყუეთა სახსრად"[38], - ვკითხულობთ "ძეგლის წერაში".

დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრებაზე მაშინ დავით აღმაშენებელს და მის მომხრე დასს მერიტოკრატიული პრინციპი გაუტარებიათ: ქრთამით თანამდებობის დაუფლების წესი მოუშლიათ და "უღირსად გამოჩინებული" მღვდელმთავრები დაუმხიათ: "განვკვეთენით და უცხო ვყვენით მღვდლობისაგან."[39] გარდა ამისა, თანამდებობებზე პირთა ხელდასხმისთვის ასაკობრივი ცენზი განუსაზღვრავთ: ეპისკოპოსებისთვის - ოცდათხუთმეტი წელი, მღვდლისთვის - ოცდაათი, დიაკვნისთვის - ოცდახუთი, წიგნის მკითხველისთვის - რვა...

დოკუმენტი, როგორც ვხედავთ, წეს-რიგის მკაცრი დაცვის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი: ქორწინების, გვირგვინის კურთხევის შესახებ ვკითხულობთ: "მეორეთა გუირგვინთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივალს მათ თანა."[40]

---

[37] *ქართული სამართლის ძეგლები III*, გამოსცა შესავალი და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი: მეცნიერება, 1970), გვ. V.

[38] Ibid., 117.

[39] Ibid., 115.

[40] Ibid., 117.

იკრძალება არამართლმადიდებლის "მწვალებლებთან და წარმართებთან" შეუღლება; მკაცრი მორალური მსჯავრია გამოტანილი "ღმრთის-მოძაგებულისა მის და ღმრთის-განმამწარებელისა ცოდვათა-უბილწესისა საძაგელებისა სოდომელთაისა ცოდვისადმი."[41] ამ მსჯავრის ფორმულირების დროს ყურადღებას მაშინდელი ქართული საზოგადოების სოციალური სპექტრის ამსახველი ტერმინები იქცევს:

"ვამცნევთ ყოველთა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღვდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა, ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა უფროის-ღა საძაგელისა ბილწებისა."[42]

ძეგლისწერა სამართლის ფილოსოფიის საკითხებსაც კი ეხება, როცა, მაგალითად, ბუნებითი, ანუ ღვთებრივი სამართალი იქ პოზიტიურ სამართალას, ანუ "დაწერილ სჯულს" უპირისპირდება; მოითხოვება, რომ ეს უკანასკნელი ბუნებით სამართალს ემყარებოდეს;

საყურადღებო ძეგლია ჩვენი პრობლემატიკისთვის XIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი *ვაჰანის ქვაბის განგებაც*. დოკუმენტი სამჯერ არის გამოცემული: თ. ჟორდანიას, ლ. მუსხელიშვილის და ი. დოლიძის მიერ. სასულიერო პირთა ზემოდან დადგინების მონარქიული პრინციპი, აქ არჩევითობის დემოკრატიული და მერიტოკრატიული წესით არის შეცვლილი, რაც თავის დროზე გიორგი ათონელის მიერ ათონის მონასტერში დამკვიდრებული წესის გავლენას უნდა მივაწეროთ. ძეგლში ვკითხულობთ:

"ამის უკვე ზემოხსენებულსა დასისაგან მღვდელთაისა *გამოირჩეოდეს ერთსულობისა* მიერ ძმათაისა კაცი სიტყვით და საქმით *უაღრესი სხუათა ყოველთაი,* რომელსა ყოველნივე *ერთხმობით* ეწამებოდინ" (ხაზგასმა ჩვენია).[43]

ძეგლი საადგილმამულო ურთიერთობების და პოლიტიკის შესწავლის თვალსაზრისითაც გვაწვდის საყურადღებო ცნობებს. მასში მაგალითად, ვკითხულობთ: სამონასტრო აგარაკების სანიადაგო ხელისუფლად "ნუმცა ოდეს დაიდგინების მონაზონი, არამედ ერისკაცნი დაიდგინებოდნენ, მოძღურისა და

---

[41] *ქართული სამართლის ძეგლები III*, გამოსცა შესავალი და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი: მეცნიერება, 1970), 121.

[42] Ibid., 123.

[43] Ibid., 137.

კრებულისა ბრძანებითა."[44] გარდა იმისა, რომ მონაზონი - ძეგლის თანახმად - არ შეიძელბა მიწებს განკარგავდეს, "სანიადაგო ხელისუფლის" ვინაობას მოძღვართან ერთად კრებულიც განსაზღვრავს, რაც მაშინდელი და იქაური საზოგადოების დემოკრატიული სულისკვეთების მანიშნებელია.

ვაჰანის განგება საეკლესიო მიწების დასაკუთრების და მამულად ქცევის თაობაზე რუის-ურბნისის ძეგლისწერის უწყების გადამოწმების საშუალებასაც გვაძლევს: "მოვსპე მამულობით მქონებაი აგარაკთა, ვენახთა ... ნუმცა ვის უკადრებიეს მამულობით მოგებაი სენაკთა, აგარაკთა, ვენახთა, ანუ ორნატთა ... რაითა ესემცა აღმოიფხვრას, ვითარცა მიზეზი მრავალთ ბოროტთაი."[45] როგორც ვხედავთ, მიწების მამულად ქცევის ტენდენცია - რის შესახებაც ჩვენი კვლევის სათანადო ადგილზე ვისაუბრებთ - საეკლესიო-სამონასტრო სფეროშიც ჯიუტად განაგრძობდა არსებობას, მაგრამ წინააღმდეგობას აწყდებოდა;

ლიბერალიზმის წინაპირობების ქართულ ისტორიაში გამოსარკვევად ჯონ ლოკის, შარლ ლუი მონტესკიეს, თომას ჰობსის, თუ სხვათა შრომების[46] გარდა, განსაკუთრებული გამოყენება კვლევის პროცესში *გეორგ ვილჰელმ ფრიდრიც ჰეგელის* სამართლის ფილოსოფიამ და "გონის ფენომენოლოგიამ" ჰპოვა.[47] "სამართლის ფილოსოფიაში" კონსტიტუციური სახელმწიფოს ფილოსოფიური კონცეფციაა მოცემული და პოლიტიკური ფილოსოფიის სადღეისოდ აქტუალური პრობლემების მთელი დასტაა თავმოყრილი. დიდი ფილოსოფოსის ეს ნაშრომი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მაგარანტირებელი ინსტიტუტების სისტემური მოწესრიგების (სისტემაში მოქცევის) მცდელობადაა შერაცხული. საყურადღებოდ გვეჩვენა, რომ სახელმწიფოს სისტემების შეფასების საკითხში ჰეგელი უპირატესობას გონიერებაზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ მონარქიას ანიჭებს. მის ამ პოზიციას - სხვა ისტორიულ საფუძველზე თუმცა - ილიაც

---

[44] Ibid., 147.

[45] *ქართული სამართლის ძეგლები III*, გამოსცა შესავალი და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (თბილისი: მეცნიერება, 1970), 148.

[46] Thomas Hobbes, *Leviathan*, Edited with and Introduction by C. B. Macpherson (Reprinted in Penguin Classics, 1985).

John Locke, *Two Treatises of Government*, ed. Thomas Hollis (london: A. Millar et al., 1764. <http://oll.libertyfund.org/titles/222> (5/25/2018).

[47] Георг Вилгелм Фридрих Гегель, *Философия права,* Пер. с нем. Ред. и сост. Д. А. Керимов и В. С. Нерсесянц (М. Мысль, 1990);

Георг Вилгелм Фридрих Гегель, Сочинения Том IV, *Феноменология Духа* (М. Издательство социально-политической литературы, 1959).

იზიარებდა; რაც შეეხება "გონის ფენომენოლოგიას", იქ ჩვენი ყურადღების საგანი, უპირველეს ყოვლისა, "ბატონობის და მონობის" საკითხი გახდა. "გონის ფენომენოლოგიაში" (გონის გამოვლენის შესახებ მოძღვრებაში ანუ გონისმცოდნეობაში) ჰეგელი არა მხოლოდ ცნებების და გონებისეული მოცემულობის გარჩევით არის დაკავებული, არამედ - ისტორიული ხდომილებების თავისებური ინტერპრეტირებითაც. ჰეგელი სოციალური მოცემულობიდან ლოგიკური შინაარსის ამოხდით, ანუ სოციალური მოცემულობის ლოგიკურ "თარგმანში" ახდენდა საკითხის დემონსტრირებას; ქართულ ისტორიაში პიროვნების თავისუფლების საკითხის გააზრებისას, ჩვენც ამ წესით ვიხელმძღვანელეთ;

საქართველო დიდი ხნის განმავლობაში იყო რუსეთის იმპერიის ნაწილი, რის გამოც ქართული საზოგადოების სოციალური ინფრასტრუქტურა დროთა განმავლობაში რუსულ თარგს დაუახლოვდა. პიროვნების თავისუფლების საკითხის რკვევის დროს საჭირო გახდა რუსულ საზოგადოებაში შექმნილი მსგავსი პრობლემის შესწავლა და შედარების მეთოდის გამოყენებით ქართულ ანალოგთან შეპირაპირება. ამ ამოცანისთვის საუკეთესო წყაროდ ცნობილი ისტორიკოსის, *რიჩარდ პაიფსის* შრომები მივიჩნიეთ.[48] მისი "საკუთრება და თავისუფლება" თავისუფლების იდეის კერძო საკუთრების ინსტიტუტის კონკრეტულ-ისტორიული მონაცემის ბაზაზე მკვლევრისთვის პირველხარისხოვნი მნიშვნელობისაა; ავტორსავე დავიმოწმებთ:

"მოსაზრებას, რომ თავისუფლება და საკუთრება ურთიერთკავშირშია, ძნელია ახალი უწოდო; მან მეჩვიდმეტე საუკუნეში აიდგა ფეხი, ხოლო მეთვრამეტეში უკვე ანა-ბანად იქცა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ჯერაც არავის უცდია ისტორიული საბუთების საფუძველზე წარმოეჩინა ეს კავშირი. თითოეულ ამ საგანზე უზღვავი ლიტერაურა არსებობს: ასეულობით, თუ ათასეულობით არა, ნაშრომია შექმნილი საკუთრების და ამდენივე თავისუფლების თაობაზე, [მაგრამ]... ჩვენ გვაკლია კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე დამყარებული ახსნა-განმარტება იმისა, თუ

[48] Richard Pipes, *Property and Freedom* (New Yorr: Alfred A. Dnoph, 1999); Ричард Пайпс, *Россия при старом режиме* (М. Захаров, 2004); Ричард Пайпс, *Русская революция,* Т. 1, 2 (М. Захаров, 2005); Ричард Пайпс, Россия под большевиками, *Русская революция* Т. 3 (М. Захаров, 2005).

როგორ უზრუნველყოფს საკუთრება თავისუფლებას და როგორ ბადებს მისი არარსებობა დესპოტურ ხელისუფლებას."[49]

ავტორი ჯერ საკუთრების ინსტიტუტებს მიმოიხილავს ფეოდალურ ევროპაში, მერე კი პარლამენტური დემოკრატიის წარმოშობაზე საუბრობს ინგლისსა და ევროპის მყარზე. ამ ისტორიული პროცესის საპირისპირო ვითარებას პაიფსი პატრიმონიალურ რუსეთში ხედავს. ჩვენი ისტორიული განვითრებისთვის ორივე ეს გამოცდილება ნიშნეულია.

საკუთრება, პაიფსის თანახმად, არა მარტო სამეურნეო განვითარების, არამედ თავისუფლების და კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი მდგენელია; კერძო საკუთრების უფლება მთელი ისტორიის განმავლობაში ბოჭავდა სახელმწიფოს, რამაც დასავლურ ქვეყნებს დემოკრატიული დაწესებულებების დამკვიდრება შეაძლებინა. კერძო საკუთრებას ავტორი ანტიკური საბერძნეთიდან და რომიდან მოყოლებული მიმოიხილავს; განმარტავს, როგორ მოიწიფა მესაკუთრეობაზე წარმოდგენა შუა საუკუნეების ქალაქებში აღებ-მიცემობის აღზევების კვალდაკვალ; აჩვენებს, როგორ გახდა ინგლისი პირველი ქვეყანა, სადაც მიწა წარმოების საშუალებად შეირაცხა და საკუთრების უფლების უზრუნველყოფა-ხელშეუვალობის ჯანსაღი პროცესი დაიძრა, სადაც საპარლამენტო მმართველობა დაწესდა და მეფის ხელისუფლება შეიბოჭა.

პირიქით მოხდა რუსეთში, ქვეყანაში, სადაც - ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე - მიწაზე კერძო მფლობელობა არ არსებობდა და, შესაბამისად, ხალხს ცარის ხელისუფლების შებოჭვის ინსტრუმენტი არ გააჩნდა;

ლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის და საზოგადოებრივი პრაქტიკის შუქურვარსკვლავი ქართულ საზოგადოებაში *ილიაა.* მის პოლიტიკურ ფილოსოფიას ჩვენი კვლევის მეორე ნაწილში ვიხილავთ - როგორც მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებების, ისე მასზე შექმნილი ლიტერატურის გათვალსიწინებით. ილიას შესახებ დაწერილ ზღვა ლიტერატურიდან პროფესორ

[49] "The idea that liberty and property are connected is hardly news - it emerged in the seventeenth century and became commonplace in the eighteenth - but to the best of my knowledge no one has as yet attempted to demonstrate this connectrion on the basis of historical evidence. The literature on each of these subject is immense: there are hundreds of not thousands of works on property and as many on liberty" but "we lack an explanation, based on concrete historical material, of just how property gives rise to freedom and how its absense makes possible arbitrary authority" - R. Pipes, Property and freedom (New York: Alfred A. Dnopf, 1999), XIII.

ომარ გოგიაშვილის უზარმაზარ (A 4 ფორმატის 750 გვერდიან) მონოგრაფიას - "ილიას დღეს" გამოვყოფთ, სადაც სისტემურად არის გაანალიზებული ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობა. აქვეა მოცემული სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის: ლიბერალიზმის, კონსერვატიზმის, ტრადიციონალიზმის, სოციალ-დემოკრატიის ორი (დასავლური და რუსული) მიმდინარეობის კონცეპტუალური წანამძღვრები, რომელთა გათვალისწინებითაც ილია თავის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას აყალიბებდა. ავტორის მოსაზრებით, აქამდე – ყველაფრის მიუხედავად – ილიას, როგორც იდეოლოგის, ღვაწლი ჯერაც არ არის სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული, არადა "ილია კომფორტულად გრძნობდა თავს ფრანგი განმანათლებლების, ჯ. ლოკის, ე. ბერკის, ი.კანტის, ფ.ჰეგელის, ა. ტოკვილის, ა. სმიტის, ე. ბენტამის, ჯ. ს. მილის, მ. გლადსტონის, ჩ.დარვინის, ჰ. სპენსერის და ბევრი სხვა მოაზროვნის კამპანიაში და თავისი დროის ყველა ძირითად მიმდინარეობას ზედმიწევნით იცნობდა"[50]

ჩვენი კვლევის პირველ ნაწილში კი, რომელიც სადისერტაციო ნაშრომის სახით არის თქვენს წინაშე წარმოდგენილი, ქართული ისტორიის მხოლოდ ზოგ, ჩვენი აზრით ყველაზე ნიშანდობლივ ხდომილებას თუ გარემოებას მოვნიშნავთ პიროვნულ და სოციალურ თავისუფლებასთან მიმართებაში - ქართული სოციალური ისტორიის მკვლევარების მონაპოვრების ბაზაზე:

საქართველოს ისტორია მყარ მეცნიერულ საფუძველზე მარი ბროსეს (1802-1880) და დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) შრომების შედეგად დადგა. მათ კვალდაკვალ სარბიელზე ისტორიკოსების მთელი პლეადა გამოჩნდა: მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია, გ. ჩუბინაშვილი, ს. კაკაბაძე, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, გ. წერეთელი, შ. მესხია, სხვები...

სადაც საქმე ადრეფეოდალურ სოციო-პოლიტიკურ ურთიერთობებს ეხება აკადემიკოს *სიმონ ჯანაშიას* მონოგრაფიებს: "საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე" და " ფეოდალური რევოლუცია საქართველოში"[51] მივმართეთ; მიწისმფლობელობის ფორმების რკვევისას აკადემიკოს ნიკო

[50] გ. გოგიაშვილი, *ილია დღეს. იდეოლოგია, პოლიტიკა,* (თბილისი: 2008), 10.

[51] სიმონ ჯანაშია, *შრომები I* (თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949); სიმონ ჯანაშია, "ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის", *შრომები II*, 341-438.

ბერძენიშვილის შრომები გამოვიყენეთ,[52] მასვე მივაკითხეთ ქართული სახელმწიფოს წარმოშობის თემაზე.[53]

პატრონყმული საზოგადოებრივი ურთიერთობის ჯუნგლებში ხეტიალისას *გ. მამულიას* შესანიშნავმა მონოგრაფიამ - "პატრონყმობა" გაგვიწია მეგზურობა.

ივანე ჯავახიშვილის შრომებს: "ქართველი ერის ისტორიას" და "ქართული სამართლის ისტორიას" უპირველესი ადგილი უჭირავს ჩვენს ძიებებში.

საქალაქო სოციალური ინფრასტრუქტურის, ქალაქმმართველობის, ამქრული ორგანიზაციების საკითხებში პროფესორ *შოთა მესხიას* კვლევებს მივანიჭეთ უპირატესობა. [54]

ე. მეთოდოლოგია

საანალიზო მონაცემი დიდი სიჭრელით ხასიათდებოდა. გასათვალისწინებელი იყო, რომ სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი და იქაური მოსახლეობა სხვადასხვა პოლიტიკურ ორბიტაზე ბრუნავდა. სოციო-პოლიტიკური ვითარების მრავალფეროვნებას ქვეყნის ვერტიკალური განშრევებაც და შესაბამისად ბარსა და მთაში სოციალური ევოლუციის სხვადასხვა დონეების არსებობაც ემატებოდა. ქართულ ისტორიაში პიროვნების სოციალური გათავისუფლების პროცესის ერთიან, ქრონოლოგიურად უწყვეტ ჭრილში მოხილვა უზღვავი მასალის შეჯერება-გადამუშავებას და, შესაბამისად, საკვლევი მეთოდების მრავალფეროვნებას, ამ მეთოდების ხან ცალკე, ხან კომბინირებულ გამოყენებას გულსხმობდა.

უპირველეს ყოვლისა, ძველი ისტორიის წყაროების და საანალიზოდ შერჩეული მასალის *კონტენტანალიზი* მოვახდნეთ პიროვნების თავისუფლების ხარისხის, მისი უფლებრივი მდგომარეობის და სამეურნეო-პოლიტიკური შესაძლებლობის გამოსარკვევად.

---

[52] ნიკო ბერძენიშვილი, შრომები II (თბილისი, მეცნიერება, 1956), 87-130.

[53] იხ. ნიკო ბერძენიშვილი, "საქართველო XI-XVIII საუკუნეებში", *საქართველოს ისტორიის საკითხები,* წიგნი *VI* (თბილისი, მეცნიერება, 1973); ნიკო ბერძენიშვილი, "მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისთვის", *საქართველოს ისტორიის საკითხები,* წიგნი VIII (თბილისი: მეცნიერება, 1990).

[54] შოთა მესხია, "ქალაქები და საქალაქო წესწყობილება საქართველოში", *საისტორიო ძიებანი II*, (თბილისი: მეცნიერება, 1983).

რაკი ჩვენი კვლევის მიზანი ლიბერალიზმის *ისტორიული* წინაპირობების გამომზეურებაა, საანალიზო მასალის *ისტორიზმის მეთოდით* დამუშავების საჭიროება უკვე თავისთავად იგულისხმება. ყველა მონაცემი: იქნება ეს საკუთრების სახეობები, თუ სახელმწიფო სისტემის და ქვესისტემების *სტრუქტრული ანაგისი,* პიროვნების უფლებრივი მდგომარეობა და სოციალურ კლასთა *ფუნქციური* დატვირთულობა, - ისტორიულ დინამიკაში ანალიზდებოდა.

ისტორიული ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე პიროვნების სოციალური თავისუფლების ხარისხის მეტამორფოზების გამოსარკვევად, როგორც ევროპული ისტორიის მონაცემთან ისე, და განსაკუთრებით, რუსულ ისტორიულ ვითარებასთან ქართული მონაცემის *შედარების მეთოდით* დამუშავება დაგვჭირდა.

ქართული სამართლის და სოციალური ისტორიის მკვლევარების (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, პ. ინგოროყვა გ. მამულია, ი. სურგულაძე, გ. ნადარეიშვილი, ვ. მეტრეველი და სხვები) გამოცდილების გათვალსიწინება მათი შრომების ერთმანეთთან შეჯერებით და მათი მემკვიდრეობის *სიღრმისეული (ტექსტულაური) ანალიზის* გზით განხორციელდა.

რაკი ჩვენს კვლევაში წარმოდგენილი სურათი მკვლევართა ფართო წრის, ქართული ისტორიოგრაფიის არაერთი წარმომადგენლის შრომების გამოყენებით არის დასაბუთებული, ბუნებრივია, ამ *მონაცემთა კორელაციის მეთოდს მივმართეთ*, რაც ჩვენი სამეცნიერო ჰიპოთეზის *შემოწმებადობის* (და არა ვარაუდზე დაყრდნობილობის) სანდო საფუძვლად წარმოგვიდგენია.

ქართული ისტორიის მთელ სიგრძეზე რამდენიმე საძალუფლებო სისტემა - სამეფო, საეკლესიო, საქალაქო-რესპუბლიკური, თუ სამამულო - თანაარსებობდა და ერთმანეთთან რთულ ურთიერთქმედებაში მოდიოდა. ამ პოლიტიკურ-სამართლებრივი ხლართის გაანალიზება მეთოდად *სისტემური* მიდგომის მომარჯვებას გვავალდებულებდა.

წინათქმა

(იდეოლოგიური არჩევანი)

ევროპული (და საზოგადოდ ქრისტიანული) ცივილიზაციის ისტორია ინდივიდის სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლის ნიშნით არის გამორჩეული.[55] მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა სავსებით გამოკვეთილი ხასიათი მიიღო, თავისუფლების დოქტრინამ, საბოლოოდ დაიმკვიდრა ლიბერალიზმის სახელი,[56] ხოლო მომდევნო, მეოცე საუკუნეში სხვადასხვა იდეოლოგიურ არჩევანს სახელმწიფოთაშორისო კოლიზიები და აქამდე გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა; ამ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების გამარჯვებული მეოცე საუკუნის ბოლოს გამოვლინდა - ლიბერალური დემოკრატია.[57]

მანამდე კი, მეოცე საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო თანამეგობრობას პოლიტიკური იდეალიზმის ტალღამ გადაუარა. ახალი იდეოლოგიური დოქტრინა ამერიკის შეერთებული შტატებიდან გავრცელდა: პირველი მსოფლიო ომის შედეგების შემაჯამებელ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე (1919) შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა ცნობილი "14 დებულებით" მსოფლიო პოლიტიკურ და დიპლომატიურ პრაქტიკაში მანამდე უჩვეულო ინიციატივას დაუდო დასაბამი და ამერიკული საზოგადოების იდეოლოგიური სტანდარტები და საშინაო პოლიტიკური ბანალობები საერთაშორისო პოლიტიკის ფუნდამენტურ

---

[55] "Christianity took the idea of Natural Law from Greece and Rome and turned it into the belief that all men are created equal and endowed by their creator with certain unalienable rights, among which are life, liberty, and the pursuit of happiness. The freedom that for the Greeks and Romans had been limited to the citizens of Athens or Rome now became a universal proclamation under Christianity.

[ქრისტიანობამ ბუნებითი სამართლის იდეა საბერძნეთიდან და რომიდან აიღო და იმ რწმენად გადააკეთა, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი თანასწორია და გარკვეული ხელშეუვალი უფლებამოსილებები აქვს მინიჭებული გამჩენის მიერ და მათ შორის - სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისკენ სწრაფვის. თავისუფლება, რაც ბერძნებმა და რომაელებმა ათენის ან რომის მოქალაქეებით შემოფარგლეს, ახლა, ქრისტიანების ხელში, უნივერსალურ განაცხადად გადაიქცა]." - J. Rufus Fears, "Freedom: The History of an Idea, History of Freedom" (FPRI - Foreign Policy Research Institute). https://www.fpri.org/article/2007/06/freedom-the-history-of-an-idea/ (22. 05.2018).

[56] ენდრიუ ჰეივუდი, *პოლიტიკური იდეოლოგიები* (თბილისი: ლოგოს პრესი, 2004), 28-30.

[57] იხ. Michael W. Doyle, "Liberalism and the Transition to a Post-Cold War System", *The International System After the Collapse of the East-West Order.* Edited by Armand Clesse, Richard Cooper, Yoshikazu Sakamoto (Dordrecht/Boston/London: Kluwer Academic Publishers, 1994), 85-105.

პრინციპებად გამოაცხადა.[58] მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყანა იდეოლოგიურ ბაირახტრობას ჩემობდა და ლიბერალური დემოკრატიის საფუძვლადმდებარე პრინციპებს: *პიროვნების თავისუფლების იდეას და ადამიანის უფლებების დაცვას* - როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სავალდებულო ნორმად აცხადებდა; ფართო საერთაშორისო არენაზე ამერიკის გამოსვლამ (პირველ მსოფლიო ომში ჩაბმამ) ახალ ეპოქას დაუდო დასაბამი.[59] ამიერიდან სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებიც იმავე მორალურ პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა - რასაც შიგასაზოგადოებრივი ცხოვრება; სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ძალთა ბალანსის უკვე ტრადიციად ქცეული სისტემის მიხედვით კი აღარ უნდა წარმართულიყო - არამედ კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპით; ფარული და საიდუმლო გარიგებების ნაცვლად - ღია შეთანხმებების პრაქტიკა უნდა დამკვიდრებულიყო და ა. შ...[60]

---

[58]Henry Kissinger, *Diplomacy* (New York: Touchstone Rockefeller Center, 1995), 45-47.

[59] "During the Wilson Administration, America emerged as a key player in world affairs, proclaiming principles which, while reflecting the truism of American thought, nonetheless marked a revolutionary departure for Old World diplomats. These principles held that peace depends on the spread of democracy, that states should be judged by the same ethical criteria as individuals, and that the national interest consists of adhering to a universal system of law.

To hardened veterans of a European diplomacy based on the balance of power, Wilson's views about the ultimately moral foundations of foreign policy appeared strange, even hypocritical. Yet Wilsonianism survived while history has bypassed the reservations of his contemporaries. Wilson was the originator of the vision of a universal world organization, the League of Nations, which would keep the peace through collective security rather than alliances. Though Wilson could not convince his own country of its merit, the idea lived on. It is above all to the drumbeat of Wilsonian idealism that American foreign policy has marched since his watershed presidency, and continues to march to this day.

[უილსონის მმართველობის ხანაში, ამერიკა მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოქმედ პირად გარდაიქმნა და თამაშის იმ წესების შესახებ გააკეთა განაცხადი, რომელიც ამერიკული პოლიტიკური აზროვნების ანა–ბანას კი წარმოადგენდა, მაგრამ 'ბებერი სამყაროს' დიპლომატებისთვის მაინც რევოლუციური მოსაბრუნის ფირნიშნად აღიქმებოდა. წესები გვაუწყებდნენ, რომ მშვიდობა მსოფლიოში, დემოკრატიის გავრცელებაზე ეკიდა; რომ სახელმწიფოებიც იმავე ზნეობრივი კრიტერიუმებით უნდა განსჯილიყვნენ, რომლითაც – პიროვნებები და რომ საჭირო იყო ეროვნული ინტერესები კანონთა უნივერსალურ სისტემას მორგებოდა.

ძალმოსილ სახელმწიფოთა წონასწორებაზე გამეცადინებულ ევროპული დიპლომატიის ვეტერანებს საგარეო პოლიტიკის მორალურ ბალავარზე აგების უილსონისეული ხედვები ახირებად, სულაც თვალთმაქცობად, ეჩვენებოდათ, მაგრამ უილსონიანიზმმა მაინც გაუძლო გამოცდას და გადარჩა - მისი თანამედროვეების სიტყვამიგებები კი ისტორიამ ქარს გაატანა. უილსონი იმ საყოველთაო მსოფლიო ორგანიზაციის, ერთა ლიგის, დაფუძნების მოთავედ მოგვევლინა, რომელსაც მშვიდობა კოლექტიური უსაფრთხოების წესების მეშვეობით და არა ალიანსების შეკვრით უნდა უზრუნველეყო. მართალია, ამ თაოსნობის ღირსებაში უილსონმა საკუთარი ქვეყნის დარწმუნება ვეღარ შეძლო, მაგრამ იდეა მაინც ცხოველუნარიანი გამოდგა. სწორედ უილსონიანური იდეალიზმის დაფდაფების ბრაგა–ბრუგის ხმაზე წარიმართა და გარდატეხის მომხდენი მისი პრეზიდენტობიდან მოყოლებული დღემდე წარიმართება ამერიკის საგარეო პოლიტიკა]." - Henry Kissinger, *Diplomacy,* 30.

[60] აქ ერთი შესაძლო შემოდავება უნდა გავაბათილოთ: დიდი სახელმწიფოები, იმპერიები, ყოველთვის იყენებდნენ სათანადო იდეოლოგიურ ინსტრუმენტებს თავიანთი მიზნების მისაღწევად,

ამერიკიდან შემოსული ეს ახალი იდეურ–პოლიტიკური სტანდარტები ევროპული სახელმწიფოებისთვის უცხო როდი იყო; ისინი სულაც ევროპული პოლიტიკური ისტორიის ამერიკაში მოწეულ ნაყოფს წარმოადგენდა,[61] მაგრამ, ამის მიუხედავად, ევროპის მესვეურები დიდი ხალისით მაინც არ შედგომიან პრეზიდენტ უილსონის შემოთავაზებულ ინოვაციას,[62] თუმცა, დროთა განმავლობაში, "ახალმა მსოფლიო წესრიგმა" თავისი გაიტანა: როგორც პირველ, ისე მეორე მსოფლიო ომში ამერიკელთა გამარჯვებას ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფალური გავრცელება მოჰყა:

"კაცობრიობის ისტორიაში არსებულ სხვადასხვა რეჟიმთა ტიპთაგან, მონარქიებიდან, არისტოკრატიებიდან, თუ რელიგიური თეოკრატიებიდან მოყოლებული, ჩვენი საუკუნის ფაშისტურ და კომუნისტურ დიქტატურებამდე, მეოცე საუკუნის ბოლომდე შეურყვნელად მმართველობის მხოლოდ ერთადერთმა ფორმამ, ლიბერალურმა დემოკრატიამ გაძლო,"[63]

მაგრამ ასეთი შედეგის დადგომას ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა; ამასობაში კი, გასული საუკუნის დასაწყისიდან, ევროპის აღმოსავლეთ პერიფერიაზე კაცობრიობის ბედის ბორბალი სრულიად საპირისპირო მიმართულებით აბრუნდა:

პოლიტიკური იდეალიზმი არც რუსული საზოგადოებისთვის აღმოჩნდა უცხო ხილი; სიახლე რაც ევროპის დასავლეთ სანაპიროს მოედო, მის აღმოსავლეთ

მაგრამ ეს პრაქტიკა მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ვუდრო უილსონისეული იდეალიზმისაგან. ყოველთვის არსებობს იმპერიების ოფიციალური იდეოლოგია, ათასი ჯურის მესიანისტური ნაბოდვარი და ის ამ იმპერიების ნამდვილი, მეტწილად მტაცებლური ზრახვების შესანიღბად გამოიყენება. ახალი ამერიკული იდეალიზმის შემთხვევაში კი იდეები საგარეო პოლიტიკური ჩანაფიქრების მისაღწევი *საშუალებები* კი არა - იდეალებია: ლიბერალური საზოგადოებისთვის კოლექტიური უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების, ერთა სუვერენობის და მისთანა იდეები ფუნდამენტური, სასიცოცხლო მნიშვნელობის ის საყრდენებია, რომლებზეც თვითონ ეს საზოგადოება დგას.

[61]Manly. P. Hall, *The Secret Destiny of America; Western Culture a Thousand Years Before Columbus* (USA: Penguin Group, 1980), 85-90.

[62]"When American thinking of foreighn policy and European diplomatic traditions encountered each other at the Paris Peace Conference of 1919, the differences in historical experience became dramatically evident. The European leaders sought to refurbish the existing system according to familiar methods."

[როცა 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საგარეო პოლიტიკური საკითხების ამერიკული გააზრება ევროპულ დიპლომატიურ ტრადიციას შეეჯახა, ისტორიულ გამოცდილებებს შორის არსებული სხვაობაც დრამატულად გაცხადდა. ევროპელი ლიდერები ცდილობდნენ მათთვის ჩვეული მეთოდებით გადაეხალისებინათ არსებული საერთაშორისო სისტემა]." - Kissinger, *Diplomacy,* 19.

[63] ფრენსის ფუკუიამა, *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი* (თბილისი: CIPDD, 1999), 60.

პერიფერიას – ანუ რუსეთს და შესაბამისად, საქართველოსაც – მიწვდა,[64] მაგრამ ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალები აქ ზღვარდაუდებელი, უკიდურესობამდე მიყვანილი ფორმით რეალიზდა. უკიდურესობამდე მიყვანილი ტენდენცია, ჩვეულებრივ, მის საპირისპიროში გადადის: დასავლური სოციალ-პოლიტიკური ღირებულებები, რუსეთის შემთხვევაში, სარკის ანარეკლივით შემოტრიალდა და გაუკუღმართებული სახება მიიღო: პიროვნების, მშრომელი ადამიანის, კაბალური ყოფისაგან *გათავისუფლების* პროცესი, რუსეთის შემთხვევაში, - სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ტოტალური *დამონებით* დასრულდა; კერძო პირებისთვის ჩამორთმეული და სახელმწიფოსთვის გადაცემული ქონება - სახალხო, საყოველთაო საკუთრებად გამოცხადდა; ომისთვის გამალებულ შეიარაღებას - საბჭოთა პროპაგანდა მშვიდობისთვის ბრძოლას უწოდებდა; მეზობელი სახელმწფოების და ხალხების დაპყრობებს - გათავისუფლება[65] და ა. შ...

ასეთი აბრუნდის მიუხედავად პოლიტიკური იდეალიზმი, ევრო-ამერიკულის მსგავსად, რუსული საზოგადოებრივი წყობის უაღრესად პრინციპულ კომპონენტად დარჩა, - მეტიც, რუსულმა საზოგადოებრივმა წყობამ პირწმინდად *იდეოკრატიული დიქტატურის* სახე მიიღო[66] და მის იდეურ ოპონენტს ეკვეთა: დასავლურ ლიბერალ-

---

[64] დასავლურ ცივილიზაციასთან დაპირისპირების და მტრობის მიუხედავად ზოგი მოაზროვნე რუსეთს მაინც ევროპის ნაწილად მიჩნევს: "The Enlightenment had softened the once central importance of the antagonism between Western and Eastern Christianity; consequently, the 'enlightened despotism' of Peter the Great and Catherine the Great, in the eyes of most educated men of the age, made their Empire seem a genuine part of Europe.

[ოდესღაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ანტაგონიზმი, რაც აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანობას შორის სუფევდა, განმანათლებლობამ გაანელა; ამის კვალდაკვალ, პეტრე დიდის და ეკატერინა დიდის 'განათლებული დესპოტიზმი' მათი თანადროული სწავლული ადამიანების თვალში რუსულ იმპერიას მართლაც რომ ევროპის ნაწილად წარმოაჩენდა]." - Martin Malia, *The Soviet Tragedy. A History of Socilism in Russia, 1917-1991* (New York: The Free Press, 1994), 55.

[65] "Коммунистическая пропаганда стремилась создать - и надо заметить весьма успешно - в разительном противоречии с повседневным опытом вымышленный мир, в который должны были уверовать советские люди. ... Эксперимент проводился с таким размахом и с такой изобретательностю и рвением, что подчас иллюзорный мир, им созданый, затмевал для многих советских граждан живую реальность.

[კომუნისტური პროპაგანდა ცდილობდა შეექმნა - და უნდა შევნიშნოთ, რომ წარმატებითაც - ყოველდღიურ გამოცდილებასთან ასე გასაოცრად დაპირისპირებული, მოგონილი სამყარო, რომლის ნამდვილობაც საბჭოთა ხალხს უნდა ერწმუნა. ... ექსპერიმენტი ისეთი გაქანებით, ისე გერგილიანად და თავგამოდებით ტარდებოდა, რომ მათი შექმნილი ილუზორული სამყარო, ბევრი საბჭოთა მოქალაქის თვალში ხშირად ჩრდილავდა ცოცხალ რეალობას]." - Паипс, *Россия под болшевиками,* Глава 6. Культура как пропаганда. ttps://royallib.com/read/payps_richard/russkaya_revolyutsiya_kniga_3_rossiya_pod_bolshevikami_1918__1924.html#1521174 (22. 05. 2018).

[66] "Это - идеократия, псевдоморфоза теократий, одна из трансформаций платоновской утопии.

დემოკრატიასა და რუსულ სოციალ-დემოკრატიას (კომუნიზმს) შორის იდეოლოგიური დაპირისპირება მეოცე საუკუნის პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური სისტემების შეჯიბრში გადაიზარდა, იდეურ ანტაგონიზმს ცივი და ცხელი ომებიც მოჰყვა[67]...

რაკი საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო მოქცეული, ქართული საზოგადოების გამათავისუფლებელ მისწრაფებაზე დასავლურ ლიბერალიზმთან ერთად, ბუნებრივია, რუსული რევოლუციური იდეოლოგიაც ახდენდა ძლიერ გავლენას. გასული საუკუნის დასაწყისის გლობალურმა იდეურმა დინებებმა რუსეთში სწორედ სოციალ-რევოლუციონერთა გამრავლებას შეუწყო ხელი.[68]

ცნობილი რუსი ფილოსოფოსი სემიონ ფრანკი რუსულ რევოლუციებს *ინტელიგენტურის* სახელით იხსენიებს:

რუსული კულტურის და საერთოდ რუსული ისტორიისთვის სემიონ ფრანკი კარდინალური მნიშვნელობის ფაქტად პიოტრ III-ის მიერ გამოცემულ და იმპერატრიცა ეკატერინა II-ის მიერ დადასტურებულ მანიფესტს (1762) მიიჩნევს, რომლის ძალითაც თავადაზნაურობა სახელმწიფო-სავალდებულო სამსახურისგან

[ეს - იდეოკრატიაა, თეოკრატიის ფსევდომორფოზა, პლატონის უტოპიის ერთ-ერთი სახესხვაობა]." - Николай Бердяев, *Истоки и смысль русского коммунизма* (Москва, Наука, 1990), 137.

[67] "The conflict of natons yielded to the conflict of ideologies, first among communism, fascism-nazism, and liberal democracy and then in the second half of this century between communism and liberal democracy. During the Cold War, this latter conflict became embodied in the straggle between the two superpowers neither of which was a nation state in the classical European sense and each of which defined its identity in terms of ists ideology.

[ერებს შორის კონფლიქტი იდეოლოგიების კონფლიქტმა შეცვალა, თავდაპირველად კომუნიზმს, ფაშიზმ-ნაციზმს და ლიბერალ-დემოკრატიას შორის, ხოლო მერე ამ საუკუნის მეორე ნახევარში კომუნიზმსა და ლიბერალ-დემოკრატიას შორის. ცივი ომის განმავლობაში, ეს უკანასკნელი კონფლიქტი ორ ზესახელმწიფოს შორის ბრძოლად გარდაისახა. არც ერთი მათგანი ეროვნული სახელმწიფო არ იყო კლასიკური ევროპული გაგებით; საკუთარ იდენტობას ორივე მათგანი მისი იდეოლოგიური ტერმინოლოგიით ახასიათებდა]." - Huntington, "The Clash of Civilizations?" in *The International System After the Collapse*, 8.

[68] "ებრაული ჭკუისთვის დამახასიათებელმა რევოლუციურმა მეამბოხეობამ რაღაც უცნაური, მაგრამ ღრმა გამოხმაურება ჰპოვა მისგან სხვა მხრივ ესოდენ უცხო რუსი ხალხის მეამბოხეობაში და მხოლოდ ამიტომ დაეუფლა მას. მარქსის თეორია კლასობრივი ბრძოლის და პროლეტარიატის აჯანყების შესახებ, რომელიც ძველი ევროპული სახელმწიფოს და ბურჟუაზიული საზოგადოების დამხობისკენ მოუწოდებდა, უწიგნური რუსი გლეხის რაღაც დიდი ხნის ნალოლიავებ, ფარულ ოცნებას გამოეხმაურა." - სემიონ ფრანკი, "რუსული რევოლუციის რელიგიურ-ისტორიული საზრისი", *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე* (თბილისი: CIPDD, 1994), 22.

გათავისუფლდა.[69] ამ გადაწყვეტილების შედეგად ქვეყნად აქამდე არ არსებული, *მოცლილი ადამიანების კასტა* წარმოიქმნა, რომლის ერთმა ნაწილმა ხელი ლიტერატურულ და ინტელექტუალურ საქმიანობას მიჰყო. მათი ეს არჩევანი პოლიტიკურადაც იყო მოტივირებული: დესპოტურ რუსულ სახელმწიფოში პოლიტიკური ოპოზიციონერობის რაიმე სხვა საშუალება, თუ არა ირიბი (ლიტერატურა, თეატრი) არ არსებობდა.[70] სწორედ ამ უზრუნველი სოციალური კასტიდან ჩამოყალიბდა რუსული "ინტელიგენცია", ანუ პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეალების მსახურთა დასი, რომელმაც სამომავლო რუსულ კატასტროფას შეუმზადა საფუძველი: "ინტელიგენციამ" რუსეთში პოლიტიკურ პარტიათა ამოცანებიც დასახა და ამ პარტიათა რიგებიც თვითონ შეავსო; სემიონ ფრანკი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ დასავლურისაგან განსხვავებით, რუსული პოლიტიკური პარტიები არა ამა თუ იმ კლასის *ინტერესებისათვის*, არამედ სოციალური და პოლიტიკური *იდეალებისათვის* იბრძოდნენ (სამწუხაროდ, ნიჰილისტური, გაუკუღმართებული იდეალებისათვის),[71] რის გამოც ეს მოძრაობა, როგორც აღვნიშნეთ, *იდეოკრატიული დიქტატურის* დამყარებით დასრულდა.

იდეალიზმი, ერთი შეხედვით, ნიჰილიზმთან შეუთავსებელი უნდა იყოს, მაგრამ მთლად ასეც არ არის: ნიჰილიზმსაც აქვს თავისი იდეალები, უფრო სწორად, ნიჰილიზმის იდეალები, საბოლოო ჯამში, ერთ მთავარ მნიშვნელზე - ყველაფრის, მათ შორის ისტორიის და, ასე განსაჯეთ, საკუთარი თავის უარყოფის იდეალზე

---

[69] ამავე მოსაზრებას იზიარებს, სხვათა შორის, რიჩარდ პაიფსიც: "The firs measure to sound the death knell of the patrimonial regime was a 1762 manifesto issued by Peter III which exempted Russian dvoriane in perpetuity from obligatory state service.

[პირველი ღონისძიება, რისი გამოძახილიც პატრიომონიალური რეჟიმის სულთათანად გაისმა, პიოტრ III-ს 1762 წლის მანიფესტი გამოდგა, რამაც რუსული თავადაზნაურობა სავალდებულო სახელმწიფო სამსახურისგან გაათავისუფლა]." - Pipes, *Property and Freedom*, 190.

[70] ს. ფრანკს ეთანხმება ნიკოლაი ბერდიაევიც: "Невозможность политической деятельности привела к тому, что политика была перенесена в мысль и литературу. Литературные критики были властителями дум социальных и политических.

[პოლიტიკური საქმიანობის შეუძლებლობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ პოლიტიკა აზრის სივრცეში, ლიტერატურაში იქნა გადატანილი. ლიტერატურული კრიტიკოსები სოციალური და პოლიტიკური აზრის ბატონ-პატრონებად გვევლინებოდნენ]." - Н. Бердяев, *Истоки и смысль русского комунизма*, 18).

[71] "რუსი ინტელიგენციის ყველა დანარჩენი ნიშან-თვისება შეიძლება სრული სიცხადით იქნას გამოყვანილი *ნიჰილიზმისაგან*" - ს. ფრანკი, "ნიჰილიზმის ეთიკა", *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე* (თბილისი: CIPDD, 1994), 41.

"რუსი ინტელიგენციის სულიერი ფიზიონომიის ძირეული და უღრმესი თვისებაა *ნიჰილისტური მორალიზმი*" - ibid., 44.

დაიყვანება[72] სწორედ ამ მისი ნიჰილისტური შინაარსის გამო მოხდა, რომ მთელმა რუსულმა ინტელიგენციამ დიალექტიკურად უარყო თავისი თავი, როცა დესპოტური სახელმწიფოს ოპოზიციონერობით დაიწყო და აბსოლუტური დესპოტია კი დაამყარა;[73] თვითუარყოფის აპოთეოზიც 1937 წელს განხორციელებული ინტელიგენციის ფიზიკური განადგურება გახდა:

"ვერც სტალინი გაართმევდა თავს დიდ ტერორს თუ მთელი სისტემა არ დაუჭერდა მხარს. გავიმეორებთ, ამ საქმის მთავარი სულის ჩამდგმელი, რასაკვირველია, თვითონვე გახლდათ და, ამიტომ, დიდია ცდუნება, რომ მთელი ეს ისტორია მას დაბრალდეს, მაგრამ ისევ ვიმეორებთ, საქმე ფართო პროცესს ეხებოდა და პირველწყარო სისტემიდანვე მოედინებოდა."[74]

ნიჰილიზმი რუსეთის იმპერიის წიაღში თავშერგული ქართული თავადაზნაურული ელიტისთვისაც არ იყო უცხო ხილი, ოღონდ ეს მხოლოდ რუსეთის გავლენას არ უნდა მივაწეროთ; ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოების კვდომის წინა დღეს (XVIII საუკუნეს ვგულისხმობთ), ქართული თავადაზნაურული ელიტის (რომლისგანაც მერე რუსულის მსგავსად ინტელიგენცია ამოიზრდება), ქმედითი იდეალი ნიჰილისტური თვითუარყოფა გახლდათ: ეს თვითუარყოფა იმპერიული რუსეთისადმი ქართული სამეფო და სათავადო სახლების ლოიალურ განწყობაში გამოვლინდა.[75] საამდროვოდ ჯერ კიდევ ცოცხლობდა საქართველოს,

---

[72] "Нигилизм есть негатив русской апокалиптичности. Он есть востание против неправды истории... требование, чтобы история кончилась и началос совершенно новая вне-историческая или сверх-историческая жизнь.

[ნიჰილიზმი რუსული აპოკალიპტურობის აბრუნდია. ის ისტორიის უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხია... იმის მოთხოვნაა, რომ ისტორია დასრულდეს და სრულიად ახალი, ისტორიისგარე ანდა ზეისტორიული ცხოვრება დაიწყოს]." - Бердяев, *Истоки и смысль русского комунизма*, 38.

[73] "Большевистскую Россию в расцвете сталинизма можно считать окончательно сформировавшимся тоталитарным государством.

[ბოლშევიკური რუსეთი სტალინიზმის აყვავების ხანაში შეძლება საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ტოტალურ სახელმწიფოდ მივიჩნიოთ]." - Паипс, *Россия под болшевиками,* Глава 5. *Коммунизм, фышизм и национал-социализм. Партия и обшество.* https://royallib.com/read/payps_richard/russkaya_revolyutsiya_kniga_3_rossiya_pod_bolshevikami_1918__1924.html#1521174. (22.05.2018).

[74] "Nor could Stalin have gotten away with the Great Terror without the support of a total system. Once again, of course, he was the prime mover, and so the temptation is great to make him the whole story. Yet once again a broader process was at work, and its wellspring was in the system itself." - Malia, *The Soviet Tragedy*, 243).

[75] ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მე-12-ს "სათხოვარი პუნქტების" შესახებ იხ. დიმიტრი შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ* (თბილისი: მერიდიანი 2014), 79.

როგორც "ქრისტიანული ევროპის წინაბურჯის"[76] რუდიმენტული იდეა, რომლის რეალიზაციის თავი ქართულ საზოგადოებას უკვე აღარ ჰქონდა და ძველი ფუნქციის აღდგენას რუსეთთან დაახლოებით და რუსეთის პატრონაჟით ცდილობდა. მაგრამ ეს გარჯა კონტრპროდუქტიული გამოდგა. რუსეთის მფარველი ხელის მეძიებელმა ქართულმა ელიტამ, სინამდვილეში, თავი ცარისტული სახრჩობელას ყულფში გაჰყო და სწორედაც რომ თვითუარყოფის ნიჰილისტური "იდეალის" რეალიზება მოახდინა:

ქართული ქვეყნების ერთი-მეორის მიყოლებით ინკორპორირების კვალობაზე რუსეთმა ქართველი თავადაზნაურობის (ანუ წინარეინტელიგენციის) ძველი სოციალ-ეკონომიური საფუძველი (მემამულეობა და სათავადო) თანდათან და მეთოდურად დაარღვია და "პომეშჩიკობით" ჩაანაცვლა,[77] - ქართული თავადაზნაურობა რუსულს გაუიგივდა კლასობრივად და სოციალურად. მისგან გამოჩეკილი ქართული ინტელიგენციაც - მისი მომეტებული ნაწილი - რუსული ინტელიგენციის გზას გაუყვა.

მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, ნიჰილისტურ განწყობებთან ერთად ლიბერალურმა იდეებმაც მოიკიდა ფეხი. ლიბერალური იდეოლოგიის ძირითად მამკვიდრებლებად "თერგდალეულები" მოგვევლინენ.[78] სწორედ მათ, ილია ჭავჭავაძემ და მისმა "მოკიდებულმა კაცებმა", დაძრეს ქართული საზოგადოება

"ქართველი ხალხისა და ქვეყნის მეფედ ჩაითვალა რუსეთის იმპერიის ხელმწიფე. თავად ეს ფაქტი ქართველმა საზოგადოებამ უდრტვინველად და პროტესტის გარეშე მიიღო." - დიმიტრი შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ* (თბილისი: მერიდიანი 2014), 91.

[76]ანსელიუსის, ქრისტეს საფლავის კანტორის, წერილში გალონ ეპისკოპოსისადმი, ვკითხულობთ: "ის დავით, რომელს, მისი წინაპრებივით, კასპიის კარი - გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს - ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ (იგულისხმება მიდია, რედ.) და სპარსთა წინაარმდეგ ჩვენი ასე ვთქვათ, წინა ბურჯია." - ზურაბ ავალიშვილი, *ჯაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი* (თბილისი: საბჭ. საქ., 1989), 17-18.

[77] ქართული სახელმწიფოს ნარჩენების განადგურების მიზნით, იმპერიის მესვეურებმა ქართველი მეფე-მთავრები და ბატონიშვილები ძირითადად რუსეთში გადაასახლეს; სამეფო აზნაურები ტახტის აზნაურებად გამოაცხადეს, მათსავე რიგებში გადარიცხეს საეკლესიო აზნაურებიც, ხოლო სათავადო აზნაურები თავადებისადმი დაქვემდებარებიდან გაათავისუფლეს (რითაც ქართველ თავადებს ორგანიზაციული ბერკეტი გამოაცალეს ხელიდან) და იმპერიის სამსახურში ჩააყენეს. "მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა ... დაასრულა ამ წოდების ჩამოყალიბების და იმპერიის ერთგულ მსახურებად ქცევის პროცესი. 1827 იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით ქართველი თავადაზნაურობა იურიდიულად გაუთანაბრდა რუსეთისას." - ბონდო კუპატაძე, "საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა XIX სუკუნეში", *საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 27.

[78] "ქართულ ისტორიოგრაფიაში მათ 'სამოციანელებს', ასევე 'თერგდალეულებს' უწოდებენ" - ვახტანგ გურული, "ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში", *საქართევლოს ისტორია - XIX საუკუნე* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 131.

ნიჰილიზმის ჭაობიდან და მას პიროვნების თავისუფლების და ეროვნული სუვერენიტეტის იდეა შეაწყნარეს.[79] მათი გარჯა ეროვნული თავისუფლების მოპოვების ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენით დაგვირგვინდა, მაგრამ ლიბერალების აგორებული გამათავისუფლებელი ტალღა რევოლუციურმა (ანუ, რუსეთის და, შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაში - ნიჰილისტურმა) მდინარემ აამღვრია. ნიჰილიზმი და თავისუფლება (სულ ერთია პიროვნული თუ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი) შეუთავსებელი ცნებებია - საქართველო ისევ გაუჩინარდა პოლიტიკური რუკიდან და სწორედ იმ სოციალ-რევოლუციონერების მოღვაწეობის შედეგად, რომლებმაც მოკლეს ილია.[80]

და როცა თიხისფეხებიანი საბჭოთა კოლოსის დამხობა-ჩამოშლის მომენტში ტოტალიტარიზმის ჯოჯოხეთგამოვლილმა ქართულმა საზოგადოებამ ერთხელაც აღადგინა ქვეყნის დამოუკიდებლობა, აღმოჩნდა, რომ ლიბერალური და გამათავისუფლებელი იდეოლოგიის არსენალიდან მას მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის იდეაღა შემორჩენოდა, სხვა დანარჩენი - ქართული საზოგადოებისთვის "ჩინური" გამხდარიყო და არა მხოლოდ უბრალო ხალხისთვის, არამედ თვით "ინტელიგენციისათვისაც", რომელსაც მერე თანდათან ახალი ინტელექტუალური ელიტა გამოეყო; ქვეყნად გაჩნდა ახალი ელიტა, როგორც პოლიტიკოსთა შორის, ისე იმ სამოქალაქო ორგანიზაციების შიგნით, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის უჯრედისების სახით, ეგრეთ წოდებულმა, "პოტომაკდალეულებმა" ჩამოაყალიბეს.[81] სწორედ მათ შემოაბრუნეს ქვეყანა

---

[79] იხ. ომარ გოგიაშვილი, *ილია დღეს* (თბილისი: 2008), 59-81.

[80] "საყოველთაოდ არის ცნობილი, თუ როგორი ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა იგი [ლაპარაკი ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერზე, ნოე ჟორდანიაზეა. ა.ჯ.] ილიას მკვლელობის ამბავს, როცა შენიშნა: როცა ხეებს ჭრიან, ნაფოტები სცვივაო და ფილოსოფიურად (უფრო სწორად დემაგოგიურად) დასძინა: ხომ ცნობილია, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ უდიდესი ქიმიკოსის ლაუაზიეს სიცოცხლე შეიწირა და განა ამ ფაქტის გამო ამ რევოლუციის მნიშვნელობა უნდა უარვყოთო?!" - გურამ ყორანაშვილი, *ილიას ფენომენი,* (თბილისი: უნივერსალი, 2007), 493.

[81] "საქართველოში ჩამოყალიბდა არსებითი წყვეტი, დაპირისპირება ძველსა და ახალ ინტელიგენციას შორის, ან სხვა სიტყვებით, ძველ ინტელიგენციას და ახალ ინტელექტუალებს შორის" - გია ნოდია, "ძველი ინტელიგენცია და ახალი ინტელექტულები საქართველოში: პარადიგმის ცვლა?" *საზოგადოება და პოლიტიკა,* N 4 (თბილისი: CIPDD, 2002), 9.

" აქ, ბუნებრივია, ერთგვარი პარალელი გავავლოთ მე-19 საუკუნის ცნობილ ბრძოლასთან 'შვილებსა' ('თერგდალეულებსა') და 'მამებს' შორის. ამ ანალოგიით დღევანდელ 'ახლებს' შეიძლება 'პოტომაკდალეულები' ვუწოდოთ (ვაშინგტონში ჩამომავალი მდინარის სახელით): იმისდა მიუხედავად, კონკრეტულად რომელი მდინარის თუ ოკეანის ნაპირზე დაემართა მოცემულ ახალ ინტელექტუალს ეპისტემოლოგიური წყვეტი, ძირითადი ინტელექტუალური და პოლიტიკური

დასავლური ცივილიზაციის მიმართულებით და სწორედ ისინი გახდნენ რუსული ორბიტიდან დასავლური ორბიტის მიმართულებით საქართველოს გადაქანების მომასწავებელი "ვარდების რევოლუციის" შემოქმედები.

" 'ვარდების რევოლუცია' და მის შედეგად მოსული მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება განსაკუთრებით მჭიდროდ დაუკავშირეს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას, რომლისთვისაც დემოკრატიის გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში საგარეო-პოლიტიკური კურსის ქვაკუთხედად იქცა. თბილისში სტუმრობისას ჯორჯ ბუშმა საქართველო 'დემოკარტიის შუქურად' გამოაცხადა."[82]

მაგრამ საქართველო ჯერაც არ არის დასავლურ ორბიტაში მტკიცედ მოქცეული ქვეყანა; მთავარი პოლიტიკური კოლიზია აქ სწორედ ლიბერალ-დემოკრატიულ და რუსულ-საბჭოთა მემკვიდრეობას შორის თამაშდება და, ამ აზრით, საქართველო ტიპური "გახლეჩილი" ქვეყანაა.[83]

გაემიჯნება თუ არა საბოლოოდ ქართული საზოგადოება რუსულ-საბჭოთა მემკვიდრეობას? გახდება თუ ვერა ლიბერალური მიმართულება (ილიას გაკვალული გზა) მისი გზასავალი? რა ისტორიული ტრადიცია არსებობს საამისოდ ქართულ სინამდვილეში - ამის რკვევას წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება.

ქართული საზოგადოების ევროპულ იდენტობას - რაც 1999 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ ამ სიტყვებით გამოხატა: ვარ ქართეველი, მაშასადამე - ვარ ევროპელი![84] - სინამდვილეში, დასაბუთება სჭირდება, რადგან ქართულ ისტორიაში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც

გავლენების წყარო მათთვის ამერიკის შეერთებული შტატებია, ისევე როგორც თერგდალეულებისათვის რუსეთის უნივერსიტეტები იყო." - ibid., 11.

[82] ნოდია, "დემოკრატიზაცია და გარე ფაქტორები", 14.

[83] გახლეჩილი ქვეყნის იდეას სამუელ ჰანტინგთონს დავესესხეთ: "Some other countries have a fair degree of cultural homogeneity but are divided over whether their society belongs to one civilization or another. These are torn countries. They are typically countries whose leaders wish to pursue a bandwagoning strategy and to make their countries members of the West but whose history, culture, and traditions are non-Western. The most obvious and prototypical torn country is Turkey.

[ზოგ სხვა ქვეყანას მკაფიოდ გამოკვეთილი კულტურული ჰომოგენურობა კი გააჩნია, მაგრამ დანარჩენებისაგან იმის მიხედვით განირჩევა, რომელ ერთ ცივილიზაციას განაკუთვნებს თავს მისი საზოგადოება. ეს ქვეყნები გახლეჩილები არიან. ამდაგვარი ქვეყნების ხელმძღვანელობას საერთო ფერხულის სტრატეგიისადმი ფეხის შეწყობა და მისი ქვეყნის დასავლური ცივილიზაციის წევრად ჩარიცხვა სწადია, თუმცა მათი ისტორია, კულტურა და ტრადიციები არადასავლურია. ყველაზე თვალშისაცემი და პროტოტიპული გახლეჩილი ქვეყანა თურქეთია]." - Huntington, *The Clash of Civilizations?* The International System After the Collapse, 20.

[84] ზურაბ ჟვანია, "საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვა წარმოთქმული ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე", *"საქართველოს რესპუბლიკა",* N 23 (3064), 28 იანვარი, 1999.

დიამეტრალურად საპირისირო დასკვნის გასაკეთებლადაც გამოდგებოდა. სწორედ ეს ორმაგობა იყო მიზეზი, რომ თანამედროვე ქართულმა საზოგადოებამ ლიბერალურ-დემოკრატიული ცივილიზაციის მიმღებლობაც გამოიჩინა და რუსულ ნიჰილისტურ კომუნიზმსაც უხადა კუთვნილი ხარკი. ნაშრომში ჩვენი მცდელობა ქართული სულიერების ამ იდეოლოგიური მეტასტაზების ისტორიული მიზეზების გამომზეურებისკენ არის მიმართული.

კვლევა ორ ნაწილად არის ჩაფიქრებული: 1. ლიბერალიზმის წინაპირობები ქართულ ისტორიაში (სადისერტაციაო ნაშრომი) და 2. ლიბერალ-კონსერვატორული კონსენსუსი, როგორც ახალი ქართველი ერის "დამფუძნებლი მამის", ილიას მემკვიდრეობა.

თავი I

თავის თავადი თუ თავაშვებული

პიროვნების გათავისუფლების პროცესი, რაც თანასწორუფლებიანი მეთემეების წიაღიდან ელიტის გამოცალკევების და იერარქიული ანაგისის წარმოშობის კვალობაზე წარიმართა, ქართული ისტორიის ბატონყმურ პერიოდში - კატასტროფული თვითუარყოფით დასრულდა: პიროვნული თავისუფლების და აღიარებისთვის ბრძოლის აზარტში შესულმა ზედაფენამ ის ტოტი მოჭრა, რომელზეც იჯდა: "წვრილ ერად" გადანათლული ყოფილი თანამოძმის დამონებით, თავადაზნაურული ელიტის უფლებამოსილება ზნეობრივი შემადგენლისგან დაიცალა და თავაშვებულობად იქცა.

დიდი თავისუფლება და "წვრილი ერი"

გვაროვნული წყობიდან მოკიდებული ქართულმა საზოგადოებამ განვითარების გრძელი გზა განვლო და ბატონყმობის ხანის დადგომამდე (XIII -XIV სკ.)[85] უკვე რამდენიმე ფორმაცია მოიცვალა: ანტიკური მონათმფლობელობა - გნებავთ, "დიდი ნათესავის," იგივე "მეფეთა ნათესავის," ზეობა[86] (უძველესი ხანიდან ვიდრე V საუკუნემდე);[87] მამფალ-შვილობის, გნებავთ, ერისმთავრების ხანა (V- IX საუკუნეები);[88] და ბოლოს - პატრონყმობა (IX - XII).[89]

ერისმთავრობის წინარე, "დიდი ნათესავის" ხანაში ერთადერთ *უუფლებო* კლასს ანტიკურობიდან ჯერაც შემორჩენილი მონა-მსახურები, იგივე სამხედრო ტყვეები, შეადგენდნენ. ყველა დანარჩენი სხვადასხვა დოზით, მაგრამ მაინც

---

[85] ნიკო ბერძენიშვილი, "საქართველოს ისტორია XIII-XIV სს." , დაბეჭდილია გ. ნიორაძის წიგნში, *ძველი ქვის ხანა კავკასიაში* (თბილისი: 1937), 285.

[86] გურამ მამულია, *პატრონყმობა,* (თბილისი: მეცნიერება, 1987), 127-128.

[87] იხ. გიორგი მელიქიშვილი, "ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები. § 5. მონები," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. 1 (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970), 609-620.

[88] სიმონ ჯანაშია, "ფეოდალური რევოლუცია საქართველოში." *შრომები, ტ. I* (თბილისი: მეცნიერება, 1949), 15.

[89] "მსახურეულმა აზნაურებმა და არაკეთილშობილმა, თავისუფალი წარმოშობის მსახურებმა X საუკუნის II ნახევარში გაერთიანებული საქართველოს სამეფო შექმნეს, რომლის სახელმწიფო წყობილება არა მამფალ-შვილობას, არამედ პატრონყმობას ეფუძნებოდა." - მამულია, *პატრონყმობა,* 179.

თავისუფალი იყო.[90] საზოგადოებრივი პირამიდის ქვედა, უფართოეს ნაწილს, ანუ გვაროვნულ-პატრიარქალური თემის ("ნათესავის") სახეცვლილ შთამომავლობას, ჯერაც არ დაეკარგა თავისუფლება. გვაროვნულ, უკლასო ხანაში სიცოცხლის და ნაყოფიერების ხის გარშემო დასახლებული "ნათესავი" "მკვიდრებისგან" (იგივე "შვილებისგან") შედგებოდა.[91] მკვიდრობა იმის მომასწავებელი იყო, რომ ამ სტატუსის ადამიანები ერთმანეთის თანასწორები ("ძმები") იყვნენ;[92] მათი თავისუფლებაც ამით იყო განსაზღვრული: "ნათესავის" "შვილები" პიროვნულად არავის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ და ხარკსაც არავის უხდიდნენ.[93] მიწაზე და ქონებაზე კერძო საკუთრების გაჩენამ კი, "ნათესავის" თავისუფლება აახარისხა: კერძო მიწისმფლობელობის განვითარებამ თემი დასახსრა და დაშალა და ძველი წელთღრიცხვის XII საუკუნიდან თავისუფლების გადიფერენცირების პროცესიც დაიძრა:[94]

ზოგმა მეთემემ, ვინც მოახერხა და მონა-მსახურები გაიჩინა, მიწაზე შრომას თავი ანება, ხარკის მიმთვისებელ, პროფესიონალ მმართველ-მეომრად ჩამოყალიბდა და "სახლში" (თემის დედაციხე და იმავდროულად მთავარი სალოცავიც რომ იყო) ჩაჯდა,[95] ხოლო მათგან უფროსი, "მამა-სახლისი", მოგვიანებით, "მეფის" იგივე "მეუფის", ანუ "უფლის" სტატუსითაც აღიჭურვა.[96] მერე ეს მეფე-უფალი თუ მეფე-მთავარი "მამამძუძეობა–სეფეწულობის" გზით სხვა მეფე-მთავრის ნათესავს იშვილებს (ან ეშვილება), "დიდ ნათესავს", იგივე "მეფეთა ნათესავს", ანუ "სეფეს" შექმნის[97] და დიდ "სასახლეში" გააერთიანებს.[98] ასეთი მეფე-მთავრების თავისუფლებაც *დიდ თავისუფლებად,* ანუ შემდგომი ტერმინებით - *აზნაურულ*

---

[90] მელიქიშვილი, *ibid.,* 597-609.

[91] მამულია, *პატრონყმობა,* 31-36.

[92] " 'მონობა'- ვასალურ დამოკიდებულებას გამოხატავდა 'ძმობა' კი - თნასწორობას" - ibid., 7.

[93] "ხარკი ნათესავზე იყო შეწერილი და არა ნათესავში შემავალ ცალკეულ კომლზე" - ibid., 106.

[94] მამულია, *პატრონყმობა,* 105.

[95] ibid., 83.

[96] "უფალი", პირველდაწყებითი მნიშვნელობით, მფლობელს, მესაკუთრეს და შესაბამისად განმკარგულებელ-მბრძანებელს აღნიშნავდა. მის ხელქვეითს თავდაპირველად მონა ერქვა, უფალ-მონობა მერე პატრონ-ყმობამ შეცვალა. იხ. ნოდარ შოშიაშვილი, "უფალი", *ქსე* ტ. 10. 1986.

[97] მამულია, *პატრონყმობა,* 91

[98] ibid., 89-92.

"სეფე" ნიშნავს სამეფოს, სამეუფეოს, მეფის/მეუფის კუთვნილს. - ibid., 80-82.

სეფეში შემავალ სამეფო საგვარეულოს წევრებს და სხვა ნათესავს: ერისთავებს, მთავრებს, მამასახლისებს, პიტიახშებს, აზნაურებს, წარჩინებულებს - ერთობლიობაში მეფეთა ნათესავი მოიცავდა, სეფეწულის სახელწოდებით. იხ. ვალერიან მეტრეველი, *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია* (თბილისი: მერიდიანი, 2003), 65.

თავისუფლებად იქცევა.[99] პატრიარქალური გვარების თავისუფლება კი, შესაბამისად, დაიმცრობა: თემის წევრები დაიხარკებიან და სოციალურ ვერტიკალზე აღზევებული ზედაფენის მიერ *"წვრილი ერის"* სახელით მოინათლებიან.[100] საამდროვოდ, ხარკს მთელი თემი და არა ცალკე კომლი იხდიდა და სწორედ ამ ფაქტის ძალით, თემის წევრები, პიროვნული დამოკიდებულების თვალსაზრისით, *თავისუფლები დარჩებიან*[101] (დავძენთ, რომ ამ პერიოდისთვის პიროვნების თავისუფლებას მისი ამა თუ იმ ნათესავისადმი კუთვნილება უზრუნველყოფდა, შემდეგში კი ვითარება შეიცვლება და პიროვნების სოციალური თავისუფლების თავდები მიწისმფლობელობა, საბოლოოდ - "მემამულეობა", გახდება და არა ნათესავისადმი კუთვნილება).[102]

თავისუფალ მიწისმოქმედთა დაპყრობა-დაკაბალების შემდგომ საფეხურზე ისედაც თავისუფლებადამცრობილი მეთემე, ახლა უკვე კომლებრივად დაიბეგრა, რაც მის სტატუსშიც აისახა: თუ ადრე ის "მდაბურად"[103], ან უბრალოდ, "ქვეყნის მოქმედად" იწოდებოდა, ახლა (საზეპურო ერის ზეობიდან, ანუ "მამფალ-შვილობიდან", პატრონყმობაზე გადასვლის (რაც დაახლოებით VIII-IX საუკუნეებს მოიცავს)[104] მერე - ის გაგლეხდა.[105] ტერმინი "გლეხი" გლახადან არის წარმომდგარი,[106]

---

[99] "ფიზიკური შრომისაგან გათავისუფლებული და ხარკის მიმთვისებელი, სასახლეში მსხდომი და პროფესიულ მმართველ-მეომრად ჩამოყალიბებული მეფის 'ნათესავნი' ... მამამძუძეობა-სეფეწულობის საშუალებით 'დიდ ნათესავში' 'დიდ სახლში' ერთიანდებოდნენ. ეს მათ თავისუფლებას დიდ თვისუფლებად და 'აზნაურულ თვისუფლებად' აქცევდა." - მამულია, *პატრონყმობა,* 105.

[100] "არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი." - ჯუანშერი, "ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა", *ძველი ქართლის ცხოვრება* (თბილისი: ნიკე, 1996), 136.

"საზოგადოებრივად 'წვრილი ერი' მოკლებულია 'წარჩინებულთა' თანასწორ პატივს. თვით სახელწოდება 'წვრილი' ... აშკარად კნინობითის სახელს ატარებს." - ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე* (თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949), 272.

[101] "სოფლის თემი თავის ვალდებულებებს უფლის წინაშე კოლექტიურად იხდიდა. ამის გამო, მეთემეებს თავისუფლება თუმც დამცრობოდათ, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ მთლიანად დაკარგული არ ჰქონდათ." - მამულია, *პატრონყმობა,* 140.

[102] გრიგოლ ხანძთელის ხანაში (VIII –IX სკ) "წინანდელი თავისუფალი 'ერი' ახლა უკვე სხვაზეა დამოკიდებული, სხვას ჰყავს მითვისებული." - ანრი ბოგვერაძე,"სოციალ-ეკონომიკური ვითარევა VI-VIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში", *საქ. ისტ. ნარკვევები ტ. 2* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 319.

[103] "მდაბიო, მდაბური... დაბის მკვიდრი... ადრინდელ ფეოდალურ ხანაში მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმებელი იყო... მისი უმთავრესი მოვალეობა იყო აგრეთვე ლაშქრობა. ... მისი ადგილი გლეხმა დაიჭირა." - ანრი ბოგვერაძე, "მდაბიო". *ქსე* ტ. 6. (თბილისი: 1983).

[104] მამულია, *პატრონყმობა*, გვ. 26-28.

[105] გლეხი ანტიკურ ხანაშიც არსებობდა და მეფეთა ნათესავის, სეფეს წევრების უუფლებო მსახურებს ეწოდებოდა. "ამ მდაბიო ხალხს მაშინ 'გლეხებს' ეძახდნენ. 'გლეხები მაშინ მხოლოდ სეფე-სახლს ჰყავდა. ამიტომ ისინი 'მესეფე გლეხებად' იწოდებოდნენ." - ჯანაშია, "საზოგადოებრივი წყობილება საქართველოში პირველი საუკუნის დამდეგს, ძვ. წ.", *ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი* და

რაც ამ სტატუსის მატარებლის ეკონომიკურ შეჭირვებაზე მიუთითებს. მდაბიორის გაგლეხება იმის მომასწავებელი იყო, რომ მიწა (აგრარული ცივილიზაციის უმთავრესი კაპიტალი), რომელსაც იგი ამუშავებდა და საიდანაც საზრდოობდა, სხვას (უფალს/პატრონს) მიეთვისებინა და ყოფილი მეთემე მას გარკვეული სახელშეკრულებო პირობითღა მოიხმარდა.[107] ამ გარიგებაში მეთემეს პირადი თავისუფლება - რაც მას პატრიარქალური ხანიდან მოსდგამდა - კვლავაც შერჩენილი ჰქონდა, პატრონყმული პერიოდიდან კი (IX-XII სკ) გლეხს და მდაბურს თანდათან უკვე ყმის სტატუსიც მიესადაგა. *გლეხის დაყმევება პატრონისადმი მისი პიროვნული კუთვნილების, ანუ პატრონის კუთვნილ მიწაზე გლეხის მიბმის და შესაბამისად მისი თავისუფლების მინიმიზაციის საწინდარი გახდა.* ამის მერე, ბატონყმობაში (XIII საუკუნიდან ვიდრე 1860-იან წლებამდე)[108] ყმა გლეხი ბატონს ეკუთვნის და სადმე წასვლის, ან ბატონის ნებისმიერად არჩევის უფლება, ფაქტიურად, აღარ აქვს.[109] მეტიც, ვახტანგ VI–ის სამართლის მიხედვით "ყმისა ყველა ბატონისა არის,"[110] რაც იმას ნიშნავს, რომ გლეხს პირად საკუთრებაში წარმოების საშუალებები აღარ შერჩა (ყოველ შემთხვევაში - ფორმალურად). ყოველმხრივ უფლებაშეკვეცილ გლეხებს უკვე საკომლო ნაკვეთთან ერთად ყიდდნენ. ზოგჯერ კი ოჯახის წევრებს სხვადასხვა პირებზე ცალ-ცალკე ასხვისებდნენ, ყიდდნენ მონასავით, ყიდდნენ უცხოეთში

ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე (თბილისი: საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1943), 85.

[106] ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე,* 265.

[107] "გლეხი ის არის, ვინც მებეგრეა. გლეხები არ არიან ქვეყნის მკვიდრები" - მამულია, *პატრონყმობა*, 36.

[108] 1864 წელს ბატონყმობა გადავარდა, მაგრამ ეს რუსეთის იმპერიის გუბერნიად ქცეულ ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოში. მანამდე კი, ყმობისგან გლეხთა გათავისუფლებას ერეკლე II (1744 - 1798) ცდილობდა, ოღონდ რაკი მის მცდელობებს სპონტანური ხასიათი ჰქონდა და სოციალური ფორმაციის ძირეული ცვლილების კონტექსტში არ ტარდებოდა - გადამწყვეტი შედეგებიც ვერ მოჰქონდა, - გათავისუფლებული გლეხები ხშირად ისევ მებატონეებს ეყმებოდნენ ხოლმე. "XVI –XVII საუკუნეებში თავდახსნილ–გაზატებულ გლეხთა დიდი ნაწილი... ვერ ახერხებდა პირადი თავისუფლების შენარჩუნებას და ისევ ... ყმათა რიგში ექცეოდა. თავისუფლების დაკარგვის ფაქტები XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც მრავლად იყო, მაგრამ ამ დროს შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა." - მამია დუმბაძე, "თავისუფალ მოლაშქრეთა ფენის წარმოქმნა", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი IV* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 556.

[109] "XVI-XVII საუკუნეებში გლეხობა ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი კლასია. მას დიდ ხანია დაკარგული აქვს ეკონომიკური პირადი დამოუკიდებლობა, სამუდამოდ მიმაგრებულია მებატონის მიწაზე, საიდანაც ბატონის ნებართვის გარეშე წასვლა არ შეუძლია." - გივი ჯამბურია, "სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს.", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 3* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 188.

[110] *სამართალი ვახტანგ მეექვსისა,* ტექსტი დაადგინა გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ისიდორე დოლიძემ, მუხლი 258 (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1981), 261.

(ირანში, ოსმალეთში, თუ დაღესტანში...).[111] ფორმალურად მებატონეს გლეხის მხოლოდ მოკვლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ცენტრალური (სამეფო) ხელისუფლება და მისი სამართალი, რომელსაც შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ჰქონდა შერჩენილი ბატონსა და ყმას შორის არბიტრის ფუნქცია, იმდენად სუსტი იყო, რომ, ხშირ შემთხვევაში, მთელი სასამართლო და უსამართლო ძალაუფლება მებატონეს რჩებოდა ხოლმე,[112] - ძალმომრეობა საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა. უფლებააყრილ, დამონებულ, მწარმოებელ მოსახლეობას შრომის და ბრძოლის სტიმული ეკარგებოდა[113] და არც თუ იშვიათად პროტესტის საოცარ ფორმას მიმართავდა: "ქართველობისთვის" ხმალამოღებული ქვეყნის მთავარი მარჩენალი ნებაყოფლობით "თათრდებოდა", ანუ მეზობელ ისლამურ ქვეყნებში გარბოდა და მკვიდრდებოდა[114] (ცხადია, ეს "სათათრეთში" მიგრაცია, იქ "ქართველობაზე" უკეთესი სოციო-ეკონომიკური პირობების არსებობის გამო ხდებოდა).[115]

---

[111] "ქართველი გლეხისთვის დიდი სოციალური უბედურება იყო 'ტყვის სყიდვა', ... დასავლეთ საქართველოში მან კატასტროფული ხასიათი მიიღო. ... მრავალი ნივთი მხოლოდ ტყვეებზე იცვლებოდა... ტყვეებით ვაჭრობას ეწეოდნენ არა მარტ საერო ფეოდალები, არამედ ეკლესიის მსახურნიც - ეპისკოპოსი, წინამძღვარი და ... ზოგიერთი კათალიკოსიც კი. ისინი ყიდდნენ არა მარტო სხვის ყმებს, არამედ საკუთარ გლეხებსაც. დაბოლოს, ტყვის ყიდვაში გაერია მძიმე ექსპლოატაციით გატეხილი, ... 'გააბრაგებული' გლეხიც." - ჯამბურია, "სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა", 219.

[112] შემთხვევები, როცა მეფე ჩაერია მებატონისა და ყმა-გლეხის დავაში და ის გლეხის სასარგებლოდ გადაწყვიტა "უფრო ნაკლებია, ვიდრე ისეთი, როცა ფეოდალისა და გლეხის დავაში 'მართალი' ბატონი გამოდის." - ibid., 221.

[113] "გლეხი მიწაზე დასმული მონა უფრო იყო, ვიდრე ნახევრადთავისუფალი მიწის მუშა. ასეთი უუფლებობა საშიშ ეკონომიკურ ეფექტს უმალ იძლეოდა. გლეხი ჰკარგავდა ინტენსიური მეურნეობის სტიმულს. ... გლეხი აღარ საქმიანობდა." - ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI* (თბილისი: მეცნიერება, 1973), 405.

[114] "გელხი პროტესტს გაქცევით აცხადებდა, რაც ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო. ... ბრძოლის ეს ფორმა ბატონყმობის უღლის თავიდან მოცილების ან 'უკეთესი ბატონის' მოძიების ცდა იყო. ... აყრილი და მეურნეობას მოწყვეტილი გლეხი ხშირად 'აბრაგობას', 'ყაზახობას', 'ყაჩაღობას' იწყებდა და ფეოდალებს ესხმოდა თავს. არაიშვიათად ისინი 'ლეკებისა' თუ სხვა მთიელთა მარბიელი რაზმების წევრებიც ხდებოდნენ და გუშინდელ თანამოძმეებს არბრევდნენ." - ibid., 221-222.

"ჯერ კიდევ დავით მეფე (იმამ-ყული-ხანი) 1719-1721 წლებში განგაშსა სტეხდა, რომ კახელი გლეხები სულ უფორ და უფრო გადადიან ლეკების მხარეზე, 'ლეკდებიან' და მათთან კავშირში 'საკუთარ' მებატონეებს ერეკებიან, - და თუ ჩქარა დამხმარე არავინ გამოჩნდა, მთელი კახეთი 'გალეკდება'. " - ibid., 317.

[115] საკომლო ნაკვეთის მიტოვება და გაქცევა XVIII საუკუნეში ნაწილობრივ იმითაც იყო გამოწვეულილ, რომ გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქების და მისი უფლების გაფართოების მოსურნე დიდმა რეფორმატორმა ერეკლე II-მ 1765 წელს გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც თუ გლეხი ტყვეობას თავს საკუთარი ძალისხმევით დააღწევდა, ყმობისგან თავისუფლდებოდა, რაც გლეხებს ტყვეობაში ყოფნის სიმულაციის გზით მებატონის ყმობისაგან თვის დაღწევის საშუალებას ანიჭებდა

რთულ მეტამორფოზას, რაც თავისუფლებამ ქართული ისტორიის ოღრო-ჩოღრო გზებზე განიცადა, ტერმინის -*"ყმა"* ევოლუცია გვიმჟღავნებს:

თავდაპირველად ყმა ოჯახის იმ უმცროს წევრს აღნიშნავდა, ვინც გარკვეულ ასაკამდე სრულუფლებიანად არ ითვლებოდა (დღევანდელი *ყმა*წვილის მსგავსად).[116] სახელისუფლებო ანაგისის წარმოქმნის ხანაში, ყმა მსახურეული კლასის სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა და ისევ უმცროსს, მაგრამ ახლა უკვე გარკვეული უფლებამოსილებების მქონე პირს, გამოსახავდა: პატრონის ყმობა ფეოდალური იერარქიის კიბეზე დგომის მომასწავებელი იყო და უფლებამოსილების და ვალდებულებების წყებას გულისხმობდა:[117] ყმა ჯერ მოსაკარგავე გახდა, ანუ სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიწის მასივით სარგებლობის და მასზე მოსახლე მკვიდრების განკარგვის უფლებით აღიჭურვა, ხოლო მერე ამ მიწით დროებითი და პირობითი სარგებლობა საშვილიშვილო კუთვნილებით შეიცვალა - ყმა *მემამულედ* იქცა.[118] სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოფილი მეთემე ჯერ ნათესავს დაემშვიდობა (და ამით პატრიარქალური ნათესავის შვილობით გარანტირებული თავისუფლება უარყო), მსახურად დადგა (და ამით აზნაურული "დიდი თავისუფლებისთვის" შეემზადა), მერე კი (მისი შთამომავალი) აზნაურული, "დიდი თავისუფლების" სტატუსით შეიმოსა[119] (რაღაც მომენტში "ყმამ", იგივე "მოყმემ", მებრძოლი რაინდის შინაარსიც შეიძინა,[120] მაგრამ ეს არ არის ჩვენი პრობლემისთვის არსებითი), ბოლოს კი

(იხ. ივ. ჯავახიშვილი, Политическое и социальное движение в Грузии в xix в. ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად, ტ. 5 (თბილისი: პალიტრა l, 2012), 102).

[116] "ყრმა რომ ახალშობილ ბავშვს მიემართებოდა, ბებიაქალის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა 'ყრმის აღმქუმელი' მიუთითებს. ... ყრმად იწოდებოდა თოთხმეტი წლის ვაჟიც" - მამულია, *პატრონყმობა*, 54.

[117] "პატრონის მთავარი მოვალეობაა, ყმის მიმართ იყოს მფარველი და მზრუნველი, ხოლო ყმის მთავარი მოვალეობაა, პატრონის მიმართ: ერთგული და თავდადებული სამსახური" - ვიქტორ ნოზაძე, *ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება* (სანტიაგო დე ჩილე: 1958), 18-20. ციტირებულია გ. მამულიას *პატრონყმობადან,* 18.

[118] "აზნაურთა მსახურთა ამ ფენიდან გამოვიდა გიორგი III-ისა და თამარის მსახურთუხუცესი 'აფრიდონ, აზნაურის ყმობისაგან ღმრთის მოზაძაობითა კაც-ქმნილი', რომელი 'მიიწია მსახურთუხუცესობამდის, თმოგვისა და სხუათა ციხეთა და ქვეყანათა პატრონობამდის აღზევებული" - მამულია, *პატრონყმობა,* 25-26.

[119] "გააზნაურდეს ქვეყნის მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა." - თამარის უცნობი მემატიანე, "ისტორია და აზმანი შარავანდეთთანი", *ქართლის ცხოვრება, ტ. II* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1959), 30.

[120] ამ მნიშვნელობითაა, მაგალითად, ნახმარი ეს ტერმინი ვეფხისტყაოსანში, როცა შოთა წერს: "ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა" [86], - რუსთველი, *ვეფხისტყაოსანი,* მესამე სასკოლო გამოცემა, გამოსაცემად მოამზადა და განმარტებები დაურთო ნ. ნათაძემ (თბილისი: განათლება, 1986), 34.

მემამულეობით დაამთავრა და ამრიგად, ამ კონტექსტში, "ყმობამ" თავისუფლების შინაარსი ბოლომდე შეირჩინა და ძირითადად აღმავალი გრადაციით განივითარა.

სულ სხვა დატვირთვა შეიძინა ტერმინმა მოგვიანებით, როცა ის უკვე სოციალური პირამიდის უფართოეს ფენას, გაგლეხებულ მდაბურებს მიესადაგა; გლეხთან მიმართებაში "ყმობა" უუფლებობის, სხვისადმი პიროვნული კუთვნილების და სხვაზე დამოკიდებულების აღმნიშვნელი გახდა. მომავალ გლეხთა თავისუფლების დამცრობის პროცესი, რასაც სათავე სოციალური ვერტიკალის წარმოქმნამ დაუდო, საბოლოოდ, და ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლის შედეგად, "წვრილი ერის" დამონებით დამთავრდა. პიროვნების თავისუფლების ამ დაღმავალი, ინვოლუციური ზიგზაგის შედეგად ყმა-გლეხებს უუფლებო ყოფაში ექვსასი წელიწადი მოუწიათ ცხოვრება. *თუ პიროვნების სოციალური გათავისუფლების პროცესი ევროპული ისტორიის მთავარი ნიშანსვეტია,*[121] *მაშინ იმ მომენტიდან, როცა საქართველოში გლეხი დაყმევდა და გათავისუფლების პროცესი შებრუნდა, ჩვენმა საზოგადოებამ "ევროპულის" საპირისპიროდ "აზიურ" საზოგადოებად გადაფორმება დაიწყო.*

პიროვნების გათავისუფლების უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად, ისევ საზოგადოებრივ ვერტიკალზე აღზევებული ფენების ევოლუციას მივუბრუნდეთ:

განვითარებული პატრონყმობის სტადიაზე საზოგადოება ორად გაიყო - აზნაურებად (ანუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებამოსილების მქონე და ე.წ. "დიდ თავისუფლებაში" მყოფ წარჩინებულებად) და - "უაზნოებად",[122]ანუ თავისუფლებამოკლებულ მონა-მსახურებად, რომელთა შუაშიც გაგლეხების გზაზე

---

[121] არისტოტელეს მოძღვრება პოლიტიკური თავისუფლების შესახებ, რომაულ სამართალში დაკანონდა, განმანათლებლობის ხანაში კი პიროვნული თავისუფლების იდეა საყოველთაოდ გავრცელდა. "The modern concept of political liberty has its origins in the Greek concepts of freedom and slavery. That was the original Greek concept of freedom. It is closely linked with the concept of democracy. ... Roman law also embraced certain limited forms of liberty, ... However, these liberties were accorded only to Roman citizens. The idea of inalienable and universal liberties had to wait until the Age of Enlightenment.

[პოლიტიკური თავისუფლების თანამედროვე შეხედულებამ მონობა-თავისუფლების ბერძნულ კონცეფციიდან აიღო დასაბამი და მჭიდროდ დაუკავშირდა დემოკრატიის კონცეპტს. ... თავისუფლების გარკვეულ, შეზღუდულ ფორმებს რომაული სამართალიც მოიცავდა, ოღონდ მხოლოდ რომაელი მოქალაქეებისთვის. ხელშეუვალი და საყოველთაო თავისუფლებას განმანათლებლობის ხანამდე მოუწია ლოდინი]." - *Liberty* from Wikipedia, the free encyclopedia https://en.wikipedia.org/wiki/Liberty (17.05.2018).

[122] საზოგადოების ასე დაყოფა უკვე ადრეფეოდალურ ხანაში ჩაისახა: "წმიდა შუშანიკის მარტვილობა ამტკიცებს, რომ V საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ. მაშინ ყოფილან 'აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი'." - ივანე ჯავახიშვილი, "ქართული სამართლის ისტორია" I, *თხზულებანი 12 ტომად, ტომი 6* (თბილისი: თსუ, 1983), 199.

დამდგარი მდაბურების უფართოესი მასა იყო განთავსებული. ეს უაზნოები და მდაბურები ფეოდალურ კიბეზე არ იდგნენ და მის გარეთ მოიაზრებოდნენ; მათი თავისუფლება - სოციალური ვერტიკალის წარმოქმნის კვალდაკვალ - თანდათან იმცრობოდა, ხოლო ვერტიკალზე აღზევებულთა თავისუფლება - დიდდებოდა. თავდაპირველად, თავისუფლების საწინდარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ნათესავისადმი" კუთვნილება იყო და ეს ერთნაირად ეხებოდა, როგორც "წვრილ ერს" და მის მკვიდრებს, ანუ მეთემეებს, ისე – მეფეთა ნათესავში, ანუ "სეფეში" შემავალ "საზეპურო ერს" და მის "კეთილშობილ" წევრებს.

"არც 'დიდი' – სეფეწულ–მთავარ–აზნაურთ თავისუფლება, არც ძველი, რიგირთი – 'ერის' თავისუფლება და არც ხარკის გადამხდელ 'მდაბურთა' ნახევარათვისუფლება 'ნათესავის' გარეშე არ არსებობდა, რაც ნიშნავს, რომ თავისუფლება 'ქართლის სამეფოში' პიროვნების 'ნათესავში' ჩართულობით იყო შეპირობებული." [123]

დროთა განმავლობაში კი ვითარება შეიცვალა და სოციალური ვერტიკალის გარეთ დარჩენილ მიწისმოქმედთა უფართოეს ფენას თავისუფლება ჯერ დაემცრო, მერე კი საერთოდაც წაერთვა, - თავისუფლება ფეოდალური კიბის საფეხურებზე შემდგართა ექსკლუზიურ თვისებად გადაიქცა; თავისუფლების მსაზღვრელი უკვე მიწის მფლობელობა გამხდარიყო.[124]

ნათესავისადმი კუთვნილება, როგორც თავისუფლების საწინდარი, "წვრილი ერის" შემთხვევაში, პიროვნული შეუვალობის (ძირითადად ხარკის არ გადამხდელობის) გარანტიას ქმნიდა, ხოლო, წარჩინებულების შემთხვევაში, შეუვალობას ხარკის მიმთვისებლის უფლებაც დაერთო.[125] მოგვიანებით, წარჩინებულთა თავისუფლების მაგარანტირებელი ქოლგა, "მეფეთა ნათესავი" - კი დაიშალა,[126] მაგრამ "სეფეში" შემავალი "საზეპურო ერის" თავისუფლებას ნიადაგი

---

[123] მამულია, *პატრონყმობა,* 189.

[124] სოციალური თავისუფლება საკუთრების გარეშე არც არსებობს: "Property provides the key to the emergence of political and legal isntitutions that guarantee libery.

[საკუთრება პოლიტიკური და სამართლებრივი თავისუფლების მაგარანტირებელი დაწესებულების საწინდარს ქმნის]." - Pipes, *Property and Freedon* XII.

[125] "ხარკის მიმთვისებელი, სასახლეში მსხდომი და პროფესიულ მმართველ-მეომრად ჩამოყალიბებული მეფის 'ნათესავნი' ... 'დიდ ნათსავში', 'დიდ სახლში' ერთიანდებოდნენ." (მამულია, *პატრონყმობა*, 105).

[126] მეფეთა ნათესავის სიმტკიცე ჯერ კიდევ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანიდან შეირყა, რადგან " ' მეფეთა ნათესავის' მკვიდრი კულტის - არმაზის კულტისა

მაინც არ გამოცლია, - წარჩინებულთა თავისუფლების საყრდენი ახლა მიწის კერძო მფლობელობა, ანუ მემამულეობა გახდა; მიწის ძალით მიმტაცებელი დიდაზნაურის თავისუფლების გამაპირობებელი მისი მარჯვენი, ანუ მისივე სამხედრო–ადმინისტრაციული *ხელი* [127] გამოდგა. თავისუფლების შინაარსის ამ ცვლილებით აზნაურის თავისუფლებამ საბოლოოდ შეიძინა ის დედააზრი, რომელიც ცნების - "თავისუფლება" ქართულ კომპოზიციაშია ჩაბუდებული: თუ მანამდე თავისუფლება არავის ქვემდებარეს, დამოუკიდებლის, შეუბოჭავის, *ლაღად* მოქმედის შინაარსს ატარებდა, ახლა ის *უფლებამოსილების* შინაარსს იძენს და ძალაუფლების ლეგიტიმურობის წყაროზე უთითებს. ეს წყარო უწინდებურად ჯგუფი, "ნათესავი" კი აღარ არის, არამედ - თავად ინდივიდი. თავისუფლების ინდივიდუალიზაციის ამ პროცესის კვალდაკვალ, ცვლილებას თვითონ თავისუფლების დედაარსი განიცდიდა; სიმძიმის ცენტრი ეკონომიკურიდან - სამართლებრივი/უფლებრივი და პოლიტიკური მომენტისკენ იხრებოდა: კომპოზიტი "თავის-უფლება" მოქმედების (და, შესაბამისად, ძალის გამოყენების) უფლებამოსილების წყაროს მიანიშნებს. ეს წყარო თვითონ მოქმედი პირია, ამ პიროვნების მოქმედების (მის მიერ ძალის გამოყენების) ლეგიტიმურობის საფუძველი თვითონ მასშივეა, ის თავის-თავადია, ხოლო სხვა - თუ ამ თავის-თავადთა წოდებას არ ეკუთვნის, ლეგიტიმური ძალის მქონედ აღარ ჩანს. გვიან შუა საუკუნეებში ამ ვითარების კიდევ უფრო მკაფიოდ გამოსახატად ტერმინი "თავადი" (ნიშნავს სოციალური პარამეტრებით თვითმყოფადს, თავისთავადს) დამკვიდრდა,[128] ხოლო ამ ტიტულის მქონე პირის ხელქვეით მოქცეულმა ქვეყანამ - თავადის მამულმა - "სათავადოს" სახელი დაირქვა.[129]

და წარმართული სატაძრო მიწათმფლობელობის გაუქმებასთან ერთად, ქრისტიანობამ ქართლის სამეფოს ბარში ... ნათესავთა გაერთიანების საფუძველი - წარმართული ჯვარ-ხატები მოშალა." – (მამულია, *პატრონყმობა*, 100); ხოლო ვახტანგ გორგასლის მერე, როცა მეფობა გაუქმდა, "მეფეთა ნათესავი" ქართლის მთავრებმა დაშალეს. (ibid., 128).

[127] " 'ხელი' ძველქართულში უფლებას აღნიშნავდა" - მამულია, *პატრონყმობა,* 57.

ტერმინიდან - "ხელი", მერე სახელო, ანუ თანამდებობა, იგივე ხელის-უფლება, ანუ მართვის ლეგიტიმური უფლება წარმოსდგა (იხ. ი. ჯავახიშვილი, *ქსი I,* 258-259).

[128] ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა ცოტა სხვა იყო "თავდაპირველად ამ სახელს ('თავადი') ალბათ მოთავეს, თავ-კაცს და მეთაურს ეძახდნენ." - ჯავახიშვილი *ქსი, წიგნი I,* 215.

[129] ამაზე იხ. გივი ჯამბურია, "სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XII სს. თავადთა წოდება", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 203.

უნდა შევნიშნოთ, რომ მემამულე-თავადთა პირადი თავისუფლება ისე შორს არ წასულა, როგორც ამას მათი სოციალური სტატუსის ამსახველ ცნებაზე - "თავადი", დაკვირვება გვიმჟღავნებს. სინამდვილეში, მიწისმფლობელობაც და აქედან გამომდინარე მათი ხელის-უფლებაც კვლავინდებურად ჯგუფური იყო,[130] ოღონდ ეს ჯგუფი უკვე თემთან და "მეფეთა ნათესავთან" შედარებით დავიწროვებული წრის, პატრიარქალური ოჯახის ფარგლებით განისაზღვრებოდა.[131] ასე რომ, პიროვნების გათავისუფლების ისტორიული პროცესის ინდივიდუალიზაციის მიმართულებით მოძრაობა ამ ეტაპზე დასრულებული და ბოლომდე პერსონიფიცირებული, მაინც არ ჩანს. მეტიც, თავადების, იგივე *დიდგვაროვნების,* გაბატონებით ინდივიდუალიზაციისკენ დაძრული სოციალური ევოლუციის პროცესი, უარყოფის უარყოფის გზით, ისევ რეანიმირებული გვაროვნული წყობის საფეხურზე გაეჭედა, - სათავადოს, ფაქტიურად, *გვარი* განაგებდა.

სოციალური პრივილეგიების მოსაპოვებლად (და შესანარჩუნებლად) მომავალ თავადს, მემამულეს, თავდაპირველად ფართო სოციალური წრის ანუ მიწისმფლობელთა მთელი კლასის თანადგომა და სოლიდარობა სჭირდებოდა. ამ ამოცანას "მეფეთა ნათესავში" მისი ჩართულობა უზრუნველყოფდა,[132] მაგრამ, როცა მემამულის უფლება საშვილიშვილოდ იქნა გარანტირებული, "მეფეთა ნათესავის" კუთვნილება, კაცმა რომ თქვას, ზედმეტი გახდა. ეს რევოლუციურ ცვლილებას მოასწავებდა...

მანამდე კი, მიწის მესაკუთრე აზნაურები - დიდი და წვრილი - ერთმანეთთან მჭიდრო უფლება-მოვალეობრივ და სისხლით ნათესაურ (ქორწინებების გზით) და არასისხლითნათესაურ (მამამძუძეობა-სეფეწულობის ანუ გამზრდელ-გაზრდილის ინსტიტუტის გზით) კავშირით იყვნენ გადაწნულები;[133] ამ კავშირს ოთხმაგი -

---

[130] "სათვადოს თავისი 'სახლის უფროსი და ბატონი' ჰყავდა, რომელსაც მეფე ნიშნავდა 'სახლიკაცების ნებაყოფლობით' ... სახლის უფროსს თავადი ერქვა, სახლიკაცები კი თავადიშვილებად იწოდებოდნენ." - ibid., 210.

[131] "მართალია, სახლის უფროსი იყო უზენაესი გამგებელი სათავადოში, ... მაგრამ 'მამულისა და ოჯახის საქმეებს სახლიკაცების შეკითხვით განაგებდა'. " - ibid., 210.

[132] "II ათსწლეულის II ნახევარში, როდესაც 'მთა' ქართლზე და მცხეთის 'გორაზე' მსხდომი 'ნთესავები' სოციალური აღზევების შედეგად მეფის 'ნათესავებად' გარდაიქცნენ და მცირე ხევისუფლებად ჩამოყალიბდნენ, თავიანთი ძალაუფლების შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით ისინი ერთსახლად გაერთიანდნენ." - მამულია, *პატრონყმობა,* 86.

[133] "მამამძუძეობა-სეფეწულობის საფუძველზე გაფართოებულ 'სახლში'... მამამძუძე, როგორც 'უმცროსი' თავისივე 'უფროსის', ანუ ძუძეულის 'სახლის' 'გამზრდელი' არის. 'გამზრდელი' არა

აღმა-დაღმა და გარდი-გარდმო მიმართება გააჩნდა და მჭიდრო ქსოვილად გადატმასნოდა საზოგადოების ქვედა, უფართოეს ფენას. წარჩინებულთა ზედაფენა "წვრილ ერს" ემიჯნებოდა და "საზეპურო[134] ერს", იგივე "ქართველ ერს", აყალიბებდა - თავისებური სუბკულტურით, მკაფიოდ გამოკვეთილი კლასობრივი და პოლიტიკური თვითშეგნებით და მეობა-იდენტობით. აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ამ სუბკულტურას მისი ევოლუციის ფინალური შედეგის მიხედვით, ანუ უკანა რიცხვით, "ვეფხისტყაოსნის კულტურას" ეძახდა.[135] ამ "ქართველმა", იგივე "საზეპურო, ერმა" - პატრიარქალური "ნათესავისგან" თანდათანობითი აღზევების გზით რომ ჩამოქნილიყო - საერთოხალხური პირველსტიქიისგან გამიჯვნის მიზეზით, ელიტარული ვერტიკალის გარეთ (და დაბლა) დარჩენილი "უაზნო" ნაწილი, იგივე "მდაბურები" - "წვრილ ერად" აღიქვა[136] და მასზე ბევრად მრავალრიცხოვანი სოციალური ფენის დამორჩილება-დაყმევების ხანგრძლივ და მტკივნეულ პროცესში სულ უფრო კონსოლიდირდებოდა. ურთიერთთანადგომის გარეშე ის მოპოვებული პრივილეგიის შენარჩუნებას ვერ მოახერხებდა და მისი საზოგადოებრივი მორალიც, იმხანად, კლასობრივ თანადგომაზე დამყარებული მსახურების ნიშნით იქნა აღბეჭდილი.[137] დრამატული გაუკუღმართება მოგვიანებით მოხდა - ბატონყმურ სტადიაზე. პატრონყმულ სტადიაზე კი "ქართველობა", როგორც

მხოლოდ სეფეში მყოფ ყრმა-მონას ჰყავდა, 'მეფის' სახით, არამედ თვით 'მეფეც' გაზრდილი იყო თავისივე სეფეწულის, ანუ 'უმცროსის' 'სახლის' მიერ." - მამულია, *პატრონყმობა*, 109.

[134] ზოგი მეცნიერი ტერმინს "ზეპური" სპარსული "სეპუჰიდან" წარმოშობილად თვლის, ჩვენ კი გვეჩვენება, ის ქართული "სეფედან" უნდა იყოს წარმომდგარი, ჯერ "სეფურის", მისგან კი ზეპურის გზით და შესაბამისად სამეფოს, მეფურს, ანუ მეფეთა ნათესავში (იგივე "სეფეში") შემავალს ნიშნავს. გასათვალისწინებელია, რომ სპარსული "სეპუჰი" შუშანიკის წამების სომხურ ტექსტში არა არისტოკრატიის, არამედ უაზნო სტრატას აღსანიშნავად არის გამოყენებული (იხ. სარგის კაკაბაძე, *ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა.* თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გამომცემლობა ნეკერი 1994, 79), თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ სპარსული ტერმინის - "სეპუჰი" სოციალური შინაარსით დატვირთულობა ხელს უწყობდა სეფურიდან ზეპურის ალიტერაციის გზით წარმოქმნის პროცესს.

[135] "თანდათან შემუშავდა და საქართველოს ყოველი კუთხისთვის დამახასიათებელი, ღვიძლი შეიქმნა ქართული ფეოდალური კულტურა, რომელიც არა მარტო ქართულ ქრისტიანობაში, უკეთ, არა იმდენად ქართულ ქრისტიანობაში მჟღავდნებოდა, როგორც ეს ეკლესიის მესვეურებს ეწადათ, არამედ ქართული ფეოდალური ურთიერთობის ყოვლისმომცველ კოდექსში (ვეფხისტყაოსნის კულტურა)." - ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები,* ტომი VIII, მეორე გამოცემა, (თბილისი: მეცნიერება, 1990), 385. აგრეთვე: 388. 389.

[136] " 'აზნაურთა ყმანიც' წარმოშობით თავისუფალ მიწისმოქმედთა და მეომართა იმ ფენიდან მომდინარეობდნენ, რომელნიც თავის თავს 'ერს' უწოდებდნენ, ხოლო წარჩინებულთა მიერ 'წვრილ ერად' იწოდებოდნენ." - მამულია, *პატრონყმობა,* 26.

[137] "და თვით ვეფხისტყაოსნის გმირთა ძმობა-მეგობრობის საფუძველი, ერთობის საფუძველი სისხლით ჩამომავლობის ერთობაა? ეს საფუძველია კულტურული, საზოგადოებრივი და, პირველ თავში, კლასობრივი ერთიანობა, კლასობრივი მონათესაობა."- ბერძენიშვილი, *საქ. ისტ. საკითხები VIII ,* 389.

"ვეფხისტყაოსნის კულტურის" აღმსარებლობა, როგორც სოციო-კულტურული და მენტალური სტანდარტი, განუშორებლად მიეტმასნა წარჩინებულთა ფენის სულიერ ანაგისს. სწორედ ამ "ქართველობის" სახელით ჩაება იგი იმ განსხვავებულ ცივილიზაციასთან ომში საკუთარი სუვერენული უფლების და თავისუფლების შესანარჩუნებლად, რომელ ცივლიზაციასაც თვითონ "თათრობად" მონათლავს[138] და რომლის ნიშან-თვისებებსაც თანდათან შეიძენს; [139]

პატრონყმობაში, და უფრო ადრეც, საზოგადოებრივ ვერტიკალზე აღზევებული და "დიდი თავისუფლების" მქონე აზნაურთა მოდგმის პირისპირ - თავისუფლებადამცრობილი, მაგრამ მაინც თავისუფალი მდაბიორ–მიწისმოქმედთა თესლ–ტომი ("ნათესავი") იდგა.[140] უუფლებობის (მონათმფლობელობის) უკანასკნელი გადმონაშთი – თავისუფლებას მოკლებული მონა–მსახურები და სამხედრო ტყვეები – ამ ხანებში სულ გათავისუფლების მიმართულებით მოძრაობდნენ (მათ პიროვნულ თავისუფლებას ანიჭებდნენ და მიწისმოქმედთა რიგებში რიცხავდნენ). მართალია, ნათესავის მკვიდრები ისინი ვეღარ ხდებოდნენ, მაგრამ მათი პიროვნული თავისუფლების საწინდარი არა ნათესავისადმი კუთვნილება და "შვილობა", არამედ მიწათმფლობელობა ხდებოდა. ამ სოციალური პროცესის შესატყვის თვალთახედვას XII სუკუნის ქართული ხელოვნების გვირგვინი – რუსთველი გვთავაზობს, როცა სენტენციის სახით წერს: "მიეც გლახაკთა საჭურჭლე, *ათავისუფლე მონები:* შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები."[141] პროფესორი გ. ნადარეიშვილი ფიქრობს, რუსთველისთვის უცნობი იყო

---

[138] "თათარი ქართველის თვალში (დაახლოებით XIV საუკუნიდან) ყოველ მაჰმადიანს ეწოდებოდა. შემდეგ წარმოიშვა საქართველოს სამხრეთით მეორე მუსულმანური (ოსმალეთის) იმპერია. ქართველის თვალში მუსულმანობის გამო, მისი მცხოვრებნიც 'თათრები' იყვნენ. საზოგადოდ, 'გათათრებას' უწოდებდნენ ქართველების გამაჰმადიანების პროცესსაც (ე.ი. წინა პლანზე იდგა სარწმუნოებრივი აღმსარებლობა." - მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, *ქართველთა დენაციონალიზაცია, გათათრება.* http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=patriarc&cl=CL3&d=HASHda05345f254c8b87205372.5.3 (25. 05. 2018).

[139] საქართევლოს მესვეურებს სავსებით გაცნობიერებული ჰქონდათ ამ ვითარების დრამატულობა: გიორგი ბრწინვალის ძეგლის დების შესავალში ვკითხულობთ "სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ ჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დაგდება უბრალოსა, მრავალფერნი *ულუსობა* და ყოლ სამართალი არად იყო-ღა." - "ძეგლის დება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ", *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1* (თბილისი: მეცნიერება, 1963), 391 (ხაზგასმა ჩვენია ა.ჯ.).

[140] "ამრიგად, ქართლის (იბერიის) სამეფოში თავისუფლება შემდეგნაირად დანაწილდა: ... 3. ნახევრადთავისუფლებად, რომელიც ხარკისგადამხდელ 'ნათესავებში' გაერთიანებულ მდაბურთა (მონა-სახლეული) თავისუფლებას წარმოადგნედა." - მამულია, *პატრონყმობა*, 107.

[141] რუსთველი, *ვეფხისტყაოსანი* [811].

თავისუფლების ისეთი გაგება, რომელიც ადამიანს წოდების და კლასობრივი კუთვნილების გარეშე გულისხმობსო,[142] მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ *ამ მომენტისთვის ქვეყნის სოციალური სხეულის ყველა განშტოება თავისუფლად მოძრაობდა და ქვეყანაც თავისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზენითში იმყოფებოდა.*[143]

"სჯობს სახელისა მოხვეჭა"

მაგრამ მას მერე, რაც გაბატონებულმა და თავ-თავიანთ მამულებში გახელმწიფებულმა მიწისმფლობელებმა არსებითად დაასრულეს გლეხთა დაყმევების პროცესი, საზოგადოების უფართოესმა ფენამ საბოლოოდ დაჰკარგა თავისუფლება[144] და ქვეყანამაც პირი იქცია: აქამდე ზნეკეთილი (ვეფხისტყაოსნის მაღალი იდეალების) საზოგადოების თავისუფლების სულისკვეთება განდიდების და განდგომის ეგოისტურმა ინსტინქტმა ჩაანაცვლა,[145] სახელმწიფო კი ერთბაშად დასუსტდა. ეს უცნაური ფერისცვალება ახსნას ითხოვს.

---

[142] "კლასის, წოდების და გვარიშვილობისაგან დამოუკიდებლად... ფეოდალური მართლშეგნებისთვის უცნობი იყო წარმოდგენა თავისუფალი, დამოუკიდებელი და წოდების გარეშე პიროვნების." - გიორგი ნადარეიშვილი, *სახელმწიფო, სამართალი და მორალური ნორმები ვეფხისტყაოსნის მიხედვით* (თბილისი: მეცნიერება, 2002), 69.

[143] "საქართველო XIII საუკუნის დასაწყისში შუა ფეოდალურ საფეხურზე იდგა. ეს არის განვითარებული ფეოდალიზმის უმაღლესი ეტაპი, რომელსაც თანამედროვე მედიავისტიკაში ფეოდალიზმის კულმინაციური ფაზა ეწოდება." - ნოდარ ასათიანი, "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა XIII საუკუნის პირველ მეოთხედში", *საქართველოს ისტორია, ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, ტ. II* (თბილისი: თსუ, 2008), 14.

[144] "ბატონყმობა ამ დროისთვის საქართველოში დიდი ხნის ფაქტია: ყმაგლეხთა ძირითადი მასა უკვე მიწაზეა მიმაგრებული, მას მიწიდან ნებაყოფლობით წასვლის უფლება (პირადი თავისუფლება) დაკარგული აქვს." - ბაბილინა ლომინაძე, "ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XII-XIV სს", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 755.

"აზნაურთა უმრავლესობას უკვე ღრმად აქვს შელახული თავისი აზნაურული ძირითადი ნიშანი, *პირადი თავისუფლება.* ... მთავრის თუ თავადის პატრონყმობაში მყოფი აზნაური უკვე აღარაა იმავე დროს მეფის ყმაც. ...XV საუკუნის დასასრულისთვის აზნაურობის დიდი ნაწილი მეფეს ჩამოშორდა." - ibid., 778; და კიდევ "მომხდარმა სოციალურმა ცვლილებებმა თვალსაჩინოდ გამოამჟღავნეს ბატონყმური ურთიერთობათა გადაგვარება. მოხდა აზნაურთა ფენის არა კონსოლიდაცია, არამედ პირიქით." - ibid., 779.

[145] "საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ვნებაც მთავრებისა და დიდგვარიან აზნაურების თავგასულობამ, უგუნურმა ქცევამ და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა. ყოველი დიდი თემის მმართველი გამთავრების დაუშრეტელი პატივმოყვარეობის სენით და ბორგნეულობით (მანიით) აღმოჩნდა შეპყრობილი. თითოეულს მათგანს საქართველოში გაბატონების იმედი ჰქონდა და დაუცხრომელი წადილი უღვივოდა გულში." - ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* წიგნი III, ნაწ. II (XVს.), თხზულებები 12 ტომად, ტ. 3 (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982), 458.

დაყმევებული გლეხის მდგომარეობა უფლებრივად - როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ - მონისას დაუახლოვდა.[146] მონის სამეურნეო ინიციატივის სივრცე კი უკიდურესად ვიწრო იყო. ამას გარდა, ვერტიკალზე აკინძულ და დიდ თავისუფლებას ნაზიარებ აზნაურთა და თავადთა მოდგმას - მათთვის სრულიად მოულოდნელად - მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით მონაგრებული თავისუფლება გაუსხლტდა ხელიდან; დამონებით ისინი არავის დაუმონებია, მაგრამ მთავარი კლასობრივი ოპონენტის, "წვრილი ერის" თავისუფლების მოსპობით, აზნაურთა "დიდი თავისუფლებაც" გაუფასურდა და გაცამტვერდა. თუ რატომ, ამაზე ოდნავ ქვემოთ - მებატონეთა წრეგადასული თიმოსის შესახებ საუბრისას შევჩერდებით, დიდი გერმანელის - ჰეგელის დამოწმებით.

ბატონ-ყმობის დამყარებით სოციალური ევოლუციის ციკლი დამთავრდა, მებატონემ მიზანს მიაღწია, - დაიმორჩილა "კლასობრივი ანტაგონისტები": თავისუფალი მიწისმოქმედი თუ ვაჭარ-ხელოსანი ყველა დაყმევდა.[147]

ლამის მონის მდგომარეობამდე დაკნინებული ყმების შრომა რომ არაეფექტური გამოდგებოდა, ამას ანტიკური გამოცდილებაც მოწმობდა. წარმოების საშუალებების განვითარებამ ანტიკურ მონათმფლობელობას ბოლო სწორედ მონების შრომის არაეფექტურობის გამო მოუღო.[148] ქართულმა ზეპურმა საზოგადოებამ მონათმფლობელობის ერთგვარი აღდგენით,[149] შეუძლებელი შეძლო და,

---

[146] "ბატონის უსამართლობა გაუმაძღრობის და გლეხთა უუფლებობა-განუკითხაობის შედეგად გაძარცული, ნახევრად მშიერი მწარმოებელი საზოგადოება განსაკუთრებლს ხალისსა და ინიციატივას, ბუნებრივია, ვერ გამოიჩნდა ქვეყნის დაცვის საქმეში. ილაჯგაწყვეტილ გლეხს, მართალია, უცხო მოძალადე სძაგდა, მაგრამ არც შინარუი მოძალადე უყვარდა." - ბერძენიშვილი, *საქ. ისტ. საკითხები, VI,* 150.

[147] "გადაგვარებულმა ბატონყმობამ თავისი ასეთი როლი იმ მხრივაც გამოამჟღავნა, რომ მან ვერ წარმოშვა თავისუფალი მწარმობელი, აღარ მოხდა ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლება." - ლომინაძე, *ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში*, 759.

[148] "მონათა ექსპლოატაცია იმდენად რთული და არარენტაბელური იყო, რომ მონების მფლობელნი არჩევდნენ გადასულიყვნენ წვრილ მეურნეობათა სისტემაზე, რაც მონების ყმებად გადაქცევისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. ... მონების მიწაზე დასმა და მათი ექსპლოატაციის ფეოდალური ტიპის ექსპლოატაციასთან დაახლოება დამოწმებულია აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაშიც" - გიორგი მელიქიშვილი, "ძველაღმოსავლური საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ხასიათის საკითხი საბჭოთა მეცნიერებაში", *ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია* (თბილისი: თსუ, 1971), 30.

[149] დაყმევებული გლეხი, როგორც ავღნიშნეთ, უფლებრივად მონისგან ლამის აღარ განსხვავდებოდა, მისი მიწაზე მიბმა მიწათმფლობელის საკუთრებაში მის მოქცევას განაპირობებდა, გლეხი მებატონის კუთვნილება გახდა. მებატონეს შეეძლო გლეხი მოძრავ ქონებასავით გაეყიდა.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, ხელმეორედ შებრუნდა იმავ მდინარეში,[150] - ქართული საზოგადოება ინვოლუციის თავქვეს დაუყვა. შექმნილ ვითარებაში ქვეყანას სოციალური ჩიხიდან ყმების გათავისუფლების უკუპროცესი თუ გამოიყვანდა, მაგრამ საამისო ნება მაშინ მმართველ კლასს არ გააჩნდა, რის გამოც გათავისუფლება ძალიან გვიან, რუსეთის იმპერიის მიერ ქართული ქვეყნების დაპყრობის მერეღა განხორციელდა – 1860-იან წლებში;[151] მანამდე კი, "საზეპურო" ანუ "ქართველი ერი" - მრავალსაუკუნოვანი სოციალური ჭიდილის გამარჯვებული, მებატონის რანგამდე ამაღლდა. "წურილი ერი" ზეპურმა საზოგადოებამ იმდენად ეკონომიკური აუცილებლობის გამო არ დაიმონა, რამდენადაც უზომოდ გაზრდილი "თიმოსის", ანუ აღიარების წყურვილის მოსაკლავად; ეკონომიკურ-მატერიალური ინტერესის დაკმაყოფილების მერე, ქართულ თავადაზნაურობას სოციალური თავმოყვარეობის განცდა გაუმძაფრდა:[152]

ჰეგელის ბატონისა და მონის დიალექტიკის თანახმად[153] კლასობრივ ოპონენტთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებით, ბატონი მისთვის ასე სასურველ აღიარებას მაინც ვერ ჰპოვებს და მისი "თიმოსი" - ანუ სოციალური თავმოყვარეობა - დაუკმაყოფილებელი რჩება; ასე იმის გამო ხდება, რომ მონობაში ჩაცვივნული ქვეშევრდომები უკვე სრულფასოვანი ადამიანები ვეღარ არიან და მათგან აღიარებაც ვეღარ ბადებს სასურველ განცდებს.

---

[150] ჰერაკლიტეს თანახმად: „πάντα χωρεῖ καὶ οὐδὲν μένει καὶ δὶς ἐς τὸν αὐτὸν ποταμὸν οὐκ ἂν ἐμβαίης. Everything changes and nothing remains still ... and ... you cannot step twice into the same stream [ყველაფერი იცვლება, არაფერია უძრავი ... და ... ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ]“. https://en.wikipedia.org/wiki/Heraclitus (21.04. 2018).

[151] "1864 წლის 8 ნოემბერს ტფილისში და ტფილისის გუბერნიის სამაზრო ქალაქებში ... საზეიმოდ გამოაცხადეს ბატონყმობის გაუქმება. ... მემამულეებს აღარ შეეძლოთ გლეხის ყიდვა-გაყიდვა. ... 1865 წლის 13 ოქტომბერს ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა ქუთაისის გუბერნიაში... 1866 წლის 1 დეკემბერს გლეხთა ყმობიდან განთავისუფლება გამოცხადდა სამეგრელოსა და სადადიანო სვანეთში; 1870 წლის 8 ნოემბერს აფხაზეთში; 1871 წლის 8 ოქტომბერს სადადეშქელიანო სვანეთში." - პაატა ფირანიშვილი, "ბატონყმობის გაუქმება საქართველოში", *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე,* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 152-54.

[152] ანდრეუ ჰეივუდი აღნიშნავს, რომ აბრაამ მასლოუს (1908-1970) "საჭიროებების იერარქიის" თანახმად, თუ ნივთიერი საჭიროება დაკმაყოფილდა, მაშინ უპირატესობა უკვე პატივს და აღიარებას ენიჭებაო. "It is loosely based on Abraham Maslow's (1908-70) 'hiererchy of needs', which places esteem and self-actualization above material or economic needs." – Andrew Heywood, Politics, Second edition (Palgrave Macmillan 2002), 210. და კიდევ: "პოსტმატერიალიზმი ... ეყრდნობა აბრაჰამ მასლოუს (Abraham Maslow, 1908-1970) 'საჭიროებათა იერარქიას', რომელიც დაფასებისა და თვითაქტუალიზაციის საჭიროებას მატერიალურ და ეკონომოკურ საჭიროებაზე მაღლა აყენებს." - ენდრიუ ჰეივუდი, *პოლიტიკური იდეოლოგიები,* 326.

[153] Гегедь, *Феноменология духа,* 103-104.

ამის გამო იყო სწორედ, რომ მოპოვებული "დიდი თავისუფლების" რეალიზებას მებატონე სოციალურ ჰორიზონტალზე, ანუ თავისი კლასობრივი თანამოძმის მისამართით შეეცადა. [154]

"ბატონს მეორე ადამიანის მიერ აღიარება სურს, ანუ... ისეთი პიროვნების მხრიდან აღიარება, ვინც ... თვითონაც წარმოადგენს... [საზოგადოებრივ] ღირებულებას. სახელისათვის ბრძოლაში გამარჯვებით კი [ბატონი] აღიარებას იმისგან იღებს, ვინც მონად აქცია, ვისი ადამიანურობის რეალიზებაც არ მოხერხდა... ბატონის ღირსებას აღიარებს პირი, ვინც სრულფასოვან ადამიანად ვეღარ ჩაითვლება." [155]

მებატონე გაწბილებული დარჩა: მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში კი გაიმარჯვა, მაგრამ აღიარებას ვერ ეღირსა; ამიტომ, როგორც კი დიდგვაროვანთა გასამხედროებული კასტა საკუთარ მამულებში გახელმწიფდა, აღიარების (თუ გნებავთ - სახელის მაძიებელი)[156] ხელმწიფე ახლა უკვე მეზობელ მებატონეს ეძგერა, ანუ კლასობრივ თანამოძმეს დააცხრა.[157] ახლა, როცა მდაბურების დაყმევების მრავალსაუკუნოვანი ამოცანა მიღწეულიყო, აღიარების წყურვილი კი - დაუკმაყოფილებელი, დიდებულ-აზნაურთა გამძაფრებული სოციალური თავმოყვარეობა ახალ სარბიელს მიაწყდა და მეზობელი მებატონის მამული და ყმები დააწიოკა. ბუნებრივია, ასეთ "სტრატეგიას" მებატონეთა ურთიერთაღიარება არ მოჰყოლია, მწარმოებელი ფენა კი - მთლად გააპარტახა. ისევ ჰეგელი უნდა დავიმოწმოთ: "ბატონს, რა თქმა უნდა ... სხვა ბატონისგან სურს აღიარება, მაგრამ პრესტიჟისათვის ამ უწყვეტ ბრძოლაში ცდილობს ბარემ დაიყმევოს მეტოქე – ანუ აღიარება, საბოლოოდ, მაინც ყმათაგან მიიღწევა." [158]

---

[154] "საუკუნოვანი ბრძოლისა და ომების შედეგად საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბებული სამეფო-სამთავროები ერთი მეორის დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებას არა სცნობდნენ." - ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 148.

[155] ფრენსის ფუკუიამა, *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი,* 204.

[156] ვახუშტის დახასიათების თანახმად ქართველები არიან "ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელინი ესრეთ, რამეთუ თვისითა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანსა და მეფესა თვისსა." - ვახუშტი ბატონიშვილი, "აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი" *ქართლის ცხოვრება IV,* [44].

მანამდე შოთა წერს: "სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა." - *ვეფხისტყაოსანი* [807].

[157] "ურთიერთშორის ბრძოლაში გართული მებატონეები უპირველს ყოვლისა 'მოწინააღმდეგის' გლეხებს დაერეოდნე ხოლმე. შეუბრალებლად ჟლეტდნენ მათ ან კიდევ ტყვედ ჰყიდდნენ." - ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 308.

[158] ფუკუიამა, *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი,* 383.

ამავე მიზეზით, ანუ თიმოსური შიმშილით, სხვის ომებში ქართველების თავგამოდების საარაკო თვისებაც შეიძლება აიხსნას.[159] დიდებულთა ზედაფენას, ისტორიული ინერციის წყალობით, სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფის ვალდებულების ტვირთიც აწვა და იქვე - დამოუკიდებლობის და გახელმწიფების დაუოკებელი სწრაფვის გამო - ამავე სახელმწიფოს მთავარ შინაანტაგონისტადაც თვითონ გამოდიოდა და თავისი წვლილი შეჰქონდა, როგორც ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის ბრძოლაში, ისე ამავე სახელმწიფოს დასუსტების და მეზობელი მუსლიმანური იმპერიების განმტკიცებაში.[160] სხვის ომში ქართველების გმირობის სახელგასმენილი ისტორია მონღოლების დროიდან დაიწყო და მეზობელი იმპერიების მიერ ქართული სამეფო-სამთავროების სრული ინკორპორაციის მერეც კი არ შეწყვეტილა და ეს - სხვა გარემოებებთან ერთად - "საზეპურო", "ქართველი" ერის თავისუფლებისკენ და აღიარებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვის შედეგიც არის. ვეფხისტყაოსნის კულტურის ამ მოდგმის სულისკვეთებას რუსთველი ასეთი აფორიზმით გამოხატავდა: "*სჯობს სახელისა მოხვეჭა,* ყოველსა მოსახვეჭელსა" (რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, [807]) და კიდევ, "სჯობს სიცოცხლესა ნაძრასხა სიკვდილი *სახელოვანი* " (ibid., [808]) (ხაზგასმა ჩვენია ა.ჯ.).

---

[159] "საქართველოს ლაშქარი მონღოლთა სერიოზულ სამხედრო ძალას წაროადგენდა. მას ომებში მოწინავე რიგები ეკავა და ბრძოლის პირველი დარტმები გადაჰქონდა." - ბაბილინა. ლომინაძე, "მოღოლთა ბატონობა საქართევლოში", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3.* 569.

"საქართელოს მხედრობამ აიღო ასასინთა მიუდგომელი დედაქალაქი, ალამუტი. ასევე, საქართველოს ჯარს ლომის წილი მიუძღვოდა იერუსალიმის დაუფლებაში." - სიმონ მასხარაშვილი, *მატიანე ქართველთა,* მეორე გამოცემა (თბილისი: ელფის გამომცემლობა, 2006), 181-82.

ჟამთააღმწერლის თანახმად, მონღოლთა ნოინი სიქდური დიდი ყაენის ბარახას ჯარის მოახლოებისას ეუბნება დავით ულუს: "ჩვენ ყარაულნი ვართ და ლაშქართაგან მცირედნი, წარვიდეთ ყაენს წინაშე და ვაცნობოთ მოსვლა მისი' [იგულისხმება - ბარახას ჯარის მოახლოება ა.ჯ.], ხოლო მეფემან, რქუა: 'არა არს წესი ჩუენ ქართველთა უკუე, რა ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი.' ვითარცა ესმა თათართა განკვირდეს და განწყრეს და ზედამოუხდეს მეფესა და ეტყოდეს: 'არა იცი, რასა იქმ! არა გაქუს ბრძანება აბაღასი, უმისოდ შებმა დიდისა ყაენისა'..." - ჟამთააღმწერელი, *ასწოლვანი მატიანე, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები 48.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რევაზ კიკნაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1987), 150.

[160] "XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული ირანის შაჰის კარზედ ქართველ მეფეთა და თავად-აზნაურთა შვილები არ გამოწყვეტილან. მძევლების გვერდით შაჰის კარზედ გაჩნდნენ და სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ თავიანთი ნებით მისული ქართველი" - ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 253.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ირანის გვარდიული ჯარის მთავარსარდლები (ყურალაღასები) და ოფიცრები ქართველები იყვნენ: "შაჰ-აბსის ყულის ჯარში ამ დროს 12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა; დიდი უმრავლესობა ამათგან ქართველები იყო" - ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 233.

ჰეგელის ბატონობის და მონობის დიალექტიკაში მონა შრომის გზით თავისუფლდება:

"ჰეგელის მონა... ინარჩუნებდა თიმოსს, საკუთარი ღირებულების და ღირსების განცდას და სურვილს, იცხოვროს არა მონური, არამედ რაღაც განსხვავებული ცხოვრებით. თიმოსი მის იმ სიამაყეში მჟღავნდებოდა, რასაც საკუთარი შრომა განაცდევინებდა - საკუთარი უნარი, აეღო ბუნების ლამის უსარგებლო მასალა და რაღაც ისეთ განსხვავებულ და საჭირო რამედ გარდაექმნა, რასაც მისი კვალი დააჩნდებოდა... სწორედ ეს მისი სწრაფვა აღიარებისაკენ, და არა ბატონის უქმი თვითკმაყოფლიება, იყო ის მამოძრავებებლი ძალა, რასაც წინ მიჰყავდა ისტორია."[161]

ქართულ შემთხვევაში ეს კანონზომიერება არ გამომჟღავნდა: სახელმწიფო-დამცავი სისტემის დაკნინების გამო, გლეხს გარეშე მარბიელიც პერმანენტულად აწიოკებდა და ბატონყმური ურთიერთობის მარეგულირებელი სასამართლო ხელისუფლების სისუსტით თავგასული, კლასობრივ ავაზაკად ქცეული მებატონეც აჩანაგებდა. ასეთ პირობებში კი, რა გასაკვირია, თუ მას შრომის ხალისიც ჩაუკვდა და თავმოყვარეობაც (პიროვნულიც და კლასობრივიც) დაეთრგუნა.

სოციალურ ძალთა ასეთი დინამიკა, რასაკვირველია, ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკურ წყობაზეც აისახებოდა; და რაკი უდიდეს მოსაბრუნს ქართული საზოგადეობის ევოლუციაში XII საუკუნის ბოლოს ჰქონდა ადგილი, ჩვენი ძიებისთვისაც მაშინდელი ქართული სახელმწიფოს ტიპოლოგიური რაობის გამორკვევა გვეჩვენება უპრიანად.

[161] ფუკუიამა, *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი,* 209.

თავი II

XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული სახელმწიფო

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში სოციალური ევოლუციის ციკლი დასრულდა. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ იმდროინდელ ქართულ სახელმწიფოს შეზღუდული მონარქიის კვალიფიკაცია ესადაგებოდა.[162] სხვები (პროფესორები შ. მესხია, ი. ანთელავა) ამ აზრს არ იზიარებენ;[163] მათი მტკიცებით, თამარის დროინდელი სამეფო თვითმპყრობელური მონაქრიის სახელს უფრო მოიხდენს. პირველწყაროების მოწმობებმა და მკვლევართა შეხედულებების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ სიმართლე ივანე ჯავახიშვილის მხარესაა, თუმცა შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის სახელისუფლო სისტემა უნაშთოდ მოაქციო ამა თუ იმ საკლასიფიკაციო სტერეოტიპის ფარგლებში; თამარ მეფის დროინდელ ქართულ სახელმწიფოს *შეზღუდული მონარქიის* კვალიფიკაციაც მოერგება, *ოლიგარქიაც* და *თიმოკრატიაც,* - აქცენტებს გააჩნია. ქართულ საზოგადოებაში მაშინ მომხდარი კოლიზიების მიუხედავად, მეფე თამარმა ყველა პოლიტიკური ძალის ერთ რუსხმულში მოქცევა და ელიტური ჯგუფების თანხმობის ("ერთნებობის") მიღწევა მოახერხა. მისი საშინაო პოლიტიკა დიდებულთა, აზნაურთა, სასულიერო და ვაჭარ-ხელოსანთა წოდებების "სუვერენიტეტის აქტის" გამოვლინებად უნდა შეფასდეს.

"მაინც რა არის თავად სუვერენიტეტის აქტი? ეს არ გახლავთ რანგით ზემდგომის შეთანხმება მისდამი დაქვემდებარებულ პირთან; ესაა მთელის თანხმობა თითოეულ მის წევრთან; იგი კანონიერი შეთანხმებაა, ვინაიდან საზოგადოებრივ ხელშეკრულებას ეფუძნება; სწორია - ვინაიდან ყველას ეხება; სასარგებლოა - ვინაიდან მისი საგანი მხოლოდ და მხოლოდ საერთო კეთილდღეობაა."[164]

---

[162] ივანე ჯავახიშვილი, "ქართული სამართლის ისტორია", წიგნი I. *თხზულებანი 12 ტომად. ტ. 6.* ტომის რედაქტორი ისიდორე დოლიძე (თბილისი: თსუ, 1984), 140.

[163] შოთა მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში* (თბილისი: თსუ, 1979), 11.

ილია ანთელავა, *XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები* (თბილისი: განათლება 1980), 112-129.

[164] ჟან ჟაკ რუსო, *საზოგადოებრივი ხელშეკრულება,* ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, (თბილისი: 1997), 35-36.

მეფის ხელი ჟამთასვლაში

XII საუკუნის დამდეგისთვის "საქვეყნოდ გამრიგე" (ნიშნავს - ადგილობრივ მმართველს)[165] ერისთავებმა, თავიანთი საგამგებლო ტერიტორიები საშვილიშვილოდ დაიმკვიდრეს (ანუ მამულად[166] აქციეს) და მებატონეებად ჩამოყალიბდნენ.[167] პროვინციებში გახელმწიფებულ მემამულეებს დაგლეხებულ-დაყმევებულ მიწისმოქმედთა მორჩილებაში საყოლად ყველანაირი - სამხედრო-ადმინისტრაციული, თუ ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტები უკვე გამართული ჰქონდათ და ქვემდებარე სტრატასთან ჭიდილში აღარც კლასობრივი თანამოძმის თანადგომა ჭირდებოდათ და აღარც მეფის ხელის შეშველება, მით უფრო, რომ მეფე და სამეფო კარი დიდი ხანი იყო, რაც კლასობრივ თანამოძმეს აღარ ჰგავდა, - *მეფე პრინციპულად განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემას, საჯარო ხელისუფალს, ანუ სახელმწიფოს ასახიერებდა.* ქართული ტერმინი "სახელმწიფო" ხელმწიფისგან (ესე იგი მეფისაგან) არის წარმომდგარი[168] და იმას მოწმობს, რომ პატრიარქალური ოჯახის და გვარის თანდათანობით გაფართოვების გზით, ერთი მხრივ, "მამა-სახლისების" და "მამა-უფლების" ძალაუფლება მყარდებოდა,[169] ხოლო, მეორე მხრივ (მას მერე, რაც მეფის, მამა-უფლის ხელი მწიფდებოდა, ანუ ხელისუფლება ფართოვდებოდა და მეფე "ხელმწიფის" რანგს აღწევდა), ამ საძალაუფლებო სისტემის მეტამორფოზა ხდებოდა და სახელმწიფო იძერწებოდა.[170] ასეთი ხელმწიფე და მეფეთ-მეფე[171] სხვა მცირე მეუფეების (მეფეების) უფლება-მოვალეობებს არეგულირებდა და ცალკეული საგამგებლო ქვეყნების (პროვინციების) გარეგადამწვდომი ერთიანი ინსტიტუტის პრეტენზიით გამოდიოდა.[172] მეფე გასაქანს უმოკლებდა მასთან ყმობაში ნებაყოფლობით შესული ფეოდალი ყმების რეგიონალურ მეფეებად ქცევის და გახელმწიფების წადილს და ფულადი

---

[165] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* 261.

[166] "მამული" "მამეულიდან" მოდის და *მემკვიდრეობით* მიღებული ყველანაირი ქონიების, უპირველესად კი - მიწის მფლობელობას აღნიშნავდა - იხ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტირია, წიგნი *II,* 271; 281-282.

[167] ბერძენიშვილი, *საქ. ისტ. საკითხები VI,* 149.

[168] ჯავახიშვილი, "ქართული სამართლის ისტორია" წიგნი II, *თხზულებანი 12 ტომად. ტ. 7.* ტომის რედაქტორი ისიდორე დოლიძე, (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984), 144-145.

[169] მამულია, *პატრონყმობა,* 66-67.

[170] ibid., 132-133.

[171] ibid., 6.

[172] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია,* წიგნი II, 162-179.

ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, სამეფო მოხელედ, ანუ დაქირავებულ მსახურებად მათ გარდაქმნას ლამობდა.[173] ამიტომ, ბატონყმობამდეც, ანუ პატრონყმობის ფაზაშივე, და, მით უფრო, მერეც - ხელმწიფის და, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი წინააღმდეგობა ფეოდალთა აღზევებული კლასისთვის მოუშორებელ, თანშობილ სოციალურ ინსტინქტს წარმოადგენდა:

"თავი და თავი ის არის, რომ მეფობა... ფეოდალური წესრიგის შიგნით არსებობდა, მაგრამ მისი შემადგენელი არ ყოფილა,"[174]

"ასევე ეკლესიაც ფეოდალური წესრიგის შიგნით იყო, მაგრამ - არა ამ წესრიგის შემადგენელი."[175]

"მეფობის მსგავსად, ეკლესია წინ უსწრებდა ფეოდალიზმს... ორივე მათგანი ანტისხეულს წარმოადგენდა, მაგრამ, რა უცნაურიც არ უნდა გვეჩვენოს, სწორედ ფეოდალურმა წესრიგმა მოიყვანა ისინი სიმბიოზში."[176]

ხელმწიფე (სახელმწიფო) მუდამ იმის ცდაში იყო, მომავალი მემამულე ცენტრალური ხელისუფლების, ანუ სამეფო კარის *მოხელედ* ექცია, მაგრამ დროთა განმავლობაში აშკარა ხდებოდა, რომ ყმობაში შესული ყოფილი მამასახლისები და მისთანები სახელმწიფო მოხელეებად კი არ ყალიბდებოდნენ, არამედ ცდილობდნენ მეფის მირ მინიჭებული ყველა უფლება და თანამდებობა საკუთარ საგამგებლო მხარეში გახელმწიფებისთვის გამოეყენებინათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარჩინებულები არა ჩინოსნებად - არამედ მემამულეებად ყალიბდებოდნენ და სამეფო სახლიც ცენტრალური აპარატის მოხელეებად უკვე გადიდკაცებული და გადიდგვაროვნებული ხელქვეითების სანაცვლოდ, წვრილაზნაურების დაწინაურებას ("წარჩინებას") შეეცადა.[177]

"საქართველოს გაერთიანებამ სამეფო კარი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფოკუსად აქცია. ამის შემდეგ ფეოდალური საზოგადოების ესა თუ ის ფენა აქ ეძებდა საკუთარი კლასობრივ–წოდებრივი ინტერესების უზრუნველყოფას... დიდი აზნაურები ხშირად შეერთებული ძალით გამოდიან და ცდილობენ თავს მოახვიონ

---

[173] ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI*, 64.

[174] "The essential point is that the kingship was ... in the feudal order but not of it." - S, R. Finer, *ed. The History of Government*, volume 2, The intermediate ages (Oxford University Press, 1999), 884.

[175] "The Church too was in the feudal order, but not of it" - ibid., 888.

[176] "Like the kingship, the Church anteceded feudalism... Both of them were antibodies but strangely, as we have seen, it was the feudal arrangement which brought them into a symbiosis" - ibid., 893.

[177] ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI*, 73.

მეფეს ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც მათი სოციალურ–პოლიტიკური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფდა."[178]

და იქვე:

"მომავალში უნდა გარკვეულიყო ხელმწიფის ვაზირი [ანუ ცენტრალური მოხელე, მინისტრი ა.ჯ.] გააქრობდა ერისთავთერისთავს [ანუ გახელმწიფების გზაზე მდგარ ადგილობრივ მმართველს ა.ჯ.], თუ ვაზირ–ერისთავთერისთავი გახელმწიფდებოდა და შინაარს გამოცლილი ვაზირობა მას გარეგნულ სამკაულადღა შერჩებოდა."[179]

ეს ვითარება ქართული ზეპური საზოგადოების მენტალურ გაორებას იწვევდა. XII საუკუნის 80-90-იანი წლებში მეფესა და დიდაზნაურებს შორის დაპირისპირებამ საქმე წარმომადგენლობითი საკრებულოს დაარსებამდე მიიყვანა. დიდგვაროვნებმა - და ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით - თვითმპყრობელი მეფის უფლებები შეკვეცეს.

პატრონ-ყმობის სტადიაზე დიდგვაროვნები ხელმწიფეს იმიტომ და იმდენად ეწინააღმდეგებოდნენ, რატომაც და რამდენადაც მეფე მათი ხელისუფლების ლეგიტიმურობის წყაროს პრეტენზიით გამოდიოდა; მეფის ხელის ჩაურთველად მათი უფლება (და ეს ერთნაირად ეხებოდა, როგორც მათ სამართლებრივ, ისე სამეურნეო და სამხედრო უფლებამოსილებებს) საცილობელი ხდებოდა.[180] ამიტომ, მოგვიანებით - როცა მათ თავისი მაინც გაიტანეს და რეგიონებში გაბატონდნენ - ცენტრალური ხელისუფლების საკუთარ სამსახურში ჩაყენებაც განიზრახეს; ადრე პირიქით იყო, – საქვეყნოდ გამრიგე, გასამხედროვებული მოხელეები სახელმწიფოს (ხელმწიფის) სამსახურში იდგნენ; ბატონყმობის გამარჯვებით სამხედრო-პოლიტიკური ელიტის სახელმწიფოსთან მიმართება შებრუნდა. XII საუკუნეის 80-90-იანი წლების საქართველოს შიდაპოლიტიკური კრიზისი ამ მრავალსაუკუნოვანი სოციო-ეკონომიკური ტრენდის დასკვნით ფაზას წარმოადგენდა. დიდგვარიანმა მაგნატებმა, მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილება მოთოკეს და წოდებრივი ინტერესი დაიკმაყოფილეს.[181]

---

[178] ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 64.

[179] ibid., 90.

[180] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 174.

[181] "ცენტრალურმა ხელისუფლებამ XII საუკუნის სიგრძეზე და განსაკუთრებით ამ საუკუნის დასასრულს მაღალ ფეოდალებთან ბრძოლაში სერიოზული მარცხი განიცადა: მცხეთის საკათალიკოსომ თავის საქონებელთა დაკარგული შეუვალობა აღიდგინა, ხოლო დიდებულებმა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში 'თანადგომისა და ერთნებობის' უფლება მოიპოვეს, რითაც

თვითმპყრობელობის სიძნელეები

დავით აღმაშენებლმა (1089-1125) სამი სახელმწიფო წარმონაქმნი: სამეფო, ეკლესია და რესპუბლიკური წყობის თბილისი - ერთ სისტემურ მთლიანობად შეაკავშირა და თვითმპყრობელი მონარქის უზენაეს ნებას დაუქვემდებარა. მისი ისტორიკოსის შეფასებით:

"დავითი 'მესიის ხმალია' მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და ამდენად მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა. არსად აქამდე ქართულ საისტორიო მწერლობაში მეფის ხელისუფლება, მეფის უფლება, მეფის მოქმედება და მისი პიროვნება არ ყოფილა ღვთაებამდე ატანილი,"[182]

მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია დიდაზნაურებისთვის მეფე საძალაუფლებო ბრძოლაში შეევიწროვებინათ:

"მეფის ხელისუფლება დავითის შემდეგაც ღვთისმიერი იყო, მაგრამ 'ღმრთისა-სწორნი' ჩქარა დიდი აზნაურებიც შეიქმნენ ... XII საუკუნის მიწურულს დიდი აზნაურები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მეფე თავის 'წურილი ერით', 'წურილი აზნაურებით', მოლაშქრე-მოსაკარგავეებით."[183]

თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის (1056-1184) ხანაში დიდგვარიანთა ელიტამ მორიგი აჯანყება მოაწყო მეფის თვითმპყრობელი[184] უფლების შესაკვეცად (1177 წ.). აჯანყების მეთაური ივანე ორბელი მეფეს ამირსპასალარის თანამდებობაზე ჰყავდა "დამტკიცებული". სომეხი ისტორიკოსის, ვარდან დიდის ცნობით, თავის დროზე, გიორგი III-მ მისივე უფროსი ძმა, დავითი - სწორედ ივანე ორბელის ხელით ჩამოიცილა გზიდან,[185] რის მერეც (და რის გამოც) გიორგი მეფემ ივანე ორბელი

მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის წარმატება თავიანთთვის უზრუნველჰყვეს." - ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორია XII-XIII სს* (ტფილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1937), 285. http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/68378 (28. 05. 2018).

[182] ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VII* (თბილისი: მეცნიერება, 1975), 29.

[183] ibid., 30.

[184] თვითმპყრობელის ცნებაში, აქ მეფის შეუზღუდავი ძალაუფლებაა ნაგულისხმევი.

[185] "Царь иверийский, Деметрё, после тридцати двухлетнего управления скончался. Сын его, Давид, человек умный и расположенный к добру, принял его корону: он освободил Тиркаша, заключенного в темницу его отцем, и назначил его военачальником; сам же умер через месяц. Некоторые говорят, что он погиб от измены Сембата и Иване Орбелиановых за назначение на их место Тиркаша; и что они заранее условились в этом с Георгом, братом Давида, который обещал им назначить их военачальниками. В 605 — 1156 году Георгий наследовал корону своего брата.

[ივერიელი მეფე, დემეტრე, ოცდათორმეტწლიანი მმართველობის მერე გარდაიცვალა. მისმა ძემ, დავითმა, გონიერმა და ქველმოქმედმა, გვირგვინი იმემკვიდრა: მამამისის დაპატიმრებული თირქაში გამოუშვა საპყრობილედან და ამირსპასალარად დაადგინა; ერთი თვის თავზე კი სული

გარდაცვლილი (სავარაუდოდ, მოკლული) ძმის, დავითის მემკვიდრის - დემნა უფლისწულის "აღმზრდელად" (სინამდვილეში მეთვალყურედ) დანიშნა.[186] ამის მიუხედავად, ორბელი ახლა გიორგი მეფეს გადაუდგა, ხოლო დემნა უფლისწული საკუთარი გადაწყვეტილების "კანონიერების" სამტკიცად გამოიყენა. 1177 წლის აჯანყება იმდენად ტახტისთვის მებრძოლი უფლისწულის მოწყობილი არ ჩანს, რამდენადაც - დიდგვარიანების, რასაც ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრიდან დემნა უფლისწულის გამოქცევაც ადასტურებს: "დემეტრე გარდამომბმელი საბლისა, გარდამოხდა ციხისგან და მომართა თავისავე ბიძასა."[187] მონაწილეთა მრავალრიცხოვნება[188] აჯანყების ღრმა სოციალურ მაპირობებელზე მიუთითებდა, მაგრამ მეფემ მაინც აჯობა შეთქმულებს, დასაჯა ისინი არსებული სამართლის ნორმების გამოყენებით და, რასაკვირველია, დაკავებული თანამდებობებიც ჩამოართვა; ეგ არის ოღონდ, მეფის გამარჯვება სრული არ ყოფილა; მეამბოხეები ეკლესიიდანაც უტევდნენ. აქ მათ წარმატება ხვდათ.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103 წ.) მერე დაკარგული მართვის სადავეები მემამულურმა არისტოკრატიამ ჯერ კიდევ 1177 წლის აჯანყებამდე დაიბრუნა, ახლა კი - ვიდრე მეფე მეამბოხეებთან შეიარაღებულ კონფლიქტში იყო ჩაბმული - "შეკრბეს ყოველნი... მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარნი და ყოველი მეუდაბნოვენი"[189] და დაადგინეს მეფისთვის "ბეგარისგან გათავისუფლება" ეთხოვათ. "გიორგი III-ეს არ შეეძლო ეკლესიაც

განუტევა. ზოგი ამბობს სუმბათ და ივანე ორბელიანებმა დაღუპეს ღალატით, მათ ადგილას თირქაშის დანიშვნის გამოო; და რომ ისინი წინასწარ გაურიგდნენ გიორგის, დავითის ძმას, ვინც სპასალარობას დაჰპირდათო]." - Вардан Великий, *Всеобщая история*, пер. Н. Эмина, (М. 1861), 627. http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm

[186] "ივანე ორბელმა დავით-გიორგის ბრძოლაში გიორგის მხარე დაიჭირა, რის საფასურადაც ამირსპასალარობა მიიღო. დემნა უფლისწულს ივანე ზრდიდა და... შესაძლებელია, თავდაპირველად ეს გიორგისა და ივანეს შეთანხმების შედეგად მოხდა, დემნას გაუვნებლობის მიზნით."- მარიამ ლორთქიფანიძე, "საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3* (თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1979), 291.

[187] უცნობი მემატიანე, *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი,* ძველი ქართლის ცხოვრება, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა (თბილისი: ნიკე, 1996), 317.

[188] "მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ ... ყოველნი ორბელნი მათი 'მოკიდებულ-მიმდგომითურთ': ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაჩოსძისა, ქართლის ერისთავი სუბმატ ლიპარიტის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, მხარგრძელი, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან კაენის პატრონი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე და სხვანი" - ლორთქიფანიძე, *საქართველოს საგარე და სასინაპოლიტიკური ვითარება,* 292.

[189] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II* , 110.

მოემდურებინა."[190] მეფემ ეკლესიას საგადასახადო შეუვალობა - მანამდე რომ თვითონ მოუსპო - ისევ აღუდგინა.

მთელი ეს ვნებათაღელვა თამარის თანამოსაყდრედ დასმას უკავშირდებოდა. დიდგვარიანებს სურდათ დაესწროთ და თამარის გამეფება (თანამოსაყდრეობა) არ დაეშვათ; უფლისწულის თანამოსაყდრედ დასმას - საერო-სამხედრო ელიტის დასტურის გარდა, საეკლესიო კურთხევაც სჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ ქალის მეფობა საერთოდაც იშვიათი მოვლენა იყო. კურთხევის, ანუ დასტურის მიცემის საფასურად ეკლესიამ - სადაც წამყვან პოზიციებზე უკვე ისევ დიდგვარიანი არისტოკრატია მოკალათბულიყო - მეფეს საგადასახადო შეუვალობა დაათმობინა, მაგრამ ეს არ იყო უმთავრესი. უფრო მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ მანამდე მცხეთის კათალიკოსის ტახტი "მეფეთა სოციალური პოლიტიკის დემოკრატიული მიმართულების მომხრეთა ნაწილის წარმომადგენელს... განთქმულ მწერალს და ფილოსოფოსს"[191] *ნიკოლოზ გულაბერისძეს* ეკუთვნოდა, ახლა კი გულაბერისძე "სიმდაბლისა ძლითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან"[192] და ტახტი დიდგვარიანი ოპოზიციის წარმომადგენელმა - *მიქაელ მირიანისძემ* დაიკავა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მომხდარი ცვლილების მიზეზი ნიკოლოზ გულაბერისძის "სიმდაბლე" არ ყოფილა. დიდგვარიანი არისტოკრატია მეფეს ეკლესიაზე გავლენის ბერკეტს ეცილებოდა. მეფე ეკლესიაში დამარცხდა, საერო ხელისუფლებს კი (იმავე დიდებულებს) - გაუწყრა, აღმასრულებელი სახელოები ჩამოართვა და სასახლის ერთგულ აზნაურებს დაუნაწილა.

აღმასრულებელ თანამდებობებზე დანიშვნები მეფემ - როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე - ამჯერადაც, სავარაუდოდ, "დარბაისელთა" ანუ სამეფო დარბაზის წევრთა "თანადგომით და ერთნებობით" განახორციელა; "დარბაისელთა" ყველაზე გავლენიანი ნაწილი დიდგვარიანი იყო, მაგრამ მათი "თანადგომა", საზოგადოდ, პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის მიხედვით იძენდა რეალურ შინაარსს. მოცემულ შემთხვევაში, დარბაზის წევრთა "თანადგომა" ბრძოლის ველზე გამარჯვებული მეფის ნებისადმი მორჩილებას გამოხატავდა. აღმასრულებელ

---

[190] Ibid., 110.

[191] ibid., 112.

[192] ბასილი ეზოსმოძღვარი, "ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", *ძველი ქართლის ცხოვრება* - გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა (თბილისი: ნიკე, 1996) 385.

ხელისუფლებაში გატარებული ცვლილებებით, ამჯერად, მეფის თვითმპყრობელობა ზეიმობდა.

მაშ, 1177 წელს სამეფო სახლის ოპოზიცია მხოლოდ ნაწილობრივ დამარცხდა: დიდგვარიანებმა უზენაესი აღმასრულებელი სახელოები დაკარგეს, მაგრამ ეკლესიაში განიმტკიცეს პოზიციები. მეფის ხელისუფლების შესაბოჭად ბრძოლამ ახალ ფაზაში გადაინაცვლა.

მალე, 1184 წელს, გიორგი III მოულოდნელად გარდაიცვალა და ვნებათაღელვაც განახლდა. თამარი, რომელიც აქამდე მხოლოდ თანამოსაყდრედ ითვლებოდა, უკვე სრულუფლებიანი მეფე უნდა გამხდარიყო. ეკლესიამ, როგორც ვნახეთ, თამარის თანამოსაყდრედ დასმაზეც კი არ მისცა გიორგი მეფეს უპირობო თანხმობა, ახლა ხომ - მით უმეტეს: ეკლესიამ თანხმობა უაღრესად არასასურველი დათმობის ფასად გამოიმეტა:

მეფის ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციური საყრდენი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის (იგივე პრემიერ მინისტრის) სახელო იყო. ჭყონდიდელის ხელი ყველა მინისტრის საქმიანობას წვდებოდა და მთელ აღმასრულებელ განშტოებას აკონტროლებდა:

"ყველა მასალის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი და ვაზირთა უპირველესი საქართველოს სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი იყო და თვით მეფეც კი მის დაუკითხავად არ მოქმედებდა."[193]

სამეფო სახლის ოპოზიციამ - რომელიც, ეკლესიასთან შეთანხმებით მოქმედებდა, სწორედ ჭყონდიდელის თანამდებობა ამოიღო მიზანში.

"ისტორიანი და აზმანიდან" ჩანს, რომ გიორგი III-ის გარდაცვალების მომენტში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო ჯერაც "მეფის ხელშინაურ

---

[193] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი I*, 274.

საკუთრივ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი - სახელმწიფოს მრავალფუნქციური თანამეთაური იყო. თუ მის თანამდებობას თანამედროვე შესატყვისებს მივუსადაგებთ, ის ერთდროულად იყო: პრემიერ მინისტრი (სავეზიროს, "უპირველესი ვეზირი" და "სამეფოს და მეფის პირადი ქონების გამგებელი"; უზენაესი მოსამართლე ("მართლმსაჯული", "დაჯდებოდა საჯო კარსა შიგან"); ეკლესიიის მეთაური - პატრიარქთან ერთად; სახელმწიფო კანცელარიის უფროსი ("თავს ადგა" - წაიკითხე "სათავეში ედგა" - "პატრონის მსახურებათა", ანუ სამეფო მოხელეების სამსახურს და "სამეფო სახლის განგება" ევალებოდა); სამხედრო შტაბის უფროსი (ლაშქრის წვევის წიგნების დაგზავნა, ანუ მობილიზაციაზე პასუხისმგებლობა); მთავარსარდალი (ებარა "სამეფო სპა" და ჯარს ბრძოლის ველზე მიჰყვებოდა); "კონტროლის პალატის" თავმჯდომარე ("საჭურჭლეშიც შევა..."); მეფის უპირველესი მრჩეველი ("განმზრახი").

მოხელეს" *ანტონ გნოლისთავისძეს* სჭერია. მეფის ცხედრის დასატირებლად გეგუთის სასახლეში მისულმა თამარმა და მამიდა რუსუდანმა

"მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიარქი, ყოველთა ებისკოპოზითურთ მდგომი და *ვაზირი ანტონი* და ამირსპასალარი ყუბასარ და სხუანი ხელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი..."[194]

შექმნილ ვითარებაში კათალიკოსმა მიქაელმა

"წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოივერაგა უფლისაგან."[195]

მიქაელ პატრიარქმა ჭყონდიდელ-მწიგნობარის სახელო მოიგდო ხელში!

"მიქაელ კათალიკოზს ასეთი არაჩვეულებრივი დაჯილდოვება სამეფო სახლობისათვის გაწეული რაიმე განსაკუთრებული ღვაწლისათვის უნდა ჰქონოდა მიღებული ... მიქაელ კათალიკოზს ეს ჯილდო იმისათვის შეიძლება ჰქონდეს მიღებული, რომ მან თამარის გამეფების უფლების საცილობლად ქცეული საკითხის მშიდობიანად და თამარის სასარგებლოდ გადაწყვეტას ხელი შეუწყო."[196]

ასე რომ, თამარის გამეფებაზე თანხმობა სამეფო სახლის ოპოზიციამ მხოლოდ *კონსტიტუციური შინაარსის ცვლილების შედეგად გამოიმეტა.*

სამეფო სახლის მხრიდან პრემიერ მინისტრის სახელოს არ დათმობას ისევ ქვეყნის აშლა და შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვებოდა. სამეფო კარი კომპრომისზე წავიდა და გარკვეული ყოყმანის მერე[197] თამარმა დათმო.

ივანე ჯავახიშვილმა მომხდარი ცვლილება თეოკრატიის დამყარებად შეაფასა:

"მიქაელ კათალიკოზის ზრახვისა და გეგმის პოლიტიკური მნიშვნელობა ცხადია: მისი და, უეჭველია, მის მომხრეთა მიზანი სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც იყო. ვითარცა საქართველოს ეკლესიის კათოლიკოზ-პატრიარქი,

---

[194] უცნობი მემატიანე, 321.

[195] ბასილი ეზოსმოძღვარი, 386.

"უფალში" ამ შემთხვევაში, რუსუდან დედოფალი იგულისხმება. "უფლისგან", ე.ი. ქვეყნის უზენაეს პირისგან. "ხოლო შემყრელთა შვიდთავე ამის სამეფოსა მეთქუ-მეტყუთა ჰკადრეს და მოახსენეს დედოფალსა რუსუდანს: დღეს შენა სჩან მშობელთა ამათთა ნაცვლად" - თამარის უცნობი მემატიანე, 322.

[196] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II*, 114.

[197] ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს მიქაელისთვის გადაცემას თამარი, როგორც ჩანს, არ თანხმდებოდა, მაგრამ "მსმენელი ჰაჯისა, *ძალითა სამე დამორჩილ იქნმა"* - თამარის უცნობი მემატიანე, 322 (ხაზგასმა ჩვენია).

იგი ქართული ეკლესიის მესაჭე იყო, - ვაზირთა-უპირველესობისა და მწიგნობართ-უხუცესობის მიღებით მას საერო, სახელმწფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც ჰსურდა. ხოლო, რათგან ქართული სახელმწიფოს სამართლის ძალით მწიგნობართ-უხუცესი მეფის "მამად" იყო მიჩნეული და მის დაუკითხავად მეფეს არაფერი არ უნდა გაეკეთებინა, ამიტომ *მიქაელს ამიერითგან თვით მეფეზეც-კი მეტი ძალა და ხელისუფლება ექმნებოდა.* მეფეს საეკლესიო საქმეებში უშუალოდ ჩარევის უფლება არ ჰქონდა და ხელი არ მიუწვდებოდა, მიქაელი-კი ორსავე, საერო-სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების მქონებელი და გამაერთიანებელი იყო.

რამდენადაც მიქაელი უპირველესად კათალიკოზი იყო, ეს გარემოება სახელმწიფოსა და საერო ცხოვრებაში აუცილებლად ეკლესიის გაბატონებას მოასწავებდა. ეს საისტორიო მეცნიერებაში წოდებულს ცეზაროპაპიზმს უდრიდა და რომის ეკლესიის უფლებრივ შემეცნებას მიემსგავსება."[198]

საფიქრალია, რომ მიქაელის თეოკრატია თავდაპირველად მხოლოდ სამართლებრივი ფაქტის სახით დაფიქსირდებოდა, პოლიტიკურ ძალთა შესატყვისი გადანაწილება კი - თანდათან მოხდებოდა. ჯერ-ჯერობით მაინც არასაეკლესიო, საერო საკითხებში მეფეს - მისსავე ვაზირთან ფორმალურ-სამართლებრივი თანასწორობის მიუხედავად - მეტი შესაძლებლობები გააჩნდა, მაგრამ მიქაელი დიდგვარიან ოპოზიციასთან შეთანხმებით მოქმედებდა, - ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცისის სახელოს ის სხვაგვარად ვერ "მოივერაგებდა". აშკარაა, რომ მეფე თამარი საერო-სამხედრო და სასულიერო ოპოზიციის ერთიან ფრონტს შეეჯახა. ბასილი ეზოსმოძღვრის მოწმობითაც, მიქაელმა ჭყონდიდელობა "მოძმაცვითა ვიეთმე მეფისა განმზრახთათა" მისტაცა ანტონის. "მოძმაცვა" - მზაკვრობად და ღონეობად განიმარტება,[199] ხოლო "მეფის განმზრახები" - მრჩევლებია. რაკი "განმზრახები" მზაკვრობდნენ, შეთქმულების მონაწილეები ყოფილან, შეთქმულებს კი წოდებრივი ინტერესი ამოძრავებდათ.

შესანიშნავია, რომ ყველაფრის მიუხედავად, სამართლებრივი გადაწყვეტილებების ძალა და გავლენა დიდი ჩანს მაშინდელ საქართველოში. ყველა მხარე კანონიერების ფარგლებში მოქმედებას ცდილობდა: ტახტის მემკვიდრის სამეფო კურთხევა ეკლესიის მიერ, სავალდებულო სამართლებრივი ნორმა იყო. მისი

---

[198] ი. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, მეორე წიგნი*, 115.

[199] ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი - 2008.

დარღვევა მეფემ ვერ გაბედა; აჯანყებული დიდგვაროვნებიც ლეგიტიმური არგუმენტის საფუძველზე დავობდნენ, - დემნა უფლისწული, მათი მტკიცებით, ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო. ამ - მართალია, სადავო, მაგრამ მაინც - სამართლებრივი არგუმენტის გარეშე, მათ არამცთუ წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდათ - მობილიზებასაც კი ვერ შეძლებდნენ. *იმდროინდელ პოლიტიკურ ორომტრიალზე დაკვირვება ათვალსაჩინოებს, რომ უმწვავესი პოლიტიკური ჭიდილის მიუხედავად, ფორმალობების დაცვას, ანუ კანონიერების პატივისცემას — და ყველა ეპიზოდი ამას მოწმობს — გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა!!!*

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დანიშვნა მეფის და მისი დარბაზის (და არა საეკლესიო კრების) დისკრეციას განეკუთვნებოდა.[200] ამის გამო, თეორიულად შესაძლებელი იყო, თამარს - მეფედ კურთხევის მერე - ამ ფორმალური უფლებით ესარგებლა და ჭყონდიდელის თანამდებობაზე ისევ ანტონი აღედგინა; მაგრამ ძალთა რეალური თანაფარდობის გათვალისწინებით, მიქაელის გადაყენება არც პირდაპირი ბრძანების ფორმით ივარგებდა და აღარც დარბაზის გავლით მოხერხდებოდა; მეფეს რომ მიქაელის ბრძანებით გადაყენება შეძლებოდა, ჭყონდიდელის სახელოს "მოვერაგება" მცხეთის კათალიკოსის მხრიდან, აზრს დაკარგავდა. საქმეც ის იყო, რომ მომხდარი ცვლილების თვითმპყრობელური წესით გაბათილება მეფეს - დიდგვარიანი არისტოკრატიის პოზიციების განმტკიცების და თეოკრატიული მმართველობის (თუნდაც ფორმალურად) დამყარების მერე - უკვე აღარ შეეძლო და თამარმაც საქმეს შორიდან მოუარა; მან ჯერ ეკლესიში (სადაც, რა ხანია, სამეფო სახლი მარცხს მარცხზე განიცდიდა) სცადა მიქაელის პოზიციების მორყევა; საგანგებოდ მომზადებულ საეკლესიო

"კრების ხელმძღვანელად იმდროინდელი კათალიკოზის, მიქაელის მაგიერ, მისი წინამოადგილე და მოწინააღმდეგე ნიკოლოზ გულაბერისძე დაინიშნა. ... ყველასთვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ საეკლესიო კრება კათალიკოზ-მწიგნობართ-უხუცესის საწინააღმდეგოდ იყო მოწყობილი."[201]

---

[200] არათუ მწიგნობართუხუცესის, ძლიერი თვითმპყრობელი მეფის პირობებში თვით კათალიკოსის "შერჩევაც", ფაქტიურად კი დანიშვნა, მეფის მიერ ხდებოდა ხოლმე. მართალია, დავით ბატონიშვილი თავის "საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვაში" საზოგადო ვითარებას აღწერს, მაგრამ მისი ჩვენება მაინც ნიშანდობლიავია: "Глава III # 46. Каталикос избирается царем" - Д. Багратиони, *Обозрение Грузии по части прав и законоведения* (Тбилиси, Издательство академии наук, 1959), 228.

[201] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II*, 116-117).

მიქაელ კათალიკოსი ბრალდებულის როლში ელოდა კრების განაჩენს. თამარი პირდაპირ მიუთითებდა დამსწრეებს: "გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი."[202] ბრალდების დადასტურების შემთხვევაში მიქაელი კათალიკოსობას დაემშვიდობებოდა და, როგორც საეკლესიო წესების შემშლელი, ვეღარც ჭყონდიდის კათედრას შეინარჩუნებდა და რაკი მეფის ვეზირი (მწიგნობართუხუცესი) აუცილებლად ჭყონდიდის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო, მიქაელი მწიგნობართუხუცესის თანამდებობასაც დაჰკარგავდა. კრებას მიქაელი არც კი დაასწრეს:

"წინამძღვართა კრებისათა ნიკოლაოს და ანტონი, ... არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან. არამედ ვერცა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად იღუაწეს."[203]

მიქაელი ვერ განაყენეს!

ერთხელაც:

მიქაელმა პირველ ჯერზე (1177 წელს, თამარის თანამოსაყდრეობაზე დასტურის საფასურად) *პატრიარქობა,* მეორე ჯერზე კი (1184 წელს, თამარის მეფედ კურთხევაზე დასტურის საფასურად) *ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა* "მოივერაგა". ამით სამეფო სახლის დიდგვარიანმა ოპოზიციამ - რომელთა რიგებსაც, მიქაელიც ეკუთვნოდა[204] - წოდებრივ-კლასობრივი ინტერესებისთვის ბრძოლაში ორი უზენაესი სახელო - ეკლესიის საჭე და პრემიერ მინისტრის თანამდებობა მოიგდო ხელში. *ასეთ პირობებში პროფესორ შ. მესხიას მტკიცება,*[205] *რომ მეფემ თვითმპყრობელობა*[206] *შეინარჩუნა - ნაძალადევად გამოიყურება; მეფის ძალაუფლება შეიზღუდა.*

---

[202] ბასილი ეზოსმოძღვარი, 385.

[203] ბასილი ეზოსმოძღვარი, 387.

[204] "პატივმოყვარე მიქაელმა, *დიდგვარიან მირიანისძეთა შვილმა*, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მოსტაცა მეფის უერთგულეს პირს, ანტონ გნოლისთავისძეს." ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 75.

[205] შოთა მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში* (თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979). 63-70.

[206] თუ თვითმპყრობელობის შინაარსად მხოლოდ "დაუმონებელ თავისუფლებას", ანუ მეფეზე უზენაესი ინსტანციის არარსებობას არ მივიჩნევთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ლაპარაკი მეფის შეუზღუდავ ხელისუფლებაზეა.

მიქაელის "განყენების" წარუმატებელმა მცდელობამ ვითარება უკიდურესად გაამწვავა. ძალთა მრავალწახნაგა კონფიგურაციას ერთი საყურადღებო ქიმიც გააჩნდა: ეკლესიის და მიქაელის გაძლიერება არა მარტო მეფეს, სამხედრო-საერო ელიტასაც უქმნიდა თავსატეხს. სამეფო სახლის ოპოზიციამ მეფის ხელი ეკლესიის მეშვეობით კი წარმატებით დაასუსტა, მაგრამ ახლა კათალიკოსი მიქაელი ექცა თავისტკივილად; მას თეოკრატიის (ეკლესიოკრატიის) არა მხოლოდ ფორმალური უფლება, არამედ ხორცშესხმის ნებაც გააჩნდა; ამ პოტენციალის რეალიზება აღარ შედიოდა დიდებულების ინტერესში. მიქაელი დიდებულებს მეფის ხელისუფლების შესაზღუდად სჭირდებოდათ, თორემ, - ნახეთ:

"მოკუდა ქართლისა კათალიკოზი, ჭყონდიდელი, მწიგნობართ-უხუცესი... მირიანის ძე მიქაელ, ... არავინ შეწუხნა მისთუის არცა დიდი, არცა მცირე, რამეთუ *ყოველნი სძულობდეს"*[207] (ხაზგასმა ჩვენია ა. ჯ.).

ამ სიძულვილის მიზეზი მიქაელის ძალაუფლებისმოყვარეობა გახლდათ. დიდებულები ვერავის უფლებამოსილების მეტისმეტ გაფართოებას ვერ იგუებდნენ. მათთვის ერთნაირად მიუღებელი იყო, როგორც მეფის - საერო ხელისუფლის - ისე სასულიერო მეუფის წრეგადასული ძლიერება. თავიანთი უფლებრივი პრივილეგიების გაფართოების მიზნით დიდგვარიანებმა ისევ მეფეს შეუტიეს:

"დიდებულთა ვიეთმე ხელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: აღარ ვეგებით ძუელთა ხელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანს ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასულ ვართ უგუაროთა და უხმართაგან."[208]

"საქართველოში ეს პირველი წოდებრივი გაფიცვა იყო პოლიტიკურ უფლებათა, ან უპირატესობის მოსაპოვებალდ"[209]. "გვარიანი და მსახურეული სახლების" შვილები მოითხოვდნენ მხოლოდ მათი წრის წარმომადგენლებს სჭეროდათ აღმასრულებელი სახელოები: "საქართველოს მეფეს ხელისუფლება უნდა შეჰზღუდვოდა: მას თავის სურვილისამებრ მოხელეთა ამორჩევა და დანიშნა არ

[207] ბასილი ეზოსმოძღვარი, 388.
[208] უცნობი მემატიანე, 324.
[209] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია II,* 120.

შეეძლო. ამიერითგან უმაღლესი მოხელეობა უეჭველად დიდებულ აზნაურთა გვარის შვილებს უნდა რგებოდა."[210]

განსხვავებულად აფასებს მოვლენებს პროფესორი ილია ანთელავა; გაფიცვა - მისი აზრით - არ ყოფილა დაბალი სოციალური წრის ადამიანების დაწინაურების წანააღმდეგ მიმართული მოძრაობა:

" 'ისტორია და აზმანი შარავანდეთთანი' არაფერს გვეუბნება 'უგვარო' მოხელეების რაიმე არაჩვეულებრივ როლზე ქართულ მონარქიაში."[211]

მსახურთუხუცესი აფრიდონი, რომლის გადაყენებაც ოპოზიციამ მეფეს მოსთხოვა, დიახ "უგვაროა", მაგრამ ამირსპასალარ ყუბასარზე ამას ვერ ვიტყვით:

"ტერმინ 'უგვაროს' უშენიშვნოდ გავრცელება ყუბასარზე არ შეიძლება. ამისათვის მყარი საფუძველი არ არსებობს. ასევე არ შეგვიძლია 'უხმართაგან' გავავრცელოთ ჩვენ აფრიდონზე. აფრიდონი 'უგვაროა', ხოლო ყუბასარი 'უხმარია', გამოუსადეგარი. იგი 'უხმარობის' გამო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ამიტომ მოითხოვენ მის გადაყენებას. ცხადია, ამირსპასალარის და მანდატურთუხუცესის 'ხელის' ვაკანსია მეტად მიმზიდველია დიდებულებისთვის."[212]

საქმეც სწორედ ამ მიმზიდველობაშია; ამ მიმზიდველობის გამო სარგებლობდნენ გაფიცულები ფართო მხარდაჭერით, თორემ მცირერიცხოვანი ხელისუფლები ("დიდებულთა *ვიეთმე* ხელისუფალთა ყვეს ფიცი") კლასობრივი თანამოძმეების მხარდაჭერის გარეშე, ვერც კი გაიფიცებოდნენ; ეს გაფიცვა იმ გაუნელებელი შეტევითი სტრატეგიის ნაწილი იყო, რაც დიდგვარიანებმა სამეფო სახლის წინააღმდეგ მიმართეს. ამასვე ადასტურებს, ის, რომ ზოგიერთი ხელისუფლის ამ გაფიცვას მალე ბევრად მასშტაბური გამოსვლა მოჰყვა; მოძრაობას სათავეში მეფის მეჭურჭლეთუხუცესი ჩაუდგა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ...

დიდგვარიანებმა, ამ გაფიცვით, წოდებრივი ინტერესი დაიკმაყოფილეს: ამიერიდან - ორბელთა აჯანყების შემდგომი ვითარებისგან განსხვავებით - *ხელმწიფის კარის მოხელეებად მხოლოდ დიდგვარიანები დაინიშნებიან,* ოღონდ სამეფო სახლისადმი ლოიალობის ნიშნით.

---

[210] ibid., 121.

[211] ანთლავა, *XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები,* 197.

[212]ibid., 197.

ვითარების დასარეგულირებლად თამარმა მაშინ ოსტატური სვლები გააკეთა. თავდაპირველად მეფე გაფიცულთა მოთხოვნებს დაჰყვა: თანამდებობიდან გადააყენა, "უგვაროები" და ვითარება განმუხტა, შემდეგი ნაბიჯის გადადგმა კი დაახანა და აღმასრულებელი სახელოები ვაკანტური დატოვა! გაფიცულებმა "დიდებისათვის ("დიდება" თანამდებობას ნიშნავს - ა.ჯ.) ურთიერთს დაუწყეს ზიდვა."[213] სახელოების დიდგვარიანებისადმი კუთვნილებას მეფე თანხმდებოდა, მაგრამ თანამდებობების პერსონალური განაწილება სამეფო სახლისადმი ლოიალობის ნიშნით გადაწყდა. შეთანხმება ჯერ საზოგადო წესსზე მოხდა: მეფე პრინციპულად თანახმა იყო აღმასრულებელი სახელოები დიდგვარიანებისთვის დაეთმო - არა "უგვაროთა და უხმართათვის"; ცალკეული კანდიდატის "გამორჩევა" კი, თავისთავად ცხადია, *ტახტისადმი ერთგულების ნიშნით მოახდინა;* მეფის ამ შესაძლებლობას ოპოზიცია ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გააბათილებდა. წოდებრივი ინტერესის მიუხედავად, მეფის ხელისუფლებისადმი ლოიალობა თანამდებობაზე დამტკიცებულ ნებისმიერ დიდგვარიანს მართებდა: სახელოს მფლობელ დიდგვარიანს მისივე "თანამოძმეები" შურით უმზერდნენ, - სახელო, როგორც ითქვა, მიმზიდველი იყო და სხვებსაც სურდა; სწორედ ამიტომ, მოქმედ მინისტრებს მოპოვებული პოზიციის შესანარჩუნებლად მეფის კეთილგანწყობა სჭირდებოდათ. სამეფო სახლის ოპოზიცია მეფის ამ უპირატესობას ძალაუნებურად შეეგუა და საქმეც ორმხრივი კომპრომისით მოგვარდა: დიდგვარიანებმა წოდებრივი პრივილეგია მიიღეს, მეფე კი აღმასრულებელ სახელოებს ლოიალობის ნიშნით გასცემდა.

1184 წელს მომხდარი ცვლილების შედეგად, მაშასადამე, მეფის თვითმპყრობელობა შეიზღუდა:

"საქართველოს ხელმწიფეთა 'თვითმპყრობელობა და ღვთისნებითობა' უფრო მეფეების და მთავრობის მომხრეთა დასის იდეალი და მისწრაფება იყო, ვიდრე სახელმწიფო ცხოვრების უტყუარი მოვლენა."[214]

სხვა საკითხია, რომ სამეფო სახლს სამეფო უფლების შეუზღუდავი გამოყენების სურვილი და მიდრეკილება გააჩნდა:

"თამარ მეფეც კი, რომლიც მამის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ მაშინ ავიდა სამეფო ტახტზე, როცა შეკრებილმა დიდებულებმა ბჭობის შემდეგ

---

[213] უცნობი მემატიანე, 325.

[214] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 98.

შესაძლებლად სცნეს მისი გამეფება, ისიც კი მაინც გაიძახოდა, რომ სამეფო ტახტი 'მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერმე მშობლეთა ჩემთაგან'აო" [215]

და ეს იმ ვითარებაში, როცა

"მარტო თვითონ მეფეს საქართველოში არას დროს ახალი კანონი არ დაუდვია, არამედ ყოველთვის დარბაზის ერთა თანამშრომლობითა და განჩინებით. ... საქართველოს მეფე სამართლის წიგნს, ანუ კანონებს მარტო თვითონ კი არ ადგენდა და მხოლოდ თავის სახელით კი არ აცხადებდა, არამედ დარბაზის, ან საკანონმდებლო კრების 'თანადგომითა და თანაზრახვითა', 'ერთბამად'. " [216]

"კარავისელთა" გამოსვლა

აღმასრულებელი თანამდებობების ვაკანტურად დატოვებით, მეფე გაფიცულებს კომპრომისისკენ მოუწოდებდა, მაგრამ დიდგვარიანები მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ და შეტევა გააძლიერეს. სამეფო სახლის ოპოზიციას ამჯერად სათავეში ვაჭარ-ხელოსნების თავკაცი, ყუთლუ-არსლანი ჩაუდგა:

"და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან ... მომღებელმან წესსა რასმე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: 'დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი'. "[217]

ყუთლუ-არსლანს, ვინც "საქალაქო წრეებთან დაკავშირებული იყო არა მარტო თავისი თანამდებობით, არამედ აგრეთვე წარმოშობითაც,"[218] მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ეჭირა სამეფო კარზე; საფინანსო საქმეებს, მეფე, საზოგადოდ, ვაჭარ-ხელოსნური წოდების თავკაცებს ანდობდა ხოლმე: ყუთლუ-არსლანის მერეც ამ თანამდებობას მალე ისევ "მკვიდრთა ტფილისისასა შინა თავადი,"[219] აბულასან იობის ძე დაიჭერს. მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ვაჭარ-ხელოსნების თავკაცებისთვის გადაცემას ფინანსურ-ეკონომიკური საჭიროების გარდა პოლიტიკური დატვირთვაც

[215] ibid., 151.

[216] ibid., 169.

[217] უცნობი მემატიანე, 325.

[218] შოთა მესხია, "საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში", *საისტორიო ძიებანი I* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 282.

[219] უცნობი მემატიანე, 328.

გააჩნდა: მიწისმფლობელ მაგნატებთან ხანგრძლივ ბრძოლაში ჩაბმულ მეფეს ვაჭარ-ხელოსანთა წოდების მოკავშირეობა სჭირდებოდა და მათ თავკაცებს თავისკენ იბირებდა, მაგრამ ახლა, შექმნილ ვითარებაში, მოქალაქეებმა ოპოზიციის მხარეს გადასვლა ამჯობინეს. მათი არჩევანი არც გასაკვირია; თბილისის თავკაცები დამოუკიდებლობის ძიებაში მუდამ მიწისმფლობელ მაგნატებს, მეფე-მთავრებს და წინააზიის სულთნებს შორის ლავირებდნენ. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ყუთლუ-არსლანი დიდგვარიანებს 1184 წლის გაფიცვისთანავე გარიგებია:

"ყუთლუ-არსლანი გაფიცულ დიდგვარიან აზნაურ-მოხელეებს ყუბასარ-აფრიდონივით დასამხობად ნიშანში არ ამოუღიათ. იგი, როგორც ჩანს, მათთვის მაშინ იმდენად საძულველი არ ყოფილა და ჭიაბერივით მასაც თავისი თავი დიდგვარიან აზნაურთა მრისხანებისაგან უზრუნველუყვია."[220]

სწორედ ამ გარიგების საფასურში აღუთქვეს, ჩვენი აზრით, დიდგვარიანებმა ყუთლუ-არსლანს ამირსპასალარის სახელო; წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია, რის იმედად იქნებოდა იგი "ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილისა ლორეს დაჯდომად განმზადებელი;"[221] თუმცა, ცხადია, ვაჭარ-ხელოსნების უმთავრესი მამოძრავებელი მოტივი ამირსპასალარის სახელო არ იყო: მათ, დიდგვარიანების კვალდაკვალ, მეფის ხელისუფლების შეზღუდვა და ახალი საძალაუფლებო სისტემის დამკვიდრება სურდათ. ინიციატივა, ამჯერად, მათი იყო; მემატიანე ყუთლუ-არსლანს აკი თანაშეფიცულთა მეთაურად ასახელებს:[222] "მოიღონა ხელთგდება *თავისა მის მოქმედთასა.*"[223]

---

[220] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II,* 126.

[221] უცნობი მემატიანე, 325.

[222] პროფესორ ანთელავას გ. მელიქიშვლის კვალობაზე (გიორგი მელიქიშვილი, "ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი") - ყუთლუ-არსლანი საერთოდაც დიდგვარიანად ჰყავს წარმოდგენილი; დიდგვარიანად მიაჩნია მას აბულასანიც და ამ მოსაზრების დასასაბუთებლად წებელდაში წმინდა ანდრიას ეკლესიას აბულასანის საგვარეულო ეკლესიად წარმოგვიდგენს, რაც აბსოლუტურად უდავო ფაქტიც რომ იყოს, მაინც ვერ გააბათილებს "ისტორიანი და აზმანის" პირდაპირ ჩვენებას აბულასანზე, როგორც ტფილელ მოქალაქეთა თავკაცზე: "გამოვიდა ვინმე ჩვენდა მეტყველი, მკვიდრთა ტფილისისათა შინა თავადი და მეფეთ-მეფისაგან წყალობახელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისასა, სახელით აბულასან." - უცნობი მემატიანე, 328.

ტფილელ ვაჭრად იხსენიებს აბულასანს ვახუშტიც: "წარმოუდგათ კაცი ვაჭარი ტფილელი მეტყველი: 'მე საქმრო უწყი შესატყვისი თამარისა.' " - ვახუშტი, *აღწერა,* [173].

დიდგვარიანად მიიჩნევს ყუთლუ-არსლანს შ. ბადრიძეც: "ის ფაქტი, რომ 1184 წელს, თავიანთი პირველი გაფიცვის დროს, დიდგვარიანი ოპოზიციონერები ... არსად არ მოითხოვდნენ ყუთლუ-არსლანის გადაყენებას, უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი არ იყო უგვარო და ამიტომაც ოპოზიციონერები არ აყენებდნენ მისი მოხსნის საკითხს... ის რომ მართლა უგვარო ყოფილიყო,

ოპოზიციის თავკაცი თამარმა დააპატიმრა; შეთქმულები ომით დაიმუქრნენ:

"შეიყარნეს და უკუადგეს თამარსა, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშვებულებისა და არა მიშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადნეს ისანისაცა შემობმად."[224]

ეს - "დაადგინეს ახალი სიმტკიცე" საყურადღებოა: " 'სიმტკიცე' ანუ 'სიმტკიცის წიგნი' საბუთთა ერთი ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინი იყო."[225] ეს დოკუმენტი ("წიგნი") სახელმწიფოს ახლებურად მოწყობის, ანუ კონსტიტუციური ცვლილებების გეგმად უნდა მივიჩნიოთ. კარავისელთა მოთხოვნა, რომ პირველ რიგში სახელმწიფო მოწყობას ეხებოდა და არა "საკადრო დანიშვნებს" - იქედანაც ჩანს, რომ "აზმანის" როიალისტმა ავტორმა ოპოზიციონერთა ულტიმატუმი ისე გაიგო, როგორც "დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი,"[226] ანუ სამეფო ხელისუფლების ფაქტიური გაუქმება.

"დიდ-გვარიან აზნაურთა გაფიცვა ბოლოს და ბოლოს სამოხელეო ასპარეზზე მხოლოდ წოდებრივი უპირატესობის გასაბატონებლად იყო მოწყობილი, მეფის ხელისუფლებას სხვაფრივ ის არ შეჰხებია. მეჭურჭლეთ-უხუცესის დასის გეგმა-კი პირიქით, სწორედ მეფის მთელ ხელისუფლებას ეხებოდა."[227]

ატმოსფერო იმდენად ნერვიული იყო, მოლაპარაკებები - სამეფო სახლსა და გაფიცულებს შორის - არა პირისპირ, არამედ შუამავლების დახმარებით იმართებოდა; "ორთა საპატიოთა დედოფალთა" ელჩობა - სამძივართა დედის, კრავაი ჯაყელის და ქართლის ერისთავთ-ერისთავის, რატის დედის, ხუაშაქი ცოქალის სახით - არ იყო მხოლოდ დაკავებული თავკაცის გამოშვების და ვითარების განმუხტვის მიზნით გამართული შეხვედრა. საქმე სახელმწიფოს ახლებურ მოწყობას

წარმოუდგენელი იქნებოდა ამირსპასალარობაზე ფიქრი." - შ. ბადრიძე. "საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10-20-იან წლებში" *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 306.

წარმოუდგენელი რატომ იქნებოდა? სამხედრო და საპოლიციო უწყებების თავკაცობა სულაც არ იყო უპრეცედენტო მოვლენა მოქალაქეთა თავკაცების, ანუ "ტფილელი ბერებისთვის"; " 'ქალაქის ბერთა' ხელქვეითნი ჩანან აგრეთვე 'ქალაქის ცხენოსანნი' ანუ ქალაქის მცველთა რაზმი. აღსანიშნავია, რომ თბილისის ჩასაბარებალად წამოსულ ბაგრატ IV-ს 'ტფილელ ბერთა' მოწოდებითა და მათთან ეთად, დიღმის ველთან სწორედ 'დარბაზის ყმანი და ცხენოსანნი ' შეეგებნენენ." - მესხია, *საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში,* 231.

[223] უცნობი მემატიანე, 325.

[224] Ibid.,, 325.

[225] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II,* 127.

[226] უცნობი მემატიანე, 325.

[227] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II,* 130.

ეხებოდა. მიღწეული შეთანხმების შედეგად ვითარება განიმუხტა და - *"კუალად დაჯდა* ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა".[228] ეს - "კუალად დაჯდა" მიანიშნებს, რომ სამხედრო-სამოქალაქო ელიტა მეფის ტახტზე ჯდომას ლეგიტიმურად აღარ მიიჩნევდა, მაგრამ მხარეები შეთანხმდნენ: ჯერ მეფემ დათმო: მოქალაქეებმა და დიდებულებმა "აღიღეს ფიცი პატრონისაგან", მერე კი - "მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნებისმყოფლობისა მათისა".[229]

მეფე კარვის (იგივე კარის, სასახლის), როგორც ცალკე შენობის და ცალკე დაწესებულების დადგმას არ დათანხმდა და წარმომადგენლობითი საკრებულო სამეფო დარბაზის გაფართოების გზით ჩამოყალიბდა; სამეფო კარს, დარბაზს ფუნქცია გაუფართოვდა და *მართვის კოლეგიალურ ორგანოდ გადაიქცა.*

კოლეგიალური მმართველობა უპრეცედენტო შემთხვევა როდი იყო ქართულ სინამდვილეში: გიორგი ათონელის მიერ ათონის ქართულ მონასტერში დამკვიდრებული მართვის მოდელი, მოგვიანებით მთელ სამონასტრო სისტემაზე რომ გავრცელდა, უზენაეს განმკარგულებელ ორგანოდ სავანის ძმათა კრებას გულისხმობდა; კოლეგიალური იყო

"მონასტრების საქონებელთ მმართველობაც. ორგანიზაციულ საქმეებს მონასტრებში 'ძმობის' მიერ არჩეული მამასახლისი აწესრიგებს 'თანადგომით და ერთნებებითა ყოველთა ძმათაითა', ე.ი. მონაზვნების თანხმობა-მონაწილეობით."[230]

ასევე კოლეგიალური იყო "საკათალიკოსი საქონებელთა" მმართველობაც.

"მცხეთის სამამულო-ორგანიზაციულ საქმეებს კათალიკოზი 'ყოველთა მცხეთისშვლითა' [საეკლესიო უმაღლეს ყმა აზნაურ-მოხელეთა ჯგუფი] 'თანადგომით და ერთნებობით' აწესრიგებს".[231]

არსებობდა თბილისის, როგორც ქალაქ-რესპუბლიკის, არჩევითობაზე დამყარებული მმართველობა და არჩეული საკრებულოს (ბერების საბჭოს) როტაციის წესით განახლების გამოცდილებაც.[232]

კარავისელთა[233] გამოსვლის შედეგად, მაშასადამე, ქვეყნის პოლიტიკურმა სისტემამ კიდევ ერთი ცვლილება განიცადა და დარბაისლები, რომელთა ნაწილიც

---

[228] უცნობი მემატიანე, 326.

[229] Ibid., 326.

[230] ნიკო ბერძენიშვილი, "საქართველოს ისტორია მე-13-14 სს", *შრომები, ტომი VI* (თბილისი: მეცნიერება, 1973), 288.

[231] ibid., 287.

[232] მესხია, *საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში,* 249-251.

აღმასრულებელ სახელოებსაც ფლობდა - უზენაესი უფლებით აღიჭურვნენ.[234]

მიღწეულით კმაყოფილი ოპოზიცია, თავის მხრივ, დათმობაზე წავიდა და პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე მეფეს *ანტონ გნოლისთავისძე* აღადგენინა. "აზმანის" ავტორი სწორედ ქალთა მისიის მერე ჩამოთვლის ცენტრალურ თუ რეგიონალურ თანამდებობებზე დანიშვნულ პირებს და *არც ქვეყნის სოციალურ ევოლუციაში და პოლიტიკურ მოწყობაში მომხდარი ძირეული ცვლილების აღნიშნვა ავიწყდება: "გახელმწიფდნეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა"*.[235] "დიდებულნი" თანამდებობზე დანიშნულებს ნიშნავს, ხოლო "გახელმწიფება" უზენაესი უფლებამოსილების და, მაშასადამე, "მეფობის თანაზიარობის"[236] აღმნიშვნელია. მაშინდელი ქართული სახელმწიფო, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, არა მონარქის სამფლობელოდ, არამედ *"ერის" სამშობლოდ* მიიჩნეოდა: "ერში" იმხანად მეფის გარდა ე. წ. "მკვიდრნი სამეფოსანი" შედიოდნენ, იგივე - "თავადნი სამეფოსანი".

მომხდარი ცვლილების შედეგად ვაჭარ-ხელოსანთა წოდების წარმომადგენლებმა (იგივე მოქალაქეებმა) უზენაესი პოლიტიკური უფლებები დაიბრუნეს, რაც მათ XI საუკუნის 80 წლებიდან მოყოლებული ვიდრე 1122 წლამდე გააჩნდათ,[237] თუმცა ამ უფლებებს ისინი ახლა უკვე ექსკლუზიურად ვეღარ ფლობდნენ და დარბაზის სხვა წევრებთან იყოფდნენ. ამას გარდა, თუ ადრე მართვის

---

[233] ყუთლუ-არსლანის დასს ასეთნაირად ნ. ბერძენიშვილი იხსენიებს. - ნ. ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები* VI (თბილისი: მეცნიერება, 1965), 79.

[234] პროფესორი ილია ანთელავა შოთა მესხიაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ეს მთლად ასე არ მომხდარა და დარბაისელთა "მეფობის თანაზიარობა" მხოლოდ ზოგიერთებს - "სავსებით კონკრეტულ პიროვნებებს მიემართება ... "ერთნებობა და თანადგომა", ისევე როგორც "მეფობის თანაზიარობა" ბატონი ანთელავას აზრით - "საერთო წესი იყო სახელმწიფოს მართვისა" (ანთლავა, *XI-XV საუკუნეების საქართველოს ... საკითხები,* 122). თუ "ერთნებობა-თანადგომა" თამარის ხანაში არ შემოღებულა, მაშინ გამოდის, კარავისელთა გამოსვლის მერე ეს ძველი ტერმინები ახალი შინაარსით დატვირთულა: "ერთნებობა" ადრე მეფის ერთპიროვნული ნების და დარბაზის წევრთა სათათბირო ხმის უფლების გამოხმატველი იყო; თამარის ეპოქაში კი - მას მერე, რაც დიდებულებმა მეფე შეავიწროვეს - ტერმინებში იმთავითვე მოაზრებული კოლეგიალური უფლება რეალიზდა; ეს იმ სოციო-ეკონომიკური პროცესით იყო გამოწვეული, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. სოციო-ეკონომიკური ევოლუციის შედეგები ქვეყნის სამართლებრივ და პოლიტიკურ მოწყობაში აისახა.

[235] უცნობი მემატიანე, 327.

[236] "როგორც თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის სიტყვებიდან ირკვევა, ის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც მაშინ საქართველოში დამყარდა, მიჩნეული იყო 'მეფობის თანაზიარობად' და 'დიდებულნიც' თურმე ითვლებოდნენ 'თანაზიარად მეფისა'." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია მეორე წიგნი,* 138.

[237] "1122 წ. დამდეგი, თბილისის აღების წელი, ეს არსებითად არის "ტფილელ ბერთა", ქალაქის უხუცესთა დამოუკიდებელი მმართველობის, თბილისის როგორც ქალაქი-კომუნის დაცემის წელი. აქამდე კი, ალ-ფარაკის სიტყვით, 40 წლის მანძილზე, ... ქალაქში "ტფილელ ბერთა"... მმართველობა განუყოფლად სუფევდა." - მესხია, *საქალაქო კომუნა,* 227.

სადავეები მათ მხოლოდ ქალაქების (თბილისის, შესაძლოა - ანისის და დმანისის) ფარგლებში გააჩნდათ, ახლა მათი უფლებები მთელი ქვეყნის ფარგლებში გაფართოვდა და მთელ ქართულ საზოგადოებას გადასწვდა.

არსებული პოლიტიკური სისტემის ასეთი გაგება, რაც ივ. ჯავახიშვილის მიგნებაა, ჩვენ სავსებით მართებულად გვეჩვენება, თუმცა დიდი მეცნიერი ერთგვარ წინააღმდეგობაში მაინც ვარდება, როცა მიქაელ კათალიკოსის მიერ პაპოცეზარისტული თეოკრატიის შენარჩუნებას *80-იანი წლების ბოლომდე, მიქაელის გარდაცვლებამდე ვარაუდობს.* ეს მოსაზრება "აზმანით" არ დასტურდება. ივ, ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში თამარის მეორე ისტორიკოსს, ბასილი ეზოსმოძღვარს ეყრდნობა, სადაც მიქაელ მირიანისძის გარდაცვალების შესახებ ცნობა დავით სოსლანის ტახტზე ასვლის (1187-1188 წლებში) პასაჟს მოსდევს, მირიანისძე კი გარდაცვალებისას ჭყონდიდელად არის მოხსენიებული.[238] "აზმანის" ჩვენება სხვაგვარია: "აზმანის" მიხედვით, მეფემ მიქაელი 1185 წელს "კარავისელებთან" მიღწეული შეთანხმების მერე გადააყენა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობიდან და ანტონი (გნოლისთავისძე) აღადგინა; სწორედ ამ შეთანხმების მერე დაამტკიცა, როგორც აღვნიშნეთ, თამარმა მოხელეები უზენაეს აღმასრულებელ თანამდებობებზე, მანამდე კი ეს ადგილები ვაკანტური რჩებოდა. ბასილი ეზოსმოძღვარი ამ დანიშვნების შესახებაც მიქაელის გარდაცვალების (1187-1188 წწ) უწყების მერე საუბრობს; მეტიც - ეზოსმოძღვარი დანიშვნების შესახებ სულაც დასავლეთ საქართველოს დიდებულთა აჯანყების ჩაცხრომის უწყების მერე გვესაუბრება, აჯანყებას კი 1191 წელს ჰქონდა ადგილი. განა ეს იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი სახელოები 1191 წლამდე დარჩებოდა ვაკანტური? დანიშვნები (და მიქაელ მირიანის ძის გადაყენებაც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხეცესის თანამდებობიდან) 1185 წელს განხორციელდა, რასაც "ისტორიანი და აზმანი" სწორად გვაუწყებს, - ხოლო მიქაელის გარდაცვალებისას (1187-1188) მისი ჭყონდიდელად მოხსენიება ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ, მიქაელის ოდინდელი ჭყონდიდელობის აღნიშვნაა და სხვა არაფერი. მიქაელი, მაშასადამე, სიცოცხლის ბოლომდე ვერ დარჩა ჭყონდიდელის თანამდებობაზე და პაპოცეზარისტული თეოკრატიაც მალევე (1185 წელს) დამთავრდა. *1185 წელს მეფემ*

[238] ბასილი ეზოსმოძღვარი, 388.

მიქაელის ჭყონდიდელის პოზიციიდან გადაყენება დიდგვარიანებთან და მოქალაქეებთან იმ პრინციპული შეთანხმების ფარგლებში მოახერხა, რაც კარავისელების გამოსვლის მერე მიიღწა; ჭყონდიდელ-მწიგნობარის უფლებებში მეფემ *ანტონი 1185 წელს აღადგინა:*

„პირველად გარდაცვალებასა [ლაპარაკი თამარის მამის, გიორგი III-ს გარდაცვალებაზეა - ა.ჯ.] და გამორჩევასა შინა ორთა - ვაზირთა და სპასპეტთა, თანადგომითა და ერთნებობითა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდელად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი, გაზრდილივე მამისა მათისა ... და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი... და უბოძა ლორე ... და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა..."[239]

"გახელმწიფდნეს დიდებულნი"

ანტონ გნოლისთავისძის მალევე აღდგენას ადასტურებს პროფესორი შ. მესხიაც,[240] თუმცა კი ჯავახიშვილის თვალსაზრისს, შეზღუდული მონარქიის შესახებ, არ იზიარებს; მისი აზრით, მეფე თამარი თვითმპყრობელ მონარქად დარჩა. თავის არგუმენტაციას პროფესორი იმ გარემოებაზე აყრდნობს, რომ კარავისელთა გამოსვლის მერე, მეფემ ვაკანტურ თანამდებობებზე კვლავაც მისთვის სასურველი პირები დანიშნა. ეხება რა ახლახან მოყვანილ ციტატს "აზმანიდან"[241] იგი წერს:

"მხოლოდ ანტონის ვაზირად დანიშვნასთან დაკავშირებით აქვს ნახმარი 'გამორჩევა' და 'ბრძანა დამტკიცებად', ხოლო ყველა სხვა მოხელის დანიშვნისას - 'განაჩინა', 'უბოძა', 'კუალად უბოძა' და სხვა მსგავსი. ... ანტონის ვაზირად დანიშვნა მართლაც მოითხოვდა 'გამორჩევას', ხოლო შემდეგ ამ 'გამორჩეულის' მეფის 'ბრძანებით დამტკიცებას', სხვა მოხელთა დანიშნვისას კი მეფე თვით მოქმედებდა და თვით ნიშნავდა პირს ამ თუ იმ თანამდებობაზე".[242]

ამ ინტერპრეტაციას მოყვანილი ციტატის ერთი ნიუანსი ხდის საკამათოდ. წინადადების წყობა ისეთია, რომ "თანადგომა და ერთნებობა" არა მხოლოდ ვაზირის "დამტკიცებას" მიემართება: "თანადგომითა და ერთნებობითა ბრძანა დამტკიცებად...

---

[239] უცნობი მემატიანე, 326.

[240] "მან ეს თანამდებობა ხელახლა მიიღო თამარის გამეფების პირველსავე წელს." - მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში,* 41.

[241] უცნობი მემატიანე გვ. 326.

[242] შ. მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა,* 68.

ვაზირად ანტონი", - არამდედ მომდევნო "განჩინებასაც": "და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი". სავსებით შესაძლებელია ამ წინადადების აზრი ისე გავიგოთ, რომ მეფემ ვაზირის და სპასპეტის გარდა სხვა დიდებულებიც "თანადგომით და ერთნებობითა ... განაჩინა". ვაზირს და სპასპეტს, "გამორჩევაც" მიემართება და "თანადგომა-ერთნებობაც", დანარჩენებს მხოლოდ - "თანადგომა და ერთნებობა": "გამორჩევასა შინა ორთა - ვაზირთა და სპასპეტთა, თანადგომითა და ერთნებობითა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდელად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი ... და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი და უბოძა ლორე ... და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა."

ასეც რომ არ იყოს და "თანადგომა და ერთნებობა" მხოლოდ მეფის ვაზირის, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დანიშვნით შემოვფარგლოთ, დიდგვარიანთა და დარბაისელთა არსებით როლს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაში ეს მაინც ვერ გააბათილებს: ჭყონდიდელ-მწიგნობარს, "პრემირ მინისტრს", ვისაც მეფის ტოლი უფლება ჰქონდა, თამარი აკი დიდგვარიანებთან გამორჩევით და მათი თანხმობით ნიშნავს. თუ ამჯერად მეფეს დიდებულებმა დაუთმეს და მისთვის სასურველი მოხელე დაამტკიცებინეს თანამდებობაზე, ეს იმ კომპრომისის სანაცვლოდ, რომ თამარმა აღმასრულებელ სახელოებზე დიდგვარიანთა წოდებრივი პრივილეგია აღიარა. ოპოზიციამ მიიღო მეფის თანხმობა უზენაეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში წოდებრივი ცენზის შემოღებაზე, - მეფემ "უგვაროები" და "უხმარები" გადააყენა! თავის მხრივ, თამარმაც მიიღო დიდგვარიანთა დასტური მიქაელ მირიანისძის გადაყენებაზე და ანტონ გნოლისთავისძის დაბრუნებაზე (მით უფრო, რომ მიქაელი დიდგვარიანებისთვისაც თავისტკივილად იქცა: მისი პატივმოყვარეობის გადამკიდე მიქაელ მირიანისძეს "ყოველნი სძულობდეს"), დარბაზს კი ფუნქცია შეეცვალა და გადაწყვეტილების კოლეგიალური ორგანო გახდა. წყარო პირდაპირ მიუთითებს, რომ პრემიერ მინისტრის დანიშვნაზე მეფე გადაწყვეტილებას დარბაისლებთან ერთობლივად იღებდა: ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დამტკიცება "ერთნებობით" მოხდა ("თანადგომითა და ერთნებობითა ბრძანა დამტკიცებად"), რაც ნიშნავს, რომ დამტკიცება დარბაზობაზე მომხდარა და ანტონის კანდიდატურა კენჭისყრაზე მდგარა; "ერთნებობა", აკი ერთხმად მიღებას ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილი ტერმინსაც "გამორჩევა" კენჭისყრით არჩეულად განმარტავს:

"მაშინდელ საქართველოში 'თანადგომა' მონაწილეობას, 'ერთნებაობა' კი ერთხმივობას აღნიშნავდა, ხოლო 'გამორჩევა' სამონასტრო-რესპუბლიკურ წესწყობილებაში არჩევანის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. მაშასადამე, ვაზირები საქართველოს ყველა დიდებულთა მონაწილეობით ერთხმივ არჩეული ყოფილან."[243]

ასე რომ, პროფესორ მესხიას დასკვნა: "ამრიგად, ... სავსებით გამორიცხულია დიდებულთა მონაწილეობა ახალ მოხელეთა დანიშვნის დროს,"[244] საკითხის ფორმალური მხარის მიღმა არსებული ვითარების სრული უგულებელყოფის საფუძველზეა გაკეთებული, თუმცა ფორმალური პირობებიც - არა მეფის, არამედ მისი ოპოზიციის სასარგებლოდ ჩანს შეცვლილი: თუ ადრე ვაზირს, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს - მეფე ნებისმიერად ნიშნავდა, ახლა კარავისელთა გამოსვლის მერე, ვითარება შეცვლილა: მეფეს დიდგვარიანების თანხმობა ("გამორჩევა და ერთნებობა") დასჭირვებია. ამ მოსაზრებას ბასილი ეზოსმოძღვარიც ადასტურებს: "ესე მოიყვანეს... ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი სამთავისი, კისისხევი, მწიგნობართუხუცესობა."[245] რატომ ლაპარაკობს მემატიანე მრავლობითში ("ესე დასუეს ვაზირად")? - თამარი ამ დროს უქმროა და ამ გადაწყვეტილების თანამონაწილედ მისი მეუღლე და თანამოსაყდრე არ იგულისხმება. მაშინ ვინ? ისინი, ვისთან "ერთნებობითაც" და "გამორჩევითაც" მოხდა ამჯერად ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დანიშვნა, ანუ - დარბაისლები, - ტყუილად როდი ითვლებოდნენ ისინი "თანაზიარ მეფობისა".[246]

პროფესორი მესხია კი მიიჩნევს, რომ აზმანის "თანადგომა და ერთნებობა" - "სხვა არაფერია, თუ არა ზოგადი ფრაზა დიდებულთა მხარდაჭერისა, მათ მიერ სამეფო ხელისუფლების ბრძანებათა და გადაწყვეტილებათა ერთსულოვნად, უყოყმანოდ მიღებისა"[247] და დიდებულები მეფის ხელისუფლების მოზიარედ არ უნდა მივიჩნიოთ:

---

[243] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია მეორე წიგნი,* 138.

[244] მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა,* 68.

[245] ბასილი ეზოსმოძღვარი, 389.

[246] კიდევ უფრო პირდაპირია მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების ჩვენება: "თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა გააჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი (ქართ. ცხ., 410). ... ერთი სიტყვით, ამირსპასალარის დანიშვნა დიდებულთა განსაგებელი საქმე იყო, ხოლო თამარ მეფეს სრულ უყვია დიდებულთა განსაგებელი." - ივ. ჯავახიშვილი, *ქართელი ერის ისტორია ხუთ ტომად.* ტომი 5. (თბილისი: პალიტრა L. 2012), 169.

[247] მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება,* 69.

" ხელოვნურად გვეჩვენება მკვლევარების მიერ თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი გამონათქვამის 'თანაზიარ მეფობისა მათისა' - გამოცხადება მეფესა და დიდებულთა შორის ხელისუფლების განაწილების მოწმობად."[248]

მეფე თამარმა გულუხვად შეიწყალა დიდებულები და

"ასე 'აღმატებით შეწყალებულნი' თითქოს მეფის ხელისუფლების მოზიარენიც ('თანაზიარ მეფობისა') კი იყვნენ და რაღა ჰქონდათ ასაჯანყებელიო, წერს გაოცებული ისტორიკოსი. ასე რომ, ისტორიკოსს აჯანყების მონაწილეთა ასეთი დახასიათება საგანგებოდ მათი მოქმედების გაუმართლებლობის დასამტკიცებლად აქვს ხაზგასმული და არა თამარის საშინაო პოლიტიკის დასახასიათებლად."[249]

ნუთუ?

მეფის მიერ დიდებულების "შეწყალება" ამ კონტექსტში თანამდებობაზე დანიშნული პირის მატერიალურ უზრუნველყოფას, თავისებურ "სარგოს" აღნიშნავდა; თანამდებობის პირი "წყალობას" ჯამაგირის სანაცვლოდ იღებდა, - მიწას, ქვეყანას, ციხე-ქალაქს. ადრე, თვითმპყრობელური მონარქიის სიძლიერის ხანაში (დავით აღმაშენებელი, გიორგი III), მეფე "შეწყალებას", "საკარგავს" ამჯობინებდა. საკარგავი - როგორც ეს თვითონ პროფესორმა მესხიამ გაარკვია,

" XI-XIII სს. ქართულში ... ნიშნავდა, როგორც სამოხელეოდ, საგამგეოდ, სამართავად გაცემულ გარკვეულ ტერიტორიას, ქალაქს და მისთანებს, - ასევე სარგოს, ფულად გასამრჯელოს",[250]

ხოლო " 'ნაწყალობევი მამული' მემკვიდრეობითი მფლობელობაა,"[251] რის გამოც დავით აღმაშენებელი მემამულე აზნაურებს (ერისთავებს) - მოსაკარგავე აზნაურებს, ანუ გასამრჯელოზე დამოკიდებულ და მეფის ხელის შემყურე მოხელეებს უპირისპირებდა.

"დიდაზნაურთა, 'მემამულე აზნაურთა' გამარჯვებამ, განსაკუთრებით თამარის დროიდან, მოსაკარგავეობის ინსტიტუტს შემდგომი გაძლიერების შესაძლებლობა მოუსპო... XIII ს. მეორე ნახევრიდან კი , როცა თანდათან ეცემა მეფის

---

[248] ibid., 69.

[249] ibid., 70.

[250] შოთა მესხია, "XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან. 'საკარგავის' მნიშვნელობისათვის". *საისტორიო ძიებანი ტომი I.* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 366.

[251] ალექსანდრე ვაჩეიშვილი, *ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან III, გ. თარხნიშვილის რედ.* (თბილისი: *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა* 1963), 92.

თვითმპყრობელური ხელისუფლება, ერისთავობა-მოსაკარგავეობას შორის გამართულ ბრძოლაში გამარჯვების სასწორიც საბოლოოდ ისევ ერისთავობისკენ გადაიხარა."[252]

ნაწყალობევი მიწის მასივის დაპატრონება და მამულად ქცევა მიღებული თანამდებობის საშვილიშვილოდ დაუფლებასთან იყო კორელაციაში და რაკი თამარმა ამჯერად დიდებულები "შეიწყალა", საქმე სწორედაც მათი უფლების დადასტურებასთან გვაქვს და არა მეფის თვითმპყობელი ნების გამოვლენასთან, რასაც არა "წყალობის" არამედ "საკარგავის მიცემის" აქტი შეესაბამებოდა. თუ მოსაკარგავე აზნაური საკარგავად გაცემულ მიწასაც კი დროთა განმავლობაში მამულად აქცევდა, ნაწყალობევის ჩამორთმევა მით უფრო ძნელი იყო. აღმასრულებლის უფლების "წყალობის" და არა "საკარგავის" საფუძველზე მომპოვებელი დიდგვარიანები დაკისრებულ ვალდებულებას მეფობის თანაზიარობის, ანუ უზენაესი უფლებებამოსილების ფორმატში ახორციელებდნენ. გარკვევით წერს მემატიანე: *"გახელმწიფდნეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა."*[253]

კარავისელთა გამოსვლის შედეგად, მაშასადამე, მეფის ხელისუფლება გაზიარდა: დარბაზი წარმომადგენლობით საკრებულოდ გადაკეთდა, რომლის წევრები "თანაზიარ მეფობისა" გახდნენ; ასეთი საძალაუფლებო გადანაწილების ფორმალურ (და არა მხოლოდ ფორმალურ) პრეცედენტს თუნდაც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს არსებობა ქმნიდა; როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჭყონდიდელს, როგორც "მამას" მეფის გადაწყვეტიელბებზე ვეტოს უფლება გააჩნდა, ისევე როგორც მეფეს - ჭყონდიდელის გადაწყვეტილებებზე.

ჭყონდიდელ-მწიგნობარის სახელოს შემოღება სხვა მხრივაც იყო საყურადღებო: ამ ინსტიტუტში სახელისუფლო შტოების გამიჯვნის დემოკრატიული პრინციპის ერთგვარი წინასახე ილანდება. მისი შემოტანით ორი (სამეფო და საეკლესიო) სახელისუფლო ვერტიკალი ისე მოექცა ერთ სისტემაში, რომ ორივემ ავტონომიურობა შეინარჩუნა: ერთმანეთთან შეუთანხმებლად არც მეფის და არც ჭყონდიდელის გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ ჰქონდა, *რაც შეკავების და გაწონასწორების ერთგვარი მექანიზმის არსებობას მოწმობს.* დუუმვირატის მიუხედავად, რეალურად - არა ფორმალურად - მეფეს მაინც მეტი ძალაუფლება

[252] მესხია, *XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან,* 374.
[253] უცნობი მემატიანე, 327.

გააჩნდა, მას საამისოდ ხომ უზარმაზარი, ყველაზე დიდი სამხედრო-ეკონომიკური საყრდენი ჰქონდა სამეფო დომენის სახით. ერთ მომენტში, მონღოლების ბატონობის პერიოდში, მეფე დავით-ულუმ მწიგნობართუხუცესი ბასილი უჯარმელი სიკვდილითაც კი დასაჯა!!!

კარავისელები შორს უმიზნებდნენ და მეფისთვის მხოლოდ მათი განაგისის აღმასრულებლის როლი ემეტებოდათ; ეს აზრი, შესაძლოა, მათ მაშინ არსებულმა სამართლებრივმა სტანდარტმა ჩააგონათ: მეფე, როგორც სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზენაესი პირი, ვალდებული იყო საერო სამართლისგან დამოუკიდებელი საეკლესიო სამართლის განჩინება სრულეყო, მაგრამ მეფის ხელისუფლება ამ დონეზე მაშინ არ დაკნინებულა.

წარმომადგენლობითი საკრებულო და მეფის უფლებამოსილება

მაშ, 1185 წლიდან სამეფო დარბაზის დანიშნულება შეიცვალა. თუკი ადრე - თვითმპყრობელობის პერიოდში - დარბაზი მეფის სათათბირო ორგანო იყო, ახლა ის პარლამენტის თვისებით დაიტვირთა. მეფე გადაწყვეტილებებს წოდებათა წარმომადგენლებთან თანხმობით იღებდა:

"განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ 'დარბაზისელთა' მეორე ჯგუფში 'უხელონი' ყოფილან - მაღალ წოდებათ წარმომადგენელნი, 'დიდ-გვართ თავადნი', აზნაურთ, დიდვაჭართა და მოქალაქეთაგან 'მკვიდრნი', ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, 'მკვიდრთა' წარმომადგენელნი."[254]

რასაკვირველია, არც სასულიერო წოდება დარჩენილა თამაშგარე მდგომარეობაში.[255] ეს ცვლილება დარბაზობის წესების ცვლილებაშიც აისახა: ადრე "დარბაზის კარს შეკრებილი წევრები მეფის წინ, ანუ პირდაპირ მსხდარან,"[256] ახლა პარლამენტად ქცეულ დარბაზში კი - "თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით,

---

[254] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია მეორე II*, 182.

[255] თანახმად დოკუმენტისა: "წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევასა მეფეთასა", კათლიკოსის და ჭყონდიდელის ჩათვლით, ვინც მეფის მარჯვნივ და მარცხნივ სხდებიან, ჯამში სულ 35 მღვდელმთავრის ადგილია დაწესებული, ნატით, ბალიშით, თუ უნატოდ და უბალიშოდ. - იხ. ქართული სამართლის ძეგლები II 47-49.

[256] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია მეორე წიგნი*, 184.

ვაზირები თურმე 'დასვეს... რომელნიმე მარჯუენით მისსა (ე.ი. მეფისა) და რომელნიმე - მარცხენით."[257]

წარმომადგენლობითი საკრებულო, რაც მაშინდელ საქართველოში წარმოიქმნა, უნიკალური ინსტიტუტი როდი იყო: შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში – სამეფო ხელისუფლების თანადგომის ან სულაც მისი შებოჭვის მიზნით - ნაირ–ნაირი სახელწოდების წოდებრივ–წარმომადგენლობითი ორგანოები იქმნებოდა: საკრებულოები, დარბაზები, საბჭოები... ზოგან: ინგლისში, ირლანდიში, შოტლანდიაში, სიცილიაში და პაპის სახელმწიფოში – მას პარლამენტი დაერქვა. იბერიის ნახევარკუნძულზე - კორტესი ან კორტი; საფრანგეთში - წოდებათა საკრებულო (Estate General), გერმანიაში – ლანდტაგი, დანიაში – რიგსდაგი, პოლონეთში – სეიმი... ყველა მათგანი პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლებისაგან შემდგარი პოლიტიკური ასამბლეა იყო. თავდაპირველად ისინიც საქართველოს სამეფო დარბაზ-სათათბიროს მსგავსად "ჟამიდან ჟამამდე მოწოდებული" ad hoc საკრებულოების სახით გაჩნდნენ და მხოლოდ მოგვიანებით გახდნენ რეგულარული დაწესებულებები. "წარმომადგენლობითი სისტემის და პარლამენტის განვითარება შუა საუკუნეების ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება"[258] ევროპულ ისტორიაში. საქართველო ამ მხრივ კვალში ედგა ფეოდალური ორბიტის ქვეყნებს, უფრო სწორად, ქრონოლოგიურად კიდეც უსწრებდა. შედარებისათვის, შუა აღმოსავლეთის და ჩინეთის იმპერიებში მსგავსი არაფერი განვითარებულა.[259]

რვა წლის განმავლობაში მომხდარმა დავიდარაბამ (1177- 1185) თვითმპყრობელური მონარქიის სახელმწიფო წყობა შეზღუდულ, საპარლამენტო

---

[257] ibid., 184.

როცა მეფეს უპირატესობა გააჩნდა დარბაზი მეფის წინაშე იჯდა: " 'მეფეთა წინაშე გაჩენილი', ეს წინადადება მეფეთ უპირატესობას გახაზავს" - ვალერიან მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, (თბილისი: მერიდიანი, 2003), 93.

[258] "This development of the representative system and of parliaments was one of the greatest achievements of the Middle Ages" - R. H. Lord, "The Parliaments of the Middle Ages and the Early Mordern Period", *Catholic Historical Reviw 16*, (1930), 125-8 (ციტირებულია S. E. Finer, ed., The History of Government-დან. 1025).

[259] "The monarchies and empires of the Middle East and in China knew nothing of the principle either, but then they were all based on the principle of autocracy, as indeed was the Roman Empire.

[შუა აღმოსავლეთის და ჩინეთის მონარქიებმა თუ იმპერიებმა არაფერი უწყოდნენ არც ერთი ამ პრინციპის შესახებ [საუბარია წარმომადგენლობის და არჩევითობის წესებზე ა.ჯ.], იმ ხანებში ყველა მათგანი ავტოკრატიის პრინციპს ეფუძნა, მთლად იგივე ვითარება იყო რომის იმპერიაშიც]. - S. E. Finer, ed., *The Historiy of Government*, The Intermediate Ages (Oxfprd University Press, 1999). 1025.

მონარქიით შეცვალა; მეფის ხელისუფლება გაზიარდა, მაგრამ მეფეს მაინც დიდი უფლებები ჰქონდა შერჩენილი. დარბაზს ისევ მეფე თავმჯდომარეობდა; ასევე ინარჩუნებდა მეფე უზენაეს აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლის სტატუსაც (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან ერთად); მთავარსარდლის მოვალეობაც და თანამდებობაზე პირთა "განჩინება" და მათი ბრძანებით "დამტკიცებაც" - მეფის დისკრეციას განეკუთვნებოდა: "ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდელად, მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი ... და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მხარგრძელი... და უბოძა ლორე."[260] მეფე გასცემდა და ამტკიცებდა "შეწირულობებსაც". ე.წ. "ჭიაბერის სიგელის" თანახმად, რომელიც ასევე XII საუკუნის 80-იან წლებს განეკუთვნება და მანდატურთუხუცესის მიერ მიწის შეწირვის განაჩენს წარმოადგენს, თამარის მინაწერიც იკითხება: "ესე მანდატურთუხუცესისაგან შეწირული განაჩენი ჩემგან მტკიცეა", ანუ მეფის მიერ დამტკიცების გარეშე მანდატურის განაჩენს ძალა არ ჰქონდა...

პარლამენტად ქცეულ დარბაზში მეფეს სასულიერო წოდების სახით ბლომად მომხრე ეყოლებოდა. მათ, სავარაუდოდ, აქტიური როლი ითამაშეს მიქაელ კათალიკოსის გადაყებების და ანტონის აღდგენის საქმეში, რასაც ის გვაფიქრებინებს, რომ ბოლო საეკლესიო კრებაზე - სადაც მიქაელის "განყენება" ვერ შეძლო - თამარმა სხვა იერარქები შეაცვლევინა და სამეფო სახლისთვის სასურველი კანდიდატები აარჩევინა. "სხვანი ვინმე ეპისკოპოსნი შეცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს".[261] ეპისკოპოსები კი დარბაზში იყვნენ წარმოდგენილები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სასულიერო პირთა რიცხოვნება დარბაზში ოთხ ათეულს აღწევდა.

მიღწეული კომპრომისის შედეგად მეფე თამარი მისსავე კარზე და სხვების თანამონაწილეობით იღებდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს და კანონებს; ეს სხვები, ამის გამო, "თანაზიარ მეფობისა" შეიქმნენ, - "გახელმწიფდნენ დიდებულნი".

"საქართველოს მეფე სამართლის წიგნებს ან კანონებს მარტო თვითონ კი არ ადგენდა და მხოლოდ თავისი სახელით კი არ აცხადებდა, არამედ დარბაზის, ან საკანონმდებლო კრების 'თანადგომით და თანაზრახვით', 'ერთბამად'. "[262]

---

[260] უცნობი მემატიანე, 326.
[261] ბასილი ეზოსმოძღვარი, 386.
[262] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, პირველი წიგნი*, 169.

ზოგი მონაცემით, დარბაისლების "მეფობის თანაზიარობის" უფლებამოსილება მონღოლთა ბატონობის დასრულების, ანუ გიორგი ბრწყინვალეს ხანაშიც დასტურდება. "ძეგლის დების"[263] თანახმად: სამხედრო-ადმინისტრაციულ ხელისუფალთა მოხსნა-დანიშვნა ("ებოძოს ხევისბერობა დარბაზით... დააყენონ დარბაზით ხევისბერად." მუხლი ე. 5), სამხედრო მეთაურების დანიშვნა ("დარბაზით ლაშქართა თავადობა ჰბოძებოია." მუხლი ი.10), მიწა-მამულის ბოძება-ჩამორთმევა (მუხლები: ე. 5. ვ. 6), ფისკალური რეგულაციები, - დაბეგვრა და მისთანები, - დარბაზის პრეროგატივები ჩანს... დარბაზივეა უზენაესი სააპელაციო ინსტანციაც, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებები სისრულეში მეფის დასტურის მერეღა მოიყვანება. ამავე წყაროს მიხედვით, სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციები და პროცედურები მკაცრად რეგლამენტირებულად გამოიყურება; სავაზირო, მაგალითად, "ძეგლის დების" მიხედვით, უკვე ცალკე ინსტიტუტის სახით მოქმედია.[264] "ძეგლის დების" რუსულად მთარგმნელი და გამომცემელი დავით ფურცელაძე წერს:

"ყველა შემთხვევაში სახელისუფლო ღონისძიებები 'წესითა დარბაზისათა' ტარდება (მუხლი 9). ადგილობრივი მმართველობის გადასაჭრელი საკითხები *ვეზირთა კაბინეტში* იყრის თავს; ტექსტში ვეზირები მრავლობით რიცხვში არიან მოხსენიებულები, - *ვეზირნი, ვეზირთ, ვეზირთა;* საკითხი გადასაწყვეტად მერე *დარბაზს* წარედგინება. სავაზიროსაგან განსხვავებით, დარბაზი ხან მხოლობით რიცხვშია მოხსენიებული (მუხლი 11, 17, 18), ხან - მრავლობითში (დარბაზთ. მუხლი 5-7), რაც *ამ დაწესებულების კოლეგიალურობის მოწმობადაც შეიძლება იყოს აღქმული;* ცენტრალური მმართველობის რიგის ბრძანებები და დავალებები, ასევე ადგილობრივი მმართველობის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, დარბაზის მეშვეობით, 'დარბაზით' , დარბაზის მიერ აღესრულება."[265]

---

[263] *ძეგლის დადება გიორგი მეხუთის ბრწინვალისა,* ტექსტი მოამზადა, რუსულად თარგმნა, საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1988).

[264] ადგილობრივი ხელისუფლების საკითხები "ვეზირთ" მოხსენდებოდა, ვეზირები კი, საბოლოო გადაწყვეტილებისთვის დარბაზს მიმართავდნენ. მე-5 მუხლი: მამულჩამორთმეული და თანამდებობადაკარგული ხევისბერი "მესამესა წელიწადსა მოვიდეს და ერისთავს შემოეხვეწოს, ერისთვმან ვეზირთ მოახსენოს, და ვეზირთ დარბაზთ ჰკადრონ, და დარბაზით მამული ებოძოს ხევისბერსა" - *ძეგლის დადება,* 48.

[265] "Во всех случаях правительственные деиствия осуществляются в установленном 'дарбазском порядке' (ст. 9). Подлежащие разрешению вопросы местного управления восходит к кабинету визирей, что в тексте и выражено множественным числом - *везир-ни, везир-т* (ვეზირთ), *везир-та*; затем с их

ვფიქრობთ, "მეფობის თანაზიარობას" ადასტურებს ჟამთააღმწერელიც: "რამეთუ მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა."[266] "სცვალნის" მრავლობითის ფორმაა და მეფის გარდა დარბაისლებსაც მოიცავს, თორემ იქვე - "ვერცა დავით მეფემ სწუართნა ერისთავნი შიშისათვის ყაენისა". მეფემ ერისთავები ვერ "სწუართნა"- აქ, "მეფე", მესამე სუბიექტური პირი - ზმნას მხოლობითში შეიწყობს, "სწუართნა" (და არა "სწუართნის"), რადგან საქმე მარტო მას ეხება: ერისთავების გაწვრთნა, თავის თავად ცხადია, ვერ შევიდოდა დარბაისელების ფუნქციაში.

დარბაზის და სავაზიროს დამტკიცებული საბუთების არარსებობა თითქოს შესაბამისობაში არ მოდის ამ ვითარებასთან:

"უშუალოდ სავაზიროს, ისევე როგორც დარბაზის დამტკიცებული საბუთები ჩვენ არ გაგვაჩნია, - არა მხოლოდ ნორმატიული, არამედ მმართველობის ყველა აქტი, როგორც წესი, მონარქის სახელით და მისი საკუთარი ხელით მტკიცდებოდა."[267]

ეს ასეა, მაგრამ ამაში უცნაურიც არაფერია: უფლებაგაფართოებული დარბაზის სათავეში აკი მეფე იდგა, - გადაწყვეტილებებს ხელს მეფე აწერდა; [268] ასეთნაირად განგებულს მერე ისევ მეფის ხელქვეითი ვაზირები "სრულყოფდნენ". გავიხსენოთ კარავისელთა მოთხოვნა:

"დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; *მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი."*[269]

представлением они поступают на разрешение *дарбаза*, котириый в отличие от визирата значится то в единственном числе (ст. 11, 17, 18), то во множественном - *дарбаз-т* (დარბაზთ. ст. 5-7), что может восприниматься и *как свидетельство коллегиальности этого установлуния*; повеления и задания в порядке центрального управления, также решения по поступившим вопросам местного управления получают исполнение как исходящие *дарбаз-ит* (დარბაზ-ით, - *дарбазом*, посредством *дарбаза*) - через дарбаз, от дарбаза - *ძეგლის დადება,* 134.

[266] ჟამთაღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე.* საქართველოს ისტორიული წყაროები 48 (თბილისი: მეცნიერება, 1987), 142.

[267] "Однако непосредственно визиратскими, равно *дарбазскими* документами мы не распологаем - все не только нормативные акты, но как правило и акты управления давалис именем монарха и за его рукой" - *ძეგლის დადება,* 134.

[268] "ასევე იყო სასამართლო უფლების შემთხვევაშიც: "მეფე იყო უზენაესი მსაჯული, მაგრამ აქაც არ იხილავდა საქმეებს იგი ერთპიროვნულად, არამედ დარბაზის წევრთა, ანუ სპეციალისტთა თანადგომით, მაგრამ განაჩენი ან გადაწყვეტილება მეფის სახელით გამოდიოდა" - მეტრეველი. *დასახელებული ნაშრომი,* 93.

[269] უცნობი მემატიანე, 325.

თამარი მაშინ, როგორც ვიცით, არ შემოიფარგლა შემოთავაზებული უფლებით ("ვაცნობებდეთ მეფესა და მაშინღა სრულ იქმნებოდეს"); დარბაზის განგებულს მეფე კი სრულყოფდა (მისი ვაზირების ხელით), მაგრამ არა როგორც დარბაზს გარე მდგომი უზენაესი აღმასრულებელი, არამედ და პირველ რიგში, როგორც დარბაისელთა განგების თანამონაწილე - სულაც ხელმძღვანელი და მერე აღმასრულებელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დარბაისელთა განგებულის სრულყოფა, ორ ეტაპად ხდებოდა: ჯერ მეფე ახდენდა განაგისის ვიზირებას და ამით დოკუმენტი დასრულებულ სახეს იღებდა ("მაშინღა სრულ იქმნას განგებული ჩუენი"), მერე კი იგივე მეფე ცხოვრებაში გაატარებდა (ვაზირების ხელით) და ამ გაგებითაც სრულ ყოფდა დარბაზის განაგისს. დოკუმენტებს კი - დარბაზში კენჭისყრით, კოლეგიალურად მიღებულ "განაგისს" - ყოველთვის მეფის ბეჭედი და ხელრთვა აგვირგვინებდა. თუ "ძეგლის დების" მიხედვით განვსჯით, "მეფეს შეეძლო დარბაზის განაჩენი არ შეეწყნარებინა "[270] ანუ ვეტოს უფლებითაც ესარგებლა.

არც ის არის უგულებელსაყოფი, რომ სიგელებს და საბუთებს მეფესთან ერთად ხელს სხვებიც აწერდნენ, ანუ მეფის გადაწყვეტილებას სხვებიც ადასტურებდნენ. პროფესორ ვალერიან მეტრევლის აზრით ამირსპასალარის გარეშე "მეფე მიწას ვერ გასცემდა, ვერც დასახლებულს და ვერც დაუსახლებელს."[271] და იქვე - "ივ. სურგულაძის აზრით ამირსპასალარისთვის ეს უფლება მოგვიანებით, თამარის დროს უნდა მიენიჭებინათ, როცა თამარის წინააღმდეგ აჯანყებულებმა გარკვეულად შეზღუდეს მეფის ხელისუფლება."[272]

მოგვიანო ხანის დარბაზი

მეფის ხელისუფლება სამართლებრივად არც ბატონყმურ პერიოდში იზღუდებოდა, ანუ ფორმალურად ისევ თვითმპყრობელობა იყო შენარჩუნებული, მაგრამ ფაქტიური ძალაუფლება დარბაზის ხელში იყო მოქცეული, სადაც მეფესთან ერთად მებატონეებიც განაგებდნენ.[273] ნიშანდობლიავია დარბაზის გადარწმუნების

---

[270] ნ. ხიზანიშვილი, *რჩეული იურიდიული ნაწერები,* მოამზადა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ. იურიდიული მონოგრაფია. (თბილისი: მეცნიერება, 1982), 316.

[271] ibid., 103.

[272] ibid., 104.

[273] მეფე უკვე ყველას ვეღარ უბრძანებდა: "სვიმონ მეფის 1599 წლის ერთ სიგელში ასეთი მიმართვაა: 'უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბრძანებთ' " - სურგულაძე, *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის,* 129.

სასოწარკვეთილი მცდელობა, რასაც კახეთის მეფე თეიმურაზმა (1606-1648) მიმართა: მეფეს ირანის შაჰისთვის მძევლად შვილების და ქეთევან დედოფლის მიცემა არ უნდოდა, მაგრამ დარბაზმა არც მისი არგუმენტები და არც მუდარა შეისმინა და მძევლების მიცემა დაასკვა.[274]

საამდროდ მოქმედი სახელისუფლებო სისტემა უკვე შეზღუდულ მონარქიაზე მეტად პოლიარქიის ან შეუზღუდავი პარტიკულარიზმის სახელს იმსახურებს: მონარქის ნება არა მარტო დარბაზით იბოჭებოდა, არამედ ადგილობრივი მმართველობის სისტემითაც (ერთიანი ქვეყნის პატარ–პატარა საქართველოებად დაქუცმაცებაზე და ამ გზით მონარქიის ფარგლების დავიწროვებაზე აღარ ღირს სიტყვის გაგრძელება); ადგილებზე მეფის უფლებები შეკვეცილი იყო – მებატონეების დამოუკიდებლობის ხარისხი კი - ზღვარს გადასული: ცენტრალური ხელისუფლებისადმი მათი მორჩილება ზოგჯერ მხოლოდ სამხედრო ვალდებულებით და სამეფო გადასახადების ამკრეფებისადმი ლოიალობითღა შემოიფარგლებოდა.[275]

საკანონმდებლო ფუნქცია კვლავინდებურად დარბაზს ჰქონდა შერჩენილი, ოღონდ თუ პატრონყმული მონარქიის ხანაში წოდებათა წარმომადგენლები მეფის, როგორც საჯარო ხელისუფლის ფუქციის, გამზიარებლები ("თანაზიარ მეფობისა") იყვნენ - რაც მათ შორის კონსენსუსის საჭიროებას ბადებდა - მერე და მერე, მსხვილმა მიწისმფლობელებმა სახელმწიფო–საჯარო საწყისების პრივატიზება მოახერხეს.[276]

სახელისუფლებო დაწესებულებების შინაარსის ცვლილება სახელწოდებების ცვლილებაშიც აისახა: X-XIV საუკუნეებში სახელმწიფო საბჭოს დარბაზი ერქვა, ხოლო მის სხდომებს - დარბაზობა, გვიან შუა საუკუნეებში კი დარბაზობას, უკვე

---

[274] "თეიმურაზს არ უნდოდა მძევლის მიცემა, მაგრამ კახეთის მესვეურებმა მხარი არ დაუჭირეს და იგი იძულებული გახდა ჯერ უმცროსი შვილი ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი გაეგზავნა შაჰთან, მერე კი უფროსი შვილი - ლევანიც."- გივი ჯამბურია, "შაჰ აბასის შემოსევები საქართველოში", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 4* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 264.

[275] იყო შემთხვევები, როცა სამხედრო ვალდებულებასაც აღარ ასრულებდნენ; კრწანისის ტრაგედია, მაგალითად, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა - იხ. სარგის კაკაბაძე, *კრწანისის ომი,* (თბილისი: მეცნიერება, 1991), 96-97.

[276] ვახტანგ VI-ს მოვუსმინოთ: "საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ნებისმიერ თვისისა ბრძანებულან და ბევრჯელ ჟამთ და დროთა ცვალებით ასე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევია, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ. ამისი მომსწრეები თვითონ მეცა ვარ" - *სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა* (მუხლი 2), ქართული სამართლის ძეგლები ტომი I (თბილისი, მეცნიერება, 1963), 479.

მეჯლისი ჩაენაცვლა.[277] მეჯლისი მეფის მოწვევით და სამეფო სასახლეში იკრიბებოდა. დარბაისლებს, სავარაუდოდ, კვლავინდებურად გადამწყვეტი და არა სათათბირო უფლება ჰქონდათ მინიჭებული, ოღონდ თუ ადრე დარბაისლებს სახელმწიფო საჯარო ინტერესის კერძო, საადგილმამულო ინტერესების სასარგებლოდ გადალახვა უჭირდათ (თუნდაც იმიტომ, რომ საერთო სახელმწიფო ინტერესი მათი ინტერესიც იყო, - რამდენადმე მაინც), ბატონყმურ ხანაში უკვე მემამულის ინტერესი მის მამულზე კონცენტრირდა და სამეფო დარბაზში (მეჯლისში) ჯდომას იგი შეუვალობის გარანტად უფრო იყენებდა.[278] მეჯლისი, როგორც მათი უფლებების რეალიზაციის სივრცე, ახლა უკვე ოდინდელი დარბაზის, როგორც პარლამენტის, რუდიმენტს უფრო ჩამოჰგავდა, თუნდაც იმითაც, რომ სასამართლო ფუნქციაც ჰქონია შერჩენილი:[279]

"დავით ბატონიშვილის შრომის მიხედვით საბჭო [იგივე მეჯლისი ა.ჯ.] არის მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც მეფესთან ერთად მართავს სამეფოს; მის ხელშია სახელმწიფოს მართვის ყველა მხარე: მას აქვს საკანონმდებლო, *სასამართლო* და ადმინისტრაციული ხასიათის ფუნქციები... დავით ბატონიშვილი განსაკუთრებით ჩერდება საბჭოს *საფინანსო ფუნქციებზე. ...*

საქართველოში არ იყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები და ფინანსების საქმე სამეფო საბჭოს ხელში იყო; საბჭოში ქალაქის ხელისუფალნი (თბილისის მდივანბეგი და მოურავი) შედიოდნენ."[280]

სხვა ორგანოების რა მოგახსენოთ, მაგრამ საბჭო, სწორედაც წოდებრივ–წარმომადგენლობითი საკრებულო იყო. საერო ფეოდალების და სასულიერო წოდების წარმომადგენლობის გარდა საბჭოში მოქალაქეთა წარმომადგენლებიც შედიოდნენ და სხვათა შორის, სწორედ ფინანსური საჭიროების გამო:

---

[277] " 'დასტურლამალის' მეჯლისი 'ხელმწიფის კარის გარიგების' დარბაზის შემცვლელია" - სურგულაძე, *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის,* 146.

[278] "სახელმწიფოს მართვა ხდებოდა არა სამეფო კარის მიერ დანიშნულ მოხელეთაგან, არამედ იმ თავადების, ანუ 'დარბაზ-ბატონების' საშუალებით, რომლებმაც ფეოდალური სახელმწიფო XVIII საუკუნემდე მოიტანეს" - მანანა ქიქოძე, *ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა* (თბილისი: მეცნიერება, 1988), 81.

[279] "მეჯლისის დროს შეიძლება დასმულიყო სასამართლო საქმეც. სასამართლო ფუნქციები კი, როგორც ვიცით, გაერთიანებული საქართველოს დარბაზსაც ჰქონდა" - სურგულაძე, *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის,* 146.

[280] ibid., 152 (ხაზგასმა ჩვენია).

ერთ-ერთი გრემოება, რის გამოც საბჭოები ("პარლამენტები") საზოგადოდ აღმოცენდნენ, ის გახლდათ, რომ წარამარა ომში ჩაბმულ მეფე-მთავრებს სახსარი აკლდათ ხოლმე და ფინანსური შემწეობა სჭირდებოდათ; მაგრამ როცა "მეფეს ან მთავარს ჩვეულებრივ მოსაკრებელზე მეტი ჭირდებოდა, უნდა ეთხოვა."[281] ცალკეულ მაგნატთან და მოქალაქესთან საქმის ამ მიზნით დაჭერას, მეფეს მათი საკრებულოსთვის (საბჭოსთვის) მიმართვა ერჩივნა[282] და გასაკვირი სულაც არ არის თუ "დავით ბატონიშვილი საგანგებოდ ჩერდება საბჭოს საფინანსო ფუნქციებზე." აქ, უპრიანია, ყუთლუ ასლანის ფინანსთა მინისტრობაც გავიხსენოთ და ისიც, რომ მისი გადაყენების მერე, მეჭურჭლეთუხუცესის სახელო მალე ისევ მოქალაქეებს, კერძოდ კი აბულასან იობის ძეს ერგო.[283] მოგვიანო ხანის დარბაზშიც ფინანსური საქმეები მოქალაქეების აქტიური თანამონაწილეობით იხილებოდა. თბილისის მკვიდრი ვაჭრები ფულის და ფინანსების მიმოქცევის ნამდვილ მესვეურებად გვევლინებოდნენ.[284] საამდროვოდ საფინანსო საქმეების გარჩევას მელიქიც (არაბული წარმომავლობის ეს ტერმინი იმდროინდელ თბილისში ვაჭართა მოურავს აღნიშნავდა)[285] ესწრებოდა. იმავე საბჭოში "ქედხუდებიც" შედიოდნენ, ანუ ოდინდელი რესპუბლიკური წყობის "უკნანსკნელი მოჰიკანები" გვიანფეოდალურ

---

[281] "If the king or prince wanted money beyond what was his customary due, he had to ask for it. - Finer, ed., *The History of Government,* 1026.

[282] "The exceptional case is the failure of the Estates-General in France, but it is the exception that proves the rule. The kings of France certainly had to ask their corporate subjects for extra monies, but they asked it of regional Estates and individual towns, not from the Estates-General as the representative of the entire community.

[გამონაკლისის შემთხვევა იყო წოდებათა საკრებულო საფრანგეთში, ოღონდ ეს სწორედ ის გამონაკლისი იყო, რომელიც წესს ადასტურებდა. საფრანგეთის მეფეს ჯერ მისი კორპორაციული ხელქვეითებისთვის უნდა მიემართა დამატებითი სახსრებისთვის, ისინი კი რეგიონალურ მამულებიდან და ცალკეული ქალაქებიდან გამოითხოვდნენ თანხებს და არა წოდებათა საკრებულოდან, როგორც მთელი ერის წარმომადგნელობისგან]." - ibid., 1027.

[283] მართალია, ყუთლუ არსლანის დამხობის მერე, მეფე თამარმა "უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა კახაბეს, ვარდანის ძეს" (უცნობი მემატიანე, *ისტორიანი და აზმანი,* 326), მაგრამ მალე ამ თანამდებობაზე ისევ თბილისის მკვიდრი აბულასანი, ჩანს, "საქართველოს სამეფოს დიდი მოხელე, ერისთავთ-ერისთავი, ამირთ-ამირა, თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესი (კახაბერ ვარდანისძის შემდეგ)." - ნოდარ შოშიაშვილი, "აბულასანი", *ქსე, ტ. 1* (თბილისი: 1975).

[284]იხ. შოთა მესხია, "მოქალაქეთა წოდების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში", *საისტორიო ძიებანი ტ. II* (თბილისი: მეცნიერება, 1983), 296-323.

[285] ივანე სურგულაძე, "მელიქი". *ქსე - ტ. 6,* 1983.

ხანაში.[286] მათ შესახებ მსჯელობას მოგვიანებით, საქალაქო სამართალზე საუბრისას დავუბრუნდებით.

დარბაზი, "დივანი" და აღმასრულებელი სავაზირო

თამარის ხანას დავუბრუნდეთ:

კარავისელები ცალკე კარვის დადგმს ითხოვდნენ და მეფეს არა გადაწყვეტილების მიმღებად, არამედ *კარავისელთა გადაწყვეტილებების* სრულმქნელად, ანუ ცხოვრებაში გამტარად მოიაზრებდნენ ("მაშინღა სრულ იქმნებოდეს *განგებული ჩუენი"*); ასე არ ფიქრობს პროფესორი ანთელავა; იმოწმებს რა ილია აბულაძეს, იგი წერს:

" 'სრულ-ქმნა' ნიშნავს 'დამთავრებას', 'დასრულებას' (აბულაძე 402. 1973). 'სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი' ნიშნავს: ჩვენი გადაწყვეტილება მაშინ იქნება დამთავრებული, მთელი - როდესაც მეფეს 'ვკადრებთ' და 'ვაცნობებთო'. ... მეფემ უნდა დაამტკიცოს, კანონის სახე მისცეს კარავის გადაწყვეტილებას, სხვაგვარად მას ძალა არა აქვს."[287]

ივანე ჯავახიშვილმა "მაშინღა სრულ იქმნებოდეს" ცხოვრებაში გატარებად გაიგო. არადა, ტერმინი სრულქმა ორივენაირად შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული. აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი კარავისელთა ტერმინებზე:

"ამ შემთხვევაში ისეთი ზოგადი გამონათქვამებია ნახმარი, რომ მათი შინაარსი შეიძლება სხვადასხვანაირად გაიგოს ადამიანმა. საფიქრალია, რომ ყუთლუ-არსლანსა და მის დასს ასეთი ზოგადი ხასიათის ტერმინები განზრახაც ჰქონიათ ნახმარი, რომ თითოეულ მათგანში ნაგულისხმევი ყოფილიყო საქმეთა მთელი ის მრავალფეროვნება, რომელიც მათ განსახილველ-განსაგებელი უნდა ჰქონოდათ."[288]

ტერმინთა ორჭოფი ხასიათი გადაწყვეტილების მისაღებად ფართო დიაპაზონს ტოვებდა და, ვფიქრობთ, ამანაც შეუწყო ხელი კომპრომისის მიღწევას. მეფემ დათმო,

---

[286] ტერმინი "ქედხუდი" რესპუბლიკური წყობის დრონდელი ქალაქის "ბერების" სპარსულად გადანათლული სახელწოდებაა. სპარსული გავლენისგან თავისუფალ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ქედხუდებს ისევ "ქალაქის უხუცესები" ერქვათ. თბილისში ქედხუდებს ან ირჩევდნენ, ან მეფე ნიშნავდა, ეს არჩევნები ძველი რესპუბლიკური წყობის ნაშთია (იხ. მესხია, "საქალაქო წყობილება გვიანფეოდალურ საქართველოში. ქალაქის ქედხუდნი", *საისტორიო ძიებანი ტ. II.* 474-484).

[287] ანთელავა, *XI-XV საუკუნეების საქართველოს...,* 185.

[288] ჯავახიშვილი, *ქართულის სამართლის ისტორია წიგნი II,* 131.

მაგრამ ბოლომდე არ დააკმაყოფილა კარავისელთა პრეტენზიები და გადაწყვეტილების პროცესიდან თავი არ გამოირიცხა.

პროფესორი ანთელავა ვარაუდობს, რომ მეფეს ხელში საკანონმდებლო პროცესის მხოლოდ წვეროკინა შერჩა ვეტოს უფლებით, აღსრულების უფლება კი კარავისელებმა სათავისოდ დაიგულეს:

"ვინ უნდა გაატაროს ცხოვრებაში 'კარავის' 'განგებული' და მეფის მიერ 'სრულქმნილი' გადაწყვეტილება? ცხადია არა მეფემ, არამედ ისევ კარავმა, რომელიც სათანადო გადაწყვეტილებაზე მეფის სანქციას მიიღებს."[289]

ამასთან, ბატონი ანთელავა იმასაც ფიქრობს, რომ დარბაისელთა უფლებამოსილება მაშინ არ გაფართოებულა და დარბაზს წარმომადგენლობითი ფუნქცია არ შეუძენია. დარბაზი მან სამეფო სახლთან გააიგივა:

"XI-XII სს. წყაროებში დარბაზი არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ფეოდალთა სათათბიროს. 'დარბაზი' ყველგან სამეფო, საამირო თუ მემამულე აზნაურის (ა. კიკვიძე) სასახლეა."[290]

ამ მოსაზრების დასასაბუთებლად პროფესორი ანთელავა ბაგრატ IV-ის ოპიზისადმი ბოძებულ სიგელს იშველიებს, სადაც "დარბაზის რიგის" არც ერთი მოხელე ("უხუცესები", მინისტრები) სამეფო თათბირზე არ იხსენიება, ხოლო

"სიგელში მოხსენიებულ მოხელეებს: ერისთავთ-ერისთავებს, ერისთავებს და სხვა, ვერ ჩავთვლით 'სახელმწიფო დარბაზის წევრებად'. 'დარბაზს' შეადგენდნენ არა ჩამოთვლილი მოხელეები, არამედ ისინი, რომლებიც საერთოდ არ იხსენიებიან სიგელში, ცენტრალური აპარატის მოხელეები."[291]

რატომ მიგვანიშნებს, როგორც ი. ანთელავა ფიქრობს, "დარბაზის კარზე შეკრებილთა (ერისთავთა, მღვდელმთავართა და მისთ. ა.ჯ.) საგანგებოდ ჩამოთვლა"[292] იმას, რომ აქ მოხსენიებული პირები არ არიან სახელმწიფო დარბაზის წევრები - გაუგებარია. რაკი ისინი პროვინციებში მსახურობდნენ, მათი მოწვევა გახდა საჭირო. სიგელშიც ესაა აღნიშნული: "შევკრიბენ კარსა დარბაზისასა ჩუენისა" - ნიშნავს, რომ - იმათთან ერთად, ვინც სამეფო კარზე ისედაც მუდმივად იყო - მეფემ დარბაზობაზე ერისთავები და სასულიერო პირებიც აწვია. მხოლოდ ეს ჩანს

---

[289] ანთელავა, *XI-XV საუკუნეების საქართველოს...,* 186.
[290] ibid., 136.
[291] ibid., 134.
[292] ibid., 133.

სიგელიდან და არა ის, რომ წვეულები დარბაზის წევრები არ იყვნენ და დარბაზს არ შეადგენდნენ. ასეც არ იყოს, სიგელში ბაგრატ IV-ის დროინდელი ვითარებაა ასახული და თამარის დროზე მისი ექსტრაპოლაცია - განსაკუთრებით კარავისელთა გამოსვლის შემოდგომი ცვლილების გაუთვალისწინებლად - ვფიქრობთ, გაუმართლებელია.

პროფესორი ანთელავა მიიჩნევს, რომ მისი მოსაზრების სასარგებლოდ წყაროში - "წესი და განგება მეფეთ კურთხევისა" მოხსენიებული უხელო დარბაისლების, ისევე როგორც "ხელმწიფის კარის გარიგებაში" - მერემეს, მესაწოლეს, მანდატურის და მისთანების ფუნქციების აღწერაც მეტყველებს:

" 'დარბაზის ერი' არაა მხოლოდ უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატია. ეს კი საფუძველს აცლის 'დარბაზისა' და 'დარბაზის ერის' როგორც ფეოდალური საკრებულოსა და პოლიტიკური ორგანიზაციის გაგებას."[293]

რატომ, კი მაგრამ? "კარის გარიგება" აკი მთელ სახელმწიფო-სახელისუფლო ანაგისს აღწერს და არა მხოლოდ დარბაზს და დარბაზის სხდომებს; "გარიგება" კომპილაციური ხასიათისაა და სულ სხვადასხვა დაწესებულებების და სამსახურების მარეგულირებული წესებს გადმოგვცემს,

"გვამცნევს რა და რა დაწესებულებანი არსებობდა საქართველოში, ვინ უდგა სათავეში თითოეულ დაწესებულებას, რომელი ხელისუფალნი, ანუ მოხელენი მსახურობდენ დაწესებულებაში და რა უფლება და მოვალეობა ჰქონდა თითოეულ მათგანს."[294]

"გარიგებაში" აღწერილია - ლაშქრობა, ლაშქრობის ვეზირობა, სიგელის მომზადების პროცედურა, სააჯო კარის ფუნქციონირება და ა. შ. დარბაზობის წესები კი - მხოლოდ ნაწილობრივ. ასე რომ, იქ კარის კაცთა: მერემეს და მესაწოლეს - მოხსენიება, დარბაზის, როგორც საკრებულოს, არარსებობის საბუთად არ გამოდგება.

უფრო საყურადღებოდ გვეჩვენება პროფესორ ანთელავას მოსაზრება, სადაც ის "აზმანის" ერთ პასაჟზე - "მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა" ფიქრობს, რომ ყუთლუ-არსლანი არა ძალაუფლების გადანაწილებისთვის, არამედ "მმართველობის

---

[293] ანთელავა, *XI-XV საუკუნეების საქართველოს...,* 144.

[294] ე. თაყაიშვილი, "ხელმწიფის კარის გარიგება", ტფილისის *ქართული ძეგლები - IV,* კანონმდებლობა N 1 (თბილისი: უნივერსიტეტის გამოცემა, 1920), 34-35.

ბიუროკრატიზაციისთვის" და ისლამურ აღმოსავლეთში არსებული "დივანის" მსგავსი დაწესებლების შექმნისთვის იბრძოდა:

"უეჭველია, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამის 'კარავი' პრინციპში ჰგავდა აღმოსავლურ 'დივანს'. ეს პრინციპი კი, ჩვენი აზრით, იყო ცენტრალური მმართველობის სამეფო კარისაგან გამოყოფა, რაც საქართველოს სინამდვილეში მმართველობის შემდგომ ბიუროკრატიზაციას მოასწავებდა... საფიქრალია, რომ 'კარავის' შექმნას უნდა გამოეწვია მეფის სასახლის და ცენტრალური მმართველობის (სახელმწიფო) მოხელეთა გამიჯვნა."[295]

ეს მოსაზრება ვ. აბაშმაძემ დაიწუნა:

"ი. ანთელავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანი მოითხოვდა მეფის კარისაგან (სამეფო ხელისუფლებიდან) ცენტრალური მმართველობის აპარატის, სავეზიროს გამოყოფას, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან ეს მოთხოვნა უკვე დიდი ხანია განხორციელებული იყო XII ს-ის საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში და, სხვათა შორის, სწორედ ამის შედეგად გახდა ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესი."[296]

უნდა შევნიშნოთ, რომ საამდროოდ აღმასრულებელი სისტემა ფუნქციურად სავსებით გამოკვეთილია, თუმცა ცალკე სავაზოროს სახით ის მოგვიანებით გაფორმდა.[297] რაც შეეხება აღმოსავლურ ("სპარსულ") "დივანს", ის აღმასრულებელი ინსტიტუტი იყო[298] და რა მაკაფიოდაც არ უნდა გამიჯნოდა სხვა სახელისუფლო

---

[295] ანთელავა, ანთელავა, *XI-XV საუკუნეების საქართველოს...,* 192.

[296] ვახტანგ აბაშმაძე, *ქართული ინტელექტუალური ფენომენები - ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები,* (თბილისი: თსუ. 1992), 113.

[297] შ. მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, 70-73.*

[298] დივანი, საზოგადოდ, სახელმწიფო დაწესებულებაა სულ სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით: არაბებთან, თავდაპირველად, დივანი სამხედრო საქმის დავთარწარმოებას ეწოდა; მერე - კორესპოდენციების ბიუროს; საფოსტო სამსახურს; სახელმწიფოს ფინანსების და საკუთრების ადმინისტრირებას; სახელმწიფო სახელოსნოს, სადაც დროშები, სამოსი და ავეჯი მზადდებოდა.

აბასიდების ხანაში დივანი ხალიფას პერსონალური დომენის განწესრიგების ბიუროს ერქვა, სხვა იყო მოსამართლეთა დივანი, რომელიც მოხელეებზე აღძრულ სარჩელებს იხილავდა, სხვა იყო საიდუმლო საქმეთა დივანი... მარავალსახედ იყო განტოტებული იგი პროვინციებში, ასევე - დარგების მიხედვით.

სელჯუკების ხანაში დივანი ვეზირების საკრებულოა: სამხედრო, სამოქალაქო და რელიგიური საქმეების სამმართველო, სულთნის ხელქვეით.

ოსმალურ ხანაში იმპერიის მინისტრების უზენაესი საბჭო გახდა; მაროკოს სასულთნოს შემთხვევაში დივანი სამინისტროებს ეწოდა - იხ.: Bosworth, C. E. (1995). "DĪVĀN – ii. GOVERNMENT OFFICE". In Yarshater, Ehsan. Encyclopaedia Iranica. VII, 432–438; Duri, A. A. (1991). "Dīwān i.—The caliphate", The Encyclopedia of Islam, New Edition, Volume II (Leiden and New York: BRILL), 323–327.

დაწესებულებებს, მაინც ყოველმხრივ შეუბოჭავ უზენაეს ხელისუფალთა (სულთნების, შაჰების) ქვემდებარედ რჩებოდა; გამიჯნულობის თვალსაზრისით კარავი, შეიძლება დივანს შევადაროთ ("მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა"), მაგრამ ყუთლუ-არსლანს და კომპანიას ის - და ეს არსებითია - არა აღმასრულებელ, არამედ საკანონმდებლო-განმკარგულებელ და, როგორც ჩანს, სასამართლო ფუნქციების მატარებელად ჰქონდა მოაზრებული. კარავისელები "სპარსული" დივანისგან განსხვავებული ინსტიტუტის, წარმომადგენლობითი საკრებულოს დაარსებას ითხოვდნენ; სამეფო სახლის ოპოზიცია სახელისუფლო ფუნქციების და პოლიტიკურ ძალთა განაწილების "დივანისგან" განსხვავებული მოდელის დამკვიდრებას შეეცადა და, როგორც ვნახეთ - წარმატებითაც.

მმართველობის ბიუროკრატიზაცია, რაზეც პროფესორი ანთელავა საუბრობს, მუდმივმოქმედ შტატს და აპარატს გულისხმობს, რაც, რასაკვირველია არსებობდა. ყოველდღიურად მოქმედი ინსტიტუციური ბაზის გარეშე ვერც აღმასრულებელი ხელისუფლების, იგივე ვეზირების, საქმიანობა წარიმართებოდა და ვერც დარბაზის; სამინისტროთა ქვემდებარე უწყებების ფართო ქსელის ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა ხომ უამისოდ საერთოდ წარმოუდგენელია. არა მარტო რიგითი, არამედ უზენაესი აღმასრულებელი მოხელეებიც ძირითადად დედაქალაქში, მეფის კარზე და არა პროვინციებში ისხდნენ.[299] ცენტრალური აღმასრულებელი სახელოების მქონეთა სამეფო დარბაზში სხდომას გვიდასტურებს ჟამთააღმწერელი:

ენციკლოპედია ბრიტანიკას თანახმად: "Iranians used the term divan until about the 19th century to mean the central government in general. ... In the Ottoman Empire the divan became the imperial chancery headed by the grand vizier, though a consultative assembly of senior officials summoned by Selim I in 1515 was also called a divan.

[ირანელები XIX საუკუნემდე ტერმინს - დივანი, ცენტრალური ხელისუფლების ზოგად სახელწოდებად იყენებდნენ ... ოსმალეთის იმპერიაში დივანი საიმპერიო კანცელარია გახდა, დიდი ვეზირით სათავეში, თუმცა 1515 წელს, სელიმ I-ის მიერ მოწვეულ უზენაესი მოხელეების მრჩეველთა საბჭოსაც ასევე დივანი ეწოდა]." https://www.britannica.com/topic/divan-Islamic-government-unit (24. 05.2018).

[299] საქართველოს სამეფო კარზე მაშინ შექმნილი ვითარება, ი. სურგულაძის აზრით, მოგვიანებით ირანის შაჰის კარზე შექმნილი ვითარების ანალოგიურად უნდა წარმოვიდგინოთ: საქართველოს მეფეებს - რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში ირანის შაჰის ვასალები გახდნენ - შაჰის კარზე მაღალი აღმასრულებელი თანამდებობებიც ეჭირათ და ამით საქართველოს სამეფოს "ერისმთავრებს" ჩამოჰგავდნენ; ქართლის მეფე როსტომი, მაგალითად, ისპაჰანის მოურავიც იყო, ერეკლე მეორე - შაჰის ყურალაღასი, გიორგი მე-10 - ირანის სპასალარი, ასე სხვებიც... საგულისხმოა, რომ როცა ისინი თბილისში (ამ შემთხვევაში ირანის პროვინციაში) ისხდნენ და არა იმპერიის დედაქალაქში, - ცენტრალური ხელისუფლის მოვალეობის შესასრულებლად *რწმუნებულებს გზავნიდენენ ისპაჰანში და პირიქით, როცა თვითონ იმყოფებოდნენ ირანის დედაქალაქში იქაური სასამსახურო მოვალეობის შესასრულებლად, მაშინ ადგილზე - ანუ საქართველოში - მათი წარმომადგენელი, შვილი, ხან კიდევ*

ალყაშემორტყმული განჯის შემოვლისას მეფე ლაშა–გიორგიმ (1213-1223) ციხიდან მოულოდნელად გამოჭრილი მოწინააღმდეგე ამოწყვიტა, ოღონდ ეს "საქართველოს თავადებთან", ანუ დარბაისელებთან შეუთანხმებლად მოიმოქმედა, რის საპასუხოდაც "თავადნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და *არცა კარსა მეფისასა ყოფად.* ხოლო მეფე იგი ჰუნესაგან ჩამოხდა და ევედრა შენდობა."[300] ამ მობოდიშების წყალობით, დიდგვაროვნებს დარბაზში მუდმივად ყოფნაზე ხელი აღარ აუღიათ, თუმცა მოგვიანებით, როცა მეფემ რინდებთან აყალ–მაყალში თვალი დაიზიანა, "საქართველოს თავადებმა" მეფის უწესობით აღშფოთებულობის საბაბით დარბაზის მოშლა გადაწყვიტეს: "ამის მცნობელნი თავადნი საქართველოსანი... *განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან.*"[301] ეს სახელმწიფო სისტემის კოლაფსს ნიშნავდა, თუმცა ვითარება მაშინ მალე დარეგულირდა; ერთი რამ აშკარაა: "თავადნი საქართველოსანი" სანამ "განეყენებოდეს", მანამდე დარბაზში იმყოფებოდნენ.

მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ინსტიტუტების არსებობის მოწმობა ჟამთააღმწერელთან სხვაც მოგვეძევება:

მას მერე, რაც საეკლესიო და საერო დიდებულებმა გიორგი ლაშას "წაგვარეს ქალი იგი, დედა დავითისა", ანუ მეფე ცოლს დააშორეს,

"დაღათუ კათალიკოზთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდა საქმე ესე, *არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა (sic!), არამედ განეშორნეს და თვის-თვისად იყოფოდეს.*"[302]

აქაც ჩანს, "თავადნი საქართველოსანი", იგივე აღმასრულებელი სახელოების მქონე დარბაისლები - დედაქალაქში (სამეფო კარზე) იმყოფებოდნენ და დაკისრებული ფუნქციების შესატყვისი სამუშაო სივრცეც სამეფო აპარტამენტებში სჭერიათ, მაგრამ ეს მათ ხელს როდი უშლიდათ შეეზღუდათ მეფის ხელისუფლება. *გიორგი ლაშას შემთხვევაში, მეფის მცდელობამ არაკოლეგიალურად და*

სხვა ვინმე - ფუნქციონირებდა. ერთი სიტყვით, ცენტრალურ დაწესებულებაში ხელისუფალი ან მისი წარმომადგენელი აუცილებლად იჯდა. მსგავსადვე, სავაზიროს, ან დარბაზის რიგის ქართველი დიდებული თუ თბილისში არ იჯდა, მაშინ იქ მისი რწმუნებული უნდა მჯდარიყო. მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა და შესაბამისი ნაგებობა აუცილებლად უნდა არსებულიყო. - იხ. სურგულაძე, ივანე. *ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან* (თბილისი: განათლება, 1965). 121-129.

[300] ჟამთაღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე,* საქართველოს ისტორიული წყაროები 48 (თბილისი: მეცნიერება, 1987) 40.

[301] ჟამთააღმწერელი, 41.

[302] ibid., 43.

ერთპიროვნულად განეგო საქმე - კოლეგიალური ორგანოს პარალიზებაც გამოიწვია და საქართველოს თავადთა მიერ აღმასრულებელი ინსტიტუტების საკუთრებაში კონვერტაციის პროცესიც დააჩქარა. "მეფობის თანაზიარი" მთავრები და "უხუცესები" დამოუკიდებელ მეფეებად გადაქცევის მიმართულებით ამოძრავდნენ.

დარბაზი, როგორც - სასამართლო ხელისუფლება

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ "კარავისელთა" გამოსვლის მერე, დარბაზში უზენაესი სასამართლო ინსტანცია ამოქმედდა:

"ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისნისასა და სანახებსა საგოდებლისასა და თქუა - დასხდომილნი მუნ შიგან თავისუფლებით, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მაშინ-ღა სრულ იქმნებოდის განგებული ჩუენი."[303]

მოცემული პასაჟის ივ. ჯავახიშვილისეული განმარტებით კარავი (იგივე კარი, სასახლე ა.ჯ.) საგოდებლის სანახებში უნდა აშენებულიყო, ანუ იქვე, სადაც სამეფო სასახლე იდგა. ამ კარავში "დასხდომილნი" უნდა ყოფილიყვნენ, ანუ სხდომები უნდა გაემართათ და სახელმწიფო საქმეები მოეწესრიგებინათ, ხოლო

"ტერმინები: 'მიცემა და მოღება' და 'წყალობა და შერისხვა', რასაკვირველია, მართლმსაჯულების უზენაესი ფუნქციების მითვისებას ჰგულისხმობდა. ... 'მიცემა' ... უმაღლესი მოხელეობის მიცემას ჰნიშნავდა ... 'მოღება' სწორედ ამის საწინააღმდეგო ცნების გამომხატველად არის საგულისხმებელი. მაშასადამე, კარავში დასხდომილთ ჰსურვებიათ, რომ უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გადაყენება მათ ხელში ყოფილიყო... ყუთლუ-ასლანის დასსა სწადდა საქართველოს უზენაესი მართვა-გამგეობის და სამართლის მთავარი საკითხები 'კარავ'-ში დასხდომილთა განსაგებელი გამხდარიყო."[304]

უნდა დავაზუსტოთ:

დანიშვნებს თანამედროვე პარლამენტებიც ახდენენ, მაგრამ სასამართლო, სამართლმსაჯულო ხელისუფლება პარლამენტისგან ცალკე განშტოებას ქმნის; მოცემულ შემთხვევაში კი მოხსნა–დანიშვნების ("მიცემის და მოღების") სამართლებრივი უფლების გარდა, კარავისელებს მეფის (და მწიგნობართუხუცესის)

---

[303] უცნობი მემატიანე 325.

[304] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 131.

უზენაესი სამოსამართლო, მართლმსაჯულებითი ფუნქციის ("წყალობის და შერისხვის", ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით: გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის) უფლებამოსილებაც მოუთხოვიათ, რაც მიიღეს კიდეც: მეფემ უზენაესი მსაჯულის უფლება დარბაზსაც გაუზიარა:

"სიმდიდრით აღზევებულთა დასის პოლიტიკური გეგმითაც 'კარავში' თავისუფლად დასხდომილნიც 'წყალობისა და შერისხვის' ანუ უზენაესი მართლმსაჯულების განმგებელნი უნდა ყოფილიყვნენ. ამგვარად სახელმწიფო დარბაზი საქართველოს უზენაესი სასამართლოც ყოფილა."[305]

ეს კიდევ ერთი დამატებითი გარემოება იყო, რის გამოც დარბაისლები "თანაზიარ მეფობისა" ითვლებოდნენ.

ამ ცვლილებამდე უზენაესი სასამართლო – "სააჯო კარი," მეფეს და მწიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდა[306] და ყველა სახელისუფლებო განშტოებისგან ცალკე დაწესებულებას და ცალკე შენობასაც გულისხმობდა; "კარავისელთა" გამოსვლის მერე, "სააჯო კარი" დარჩა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი სასამართლო საქმეების განხილვამ პარლამენტად ქცეულ დარბაზში გადაინაცვლა და "სააჯო კარის" კომპეტენციის ველი დავიწროვდა.

ერთხელაც:

დარბაზი (როგორც პარლამენტი), ერთი პირობა, საკანონმდებლო ორგანოა, იღებს სამართლის წიგნებს (კანონებს), იხილავს და წყვეტს სახელმწიფო–პოლიტიკური შინაარსის, საკითხებს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს ("მიცემა და მოღება") და ამას "დიდი დარბაზობისას" მოიმოქმედებს,[307] ხოლო უფრო ნაკლებმნიშვნელოვან, მიმდინარე საკითხებს – "მცირე დარბაზობისას" აგვარებს. მაგრამ იგივე დარბაზს უზენაესი მართლმსაჯულების - "საბჭოს" - ფუნქციაც შეუძენია, - "შერისხვის და წყალობის", ანუ გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის უფლება. საფიქრალია, რომ დარბაზის, როგორც "საბჭოს," კომპეტენცია განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო და სისხლის

---

[305] Ibid., 342.

[306] ი. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II*, 340-343.

[307] დარბაზის "განსაგებელი იყო: 1. კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება. 2. ომის გამოცხადების საკითხი... 3. თამარის მეფობიდან მაინც, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნის საკითხი... 4. არჩეული ხელისუფლების "დალოცვა" და "ხელდასხმა"..." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II,* 183.

სამართლის საქმეებს მოიცავდა, რის გამოც "სააჯო კარის" დანიშნულება საფეხურით დადაბლებულა და უზენაესი სასამართლო ინსტანციად დარბაზი ქცეულა.

დარბაზი (როგორც პარლამენტი) პოლიტიკური დაწესებულება იყო; "დარბაზის ერი" ერთი პირობა, პოლიტიკურ–განმკარგულებელი ხელის უფლები იყვნენ, ოღონდ, რაკი უზენაესი მართლმსაჯულების ("წყალობის და შერისხვის") უფლებაც მოიპოვეს, იგივე ერი სასამართლო ხელის უფალიც გამოდის. პოლიტიკური და სასამართლო შტოები ახლა არა მარტო მეფის და მწიგნობართუხუცესის, არამედ დარბაისლების უფლებამოსილებაშიც გაერთიანდნენ და შეერწყნენ ერთმანეთს, საფეხურით დაბლა კი "სააჯო კარი" დარჩა, რომლის მოგვიანო რუდიმენტი მერე დიამბეგის სასამართლო გახდება. პროფესორი ივ. სურგულაძე მიიჩნევს, რომ დარბაზიდან, როგორც წინამორბედიდან, სასამართლო ფუნქცია მოგვიანო ხანის მეჯლისსაც გადასცემია:

"მეჯლისის დროს შეიძლება დასმულიყო სასამართლო საქმეც. სასამართლო ფუნქციები კი, როგორც ვიცით, გაერთიანებული საქართველოს დარბაზსაც ჰქონდა."[308] საბჭოს, იგივე დარბაზის სასამართლო ფუქციებზე ლაპარაკობს დავით ბატონიშვილიც:[309] გვიანფეოდალური პერიოდის სამეფო საბჭო, როგორც უზენაესი სასამართლო, პოლიტიკური შინაარსის საქმეებს არჩევდა და, იმავე დროს, სააპელაციო სასამართლოს და სასამართლო ზედამხედველობის ფუნქციაც ჰქონია: სჯიდა დამნაშავე მოსამართლეებს, კარგად მომუშავეებს კი – მეფეს წარუდგენდა დასაჯილდოვებლად. ეს ცნობა ირიბად მაინც ავსებს კარავისელთა დროინდელი დარბაზის, როგორც საბჭოს, ფუნქციონირების მადასტურებელი და მარეგულირებელი საბუთების ნაკლებობით წარმოქმნილ ცოდნის დეფიციტს.

უზენაესი სასამართლო ინსტანციის დარბაზში გადატანას არ ადასტურებს პროფესორი ილია ანთელავა. მისი აზრით, თუ კარავისელთა "მიცემა და მოღება" მოხსნა-დანიშვნაა, "წყალობა-შერისხვა" ამ გადაწყვეტილებების თანმხლები მიწის, საკარგავის, ბოძება-ჩამორთმევა და არა გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაა. "ტერმინი 'შერისხვა' მართლაც გარკვეულად შეიძლება

---

[308] ივანე სურგულაძე, *ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან* (თბილისი: განათლება 1965), 146.

[309] *სამართალი ბატონიშვილის დავითისა,* მოამზადა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ (თბილისი: მეცნიერება, 1964).

მართლმსაჯულებას დავუკავშიროთ,"[310] მაგრამ "ტერმინ 'წყალობას' მართლმსაჯულებასთან სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს. ტერმინი 'წყალობა' ქართულ დოკუმენტებში ყველგან ბოძებას ნიშნავს."[311]

სიგელ-გუჯრებში წყალობა ბოძების მნიშვნელობით არის ხოლმე ნახმარი, ეს უეჭველია და ამაზე ზემოთაც ვისაუბრეთ, მაგრამ "წყალობა" ამავდროულად დანაშაულის შენდობის სინონიმიც რომაა? 50-ე ფსალმუნი, მაგალითად, ასე იწყება: "მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოებანი ჩემი."[312] უსჯულოება - უკანონობას ნიშნავს და აქ დავით წინასწარმეტყველი ღმერთს ჩადენილი უკანონობის, ანუ დანაშაულის შენდობას ევედრება. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია "წყალობა" დღევანდელი "შეწყალების" - ანუ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების აღმნიშვნელადაც გამოყენებულიყო. პროფესორ ვ. მეტრეველის თანახმად - "მეფის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა დამნაშავეთა წყალობით გამოსწორება, ანუ 'შემცოდეთა წყალობითნი წურთვანი'."[313] ბასილი ეზოსმოძღვარი გვაუწყებს, რომ დავით სოსლანმა გუზან ტაოელი თამარის უკითხავად დასაჯა, რადგან: "უწყოდა დიდი მოწყალება თამარისი, ამისთვის მისსა შეკითხვამდის თვალინი დასწვნა;"[314] ამ შემთხვევაშიც, ისტორიკოსს იმდენად თამარის გულმოწყალება არა აქვს მხედველობაში, რამდენადაც ის, რომ თამარი სასჯელმისჯილების მიმართ წყალობის აქტებს ახორციელებდა ხოლმე, მისთვის მინიჭებული სამართლებრივი უფლების ფარგლებში, ანუ მეფეს - როგორც მართლმსაჯულების უზენაეს პირს, შეწყალების უფლება ჰქონდა. იგივე უფლებას ითხოვდნენ "კარავისელებიც". გავიმეორებთ, რომ წყალობის ბოძებად ინტერპრეტირებას ეს განმარტება, რასაკვირველია, არ გამორიცხავს. ტერმინს მოცემულ შემთხვევაში, ორივე მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც. ისევ უნდა გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის განმარტება:

"ამ შემთხვევაში ისეთი ზოგადი გამონათქვამებია ნახმარი, რომ მათი შინაარსი შეიძლება სხვადასხვანაირად გაიგოს ადამიანმა. საფიქრალია, რომ ყუთლუ-

---

[310] ანთელავა, *დასახელებული ნაშრომი,* 182.

[311] ibid., 182.

[312] მცხეთური ხელნაწერი, (თბილისი: მეცნიერება, 1983), 191.

[313] მეტრეველი, *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია* (თბილისი: მერიდიანი 2003), 94.

[314] ძველი ქართლის ცხოვრება, 403.

არსლანსა და მის დასს ასეთი ზოგადი ხასიათის ტერმინები განზრახაც ჰქონიათ ნახმარი, რომ თითოეულ მათგანში ნაგულისხმევი ყოფილიყო საქმეთა მთელი ის მრავალფეროვნება, რომელიც მათ განსახილველ-განსაგებელი უნდა ჰქონოდათ."[315]

არც ის არის უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ სამეფო დარბაზს საბჭო ერქვა, სასამართლოს აღმნიშვნელი ტერმინი. "ბაგრატ IV-ის ოპიზის 1060-1065 წ. სიგელში-კი სასამართლოს აღსანიშნად "საბჭო"-ა ნახმარი;"[316] მაშინ დარბაზობაზე სასამართლო სხდომა ჩატარდა; როგორც ჩანს, პოლიტიკური დატვირთვის მქონე მართლმსაჯულებითი საკითხების გასარჩევად - სააჯო კარის ცალკე ინსტიტუტად გამოყოფამდე - მეფე სახელმწიფო დარბაზს იწვევდა და ეს ფუნქცია, კარავისელთა გამოსვლის მერე დარბაზსვე დაუბრუნდა (მანამდე უზენაესი სამართლმსაჯულო ფუნქცია, დავით აღმაშენებლმა "სააჯო კარს" დაუმკვიდრა).

გიორგი რუსი

მყიფე წონასწორობა, რაც ამდენი ვნებათაღელვის მერე დამყარდა, თამარის საქმროს საკითხს შეეძლო დაერღვია. თამარის მეუღლის, როგორც თანამოსაყდრის, სტატუსი და უფლებამოსილება მეფისას ვერ გაუტოლდებოდა, მაგრამ სამეფო სახლს მისი სახით მაინც დიდი ძალა უნდა შემატებოდა, რაც თვითმპყრობელობის რეანიმაციის შესაძლებლობას ქმნიდა, მაგრამ ოპოზიციამ სამეფო სახლს სულის მოთქმა არ აცალა, დასწრებაზე იმოქმედა და თავისიც გაიტანა: თამარის თანამოსაყდრედ, ტფილელ მოქალაქეთა მზაკვრულად მოფიქრებული გეგმის თანახმად, უფლისწული - იური ანდრიას ძე იქნა შერჩეული, - საკუთარი ქვეყნიდან გაძევებული, სამხედრო-პოლიტიკურ საყრდენს მოკლებული და ყოველმხრივ ხელმოცარული პიროვნება.

ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით ირკვევა, რომ საქმროს საკითხზე თადარიგი სამეფო სახლის ოპოზიციას ჯერ კიდევ იმ საეკლესიო კრებაზე დაუჭერია, სადაც მეფემ მიქაელის "განყენება" სცადა:

---

[315] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია II*, 131.
[316] იქვე, 339.

"ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოვლენი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამათა, რათა ზოგად იღუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისთვის, რომელი ყვესცა."[317]

სამხედრო ელიტის ("სპასალარნი და ერისთავნი") ეს დემარში მეტყველებს, რომ "სიძის შემოყვანების" ფართო ლეგიტიმური საფუძვლის მოპოვების მიზნით საერო ხელისუფლებს სასულიერო წოდების თანადგომა და პრინციპული თანხმობა ("ზოგად იღუაწონ") უთხოვიათ და კიდეც მიუღიათ ("...რომელი ყვესცა"). ეკლესიის და დარბაზის შეთანხმებული ნების გადალახვა მეფემ ვერ შეძლო, თუმცა თამარის დაყოლიება იოლი არ გამოდგა; გარდა იმისა, რომ თამარი, როგორც მეფე, ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი იყო, - საქმე პირადად მას ეხებოდა და, შესაბამისად, მისი, როგორც ფიზიკური პირის, თანხმობის გარეშე გიორგი რუსი თანამოსაყდრე ვერ გახდებოდა. ოპოზიციონერები "წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს,"[318] ანუ უსარდლობის მოტივით ნიღბავდნენ თავიანთ ნამდვილ ზრახვებს. გულხელდაკრეფილები არც სამეფო სახლში მსხდარან. "აზმანიდან" ვიცით, რომ იქ სასიძოების "ქასთინგი" იყო გამართული, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას სამხედრო და სასულიერო ელიტასთან შეუთანხმებლად, სამეფო სახლი, რასაკვირველია, ვერ მიიღებდა; ორი პოლიტიკური ბანაკის შენიღბულ ქიშპობაზე გულახდილად საუბარს მემატიანეც მორიდებია, საქმის ნამდვილი ვითარება მორალურ მოტივებზე მითითებით გაუბუნდოვნებია და გადაწყვეტილების ვერ მიღების მიზეზად ის დაუსახელებია, რომ "აღარ დაებადა ღმერთსა სწორი ამისი, არცა მგონიეს თუ დაბადებად არს."[319] პატური ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა:

"გამოვიდა ვინმე ჩუენდა მეტყუელი, მკვიდრთა ტფილისისათა შინა თავადი და მეფეთ-მეფისაგან წყალობახელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან და მეტყუელმან თქუა: 'მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი'."[320]

კანდიდატი დიდებულების და ეკლესიისთვისაც მისაღები აღმოჩნდა. რწმენით ქრისტიანის და სამეფო ჩამომავლის ფორმალურ პირობას ის სავსებით

---

[317] ბასილი ეზოსმოძღვარი, 386.
[318]ბასილი ეზოსმოძღვარი, 387.
[319] ibid., 328.
[320] უცნობი მემატიანე, 328.

აკმაყოფილებდა, მაგრამ იყო უფრო მნიშვნელოვანი გარემოებაც, - კანდიდატის სამხედრო და მატერიალური შესაძლებლობები; გიორგი რუსს არა თუ სამასი მთავარი არ მონებდა - როგორც ამას აბულასანი მოახსენებდა დარბაზს - არამედ საერთოდაც გაძევებული იყო მამულიდან და თავს მტრულ ქვეყანას, ყივჩაყეთს აფარებდა.

სამეფო სახლის ოპოზიცია ჩქარობდა:

"უხმეს ერთი მკვიდრთაგანი, დიდვაჭარი ზანქელ ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემანთა მოყმე სახეკეკლუცი."[321]

გიორგი რუსის პირველი მოთხოვნისთანავე საქართველოში გამოშვება - ყივჩაყებთან წინასწარი ფარული გარიგებების გარეშე - ალბათ, ვერ მოხდებოდა. ტფილელმა მოქალაქეებმა ყივჩაყები, ვფიქრობთ, ადრევე გაიპირეს; პოლიტიკურად ასე დიდმნიშვნელოვან (ყივჩაყებისათვის) პერსონას სათანადო საფასურის გარეშე ისინი არ დათმობდნენ... მოქალაქეებმა, სავარაუდოდ, ისიც იცოდნენ, რომ ტახტის პრეტენდენტი მამათმავალობის ვნებით იყო გატაცებული ("სოდომურიცა მოიპოვა ქცევა"[322] - და მასთან, ალბათ, ამ მხრივაც იყვნენ დაკავშირებულები. ასეთი ვარაუდის გარეშე, ძნელი ასახსნელია, რატომ იმოქმედა ტახტზე ასვლის შემდეგ გიორგი რუსმა სამეფო სახლის ოპონენტების სასარგებლოდ და თამარის საწინააღმდეგოდ. მოქალაქეთა თავკაცის, აბულასანის მეჭურჭლეთუხუცესად დანიშვნა, რაც გიორგი რუსის ტახტზე ასვლის მერე განხორციელდა, თამარის თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა და აქ კეთილგანწყობა, რაც გიორგიმ მოქალაქეთა თავკაცისადმი გამოავლინა, სავსებით ლეგიტიმურ ფარგლებში იყო მოქცეული, მაგრამ გიორგი რუსის აღვირახსნილი და მავნებლური ქმედებები, რაც მთავარია, თამარის დასამხობად მოქალაქეებთან საიდუმლო გარიგება (1191 წ.) მხოლოდ მათთან "სისხლხორცეულად" დაკავშირებულ პირს შეეძლო; მაგრამ ჩვენ ისევ თამარის ქორწინების წინა პერიოდს უნდა დავუბრუნდეთ:

---

[321] ibid., 329.

[322]უცნობი მემატიანე, 332. გიორგი რუსის მამათმავლობაზე "აზმანის" ავტორი, შესაძლოა, მისი გარეგნობის დახასიათებითაც მიანიშნებდეს - "მოყმე სახეკეკლუცი".

სოდომიტი სასიძოს საქართველოში ჩამოყვანა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა თანამოსაყდრეობას. ამიტომ საერო და სასულიერო ელიტა ისევ გაერთიანებული ძალისხმევით უტევდა მეფე თამარს. თამარი ეწინააღმდეგებოდა:

"არა ვიცი კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა, მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი." [323]

"ხოლო იგინი წინააღუდგებოდეს, უშვილოებასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტვინვიდეს, წინამძღვართა სპათასა ითხოვდეს და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა... და ესოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს... შემდგომად მრავლისა ცილობისა თვინიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი."[324]

თვალთმაქცობდნენ, მასკარადი გაუმართავთ: "ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა" ანუ - ყელმოღერებით ან ცრემლმორეული თხოვდნენო და... თავისი გაუტანიათ: "არამშუებელმან დედოფალმან (დედოფალში - მამიდა რუსუდანი იგულისხმება ა.ჯ.) და სპათა აიძულეს ქმნად."[325]

მემატიანის მოწმობით, საქორწილო ცერემონიალი მეფის თანხმობის გარეშე მოუმზადებიათ, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ თამარის თვითმპყრობელ მონარქად მიჩნევა - როგორც ამას პროფ. შ. მესხია და სხვები ფიქრობენ, სრულიად უმართებულოა.

მთელი ელიტის საყოველთაო და შეჯერებული ნებისადმი ხანგრძლივად დაპირისპირებას აზრი არ ჰქონდა და მეფე თამარმაც დათმო იმ იმედად, რომ ქორწინების მერე გიორგი რუსი არა მისი პროტეჟეების (მოქალაქეების, ან დიდებულების) მხარდამჭერი, არამედ ტახტის ინტერესების ერთგული გახდებოდა. მისი იმედი არ გამართლდა, თუმცა თამარს ცდა არ დაუკლია:

"ხოლო ბრძენმა თამარ იძია მრავალ ღონე განკურნებისა მისისა და უბრძანა სარწმუნოთა მონაზონთა პირთა მრავალგზის, დაღათუ ყოვლად არა სარგებელ ეყო რუსსა... 'ვკურნავდით ბაბილონსა და არა იკურნებოდა'."[326]

---

[323] ბასილი ეზოსმოძღვარი, 387.
[324] ბასბილი ეზოსმოძღვარი, 387.
[325] ibid., 329.
[326] ibid., 387.

ის, რაც გიორგი რუსის მანკიერი ნებელობის შესახებ მოქალაქეთა თავკაცებმა იცოდნენ - არ სცოდნიათ დიდებულებს. მემატიანეს მოწმობით, ყველანი სახტად დარჩენილან:

"ვითარ უგრძნეს ესე ვაზირთა და დიდებულთა განკვირვებულთა ერთხმა ყვეს მცნობელთა ამისთა, ვითარმედ ... მისივე ძუელისა ხაკან სკვითისა შემსგავსებულად მოსდგომია აქაცა."[327]

დიდებულებისთვის გიორგი რუსი იმდენად იყო მისაღები, რამდენადაც ის თავისი წარმომავლობის ქვეყნის სამხედრო ძალით ზურგმოუბმელი და არანაირი სახსრის მქონე კანდიდატი ბრძანდებოდა; ამ მონაცემებით ის სამეფო სახლს ვერ გააძლიერებდა. რაც შეეხება პიროვნულ თვისებებს, არავითარი წინასწარი ინფორმაციაც რომ არ ჰქონოდათ პოტენციურ სასიძოზე, ჯერ ნოვგოროდიდან და მერე საკუთარი მამულიდან მისი გაძევება და იმ ქვეყნისთვის (ყივჩაყეთისთვის) თავის შეფარება, რომელიც მის მშობლიურ რუსეთს მტრობდა, - არაფერ კარგს მის უნარებზე არ მეტყველებდა; უუნარობას რომ თავი ვანებოთ, რუსეთის მთავრის ტახტის ლეგიტიმურ კანდიდატს ყივჩაყები - რაკი ერთხელ ხელში ჩაიგდეს - სავარაუდოდ, მუდმივი ზეგავლენის მტკივნეულ მარწუხებს მოუჭერდნენ, - საამისოდ კი საკაცობრიო გამოცდილებას მანკიერი თვისებების კულტივირება (გალოთება, გადედლება და მისთ...) ჰქონდა არსენალში. საეჭვო კანდიდატის პირადი თვისებების გამოვლენა მხოლოდ დახანების და დაკვირვების შემთხვევაში იყო შესაძლებელი, მაგრამ ოპოზიცია არ ახანებდა. წინააღმდეგობა კი ამაო გამოდგა:

"რამეთუ თამარ ... ყოვლად უწადინებელმა ქორწინებისაგან იაჯა ხსნა ქმრობისაგან, ხოლო არა მშუებელმან დედოფალმან და სპათა აიძულეს."[328]

"შეკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი და აცნობეს თამარს და აწუევდეს ქორწინებასა და ასწრაფობდეს ამის პირისათვის. ... *შემდგომად მრავლისა ცილობისა* თვინიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი... და გამოაჩნდებოდეს რუსსა სკვითურნი ვითარ ნაღებთა ბუნებითნი და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესოებად იწყო მრავალთა, რომელთათვის ნამეტნავ არს წერად..."[329]

---

[327] უცნობი მემატიანე, 332.
[328] უცნობი მემატიანე, 329.
[329] ბასილი ეზოსმოძღვარი, 387.

ეს ვითარება, როცა სახელმწიფო ინტერესებთან ერთად მეფის პირადი ინტერესიც ასე შეილახა, არ ადასტურებს, როგორც ვთქვით, სამეფო ხელისუფლების თვითმპყრობელური უფლებამოსილების არსებობას; სამეფო ტახტი გიორგი რუსის გაძევების მერეღა მოძლიერდა, როცა თამარმა დავით სოსლანი შეირთო, თუმცა ოპოზიცია ტახტის მოძლიერებას ვერ შეეგუა და 1191 წელს კიდევ ერთხელ აჯანყდა. აჯანყებულები ისევ ორბელების და დემნა უფლისწულის დროინდელი მიზანდასახულობით მოქმედებდნენ. მოქალაქეებთან კოალიციაში მყოფმა დასავლეთ საქართველოს და ნაწილობრივ მესხეთის დიდებულებმა, საეკლესიო იერარქებს გეგუთში გიორგი რუსი მეფედ აკურთხებინეს და თამარის წინააღმდეგ ჯარები დაძრეს. "ორხელისუფლებიანობა" მალე დამთავრდა: ნიალის ველზე მომხდარ გადამწყვეტ შეტაკებაში თამარმა და დავით სოსლანმა დაამარცხეს კოალიცია; თამარ მეფემ სამეფო ინსტიტუტისთვის სხვა კონკურენტ რგოლებთან შედარებით აღმატებული გავლენის და უფლებების შენარჩუნება მძიმე ბრძოლაში მოახერხა; საყურადღებოა, რომ მან ეს დიდგვაროვანთა იმ ნაწილის თანადგომით შეძლო (მხარგრძელები), ვინც - თანამდებობრივი უპირატესობის მიღების და საკუთარი მემამულური ინტერესის უკეთ რეალიზების მიზნით - ისევ მეფის ხელისუფლების მხარეზე დგომა არჩია. ასეთი მოკავშირის "ერთგული სამსახური" თამარმა, რასაკვირველია, მერე სათანადოდ დააფასა.

ამრიგად, თამარ მეფის პირველი ქორწინების პერიპეტიებიც იმასვე მოწმობს, რომ "თამარის მეფობის დროს საქართველოში ე.წ. შეზღუდვილი მონარქია დამყარებულა."[330] მემატიანეთა ჩვენებების და მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ანალიზის გარდა, ამას კიდევ ერთი წყაროს - "წესი და განგება მეფედ კურთხევისანი" - მონაცემიც ადასტურებს:

"თავ-მოდრეკილობა, მიმართვის ფორმულა და შინაარსი სრული უეჭველობით ამტკიცებენ, რომ მეფეთა კურთხევის წესი 'ლაშქართ' 'თვითმპყრობელი' მეფის თანასწორ პატივს აკუთნებდა და ერთი და იმავე მოწიწებით ეპყრობოდა. თუ დასტურის მიღების გარემოებასაც გავითვალისწინებთ, შეიძლება, რომ 'ლაშქართ' ამ მხრივ თვით მეფეზე მეტი მნიშვნელობაც კი ჰქონია მიკუთვნებული. ერთი სიტყვით, კურთხევის წესში 'თვითმპყრობელი' მეფის გვერდით მისი სწორი მეორე ძალაც,

[330] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია II,* 140.

'ლაშქარნი'-ც არის წარმოდგენილი და ამგვარად მეფობის ის თანაზიარნი, რომელნიც თამარის მეფობაში გაჩნდენენ, მეფის კურთხევის წესის თვალსაჩინო მონაწილედაც გამხდარან."[331]

დასკვნა

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს პოლიტიკური სისტემა ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ წყობაში მომხდარი გარდატეხის შესაბამისად გარდაიქმნა. ბატონყმური ურთიერთობების გამარჯვებას მწარმოებელი ფენის სოციალური თავისუფლების მიწისმფლობელი მაგნატებისადმი დაქვემდებარების სასარგებლოდ შეზღუდვა მოჰყვა, რამაც დიდგვარიანებთან საძალაუფლებო შეჯიბრში ჩაბმულ სამეფო სახლს სამხედრო-პოლიტიკური საყრდენი დაუვიწროვა; თვითმპყრობელი მეფის ხელისუფლება მსხვილი მაგნატების და წოდებათა წარმომადგენლების საკრებულოს, იგივე დარბაზის წევრებს გაუნაწილდა; "დარბაზი" მართვის კოლეგიალური ორგანო გახდა. ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში მომხდარი ეს გარდამტეხი ცვლილება თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია. შემდეგდროინდელმა მკვლევარებმა არ გაიზიარეს ჯავახიშვილისეული ინტერპრეტაცია. ჩვენ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისის მართებულობის დასაბუთებას შევეცადეთ.

[331] ibid., 156.

III

კანონის უზენაესობის ისტორიული წინაპირობები

ამერიკელი პოლიტოლოგის, ფრენსის ფუკუიამას (დაბადებული 1952 წ.) თანახმად, ევროპაში პიროვნების თავისუფლების იდეის დამკვიდრება კანონის უზენაესობის (rule of law) ხელშემწყობმა ოთხმა ისტორიულმა წინაპირობამ უზრუნველყო. კანონი კანონობს და ხელისუფლებას ბოჭავს:

1. თუ ის სისტემატიზირებულია და სავალდებულო ძეგლად დაიდო

2. თუ ძეგლის შინაარსი კანონმცოდნეების და არა ხელისუფალთა მიერ იქნა შემუშავებული

3. თუ კანონს პოლიტიკური იერარქიისაგან გამიჯნული დაწესებულება იცავდა, მისი საკუთარი რესურსებით და უფლებამოსილებით

4. თუ ძეგლი ნამდვილად შეესატყვისებოდა ცხოვრებაში მოქმედ სოციალურ ნორმებს და იმ საზოგადოების ღირებულებებს, რომელსაც ამ ძეგლით უნდა ესარგებლა.[332]

იმ საზოგადოებებში, სადაც ასეთი ისტორიული წინაპირობები არ მოქმედებდა, კანონიერების და კანონის უზენაესობის დამკვიდრება დიდ წინააღმდეგობებს აწყდება.

გამოსარკვევია, ჰქონდა თუ არა ადგილი ასეთ წინაპირობებს ქართულ ისტორიაში, ანუ რამდენად უწყობდა ფეხს ქართული საზოგადოების სამართლებრივი წარსული ევროპული საზოგადოების ისტორიულ ევოლუციას?

[332] " ... 1. If it was codified into an authoritative text; 2. if the content of the law was determined by specialists in law and not by political authorities; 3. if the law was protected by an institutional order separate from the political hierarchy, with its own resources and power of appointment; 4. if the law actually corresponded to the lived social norms and values of the community to which it was applied."- Francis Fukuyama, "Transitions to the Rule of Law", *Journal of Democracy* N 1. (2010), 36.

"ზეცის ჩაძახილი" და უძველესი ხანის დემოკრატიული საბჭო

უძველეს ხანაში, სამართლის ისტორიის საწყის ეტაპზე, სამართლის ნორმას საზოგადოებას "ზეცა" ამცნებდა ქადაგის პირით. "ქადაგი, მთიელთა გადმოცემით, ღვთის რჩეულია, მის ნება-სურვილს აუწყებს, მისი პირით ლაპარაკობს, ხალხსა და ღვთაებას შორის მოციქულობს."[333] ქადაგი "ზეცის" ჩაძახილს ახმოვანებდა, ხოლო ნაქადაგარს "ბჭეები" განმარტავდნენ და სამართლებრივი ძეგლიც ამ გზით იდებოდა.[334]

ამ კონფიგურაციაში კანონშემოქმედება, როგორც ვხედავთ, არ არის თავიდან ბოლომდე რაციონალურ საფუძველზე დამყარებული. "ზეცის" ჩაგონებით მიღებული ინფორმაცია ირაციონალურ–ხატოვან სამოსელში ექცეოდა და "ბჭეებიც" ამიტომ ახდენდნენ მის რაციონალურ განმარტებას. პროცედურა პროვინციის ან მთელი ქვეყნის მასშტაბით საკანონმდებლო ძეგლის დებისას მოქმედებდა,[335] მაგრამ ზეცისადმი აპელირება, ჩანს, არც კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებების შემთხვევაში იყო უცხო ხილი.[336] ასე რომ, უძველეს ხანაში როგორც სასამართლო, ისე საკანონმდებლო საქმიანობის და "წეს-რიგის" სათავედ (ლეგიტიმაციის საფუძვლად), დემოკრატიულად არჩეული "ბჭეების" საკრებულოს გარდა, "ზეცაც" აუცილებლად იგულისხმებოდა. მაგრამ "ზეცის" საკანონმდებლო აქტივობა თანდათან იცვლიდა სახეს: ადგილობრივი ქადაგი გარედან მოსულმა წინასწარმეტყველმა და მოციქულმა

---

[333] ნუნუ მინდაძე, "ქადაგობის საკითხისათვის საქართველოს მთიანეთში", *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტომი 23* (თბილისი: მეცნიერება, 1987), 174.

"ეხლაც, წმინდა გიორგის მონები ... ქადაგად დაეცემიან და ხალხს ხატის ნებას უცხადებენ." - ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია, წიგნი I,* თხზულებანი 12 ტომად ტ. 1 (თბილისი: მეცნიერება, 1979), 92.

[334] "ძველი ქართული-წარმართული ხანის რელიგიური წარმოდგენებით - ქცევის წესს, 'რიგს' ღმერთი აძლევდა ხალხს. აქედან ღებულობს სათავეს გამოთქმა 'მორიგე ღმერთი' - ე. ი. ისეთი ღმერთი, რომელიც ქვეყანას - მასში მცხოვრებ ხალხს, ქცევის გარკვეული წესს (რიგს) უწყალობებს და ადამიანთა შორის ურთიერთობას აწესრიგებს." - გ. ნადარეიშვილი, *ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია* (თბილისი: ბონა კაუზა, 2005), 26.

[335] "იკრიბებოდნენ ხალხური სამართლის მცოდნე პირები, ბჭე-ხევისბერნი, რომელთაც ქადაგის, ორაკულის საფუძველზე *სრულიად ხევსურეთის რჯულში* ცვლილებები შეჰქონდათ. ქადაგობის შინაარსი და ბჭე-ხევსურთა გადაწყვეტილებანი სათანადო წარმომადგენლების მეშვეობით გადაეცემოდა სხვა თემების ჯვარ-ხატთა დარბაზებს."- ibid., 30 (ხაზგასმა ჩვენია).

[336] აი, როგორ გამოაქვს განაჩენი ხევისბერს: "ღმერთო (ხევისბერი 'ზეცას' მიმართავს სამართლებრივი გადაწყვეტილების მისაღებად და აქ მას ქადაგის ინტუიცია სჭირდება ა.ჯ.), მოგვიტევე თუ ვცდებით რაშიმე (ხევისბერმა უნდა განბჭოს, ციური ჩაგონების რაციონალურ ინტერპრეტირება მოახდინოს და შეცდომის ეშინია ა.ჯ.), რაც შენ გვაგონე იმას წარმოვსთქვამთ..." - ალ. ყაზბეგი, *თხზულებანი* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1985), 654.

შეცვალა; მოციქული – ეკლესიამ, როგორც მორწმუნეთა დემოკრატიულმა საკრებულომ.[337] ასეთი გრადაცია *სასულიერო* კანონმდებლობისთვის იყო დამახასიათებელი, სხვაგვარი იყო ვითარება ე.წ. *საერო* "წესის და რიგის" ჩამოყალიბებისას.

მაშ, თავდაპირველად წესები "ზეციდან ნამცნების " განბჭობის შედეგად დგინდებოდა და რჯულად ყალიბდებოდა.[338] რჯული, დროთა განმავლობაში, ჩვეულებად იქცეოდა, ანუ ოდესღაც განბჭობილი და ზეპირგადმოცემით შენახული წესები მერე და მერე ჩვეულებითი სამართალის, ანუ ადათის ნორმებად განმტკიცდა; ამ ნორმების სათავე სახელმწიფოს გარეთ და სახელმწიფოს წარმოქმნამდეა საგულვებელი. "ადათის უკან სახელმწიფო იძულება არ დგას,"[339] ხალხური ანდაზა კი ამბობს: ჩვეულება – რჯულზე უმტკიცესიაო,[340] მაგრამ ამ "სიმტკიცის" მიზეზი სწორედ ის გახლდათ, რომ *ჩვეულება თვითონაც რჯული იყო,* ოღონდ ძველი - ახალშემოსულ რჯულზე, ანუ წესებზე, უწინარესი – "მამაპაპისეული რჯული" – არა მონოთეისტური წინასწარმეტყველის ნამცნები და ჩაწერილი სამართლებრივი ნორმა, არამედ პოლითეისტურ-წარმართულ "ქადაგთა" ("ბერების") ნაქადაგარი და "ბჭეების" განსჯილ-ინტერპრეტირებული.[341] ამ ორი რჯულის ერთმანეთისგან გასასხვავებლად ერთ-ერთს, და ბუნებრივია ძველს, ჩვეულება დაერქვა, ხოლო მოგვიანებით შემოსულმა ახალმა - რჯულის ცნება თვითონ მიისაკუთრა. ახალი რჯული ძველს აძევებდა, მაგრამ ძველის გამძლეობას ის განაპირობებდა, რომ ის ფ. ფუკუიამას ზემოხსენებული ოთხი წინაპირობის მეოთხე მოთხოვნასთან - *"ცხოვრებაში მოქმედ სოციალურ ნორმებთან და საზოგადოების ღირებულებებთან" უკეთ მოდიოდა შესატყვისობაში,* რის გამოც ჩვეულება სახელმწიფო სანქციას ღებულობდა და

---

[337] რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, მაგალითად, დიდ სჯულისკანონშიც კი შეიტანეს ძველთაგანვე. - იხ. ი. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* 52-53.

[338] განბჭობა - იგივე განსჯა, ტერმინ "რჯულს" დაედო საფუძვლად, განსჯილიდან – "სჯული," იგივე რჯული უნდა წარმომდგარიყო. "ეს სიტყვა 'სჯა'-სგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა." - ibid., 29.

[339] ივანე სურგულაძე, *ქართული სამართლის ისტორიის წყაროები,* ვ. მეტრევლის და ნ. სურგულაძის რედაქციით (თბილისი: 2002), 8.

[340] *ქართული ანდაზები,* შეადგინა აკაკი კანდელაკმა (თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1959), 83.

[341] "ძველი ქართული-წარმართული ხანის რელიგიური წარმოდგენებით ქცევის წესს, 'რიგს' ღმერთი აძლევდა ხალხს. აქედან ღებულობს სათავეს გამოთქმა 'მორიგე ღმერთი'. ... 'რიგი' ტერმინი მოგვიანებით, ქრისტიანულ ხანაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქართულ სამართალში, მოვიგონოთ ქართული სახელმწიფო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი 'გარიგება ხელმწიფის კარისა'." - ნადარეიშვილი, *ქართულის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,* 26.

სამართლის ნორმის სტატუსს იძენდა. "თუ ჩვეულება სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ, ის ჩვეულებითი სამართალია."[342]

სასულიერო სამართლის სფეროში სჯულის განუწყვეტელი განახლებაც ხდებოდა: ახალდამკვიდრებულ რელიგიას და მის წესებს დროთა განმავლობაში ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებები და ნორმები ემატებოდა[343] და სჯულიც სულ უფრო ადაპტირდებოდა ადგილობრივ ღირებულებებთან. "ქართული სამართლის ძეგლების" რვატომეულის გამომცემელი, პროფესორი ი. დოლიძე მიუთითებდა:

"ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული ... შეიცავს საქრისტიანო მსოფლიოში მოქმედ სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს ... რომლებიც ვახტანგის კრებულის შედგენამდე დიდი ხნით ადრე მოქმედებნდენ. ... ზემოხსენებული კანონები იმდენად გადამუშავებული სახითაა თარგმნილი, რომ ისინი შესაბამისი ძეგლების თავისებურ, ქართულ ვერსად უნდა ჩაითვალოს."[344]

თავიდან ბოლომდე ადგილობრივი წარმომავლობის "საერო", სათემო სამართალს კი, რომელსაც სახელმწიფოს წარმოშობამდე დაედო დასაბამი,[345] სახელმწიფოს გაჩენის მერე, პოლიტიკური ცენტრებიდან თავსმოხვეული ნორმატივებიც ამდიდრებდა;[346] ადგილზე შემუშავებულ ნორმებს უკვე გარედან,

---

[342] სურგულაძე, *ქართული სამართლის ისტორიის წყაროები,* 10.

[343] "შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩვენ ქართული საეკლესიო სამართლის შესასწავლად მარტო მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების ძეგლისწერით დავკმაყოფილდებოდით. ვითარცა პატრონყმობის ნიადაგზე აღმოცენებულთ, ამ დაწესებულებებს მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობასთან ძალიან მცირე კავშირი ჰქონდათ. ზოგჯერ კი სრულებით არავითარი დამოკიდებულებაც კი არ იყო მათ შორის... ქართული საეკლესიო სამართალი საეკლესიო სამართლად მარტო იმ მნიშვნელობით კი არ უნდა იწოდებოდეს, რომ მისი შინაარსი მხოლოდ ეკლესიას, ვითარცა სარწმუნოებრივს დაწესებულებას ეხებოდეს, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომ იგი ეკლესიის, როგორც სახელმწიფოებრივი სხეულის და ცხოვრების წარმონაშობი იყო." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* 37.
ამ მრავალმხრივ საყურადღებო ამონარიდიდან ამჟამად ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ საეკლესიო სამართლის კორპუსი ადგილობრივი წარმომავლობის ელემენტით *ივსებოდა* და, მაშასადამე, *შესაბამისობაში მოდიოდა "ცხოვრებაში მოქმედ სოციალურ ნორმებთან."*

[344] *ქართული სამართლის ძეგლები I* (თბილისი: მეცნიერება, 1963), 5.

[345] "იმ დროს, როდესაც ჯერ არ იყო დაარსებული წესიერად განწყობილი სახელმწიფო, ... თვით ხალხი ასამართლებდა, განსჯიდა ხოლმე საქმეებს. ... თვით ხალხი ირჩევდა მსაჯულთ" - ნიკო ხიზანიშვილი, "უფლება და კანონი ძველ საქართველოში", *რჩეული იურიდიული ნაწერები* (თბილისი: მეცნირება, 1982), 37.

[346] ასეთ დროს, ჩვეულებრივ, ადათსაც ანგარიში ეწეოდა. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალეს "ძეგლის დებაში" სახალხო წარმომადგენლობაც ანუ "ეროვანნიც" მონაწილეობდნენ: "ჩვენ მეფეთ მეფემან გიორგიმ... დავდევით ძეგლი განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად... და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ხევისთავნი,

სახელმწიფო ინსტანციიდან მოსული კანონმდებლობა უწევდა მეტოქეობას და სამართლის ლეგიტიმურობის წყაროს საკითხიც რთულდებოდა: ძველი ადგილობრივი ნორმების სათავედ "ზეცა" (ნაქადაგარი) და დემოკრატიული საკრებულო ("ბჭეების" საბჭო) გვევლინებოდა, ახლის და გარედან მოსულის – მეფე, უზენაესი სჯულმდებელი და მისი დარბაზი, რაც სულაც არ გამორიცხავდა "ზეცის მანდატის" არსებობას: მეფე, იგივე უფალი, ღვთიური, ბუნებითი სამართლის მყოფელი პერსონა იყო[347] (რასაც მისი მირონცხების საიდუმლო გამოხატავს).[348] ამ მეფე-უფლის, იგივე მამა-უფლის (პატრონყმობის დროინდელი "მამფალი"), ხოლო მდედრობითი სქესის შემთხვევაში – დედა-უფლის (იგივე დედოფალი) უფლება თავდაპირველად, სავარაუდოდ, მათ სპირიტულაურ შესაძლებლობაზე იყო დაყრდნობილი,[349] – უნარზე, შეესრულებინათ ზეცასთან ჩართულობის რიტუალი, მერე და მერე კი ეს უფლება სოციალურ-ეკონომიკურ და სამხედრო–პოლიტიკურ საძირკველს დაეყრდნო. ზეცასთან კავშირი, განსაკუთრებული სტატუსით

ხევისბერნი და ეროვანნი... და აწ ყველა გავაჩინეთ რა რიგად ვის რა ეყოს" - *ძეგლის დება გიორგი V-ის ბრწყინვალისა* (თბილისი: "მეცნიერება", 1988), 35-38.

[347] "რამეთუ არა ცუდად ხრმალ აბიეს, რამეთუ ღმრთისა მსახური არს, შურის მეძიებელი რისხვასა ბოროტის მოქმედისათვის. ამისათვის ჯერ არს დამორჩილებაი" (რომაელთა, 13. 4, 5).

[348] ტერმინები "მეფე" და "უფალი" სინონიმებია – მფლობელსაც ნიშნავს და უზენაესი უფლებამოსილების მქონესაც, ანუ ბუნებითი/ღვთებრივი სამართლის განსახიერებას. "Обычай помазания на царство от ветхозаветной теократии перешел и христианским народам, у которых помазание сделалось символом утверждения в царском дастоинстве. Отсюда цари называются П. божиими.

[სამეფოდ მირონცხების ჩვეულება ძველი აღქმისეული თეოკრატიიდან ქრისტიან ხალხებშიც გადმოვიდა, ვისთანაც მირონცხება სამეფო ღირსების დამამოწმებელ სიმბოლოდ იქცა. აქედანაა, რომ მეფეებს მირონცხებულებად უხმობენ]." - Лопухин А. П, "Христианство", *Энциклопедический словарь под редакций С. С. Аверинцева, т. 2* (Москва: Большая Российская Энциклопедия, 1995), 364.

[349] ძველი მეფეები, ჩვეულებრივ, ქურუმებიც იყვნენ; მათ ღვთაებრიობა მიეწერებოდათ:

"In those days the divinity that hedges a king was no empty form of speech, but the expression of a sober belief. Kings were revered, in many cases not merely as priests, that is, as intercessors between man and god, but as themselves gods, able to bestow upon their subjects and worshippers those blessings which are commonly supposed to be beyond the reach of mortals, and are sought, if at all, only by prayer and sacrifice offered to superhuman and invisible beings.

[მაშინდელ დროში ღვთაებრიობა, რაც მეფეს მიეწერებოდა, უშინაარსო ფრაზა კი არ იყო, მტკიცე რწმენას გამოხატავდა. მეფეს არც თუ იშვიათად ეთაყვანებოდნენ და არა უბრალოდ როგორც ქურუმს, ანუ ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლებს, არამედ როგორც საკუთრივ ღმერთს, ვისაც უნარი ჰქონდა მისი ხელქვეითებისთვის და თაყვანისმცემლებისთვის ეწყალობა ის მადლი და სიკეთე, რაზეც, როგორც ჩვეულებრივ მიჩნეულია, მოკვდავს ხელი არ მიუწვდება და, თუ მაინცდამაინც, მხოლოდ ზეადამიანური და უხილავი არსებებისადმი ლოცვა-ვედრებით და მსხვერპლის გაღებით მოიპოვება]." - Sir James George Frazer, *The Golden Bough: a Study of Magic and Religion.* http://www.gutenberg.org/files/3623/3623-h/3623-h.htm (22. 05. 2018).

("ბერობა")[350] რომ ინიშნებოდა და შესაბამისი რიტუალური პრაქტიკა, თანდათან მიეცა დავიწყებას და კანონმდებლის უფლებაც სოციალურ-პოლიტიკური ძალმოსილების მიზეზით იქნა მოპოვებული თუ შენარჩუნებული - ზეცის ჩაურევლად და რაციონალური განსჯის ამარა, მაგრამ ზეცის მანდატის შესანარჩუნებლად და მეფეთა ღვთაებრივობის შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მათი ზეციური წარმომავლობა იქნა აღიარებული.[351] ეს იდეა იმდენად იყო მართალი, რამდენადაც ე.წ. მეფეები იმ ოდინდელი ხევისუფლების პირდაპირი ჩამომავლები იყვნენ,[352] ვინც თავიანთი განსაკუთრებული სპირიტუალური უნარების გამო "ხევისბერებად" იწოდებოდნენ. ამის მიუხედავად, ზეცასთან ჩართულობის და ქადაგების ნიჭს ახალი მოდგმის "მამფალ–დედოფლები" თანდათან ჰკარგავდნენ - ძველი საკრალური პრაქტიკა წარსულს ბარდებოდა.[353] ასე ინაცვლებდა სამართლის ლეგიტიმურობის წყარო სპირიტუალურიდან – რაციონალურისკენ, ზეციდან – სოციუმისკენ, საკრალურიდან – პროფანულისკენ. საფიქრალია, ეს გზა ყველა ძველი ცივილიზაციისთვის ერთგვაროვანი იყო...

სამართლებრივი ნორმები - ასე და ამგვარად - *უძველესი დროიდანვე განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო ქართულ საზოგადოებაში. ზეციური მანდატის შარავანდი სამართლებრივი ნორმის პატივისცემის განცდას უწყობდა ხელს, ხოლო ასეთი ნორმის ჩვეულებად ტრანსფორმირება - მხოლოდ ამტკიცებდა მისადმი ერთგულებას ("რჯულზე უმტკიცესად" აქცევდა); ლეგიტიმურობის წყაროს*

---

[350] "ქადაგები წმინდა გიორგის ნებას უცხადებდნენ ხალხს. შემდეგ საგულისხმიეროა, რომ წმინდა გიორგისთვის შეთქმულ ბავშვებს მთელ საქართველოში 'ბერს' ეძახიან; წმინდა გიორგის ხატის მთავარ მსახურსაც ხომ 'ხევისბერი' ერქვა" - ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია, წიგნი I.* 95.

[351] "საქართველოს მეფე 'ღვითსა სწორი', 'სამებისაგან ოთხად თანააღზავებული' იყო, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი ამტკიცებს, ე.ი. სამებასთან მეოთხე სახედ, მეოთხე ღვთაებად აღზევებული. ... შესანიშნავი მეხოტბე ჩახრუხაძე ამბობს: მინდა 'დაუსაბამო თამარ ვსთქვა ნათლად და ძედა მისად'" - ივანე ჯავახიშვილი, "საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია". *ქართველი ერის ისტორია, ხუთ ტომეული, ტ. 5* (თბილისი: "პალიტრა L", 2012), 138. იხ. აგრეთვე 136-137.

[352] "ქართლის სამეფოს წარმოქმნა ეს იყო ხევებში განვითარებული ურთიერთობის ნიადაგზე წარმოქმნილი კლასობრივი ორგანიზაცია" - ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები,* VIII (თბილისი: "მეცნიერება", 1975), 76.

[353] " Still later, a partition is effected between the civil and the religious aspect of the kingship, the temporal power being committed to one man and the spiritual to another.

[მოგვიანებით, სამეფო ხელისუფლების საერო და რელიგიური ასპექტების გაყოფა მოხდა; საერო ხელისუფლება ერთ ადამიანს დაეკისრა, სასულიერო - მეორეს]." - Frazer, *The Golden Bough: a Study of Magic and Religion*. VII. Incarnate Human Gods. http://www.gutenberg.org/files/3623/3623-h/3623-h.htm (22.05. 2018).

სოციუმის სიბრტყეზე გადმონაცვლება კი კანონშემოქმედებაში საზოგადოების ინტერესების უფრო დაწვრილებით ასახვას განაპირობებდა.

საბჭოთა საქმის მეცნიერნი და სისხლის სამართლის სამძებრო

პატრონყმულ ქართულ საზოგადოებას არამცთუ გარკვეული წესით დალაგებული "სამართლის წიგნები" გააჩნდა,[354] არამედ თვით *სამართლის თეორიაზეც* უფიქრია და უწერია: სჯულისკანონის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანს (ისევე როგორც მაქსიმე აღმსარებლის თხზულების მისეულ თარგმანს) კომენტარები და განმარტებები აქვს დართული, საცა ათონელი ბერი და მწიგნობარი სამართლის ბუნებაზე და დანიშნულებაზე მსჯელობს; ეს კომენტარი - ივანე ჯავახიშვილის აზრით - დამოუკიდებელი ნარკვევია სამართლის მეცნიერებაში.[355]

გაუთავებელი ომიანობის შედეგად იავარქმნის მიუხედავად, შემორჩენილი სამართლის ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი: "ხელმწიფის კარის გარიგება," "წესი და განგება მეფეთ კურთხევისანი", ძველი "გარიგების წიგნების" კრებული – ე.წ. "დასტურლამალი," სადაც წვრილად არის აღწერილი სახელმწიფო დაწესებულებათა ანაგისი, ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეთა უფლება–ვალდებულებები და ქცევის წესები (ამავე კრებულში, სხვათა შორის, საგადასახადო კოდექსიც არის ჩართული) და ზოგი სხვა ძეგლიც – თავისი შინაარსით საკონსტიტუციო სამართლის ძეგლებს განეკუთვნება.

რასაკვირველია, არსებობდა *პროცესუალური* სამართლის ძეგლებიც, რასაც მე-11 საუკუნის "ოპიზის სიგელი" ადასტურებს. „ოპიზის ხსენებული სიგელი საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ პროცესუალური სამართლის დარგშიც საქართველო მაშინ ბიზანტიური სამართლის დონეზე იდგა."[356] ამ სიგელიდან, სხვათა შორის, *სამართლისმცოდნეების ცალკე პროფესიული დასის არსებობაც* ცნაურდება. პროფესიონალ სამართლისმცოდნეებს, იურისკონსულტებს და მისთანებს ამ სიგელის თანახმად *"მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი"* ეწოდება.[357] ასეთ

---

[354] " 'სამართლის წიგნი' თავისთავად წარმოადგენს კანონთა კრებულს, რომელსაც თანამედროვე სიტყვით შეიძლება 'კოდექსი' ეწოდოს" - ისიდორე დოლიძე, *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1* (თბილისი: მეცნიერება, 1963), 568.

[355] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* 46-52.

[356] ნადარეიშვილი, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, 67.

[357] "მე-11 ს შუა წლებში საქართველოში უკვე პროფესიული იურისტები ჩანან, 'აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი', რომელთა მოწვევაც ბაგრატ მეოთხეს სამეფო დარბაზში რთული

"მეცნიერთა" წოდება განსხვავებული სამოსითაც იმოსებოდა. გასაკვირი ამაში არაფერია: ბევრად ადრე, ჯერაც უძველეს ხანაში, სტრაბონი ძველი იბერიის შესახებ მსჯელობისას გამოყოფს "გენუსს", სოციალურ ფენას, საიდანაც მეფეები უხუცესებს, *მოსამართლეებს* და მხედართმთავრებს ნიშნავდნენ.[358] სტრაბონის ცნობაში მოსამართლეობა ცალკე ფუნქციად არის გამოყოფილი. მაგრამ, სასამართლო ფუნქცია სამხედრო–ადმინისტრირების ფუნქციისაგან იმ ხანად, ალბათ, მკვეთრად გამიჯნული ვერ იქნებოდა. აი, მოგვიანებით, დავით აღმაშენებლის ხანაში, კი სასამართლო ხელისუფლებამ სრულიად გამოცალკევებული ინსტიტუტის სახე შეიძინა. მეფემ მართლმსაჯულების დელეგირება უკვე სპეციალურ დაწესებულებაზე მოახდინა.[359]

ასეთ სასამართლო დაწესებულებას "სააჯო კარი", ზოგჯერ "საბჭო" და "სამსჯელო სახლი" ერქვა. იუსტიციის სათავეში *მსაჯულთუხუცესი*[360] იდგა. „*მსაჯულები*“ მოსამართლეებს ეწოდებოდათ.

სააჯო კარი, და ეს ზემოთაც ავღნიშნეთ, მეფეს და მწიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდა და ყველა სახელისუფლებო სისტემისგან ცალკე ინსტიტუტს და ცალკე შენობასაც გულისხმობდა; კარავისელთა გამოსვლის მერე, "სააჯო კარი"

იურიდიული საკითხის განხილვის დროს საჭიროდ უცვნია." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II*, 382.

და კიდევ - " იურიდიული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია სამართლის დარგის სპეციალისტთა - იურისტთა კადრების არსებობა, რაც დამოწმებულია ბაგრატ მეოთხის სიგელით მიჯნაძორელთა და ოპიზართა დავის შესახებ. ეს კადრი სპეციალურ გაწრთვნას, სწავლას მოითხოვდა." - ივანე სურგულაძე, *საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის* (თბილისი: თსუ, 1952), 6.

[358]"სტრაბონის ცნობით მხედართმთავრობა ეკუთვნის მეორე პირს ბაზილევსის შემდეგ, ბაზილევსისავე გვარში, ესევე პირია აგრეთევე მსაჯულიც." - სიმონ ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, *შრომები I* (თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკადემია, 1949), 145-146.

[359] "მეფესთან ნაჩივლი ყველა საქმის გამოსაძიებლად და გასარჩევად მან ახალი დაწესებულება დაარსდა, სადაც 'კაცნი მართლად მცნობელნი' დააყენა. ამიერითგან უზენაესი მართლმსაჯულება საქართველოსი ამათ ეკითხებიდა, ეს საქმეები უკვე მეფის პირადი განსაგებელი აღარ იყო." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* 171.

[360] გვიან შუა საუკუნეებში სამეფოს მსაჯულთუხუცესს სპარსული *დიამბეგი,* იგივე მდივან–ბეგი ჩაენაცვლა. ივ. სურგულაძის თანახმად (იხ. ივანე სურგულაძე, *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის,* 316-320), მდივანბეგის სასამართო კოლეგიალური იყო. "წინ ედვათ" კოდიფიცირებული "სამართლის წიგნი". აღსანიშნავია, რომ მდივანბეგი ფეოდალებს არ ჰყავდა და მისი ფუნქციები სწორედ ფეოდალების იურისდიქციის შეკვეცა-შევიწროვების ხარჯზე ფართოვდებოდა. სხვა ცენტრალიური სახელოების ანალოგიური თანამდებობები სათავადო კარზეც შეიქმნა – მდივანბეგის, ანუ მსაჯულთუხუცესის, ფუნქცია კი ცენტრალურ ხელისუფლებას არასოდეს დაუთმია, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სასამართლო ბატონყმურ სისტემაშიც განაგრძობდა არსებობას. მეტიც, მდივანბეგის საქმიანობა სოლიდური ჯამაგირით (ფულით) ნაზღაურდებოდა. უწყებაში გარჩეული საქმის ჩაწერა და აღნუსხვა სპეციალურ დავთარში ხდებოდა და ა.შ. - ibid., 336.

დარჩა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი სასამართლო საქმეების განხილვამ გაპარლამენტებულ დარბაზში გადაინაცვლა და სააჯო კარის კომპეტენციის ველი დავიწროვდა.[361] რაც შეეხება პოლიტიკური საკითხების სამართლებრივ გაფორმებას, ეს ისედაც დარბაზში ხდებოდა, ოღონდ თუ ადრე იქ გადამწყვეტი სიტყვა მეფეს ეთქმოდა, ახლა მეფესთან ერთად სხვებიც "თანამზრახველობდნენ".

ჰქონდათ თუ არა იურისტის კვალიფიკაცია დარბაზში შეკრებილ წოდებათა წარმომადგენლებს, ანუ დარბაისლებს?

უფრო - კი, ვიდრე - არა.

დარბაისლებს (საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს, მემამულეებს, "მოქალაქეებს", სხვებს...) თავდაპირველად როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და კორპორაციული სამართლის წარმოების უფლებები გააჩნდათ, ოღონდ მათი კომპეტენცია წოდებრივი, კერძო და არა საერთო-სახალხო, საჯარო იყო; ყველა სოციალური ფენის ინტერესის დამცველად კი სამეფო სასამართლო გამოდიოდა: თვითმპყრობელობის პერიოდში (მე-11 საუკუნიდან ვიდრე მე-12 სკის ბოლო მეოთხედამდე) - ამ დანიშნულებას "სააჯო კარი" ასრულებდა; ბატონყმურ პერიოდში (მე-14 – მე-18 საუკუნეები) – "სააჯო კარმა" სახე იცვალა და მე–17 საუკუნიდან (როსტომ ხანის დროს) "მდივანბეგის სასამართლოდ" გადაფორმდა, ხოლო მათ *შუალედში, თამარის დროს, ანუ წარმომადგენლობითი და საპარალმენტო მონარქიის ხანაში,* დარბაზში (როგორც საბჭოში) სახელმწიფო და სისხლის სამართალის საქმეები უზენაეს დონეზე და წოდებათა წარმომადგენლების ერთნებობით (კონსენსუსით) ირჩეოდა. ამ ამპლუაში *წოდებათა თავკაცები უკვე კორპორაციული კომპეტენციის მოსამართლეები კი აღარ იყვნენ, არამედ საჯარო სასამართლოს მსაჯულები.*[362]

---

[361] მოგვიანებით, გიორგი ბრწყინვალეს (118-1346) ხანაში, "ძეგლის დების" თანახმად, დარბაზის კომპეტენციაში შედის: კანონმდებლობა, სისხლის სამართლის მსხვილი საქმეები (ერისთავის მკვლელობა, მაგალითად), საადგილმამულო რეგულაციები: "მამულის წაღების და ციხის დაქცევის" გადაწყვეტილება, საგვარეულოს შიგნით სამამულე დავების გარიგება, მიწების დაყადაღება და ყადაღის მოხსნა; მნიშვნელოვან თანამდებობის პირთა მოხსნა-დანიშვნა - ხევისბერის და ხევისუფლის დონემდე; ფისკალური რეგულაციები.... (იხ. *ძეგლის დება გიორგი v-ის ბრწყინვალისა.* 118 და 134).

[362] ბატონყმურ პერიოდში დარბაზს შიგნით მიმართება შეტრიალდა და სახელმწიფო ინტერესი წოდებათა, უფრო დაზუსტებით კი, მსხვილ მიწისმფლობელთა კლასობრივი ინტერესის მძევალი გახდა. მეფის საბჭოც და მდივანბეგის სასამართლოც ვეღარ იცავდა საერთო-სახალხო, საჯარო ინტერესს, - მეფე ფაქტიურად სათავადო სახლების მძევალი გახდა და არა მისი ფორმალურად დადასტურებული უფლებების შესატყვისად მოქმედი (ფორმალურად/სამართლებრივად მეფის ხელისუფლება არც ამ პერიოდში არანაირი კანონით არ იზღუდებოდა).

რაც შეეხება პროფესიონალ იურისტებს: მწიგნობრებს და საბჭოთა საქმის მეცნიერებს, ისინი როგორც ადრეული, ისე გვიანი შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ყველა აღმასრულებელ უწყებას ემსახურებოდნენ. პროფესიონალი იურისტების არსებობა სულ ცოტა X საუკუნიდან მაინც დასტურდება:

"ძველ-ქართული მასალების გათვალისწინებიდან შესაძლო ხდება დადგენილ იქმნეს, რომ ზედწოდება "მერჩულე" - ეს არის თანამდებობა-პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება. "მერჩულე" ეწოდება *სჯულის მეცნიერს*, კანონიკური სამართლის სწავლულ მცოდნეს. ძველ საქართველოში არსებობდა ინსტიტუტი "მერჩულე"-თა, სჯულის მეცნიერთა, და ჩვენი მწერალი ამ კორპორაციის წევრი ყოფილა."[363]

მერჩულეთა კორპუსი აღმასრულებელი ხელისუფლების მთელ სიგრძე–სიგანეზე იყო განთესილი; მათი, როგორც მწიგნობრების, იგივე მდივნების (მდივან–მწიგნობრების) გარეშე არა საქმე არ იწარმოებოდა – მით უფრო სასამართლოს და პენიტენციალური სისტემის შიგნით.[364]

სასამართლო ხელისუფლება მაშინდელ საქართველოში ღრმად იყო სტრუქტურირებული და დიფერენცირებული: არსებობდა დარგობრივი და წოდებრივი სასამართლოები. "სასამართლოს პირველი საფეხური სამივე წოდებისათვის ცალ-ცალკე ყოფილა,"[365] რაც, სასამართლო სისტემის დიფერენცირების გარდა, იმასაც მოწმობს, რომ წოდებები მაშინდელ საქართველოში იურიდიულადაც მკვეთრად ყოფილან გამოცალკევებული; ჰეგელის მიბაძვით რომ ვთქვათ: წოდებები არა მარტო თავისთავად არსებობდა, არამედ – თავისთვისაც; ცალკე სამართლებრივ სისტემას ქმნიდა საეკლესიო სამართალი, ცალკე სისტემას - სახელმწიფო და სისხლის სამართლი; სხვა იყო კერძო, საკორპორაციო და სამოქალაქო სამართალი;[366] გიორგი ბრწყინვალეს "ძეგლის დება" საგანგებოდ ერთი

---

[363] პავლე ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე - ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა,* ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტარატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან (თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1954), 17-18 .

[364] მწიგნობარნი უკვე სტეფანოზ ერისმთავის დროს (600-619 წწ) იხსენიებიან ისტორიულ ანალებში, როგორც "საგანგებო მინდობილობათა მოხელეები", სამეფო დარბაზობაზე კი 26 მწიგნობარი ღებულობდა მონაწილეობას (იხ. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* 278-282).

[365] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი* II, 346.

[366] პროფესორ ვალერიან მეტრევლის თანახმად, "გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა: 1. უმაღლესი მოსამართლე იყო მეფე... 2. სასამართლო ფუნქციები გააჩნდა დარბაზს. 3. არსებობდა სააჯო კარი, ანუ უმაღლესი ინსტანციის საასამართლო... 4. არსებობდა საკათალიკოსო საეკლესიო სასამართლო... 5. არსებობდა საპარავთმძებნელო საასამართლო. 6. არსებობდა წოდებრივი სასამართლოები. 7. არსებობდა ფეოდალთა სასამართლოები."

სპეციფიკური რეგიონის – არაგვის ხეობის მთიანეთისთვის – გაჩენილი ცალკე სამართალია.[367]

წვრილად იყო სტრუქტურირებული სასამართლო პროცესიც: პროცესს მამასახლისების არჩეული მსაჯულები, ბჭეები[368] წარმართვდნენ, საქმე სახალხო კრებულის თანდასწრებით იხილებოდა; ირჩევდნენ "შუაკაცებსაც" ვისაც ბრალდებულის ინტერესები უნდა დაეცვა, – ერთი სიტყვით, სადავო საქმეს მთელი კოლეგია არჩევდა. იყო ექსპერტთა მოწვევის პრაქტიკაც: "იურისტებს [იგულისხმება 'მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი'] სასამართლო პროცესზე სპეციალურად იწვევდნენ მნიშვნელოვანი და რთული საქმეების გარჩევის დროს." [369]

პატრონყმობისდროინდელი ქართული სასამართლო პრაქტიკა ბევრ საყურადღებო მასალას იძლევა ბრალდებულის *უფლებების დაცულობის* თვალსაზრისითაც. მაგალითად: შესმენა და ბრალდება შემოწმებული და დამტკიცებული უნდა ყოფილიყო. ამისათვის კი ბრალდების სისწორის და საფუძვლიანობის გამოძიება იყო სავალდებულო. "ცილის, ან ბრალის დამწამებელს ევალებოდა თავისი ბრალდების 'გამოჩინებაი', "[370] - ანუ მტკიცების ტვირთი ბრალმდებელ მხარეს ეკისრებოდა. "აღსანიშნავია, განსაკუთრებით, რომ ქართულს არც საისტორიო ძეგლებში, არც სამართლის წიგნებსა და სიგელ-გუჯრებში ბრალდებულის წამებით გამოტეხვის შესახებ არსად არაფერია ნათქვამი."[371]

"შუაკაცების" ინსტიტუტი გარკვეული სახეცვლილებით მერეც აგრძელებდა არსებობას. ის რომ *ბრალდებულებს სასამართლოში დამცველი ჰყავდათ,* ივანე ჯავახიშვილმა სიგელთმცოდნეობის საფუძველზე გამოარკვია, დამცველი ბრალის

- მეტრეველი, *საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორია* (თბილისი: მერანი, 2003), 397.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩამონათვალი არ არის სრული: აკლია, მაგალითად, ქალაქის სოციალური ინფრასტრუქტურის მიხედვით მოქმედი სასამართლოები და საგვარეულო-სამედიატორო სასამართლოები; სასამართლო საქმეებს იხილავდნენ სახალხო კრებებიც....

[367]ამაზე იხილეთ, ვ. ითონიშვილი, "ერთხელ კიდევ 'ძეგლის დების' შესახებ", *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის,* ტ. 23–ე, (თბილისი: მეცნიერება, 1987), 46–69.

[368] ანტიკური ხანის პრაქტიკა და ტერმინოლოგია გარკვეული ვარიაციებით ისტორიის მთელ სიგრძეზე განაგრძობდა არსებობას. გამორკვეულია, რომ მე-14 საუკუნის ძეგლებშიც მოსამართლეს "ბჭე", ხოლო სასამართლოს "საბჭო" ეწოდებოდა. შემდეგში "ბჭე უკვე ქრება და მის ადგილს 'მოსამართლე' და 'მსაჯული' იპყრობს." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 339).

[369] თენგიზ პაპუაშვილი, "სამართლებრივი კულტურის საკითხები", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. 3* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 477.

[370] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 352.

[371] ibid., 353.

შესამსუბუქებლად მოსამართლეს სხვადასხვა საბუთს და მოსაზრებას უდგენდა. ასეთ "დამცველს 'მეოხი' ჰრქმევია."[372]

ადამიანის, პიროვნების უფლების აღიარების საბუთია ის განსაკუთრებული ყურადღებაც, რაც ქართულმა სახელმწიფომ *კერძო საკუთრების დაცვას* მიანიჭა, როცა 1170 წელს გიორგი მე-3-ის მიერ მოწვეულმა საკანონმდებლო კრებამ საგანგებო სასამართლო დაწესებულების "საპარავთმეძებნელოის" შექმნა დაადგინა.[373] თუმცა მპარავთ მეძებელნი, რომელთა კომპეტენციაც მპარვთა "ძებნა, აღმოჩენა, დევნა და გასამართლება" იყო, მანამდეც არსებულან. ამავე უწყებაში მსახურობდნენ "ჩენილებიც", რომელთა მოვალეობას მპარავთა შეპყრობა შეადგენდა. ჩენილები მპარავთ-მეძებელთ ექვემდებარებოდნენ და საქმის ვითარების გამოსარკვევად და დამნაშავის აღმოსაჩენად ყველგან შესვლის და ჩხრეკის უფლება ჰქონდათ მინიჭებული. ცალკე არსებობდა სასამართლო განაჩენის სააღმსრულებლო სამსახურიც.[374] "ამგვარად ირკვევა, რომ საქართველოში სისხლის სამართლისათვის განსაკუთრებული სასამართლო ყოფილა შექმნილი."[375]ამ დაწესებულების შექმნით ქურდობის დანაშაულის განსჯა, კერძო, სამოქალაქო სამართლის კომპეტენციიდან, სახელმწიფოს ხელში გადავიდა, რაც პიროვნების თავისუფლებისთვის ასე მნიშვნელოვანი უფლების, კერძო საკუთრების დაცულობის მაღალი ხარისხის მოწმობაა, იმ შენიშვნით კი, რომ კერძო საკუთრებას იმ ხანებში უფრო მეტად "თანაზიარი კერძო საკუთრების" (საოჯახო საკუთრების) სახე აქვს. თუმცა

"ამასთან ერთად, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე ჩნდება, სუსტად გამოხატული, ინდივიდუალური კერძო საკუთრება მიწაზე. მისი ობიექტია წვრილი მიწის ნაჭრები, რომელნიც, ახოს აღებითა თუ სხვა გზით, თავისუფალი განკარგულებისა და მაშასადამე, ყიდვა-გაყიდვის საგნად არიან გადაქცეულნი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი მიწის ნაკვეთები იწოდება 'აგარაკებად'."[376]

ადამიანის უფლებების კონტექსტში ყურადღებას შეწყალების სამეფო სასამართლო უფლებამოსილებაც იპყრობს: მეფეს გამოტანილი განაჩენის შენდობის წესით შეცვლის უფლება ჰქონდა. მძიმე სასჯელის აღსრულებამდე კი აუცილებელი

---

[372] ibid., 354.
[373] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 343.
[374] ibid., 343.
[375] ibid., 344.
[376] ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე.* 282.

იყო მეფის "მეცნიერება და შეკითხვა", - განაჩენის სრულყოფა მის დასტურზე იყო დამოკიდებული. იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ნიშნავდა ეს პიროვნების სამართლებრივი უფლებების (კერძოდ კი სიცოცხლის უფლების) თვალსაზრისით, უპრიანია გავიხსენოთ, რომ თამარ მეფეს, მაგალითად, არასოდეს მიუცია დასტური არც სხეულის დაზიანებაზე, არც - მით უმეტეს - სიკვდილით დასჯაზე. იგივე ვითარებას ჰქონდა ადგილი ლაშა გიორგის შემთხვევაშიც.

"საერთოდ სიკვდილით დასჯა იშვიათი სასჯელი იყო საქართველოში. ქართული სისხლის სამართლით ასეთი უმაღლესი სასჯელი მარტო მეფისა და სახელმწიფოს ღალატისთვის არსებობდა, აგრეთვე მეფის პირადი საჯარო სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მეკობრეობისათვისაც."[377] მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში "გონივრული ლმობიერების დაცვა მართლმსაჯულების უპირველის მოვალეობად მიაჩნდათ."[378] "თამარის მეფობის დროს ყოველგვარი დანაშაულებისათვის იყო სასჯელი შემცირებული, სიცოცხლის მომსპობელი და ადამიანის დამასახიჩრებელი მისაგებელი ამოკვეთილი იყო."[379]

"საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი, პირდაპირ არ არის დასახელებული."[380] ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ არც გიორგი ბრწყინვალეს "ძეგლის დებაშია" სიკვდილით დასჯა დაფიქსირებული.[381] როგორც ვხედავთ, მაშინდელი ქართული საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერება სიცოცხლის უფლებას აღიარებდა.

სამართლის სისტემის უფრო სრული სურათის წარმოსადგენად, ბარემ დავსძენთ, რომ წესრიგის უზრუნველყოფის საპოლიციო უწყებას სათავეში მანდატურთუხუცესი, შინაგან საქმეთა მინისტრი ედგა. მისი ხელქვეითების ჩამონათვალში მანდატურები (შემდეგდროინდელი ბოქაულები), იასაულები და სხვები შედიოდნენ. პოლიციის აპარატის მოხელეებს - როგორც ვთქვით - სისრულეში მოჰყავდათ ხელისუფლების ბრძანება–განკარგულებები, სასამართლოს განაჩენები, აწარმოებდნენ გამოძიებას, ჩხრეკას, დევნას...[382]

---

[377] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 372.
[378] ibid., 381.
[379] ibid., 227.
[380] მეტრეველი, *საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორია,* 261.
[381] იხ. *ძეგლის დება გიორგი V-ის ბრწყინვალისა,* 33-113.
[382] იხ. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* "მოხელენი და მოხელეობა", 295-301

ცალკე ქსელს ქმნიდა პენიტენციალური დაწესებულები. საპატიმროები სათანადო შტატით იყო უზრუნველყოფილი ("პყრობილთ მცველნი") და მსაჯულთუხუცესის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული: მსაჯულთუხუცესი ჭყონდიდელის (პრემიერ მინისტრის) და ასევე მეფის ხელქვეითი ბრძანდებოდა, თუმცა დანარჩენი სახელისუფლებო შტოებიდან სასამართლოს ფუნქციური და ინსტიტუციური გამოცალკევება მაინც მომხდარი ფაქტია; ყოველდღიურ ფუნქციონირებას უწყება დამოუკიდებლად წარმართავდა, ხოლო მწიგნობართუხუცესი მარტო მსაჯულთუხუცესის ადმინისტრირებას კი არ ახდენდა, არამედ თვითონაც მსაჯულის, ოღონდ უზენაესი მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა და იყო კიდეც პროფესიონალი მსაჯული და რეგულარულად მონაწილეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტაში.[383]

ცხადია, ვითარება დროის მიხედვით იცვლებოდა, მაგრამ, ასე მე-5 საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მე-13 - მე-14 საუკუნეებამდე, ქვეყნის საზოგადო-პოლიტიკური ევოლუცია აღმავალი გზით მიემართებოდა, მერე კი, ბატონყმობის ხანაში, ქვეყანაც დაქუცმაცდა და ინვოლუციური პროცესებიც აგორდა; სამეფო ხელისუფლების მხრიდან ვითარების შემობრუნების თავგანწირულმა მცდელობამ საქმეს ვერ უშველა, დაღმასვლის პროცესი ფსკერამდე დავიდა და მე–19 საუკუნეში ქართული სახელმწიფოების სრული განადგურებით დასრულდა, მაგრამ მაღალი სამართლებრივი კულტურის გავლენა ბატონყმურ ხანაშიც თვალშისაცემია.

ბატონყმური ხანის მართლმსაჯულება

მეჯლისად სახელცვლილ და სახეცვლილ დარბაზთან ერთად, გვიან შუა საუკუნეებში "სააჯო კარმაც" განიცადა მეტამორფოზა და მდივანბეგის, ანუ მსაჯულთუხუცესის სასამართლოდ გადაიქცა,[384] რომელიც "მეფის კარზე ფუნქციონირებდა და 'სამდივნო სახლი' ან უბრალოდ 'დივანი' ეწოდებოდა. სამდივნო სახლში ოთხშაბათს და პარასკევს მეფე იჯდა და სამართლობდა, ... სხვა

[383] იხ. ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I,* 270-282.

[384] იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, *საქართველოს სიძველენი ტ. II.* (ტფილისი: საქართველოს საისტორიაო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1909). 52. http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/619 (19.05. 2018).

დღეებში იქ მეფის მთავარი მსაჯული უნდა მჯდარიყო."[385] და რაკი "დივანი" ინსტიტუციურადაც ცალკე იყო და სათავეშიც მეფე ან მისი "ხელშინაური" სახლთუხუცესი ედგა, შეგვიძლია ის მებატონეებისაგან დამოუკიდებელ უზენაეს სასამართლოდ განვიხილოთ, რომლის კომპეტენციაშიც "შედიოდა ყველა ის საქმე, რომელიც გამორიცხული იყო ფეოდალთა და ადგილობრივ მოხელეთა კომპეტენციიდან"[386] (თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ იქაურ სასამართლო სხდომებს დიდებულებიც ესწრებოდნენ).[387]

როდესაც ვახტანგის VI-მ თავისი ცნობილი სამართლის წიგნი მიიღო, დარბაზობაზე "სჯულდების საქმეში ცნობილი საღრმთო პირები მოიწვია. ... სამართლის წიგნის შედგენაში დიდი და საპატიო როლი შეასრულეს სჯულის მოძღვრებმა, კანონიკური სამართლის მცოდნე პირებმა."[388] "სამართალის წიგნი" მეფემ მემამულეებთან ფართო კონსენსუსის გზით მიიღო; რასაკვირველია, ასეთი მიდგომა სავალდებულო ნორმაც იყო (სამართლის უმნიშვნელოვანესი კოდექსები დარბაზობაზე მიიღებოდა), მაგრამ მეფეს სურდა მის მიერ დადგენილი ნორმები რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო "ცხოვრებაში მოქმედ სოციალურ ნორმებთან და იმ საზოგადოებრივ ღირებულებებთან, რომელსაც ამ ძეგლით უნდა ესარგებლა" რის გამოც თავის "სამართლის წიგნში" ჩვეულებითი სამართლის ნორმებიც შეუტანია.[389]

სასამართლო ფუნქცია ადრეც გვარიანად იყო გაფანტული, ბატონყმურ ხანაში კი გაფანტულობამ მხოლოდ იმატა: თავ-თავიანთი სახლთუხუცესები დედოფლებმა, კათალიკოსმა, მსხვილმა მონასტრებმაც გაიჩინეს (თუმცა სისხლის სამართლის და დიდი სამოქალაქო საქმეები მაინც ამოღებული იყო მათი კომპეტენციიდან და მხოლოდ სამეფო კარის მსაჯულებს ეკითხებოდა). გასამართლების ნება უკვე ყველას ჰქონდა: ერისთავს, მებატონეს, მოურავს, მამასახლისს, ბჭეს, მეთემესაც კი...

---

[385] გივი ჯამბურია, "საქართველოს სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრივი წყობილება XVI-XVII სს. ცენტრალური მმართველობა", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 4*, 235.

[386] ibid., 235.

[387] იხ. სამართალი ვახტანგ მეექვსის, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ისიდორე დოლიძემ (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1981), 5.

[388] ibid., 11.

[389] "კანონმდებელი ცდილობდა სამართლის წიგნის ავტორიტეტის გაზრდას. ამასთანავე ჩვეულებითი სამართლის ნორმების შეგროვებაში საზოგადოების სხვადასხვა ფენის (მათ შორის გლეხების) წარმომადგენლების მონაწილეობით, კანონმდებელს სურდა გაეფართოვებინა სამართლის წიგნის დასაყრდენი ბაზა" - სურგულაძე, *საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის,* 84.

სასამართლო ფუნქციის გაფანტვის პროცესი ეკლესიაშიც შეინიშნებოდა... გაფართოებული ჩანს საამდროვოდ, მონასტრების უფლებამოსილებებიც.[390]

მიუხედავად ამისა, *სამეფო სასამართლო* ბატონყმობის პერიოდში ისე არ დასუსტებულა, რომ სამართლებივი ფუნქციის დელეგირება მთლიანად ადგილობრივ მიწისმფლობელზე მოეხდინა. "არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ სასამართლოს შეუვალობა რომელსამე პატრონსა და მის ყმებს მინიჭებული ჰქონოდეს."[391] მებატონე ყმას ასამართლებდა, მაგრამ ყმის და ბატონის დავის შემთხვევაში, სამეფო სასამართლოს მედიატორის როლი ჰქონდა შერჩენილი. მეფეს მოდავე მხარეებს შორის დადებული (დაწერილი) პირობის დაცვა ევალებოდა. შედარებისათვის ბატონყმურ რუსეთში გლეხს უფლება არ ჰქონდა მებატონისთვის ეჩივლა, ქართველ გლეხს კი შეეძლო დიამბეგისთვის ან მეფისთვის მიემართა სარჩელით. ამის მიუხედავად, მეფის სასამართლო ყმა-გლეხს, რომელიც ნებაყოფლობით იყო ბატონის ყმობაში შესული, პირად თავისუფლებას ვერ აღუდგენდა.

მეფის ხელისუფლების და სამეფო სამართლის გამძლეობაზე მეტყველებს ისიც, რომ სახელმწიფო კუთვნილ გადასახადს სამეფო მოხელეების ხელით კრეფდა და არა მებატონის მეშვეობით.[392]

მოგვიანო ხანის მეფე-მთავრები ცდილობდნენ სახელმწიფო ინსტიტუტები ძველი ერთიანი საქართველოს დროინდელ თარგზე მოეწყოთ, მაგრამ ქართული საზოგადოების სხვადასხვა შრეების უფლებრივი მახასიათებელი უკვე მკვეთრად იყო შეცვლილი; ადგილობრივი მიწისმფლობელები სულ უფრო დამოუკიდებლები ხდებოდნენ და ცენტრალურ ხელისუფლებას იქით იქვემდებარებდნენ. მრავლისმეტყველია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების იურისდიქციიდან ამოღებული საქმეების სამეფო კარზე გარჩევას, დაინტერესებული ადგილობრივი მებატონეც უსათუოდ ესწრებოდა და, ცხადია, არა როგორც პროცესის უბრალო

---

[390] მეფე კონსტანტინე, მაგალითად, "ერთ თავის შეწირულობის სიგელში მონასტერს ჰპირდება, რომ თავის მოსისხლე მტერსაც კი, თუ ის მონასტერს შეაფარებს თავს იქ არ შემოსდევს. გამოდის, ამ მონასტრის სასამართლო უფლება შეუზღუდველი ყოფილა." - ibid., 325.

[391] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 253.

[392] *"საქართველოში სახელმწიფოებრივი სამართალი არ ყოფილა ისე დაცემული, როგორც ეს* ევროპაში იყო საშუალო საუკუნეებში... სახელმწიფოსა და ყველა ქვეშევრდომს შორის კავშირი და პირდაპირი დამოკიდებულა საქართველოში შეწყვეტილი არ ყოფილა და სახელმწიფო სამართლის ორი უზენაესი გამოხატულება, მართლმსაჯულებისა და გადასახადების გაწერისა და აკრეფის უფლება, მეფეს მტკიცედ ეპყრა." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II.* 253-254.

მეთვალყურე... მებატონეები ვერ ურიგდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების ჩარევას "მათ საქმეებში."[393]

სამეფო ხელისუფლება კი თავისას არ იშლიდა და ნიადაგ ძველი, აღმაშენებლის და თამარისდროინდელი სამართლებრივი სტანდარტების აღდგენას ესწრაფოდა. ერეკლე II-მ, მაგალითად, *დიამბეგის სასამართლო ცალკე შენობაში დააბინავა და ძველი "საჯო კარივით" სრულიად გამოცალკევებულ დაწესებულებად აქცია.*[394]

საერთოდ, ერეკლე II-ს, როგორც რეფორმატორის, პოლიტიკა ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ და გლეხთა უფლების რეანიმაციისკენ იყო მიმართული. ამ სოციალური პოლიტიკის შესაბამისი გახლდათ ერეკლეს სასამართლო რეფორმაც: მეფემ ყველგან მდივანბეგები დასხა. "XVIII-ს. 80-იან წლებიდან ქართლ-კახეთში 13-ზე მეტი მდივანბეგი იყო, რომლებიც იცავდნენ სამართალწესრიგს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ამათგან ორი მათგანი საგანგებოდ თბილისში იჯდა. ახალი იყო ისიც, რომ ერეკლემ შემოიღო 'მსაჯულთშეკრებულობის' ინსტიტუტი 1778 წელს: 'ამიერიდან ყოველი არზა და საჩივარი მდივანბეგთან მივიდესო.' "[395]

ერეკლეს რეფორმებმა ქვეყნად თავისუფალი და თავდახსნილი გლეხები მოამრავლა. "XVIII ს. II ნახევარში ... კვლავ ხდება თავდახსნილ გლეხთა რიცხვის ზრდა. გლეხობა ძირითადად თავად იხსნიდა თავს ფულით."[396] ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში გლეხობა ბატონ-ყმური მონობიდან თავს - ჰეგელის სწავლების თანახმად - შრომით ითავისუფლებდა.

---

[393] სასამართლო ფუნქციის გაფანტულობა იქამდე იყო წასული, რომ თვით სამეფო სახლის ადმინისტრაციული დანაყოფებიც კი სასამართლო უფლებამოსილებას ცალ-ცალკე ახორციელებდენ: მეფის სახასო მამულებში სასამართლო ფუნქცია მოურავს ეკუთვნოდა, სადედოფლოში - დედოფლის სახლთუხუცესს, თათრების ელში - ელიაღას, ქალაქში - ქალაქის მოურავს, ხოლო სამეფო სახლის გარეთ, სათავადოებში - მემამულეებს; მსხვილ ფეოდალებს თავ-თავიანთი მოურავები ჰყავდათ, რომლებიც მემამულეთა იურისდიქციას ახორციელებდნენ. - *ibid.,* 323.

[394] "დიდი ცვლილებები შეიტანა ერეკლემ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს სასამართლო წყობილებაში. ... 'ახალი იყო, - აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, - მსაჯულთშეკრებულების დაწესებულება, ერეკლემ რომ შემოიღო 1778 წელს: ამიერიდან ყველა არზა და საჩივარი მდივანბეგთან მივიდესო'." - ოლღა სოსელია, "სახელმწიფო მმართველობის გადახალისების ცდები", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად. ტ. 4* (თბილისი: საბჭოთა საქ. 1973), 531.

[395] ibid., 394.

[396] ibd., 386.

ზოგიერთი შენიშვნა ბატონყმური ხანის საეკლესიო, საქალაქო და სამეფო მართლმსაჯულების ურთიერთმიმართების თაობაზე

ეკლესიის ყველა მსახური და ყმა საეკლესიო იურისდიქციას ექვემდებარებოდა, ისევე როგორც ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის საოჯახო და ქორწინების საკითხები და, მაშასადამე, საეკლესიო იურისდიქციის საგანი სამართალსუბიექტების მიხედვითაც განისაზღვრებოდა და განსახილველ საქმეთა შინაარსის თანახმადაც.[397] მაგალითად, მკვლელობა ტანჯვის მიყენებით, ისევე როგორც რწმენის და რჯულის წინააღმდეგ დანაშაული - ვახტანგის სამართლის წიგნის მოწმობით, კათალიკოსის იურისდიქციას განეკუთვნება.[398] ეკლესია სამეფოს, მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, პოლიტიკურ ძალაუფლებას ეცილებოდა; ეკლესიის მეთაურის სისხლის ფასი, ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით (და ასევეა ბექა-აღბუღას სამართლის შემთხვევაშიც), მეფის სისხლის ტოლ-სწორი იყო:[399] კათალიკოსი სულის ხელმწიფედ ითვლებოდა, ხოლო მეფე - ხორცის.[400] მცხეთის კათალიკოსს თავისი ჯარი და სარდლობაც ჰყავდა,[401] ხოლო კახეთის სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციული დანაყოფების - ე.წ. "სადროშოების" სათავეში ეპისკოპოსები იდგნენ - არა თავადები, რაც ეკლესიის პოლიტიკურ და სამხედრო გავლენას მოწმობს.[402] მიუხედავად ასეთი პოლიტიკური და ფართო ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიუხედავად მისი სამართლებრივი ავტონომიისა,[403] გვიან შუა

---

[397] "საეკლესიო იურისდიქციისადმი დაქვემდებარება ხორციელდება როგორც სუბიექტების, ისე საქმეთა შინაარსის, მათი ბუნების მიხედვით." - მეტრეველი, *საქართველოს სამართლისა და სახელმწიფოს ისტორია* (თბილისი: მერიდიანი, 2003), 402.

[398] "ერისკაცი მღვდელსა ვერ განიკითხავს. და უკეთუ ღმერთი შერისხდეს მღვდელსა და კაცი მოკლას, მაშინ მისთვის განიკითხვის მოსამართლის ერისკაცისაგან. და სხვის საქმისათვის ვერ განიკითხავს." - *ქართული სამართალის ძეგლები I*, "ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. სამართალი ბერძული", მუხლი 156 (თბილისი: მეცნიერება. 1963), 168.

[399] *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I,* "სამართალი ბექასი", მუხლი 1. მუხლი 28.

[400] "მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი ორივე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა." - *ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I.* "სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა", მუხლი 25.

[401] "ეკლესიას საქართველოში თავისი ჯარი და მოხელეები ჰყავდა. ქართული საეკლესიო სამართალი მარტო ეკლესიის სარწმუნოებრივ საქმიანობას კი არ ეხებოდა, არამედ სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრებასაც. ქართულ ეკლესიას სახელმწიფოებრივი წყობილების ბევრი დამახასიათებელი ნიშანი აქვს." - დოლიძე, *ძველი ქართული სამართალი* (თბილისი: მეცნიერება, 1953), 115.

[402] "კახეთის სადროშოების სათავეში თავადები კი არ ჩააყენეს, როგორც ეს ქართლსა და იმერეთში მოხდა, არამედ ეპისკოპოსები." - ჯამბურია, "საქართველოს სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრივი წყობილება XVI-XVII სს. ადგილობრივი მმართველობა," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. 4.* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 238.

[403] ხიზანიშვილი, *რჩეული იურიდიული ნაწერები,* 40-41.

საუკუნეებში ეკლესია მაინც სამეფო სახლის და სათავადოების არტახებში იყო მოქცეული.[404]

საეკლესიო სამართლის მნიშვნელოვან საქმეებს კათალიკოსი არჩევდა, ნაკლებ მნიშვნელოვანს – ეპისკოპოსები, ან მოძღვრები. ზოგიერთ საქმეს ეკლესიის მესვეურნი საერო ხელისუფლებთან ერთობლივად იხილავდნენ;[405] პირიქითაც ხდებოდა: მეფის სასამართლოს მიერ გამოტანილ ზოგიერთ სასჯელს საეკლესიო ხელისუფლება თავის მხრივ საეკლესიო სასჯელს ამატებდა. უფლებამოსილებების აღრევის და გაფანტულობის პირობებში, რაც საქართველოში გვიან შუა საუკუნეებში სუფევდა, საერო ხელისუფლების და ეკლესიის ასეთი ურთიერთშეღწევები, ვინძლო, სასარგებლოც იყო, რადგან საზოგადოების დაქსასულობის ხარვეზს რამდენადმე მაინც ავსებდა და ყველა პარამეტრებში დაშლილი ქვეყნის ერთიან სხეულად შეკავშირების საჭიროებას ასაბუთებდა.

ქალაქში სასამართლო ხელისუფლებას მეფის რამდენიმე მოხელე ინაწილებდა:[406] უმთავრეს მსაჯულებს ქალაქის მდივანბეგები წარმოადგენდენ,[407] რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებსაც არჩევდნენ და სამოქალაქო სამართლისასაც, მაგრამ სამოსამართლო უფლებამოსილება მოურავსაც გააჩნდა; არც

---

[404] "სამეფო ხელისუფლებამ მოახერხა რეალურად შეენარჩუნებინა უმაღლესი სენიორალური უფლება. ... ამრიგად, განსახილველ პერიოდში რამდენადაც ეკლესია წარმოადგენდა მეფის ხელდებულ დაწესებულებას, 'საყდრის შვილნი' ('ეკლესიის შვილნი') მეფის უშუალო დასაყრდენ სამხედრო და სოციალურ ძალას ქმნიდნენ." - ბაბილინა ლომინაძე, "ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები 3* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979), 779.

[405] ნიშანდობლივია 1740 წლის ერთი საბუთი: "ლუარსაბ გოსტაშაბიშვილს თავისი შვილისთვის ცოლი მოუყვანინებია... ცხრა წელი შფოთი ჰქონიათ... და ჩვენ ყოვლის საქართველოს კათალიკოს-პატრიარხს, ბატონიშვილს, ბატონს დომენტის მოგვახსენეს. ჩვენ ყოვლისა საქართველოს მაკურთხეველმან კრება ვყავით და დავსხით: მთავარეპისკოპოსი ბატონი კირილე, ტფილელი მიტროპოლიტი ბატონი ექვთიმე, და ყოვლისა ქართლისა ეპისკოპოზ-წინამძღვარი და სამღვდელო დასნი, აგრეთვე საქართველოს დარბაისელნი სარდალ-მდივანბეგი ბატონი ქაიხოსრო, მისკარბაში ბატონი გივი ამილახორი, ბატონი ოთარი და ყოველნი საქართველოს *დარბაისელნი;* გავსინჯეთ ამათი სიტყვა... ამისათვის ჩვენცა ჩვენთან შეკრებილთ ამათ პატიოსანთ სამღვდელოთ დასთა და *თანა მოწამებით საქართველოს მთავართა* შენდობა მივეცით, რომელ: თუცა ვაჟსა ენებოს, ვისიცა ქალი ცოლად შეირთოს და აგრეევ ქალმა - ვინცა უნდეს ქმრად შეირთოს, ერთმანეთთან არა რა ხელი აქუსთ." - სურგულაძე, *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის,* 359.

[406] გვიანფეოდალური ხანის საქართველოს "ქალაქებში 'მსუბუქი სამართლის' მწარმოებლებად მოურავები იყვნენ. მაგრამ მდივანბეგებისა და მოურავების სამართლის გვერდით ქალაქებში მელიქ-მამასახლისების და ქედხუდების სამართალშიც იყო" - ibid., 484; 492.

[407]"სამეფოს უმთავრეს მსაჯულს გვიანფეოდალურ საქართველოში მდივანბეგები წარმოადგნედნენ. მდივანბეგების ერთი ნაწილი საგანგებოდ ქალაქებში მოსამართლეობდა."- ibid., 484.

მელიქ–მამასახლისები და ქედხუდები იყვნენ მოკლებული ამავე უფლებას, რაც ძველი საქალაქო რესპუბლიკური სისტემის გადმონაშთად არის მიჩნეული (იმ ხანად *საქალაქო სამართალს* ოდინდელი რესპუბლიკური წყობის ელემენტები რუდიმენტის სახით შერჩენოდა);[408] საკუთარი სასამართლო კომპეტენციის გარდა ქედხუდებს მოურავების სასამართლოზე დასწრების უფლებამოსილებაც გააჩნდათ. მართალია, საამდროვოდ არა მარტო საქალაქო მმართველობის სადავე, არამედ "ქალაქის სამართალიც" მიწისმფლობელ მაგნატებს ეპყრათ, მაგრამ მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენელთა (ქედხუდების) ქალაქის სასამართლოში მონაწილეობით, "გვიანფეოდალური ხანის საქალაქო წესწყობილება... ხარკს იხდიდა ძველის X-XIV სს. საქართველოს საქალაქო წესწყობილების წინაშე;" [409] დემოკრატიის ძველთაგან შემორჩენილი ფორმები საქალაქო მმართველობაში ჯიუტად განაგრძობდა არსებობას; საქალაქო ხელისუფლების არჩევნების წესი, როგორც ჩანს, არასოდეს მისცემია დავიწყებას. არჩევნები უბნების მიხედვით და პერიოდულად ტარდებოდა, ოღონდ მაღალი საარჩევნო ცენზის პირობებში: კანდიდატი ცნობილი საგვარეულო სახლის შვილი უნდა ყოფილიყო, რის გამოც მისი თანამდებობა, არჩევითობის მიუხედავად, მაინც მემკვიდრეობით სახელოდ გადაიქცეოდა ხოლმე. დემოკრატიული ელიტიზმის იქ არსებული პრაქტიკა არა მარტო ცალკეულ საგვარეულოს, თვით ცალკე პირსაც კი აძლევდა ხოლმე საშუალებას ათწლეულობით ჭეროდა თანამდებობა... არჩევა, ძირითადად, გადიდკაცებული მსხვილი ვაჭრების წრიდან ხდებოდა, რიგითი ხელოსნები ამ უფლებით ვერ სარგებლობდნენ.[410]

ყურადღებას იმსახურებს - ადამიანის უფლებების თვალსაზრისით - მაშინდელი საკორპორაციო სამართლი:

წევრთა განსაზღვრული წრით შემოფარგლული თვითმმართველი დაწესებულებების: ხელოსანთა ასნაფების, ანუ ამქრების, სავანეების და მონასტერთა საძმოების მმართველობა და სამართლის ნორმები სავსებით დემოკრატიულად

---

[408] "ქალაქის მოსახლეობისგან არჩეულ პირთა, ქედხუდთა ხელისუფლება გვიანფეოდალურ ხანაში როდია გაჩენილი. იგი ერთვარ დაკნინებულ შთამომავლას წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემოხსენებულ 'ქალაქის უხუცესების', 'ქალაქის ბერების' ხელისუფლებისა." - მესხია, *საისტორიო ძიებანი II* (თბილისი: მეცნიერება, 1983) 482.

[409] მესხია, *საისტორიო ძიებანი II* (თბილისი: მეცნიერება, 1983), 495.

[410] ibid., 477-480.

გამოიყურებოდა.[411] თავის დროზე - როგორც აღვნიშნეთ - გიორგი მთაწმინდელმა (მე-11 სკ.) ათონის ივერთა მონასტერში მართვა-გამგებლობის რეფორმა გაატარა და *მონარქიული მმართველობა რესპუბლიკურით შეცვალა:* თუ ადრე სავანის ძმობას დანიშნული მამასახლისი განაგებდა, გიორგი ათონელის რეფორმის მერე, მამასახლისს უკვე კრება ირჩევდა.[412] ამასთან საძმოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ფუნქციებიც ერთმანეთისგან გაიმიჯნა: განმკარგულებელი – სავანის ძმების კრება გახდა, ხოლო აღმასრულებელი - მამასახლისი, რომელსაც, კრება გარკვეული ვადით ირჩევდა. ეს წესი ათონიდან საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მონასტრებშიც გავრცელდა, რასაც ვაჰანის ქვაბის წესდებაც ადასტურებს.[413] რესპუბლიკანიზმის ეს პრეცედენტი იმდენად გადამდები გამოდგა, რომ საუკუნის მერე - და ასე ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა - ყუთლუ-ასლანის დასზეც მოუხდენია ზემოქმედება.[414] მერე ვითარება შებრუნდა და ეკლესია-მონასტრებში ისევ არისტოკრატიზმმა იმარჯვა,[415] ხელოსნური ამხანაგობების (საძმოების) სათავეებში კი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში კვლავაც არჩეული მამასახლისები და უხუცესები (ვაჭართუხუცესი, გალატოზთუხუცესი, ქარავანთუხუცესი და მისთანანი) ჩანან; ამხანაგობა ხელისუფალს საზოგადო კრებაზე "გამორჩევით" და "წილგდებით" ირჩევდა ხოლმე, ხოლო გადამდგარი მამასახლისისაგან ანგარიშს ისმენდა და

---

[411] ibid., 527.

[412] "ასე მოხდა 1032 წლიდან მმართველობის მონანრქიული წესის შეცვლა საზღვარგარეთულ ქართულ სავანეებში რესპუბლიკური წესწყობილებით, რომელიც იმავე XI საუკუნეში თვით საქართველოს მონასტრებშიც შემოიჭრა. ამ რევოლუციამ, რომელიც მოხდა სამონასტრო ორგანიზაციაში, დიდი გავლენა მოახდინა ... როგორც პოლიტიკური ბრძოლის მიმდინარეობაზე, ისე, განსაკუთრებით, საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების ჩამოყალიბებაზე." - ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად, ტ. II,* 384.

[413] "ყოველი ცოტად მაინც მნიშვნელოვანი საკითხი მთელ კრებულს უნდა გადაეწყვიტა და მამასახლისი ამგვარად კრებულის დადგენილებათა აღმასრულებელი გამხდარა, რასაც ვაჰანის მონასტრის წესდებაც ადასტურებს." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II,* 76.

[414] "სიმდიდრით აღზევებულთა დასის პროგრამით ნაგულისხმევი და სამონასტრო ცხოვრებაში გაბატონებული რესპუბლიკური პრინციპების გასაოცარი მსგავსება და საამისო ტერმინოლოგიის სრული იგივეობა, თანაც საეკლესიო ცხოვრებაში რესპუბლიკური წყობილების დამყარების ქრონოლოგიური უწინარესობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ "სიმდიდრით აღზევებულთა" დასის თავისუფლებისადმი სულისკვეთება და რესპუბლიკური წყობილების უპირატესობის გრძნობა ქართული მონასტრების ცხოვრებასა და წესწყობილებაში მომხდარი ცვლილებებისა და მიღწეული შედეგის მაგალითს უნდა გამოეწვია... მონასტრებში რესპუბლიკური სულისკვეთების და წესწყობილების დამკვიდრებას საერო ცხოვრებასა და აზროვნებაზეც გავლენა მოუხდენია და "სიმდიდრით აღზევებულთა" დასისათვის მისაბაძ მაგალითად ქცეულა." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II,* 142.

[415] გიორგი III-ის და თამარის ხანაში ეკლესიის და მისი პატრიარქის მიქაელის - რომელიც ასევე დიდგვარიანი აზნაურის შვილი იყო - სამეფო სახლის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა ამას აშკარად მოწმობს. - იხ. ჯავახიშვლი, *ქართული სამართლის ისტორია წიგნი II,* 112.

ქონებას იბარებდა.[416] ეს პროცედურები მაშინდელი საზოგადოების "დემოკრატიის გაკვეთილებად" მიგვაჩნია. მონაწილეთა "ერთნებობა" (თანხმობა, კონსენსუსი), უზენაესი უფლებამოსილების კრებისთვის მინიჭება და მისთანები - სამართლიანობის და კანონიერების პატივისცემის გამოვლენაა, თუმცა სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციების ერთი და იმავე პიროვნებების ხელში მოქცევით (არჩეულ უხუცესებს მსაჯულის ფუნქციაც ეკისრათ)[417] ძალაუფლების კონტროლის მექანიზმი მაინც შესუსტებული ჩანს. ამის მიუხედავად, "ქართული სამოქალაქო სამართალი... დაცემულობის ხანაშიც კი... შედარებით მოწინავე ტრადიციებს არ თმობდა, მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრიობასთან უშუალო კავშირში მყოფი სისხლის სამართალი დაცემის ნიშნებს ავლენდა."[418]

ქართული კორპორაციული სამართალი *პიროვნების უფლების,* კერძოდ კი *სინდისის თავისუფლების დაცულობის* შთამბეჭდავ მაგალითსაც გვთავაზობს: ქართული ამქრები *რელიგიური შემწყნარებლობით* გამოირჩეოდნენ; არსად ისე არ გამოვლენილა ქართული საზოგადოების რჯულშემწყნარებლობის კულტურა და სულისკვეთება, როგორც აქაურ ამქრულ ორგანიზაციებში:

"ერთი და იგივე ამქარში შეიძლებოდა გაერთიანებული ყოფილიყო როგორც მართლმადიდებელი, ისე გრიგორიანელი, კათოლიკე, მაჰმადიანი და სხვა რწმენის თუ ნაციონალური კუთვნილების წარმომადგენელი."[419]

ღებულობდნენ უცხოეთიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულებსაც, ყველას – რასის, რწმენის და სოციალური მდგომარეობისგან განურჩევლად.[420] უეჭველია, რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთებას, კორპორაციების და საძმოების ინტერესების გარდა, სახელმწიფოს პოლიტიკური ამოცანებიც ბადებდა. ერთგვარი პარადოქსი კია, მაგრამ ისლამური იმპერიების ალყაში მოქცეული ქრისტიანული საზოგადეობა სარწმუნოებრივ შეუდრეკელობასთან ერთად, სხვა აღმსარებლობებისადმი დამთმობი და მოქნილი მიდგომების უნარსაც ავლენდა,

---

[416] ამაზე იხ. მესხია, *საისტორიო ძიებანი II,* 537-552.

[417] "უსტაბაშისა და ამქრის მიერ არჩეული სხვა ხელისუფალთა უპირველესი მოვალეობა ... იყო ზედამხედველობა და სამართალწარმოება" - ibid., 541.

[418] მესხია, *საისტორიო ძიებანი II,* 176.

[419] *საისტორიო ძიებანი II,* 528.

[420] "XIX საუკუნის აღწერილობითი წყაროების მიხედვით, თბილისის ამქრებში თავისუფლად იღებდნენ აგრეთვე უცხოეთიდან თუ საქართელოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ხელოსნებსა და ვაჭრებს" - ibid., 528.

რისი შთამბეჭდავი მოწმობაც ეთნო-რელიგიური თვალსაზრისით საყურადღებო ქვემორე ისტორიაა:

პროფესორი მესხია აბულ–ჯაფარის ერთ ცნობას იმოწმებს:[421]

1197 წელს თბილისში ქართველებსა და სომხებს შორის აღდგომის თაობაზე შეტაკება მომხდარა. ქართველებს სომხების ეკლესია დაუწვავთ. დაღუპულა 4 თუ 40 სომეხი. მომხდარის გასაპროტესტებლად 40 000 სომეხი შეკრებილა[422] და ძალის გამოყენება განუზრახავს.

"ქართველებმა შეძლეს სისხლის ღვრის თავიდან აცილება. სომხებს 100 000 დინარი გადაუხადეს ეკლესიის ასაშენებლად და 1000–1000 დინარი თითოეული დაღუპულის სისხლის სანაცვლოდ."[423]

ცნობა მრავალმხრივ არის ნიშანდობლივი:

რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტს, რასაც ეკლესიის დაწვა მოჰყვა, ხელისუფლებამ (სულერთია, ნებსით თუ იძულებით) მაინც რჯულშემწყნარებლობის პოლიტიკით უპასუხა, საამისოდ ის საკმარისად ავტორიტეტულიც გამოდგა (აღშფოთებულ მოსახლეობასთან მოლაპარაკების გამართვა შეძლო) და ახალი ეკლესიის აშენების გადაწყვეტილებაც მიიღო; სახელმწიფომ დაიცვა სარწმუნოების (სინდისის) თავისუფლების პრინციპი და მორწმუნეთა უფლებები, გადაუხადა რა მათ კომპენსაცია;

სახელმწიფომ დაიცვა სამართალიანობა და ნაცვალმიგების და არეულობის საფრთხე აღკვეთა.

---

[421] ibid., 182-183.

[422] ეს ციფრობრივი მონაცემიც იმას ადასტურებს რომ მე-12 საუკუნეში თბილისი თავისი დროის მეგაპოლისი იყო 100 000-ზე მეტი მოსახლეობით, სადაც ვაჭარ-ხელოსანთა (ბურჟუაზიის) მრავალრიცხოვანი ფენა ბინადრობდა. - იხ. *თბილისი, ენციკლოპედია* (2002), 32.

[423] მესხია, *საისტორიო ძიებანი II,* 182.

კანონის უზენაესობა

(rule of law)

ყოველივე ზემოთქმულის მერე, ქვეთავის დასაწყისში დასმულ კითხვას: ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის უზენაესობის (rule of law) ევროპულის მსგავს ისტორიულ წინაპირობებს საქართველოში - შეგვიძლია შემაჯამებელი პასუხი გავცეთ.

ჯერ ქართული საეკლესიო სამართლებრივი ძეგლების სისტემატიზირებულობის და სავალდებულოობის შესახებ ვთქვათ:

ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების მიუხედავად, "მართლმადიდებლობის მხნე მხედრის"[424] ვახტანგის "კოდიკო" - რომელიც საქრისტიანო მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ძეგლებს: მოსეს სჯულს, სირიულ-რომაულ, ბიზანტიურ და სომხურ კანონებსაც მოიცავდა ქართული საეკლესიო სამართლის ორიგინალურ ძეგლთან, "კათალიკოზთა სამართალთან" ერთად,[425] - არსებითად მთელ საქართველოში სავალდებულო ნორმად იყო აღიარებული.[426]

ეს არ ნიშნავს, რომ რეგიონალური განსხვავებები არ არსებობდა. ფეოდალიზმი, საზოგადოდ, ფრაგმენტაციით ხასიათდება, დაქუცმაცებულობის ხანაში კი (XVI-XVII-XVIII საუკუნეებში) ამ ტენდენციამ იმძლავრა; სამართლებრივი გადაწყვეტილებები და ნორმები ეპარქიების მიხედვით განსხვავდა,[427] მაგრამ ეკლესია სამართლის უზოგადეს, კანონად ქცეულ ნორმებს მკაცრად იცავდა. ამ სამართლებრივი პარამეტრის დაცულობის ხარისხი ეკლესიაში იმდენად მაღალი იყო, რომ სიტყვამ "კანონიკური" (რაც საეკლესიო სიტყვათხმარებაში იგივეს ნიშნავს, რასაც - "კანონიერი"), საერთოდაც საკრალური დატვირთვა შეიძინა. მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიისთვის "კანონიკური სამართალი"

---

[424] *ქართული სამართლის ძეგლები I,* 4.

[425] *ქართული სამართლის ძეგლები I,* 6.

[426] ამაზე იხილეთ მანანა ქიქოძე, "სოციალური ურთიერთობის მოწესრიგების ცდები", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 393.

[427] "ჩვენი სასულიერო ფეოდალობა მიაგავდა ევროპულს. ფეოდალური განწყობილება, ჩვეულებრივი უფლება ეკლესიისა ისე ძლიერი იყო, რომ თითქმის ყველა ეპარქიას თავისი საკუთარი კანონები ჰქონდა, მისი უფლებრივი მდგომარეობა იყო განსაკუთრებული: ამგვარ ეპარქიაში ვხედავთ თავის სამოქალაქო და საეკლეისო სისხლის სამართალს, მაგ., სამთავისის ეპარქიაში." - ხიზანიშვილი, "უფლება და კანონი ძველ საქართველოში", *რჩეული იურიდიული ნაწერები* (თბილისი: მეცნიერება, 1982), 43.

XII-XIV საუკუნეებში უკვე სრულად ჩამოყალიბებული დარგი გახდა.[428] ასეც უნდა ყოფილიყო, ქრისტიანობა იმთავითვე სამართლის ენაზე საუბარს დაეწაფა:

"პირველი ბოგირი საქრისტიანო მოძღვრებასა და დასავლურ საზოგადოებებს შორის სამართლის სფეროში გაიდო იმ ზეგავლენის შედეგად, რაც კოდიფიკაციის რომაულმა მემკვიდრეობამ იქონია."[429]

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართული ეკლესიის სამართლებრივი პროფილი მრავალი თვალსაზრისით რომაულ Corpus iuris canonici-ის შეესაბამებოდა და არა ბერძნულ, ბიზანტიურ ორთოდოქსიას:

"ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის "Corpus juris canonici"-ს მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენა და რუსთა საეკლესიო სამართალს, იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წეს-წყობილებით, ბევრი თვისებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს."[430]

კანონგამგონეობის შეგნება საერო სამართლის შემთხვევაშიც მტკიცე იყო. მართალია, ბატონყმურ პერიოდში სახელმწიფო წესრიგი მოირყა და ვითარება აიჭრა, მაგრამ ამან წეს-რიგის მოთხოვნა მხოლოდ გააძლიერა. სოციალური სივრცის სამართლებრივი მოწესრიგების საჭიროების შეგნებას ადასტურებს, როგორც აღვნიშნეთ, ისიც, რომ რამდენიმე სამეფოდ დაშლის მიუხედავად, ქართლის მეფის, ვახტანგის სამართალი ყველა ქართული ქვეყნისთვის სანიმუშოდ და სახელმძღვანელოდ ჩაითვალა;[431] მით უმეტეს მაღალი იყო კანონიერების სავალდებულოობის შეგნება ერთიან სამეფოში: საპარლამენტო მონარქიის დროინდელ პერიპეტიებზე საუბრისას გამოჩნდა, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში

---

[428] "კანონიკური სამართალი, როგორც ასეთი, ჩამოყალიბდა XII-XIV საუკუნეებში, როგორც ეკლესიის *კანონთა მეცნიერული კვლევა.* შეიქმნა საყოველთაო ღირებულების მქონე პირველი ოფიციალური კრებულები, რომელბმაც ... შეადგინეს Corpus iuris canonici." - *ქრისტიანობის ლექსიკონი* (თბილისი: საბას უნივერსიტეტის გამოცემა, 2011), 144.

[429] "The initial nexus between Christianity and Western societies had been in the sphere of law, an interaction assistered by the Roman inheritance of legal codification. This took Chistian theology in new directions." - Andew Walls, "Christianity", *The new penguin handbook of Living Religions*. Second edition, editied by John R. Hinnellsp (Penguin Books, 1998), 73.

[430] ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია III,* 37.

[431] "სოციალური ურთიერთობების მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის დროს შედგენილ კანონთა კრებულს, რომელიც მალე მთელი საქართველოს ბატონყმური ურთიერთობის ძირიდათ კოდექსად იქცა... ვახტანგს მეტსახელად 'სჯულმდებელი' შეარქვეს." - მანანა ქიქოძე, "სოციალური ურთიერთობის მოწესრიგების ცდები. კლასობრივი ბრძოლა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4* (თბილისი: საბჭოთა საქართევლო, 1973), 393.

მონაწილე მხარეები კანონიერების ფარგლებში მოქმედებას და ფორმალობების დაცვას ცდილობდნენ. მრავლისმეტყველია, რუის-ურბნისის კრების განაცხადიც, რომ ყოველი ადამიანისათვის კანონთა ცოდნა და კანონიერების ერთგულება ("მეცნიერებაჲ, შედგომაჲ და მტკიცედ პყრობაჲ") იყო სავალდებულო;[432] ყოველ ადამიანს "კეთილწესიერება" და კანონმდებლობაში გარკვევის ვალდებულება მოეთხოვებოდა. წეს-რიგის "მტკიცედ პყრობაზე" მეტყველებს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც:

"მეფეთა-მეფის თამარის დროს საყდართა და მონასტერთა დალეწვასა ვერ ვინ იკადრებდა, ქარავანსა ვერ ვინ ძარცუიდა, ამიერი და იმერი, ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკვლოდა, მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარავი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმან და ყივჩაღმან და სუანმან - ვერ იკადრიან პარვა."[433] გარდა იმისა, რომ მოქმედი სამართლით, ნაპარავი მპარავს უნდა დაბრუნებოდა, დამნაშავეს სახელმწიფოს ან ეკლესიის სასარგებლოდ შვიდმაგად უნდა ეზღო.[434]

დიფერენცირებული სასამართლო სისტემის განვითარება, შესაბამისი პენიტენციალური ქსელი, საპოლიციო სამსახურის, პროფესიონალი მოსამართლეების და გამომძიებლების არსებობა და მისთანები პირდაპირი დანიშნულების გარდა, კანონგამგონეობის შეგნებას აყალიბებდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თანახმად:

"ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება; და თვით მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართებელ გზათა საღრმთოთა და მშვიდობისათა."[435]

ახლა, პროფესიონალ იურისტებზე და მათ კომპეტენციაზე:

"მერჩულეების" და "საბჭოთა საქმეთა მეცნიერთა" კასტის არსებობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სამართლებრივი ძეგლების შინაარსი კანონმცოდნეების მიერ (და, რასაკვირველია, დაინტერესებული ფენების

---

[432] *ქართული სამართლის ძეგლები ტ. 3.* 112.

[433] "ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი", *ძველი ქართლის ცხოვრება*, გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა (თბილისი: ნიკე, 1996), 299-300.

[434] იხ. მეტრეველი, 272.

[435] *ცხოვრება მეფეთ–მეფისა დავითისი,* საქართველოს ისტორიის წყაროები 62 (თბილისი: მეცნიერება, 1992), 212.

საჭიროებების გათვალისწინებით) დგინდებოდა. შუა საუკუნეებში თითქმის ყველგან - ქრისტიანულ ევროპაში თუ ისლამურ აზიაში - კანონმდებლობა კანონიკურ და სამოქალაქო სამართალში გაწვრთნილი *პროფესიონალების* ხელში იყო მოქცეული,[436] საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი ვერ იქნებოდა:

საეკლესიო და საერო სამართალი საქართველოში მკვეთრად განირჩეოდა, მაგრამ ორივე სფეროს კანონმდებლებს მაინც, ჩანს, ეკლესია მეურვეობდა. ჯერ ერთი, საბჭოთა საქმის მეცნიერები და მდივან-მწიგნობრები, როგორც სამართლის პროფესიონალები, განათლებას ძირითადად საეკლესიო ცენტრებში იღებდნენ. გელათის და შემდეგ იყალთოს აკადემიებიც ხომ შესაბამის სამონასტრო ცენტრებთან დაარსდა. ავტონომიურობა და დიდი პატივი, რომელიც გელათის აკადემიის რექტორს ერგებოდა[437] - ეკლესიის იდეოლოგიური ფუნქციის შედეგიც იყო. საერთო ეკლესიური წიაღი კი კანონმდებლობას "ზეცის მანდატს" მატებდა და ლეგიტიმურობის ხარისხს უმაღლებდა ჩვეულებრივი მოკვდავის თვალში.

სამართლის მცოდნე პროფესიონალების, მერჩულეების, კასტის არსებობა განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი იყო.[438] სამეფო დარბაზის პარლამენტად გადაქცევის მერე კანონშემოქმედების პროცესი კი გართულდა, მაგრამ სწავლულ იურისტთა ("მერჩულეთა") პროფესიის დაკნინება მაინც არ მომხდარა.

ამ საკითხს უნდა ჩავეძიოთ:

---

[436] "Law became the province first of the church and then of a legal profession trained in canon and civil law. In this respect, Christianity does not differ substantially from Islam, which also put law under the custody of a hierarcy of legal specialists (the ulama) or Hinduism, where the priestly Brahmin class had a monopoly as specialists in low.

[კანონმდებლობა უპირველეს ყოვლისა ეკლესიის და მერე საეკლესიო და სამოქალაქო კანონებში დახელოვნებულ სამართალმცოდნეების კომპეტენციის ფარგლებში მოექცა. ამ ნიშნით ქრისტიანობა დიდად არც ისლამისაგან განსხვავდებოდა, რომელმაც კანონმდებლობა ასევე დახელოვნებულ სამართლისმცოდნეების (ულამას) მეურვეობის ქვეშ მოაქცია და - არც ინდუიზმისგან, სადაც საკანონმდებლო მონოპოლია ბრაჰმანთა სამღვდელო კლასს ეპყრა ხელთ]. - Francis Fukuyama, "Transition to the rule of law", *Journal of Democracy* (January – 2010), 37.

[437] "გელათის მოძღვართმოძღვარი, როგორც აკადემიის რექტორი, დიდმოხელე სასულიერო პირთა (ჭყონდიდელი, 'კათალიკოზნი ქართლისა და აფხაზეთეთისა' და სხვ.) შორის ყველგან პირველი იხსენიება. 'ხელმწიფის კარის გარიგების' მიხედვით მას მათზე მეტი უფლება და პატივი აქვს მინიჭებული." - თენგიზ პაპუაშვილი, "საქართველოს ფეოდალური საზოგადოება აღმავლობის გზაზე. კულტურა, სწავლა განათლება და კულტურის ცენტრები", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 3* (თბილისი: საბჭოთა საქართევლო, 1979), 376.

[438] წმინდა გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი, გიორგი *მერჩულე* ქართული ისტორიული მწერლობის გამოჩენილი მესიტყვე, მაგალითად, ამავე დროს, პროფესიონალი იურისტია. " 'მერჩულე' ეს არის თანამდებობა–პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება. 'მერჩულე' ეწოდება სჯულის მეცნიერს, კანონიკური სამართლის სწავლულ მცოდნეს." - ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, 18.

დარბაისლები (პარლამენტარები), პირველ რიგში, თავიანთი წოდებების *პოლიტიკური ნების* გამტარები იყვნენ, მაგრამ ჯერ ერთი, ამ ნებას ისინი კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში და სხვა წოდებებთან თანხმობით გამოხატავდნენ ("თანადგომითა და ერთნებობითა") და არა ისე, როგორც მოეპრიანებოდათ და მეორეც, საპარლამენტო საქმიანობის შედეგად, მათი, როგორც იურისტების, პროფესიული სტანდარტი მხოლოდ ამაღლდა: ისინი ადრეც იყვნენ სჯულმდებლები და კანონმდებლები, მაგრამ ახლა საბჭოს წევრობა მათ უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობის სამართლმსაჯულო საქმეების განხილვასაც აკისრებდა.

ისტორიული მოცემულობის ასეთმა ინტერპრეტაციამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს დავინახოთ, რომ სწავლულ იურისტთა სამსახურის და სასამართლო ხელისუფლების სამხედრო–პოლიტიკური ხელისუფლებისგან გამოცალკევების პროცესი, წარმომადგენლობითი დარბაზის დაარსების მერე რამდენადმე მაინც შებრკოლდა, თუმცა კი იურისტთა ცალკე კლასი (საბჭოთა მეცნიერები, მერჯულეები, მდივან–მწიგნობარნი...) არსად გამქრალა. სრული დამოუკიდებლობა და უზენაესი უფლებამოსილება მას მაშინ არ მინიჭებია, მაგრამ კანონიერების დამკვიდრებისთვის (rule of law) საჭირო სტრუქტურული და ფუნქციური ელემენტის სახით მისი არსებობა მაშინდელ საქართველოში ფაქტია.

სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკურისაგან გამოცალკევება და პროფესიონალი იურისტების ხელში მოქცევა, როგორც ვთქვით, „სააჯო კარის“ (შემდგომი დროის დიამბეგის სასამართლოს) ამოქმედებითაც გამოიხატა. სასამართლო გადაწყვეტილებების და საკანონმდებლო დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისთვის ცალკე ინსტიტუტები (სავაზირო, საპარავთმძებნელო, ჩენილები...) არსებობაც სასამართლო ხელისუფლების გამიჯნულობა-გამოკვეთს მოასწავებდა.

და ბოლოს:

სამართლის მოქმედი ძეგლები ნამდვილად მოდიოდა შესაბამისობაში არსებულ სოციალურ ნორმებთან და ღირებულებებთან. ქვეყნის სუვერენიტეტის ხშირი ხელყოფის მიუხედავად, აქ მოქმედი სამართალი დამპყრობლის მიერ თავსმოხვეული არასოდეს ყოფილა, თუ არ ჩავთვლით რუსული მმართველობის პერიოდს, როცა ქართული სახელმწიფო საერთოდ გაუქმდა, თუმცა მაშინაც, ქართული საზოგადოების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის და სხვა გარემოებების

წყალობით, იმპერიის ხელისუფლებამ სამოქალაქო სამართლის სფეროში ისევ ქართული, კერძოდ კი ვახტანგის სამართლის ნორმების დატოვება მიიჩნია მიზანშეწონილად[439] და ზემოხსენებული სამართლის სათანადო ნაწილები რუსულად ათარგმნინა.

კანონის უზენაესობის (rule of law) თვალსაზრისით - სახელისუფლებო ფუნქციების გამიჯვნაზე (მართლმსაჯულების ფუნქციის გამოცალკევებაზე) მნიშვნელოვანი – ხელისუფლის კანონით შებოჭილობაა; კანონს ხელისუფლის მიმართაც მაიძულებელი ძალა უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი კანონიერების და კერძო საკუთრების გარანტი კი არა, ხელისუფლის ინსტრუმენტი გახდება. "კანონის მმართველობა" (rule of law) "კანონით მმართველობად" (rule by law) არ უნდა გადაკეთდეს.[440]

როგორც ვნახეთ, ქართულ ისტორიაში, ძალაუფლება ნამდვილად იყო განაწილებული (ცალკე აღმასრულებელი სავაზირო, სასამართლო ხელისუფლების ავტონომიურობა, საერო და სასულიერო ხელისუფლების კომპეტენციების დამიჯნულობა, ვეტოს უფლებით აღჭურვილი ჭყონდიდელ-მწიგნობარის არსებობა), ხოლო უზენაესი, სამეფო, ხელისუფლება საკმარისად შებოჭილი. მაგრამ უწყობდა კი ეს ხელს კანონიერების (კანონის უზენაესობის) დამკვიდრებას? – ანდა, სხვაგვარად: იბოჭებოდნენ კი მეფის ხელის შემბოჭველი დარბაისელი თანამეფეები?

დიახ, იბოჭებოდნენ - და გვარიანადაც!

მეფის და დარბაისლების ინტერესები ხშირად არ ემთხვეოდა, ამიტომ შეთანხმებების მიღწევა და მიღწეულის ცხოვრებაში გატარება მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ ორი დაპირისპირებული მხარე ერთმანეთს გააწონასწორებდა და

---

[439] "სამოქალაქო საქმეთა წარმოების სფეროში ძალაში დატოვეს ვახტანგ-ის ცნობილი კანონები." - მამია დუმბაძე, "ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება“ *საქ. ისტ. ნარკვევები 4* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 829.

[440] "The difference....is that under the rule of law the law is preeminent and can serve as a check against the abuse of power. Under rule by law, the law can serve as a mere tool for a government that suppresses in a legalistic fashion.

[განსხვავება ... ის არის, რომ კანონის მმართველობისას კანონი ბატონობს და ძალაუფლების ბოროტად მოხმარების ასალაგმად გამოიყენება, კანონით მმართველობისას კი - კანონი მხოლოდ იარაღია სამართლის მეოხებით მჩაგვრელი ხელისუფლების ხელში]." - Tamanaha, Brian, *On the Rule of Law* (Cambridge University Press, 2004), 3.

შეაკავებდა, თუმცა კი ტოლი სიდიდეები ისინი არასოდეს ყოფილან: ჯერ ერთი იყო ძლიერი - მეფე, და მერე - მეორე, დარბაისლები; გვიან შუა საუკუნეებში, მეფის ხელი ზომაზე მეტად შეიზღუდა და ქვეყნის მთავარი თავისტკივილი სწორედ შემზღუდავები გახდნენ; დასუსტებული მეფე მებატონეთა აღვირახსნილ ნებას სათანადოდ ვეღარ ბოჭავდა და სამართლიანობის და კანონიერების ნაცვლად ქვეყნად ანარქია ისადგურებდა (ანარქია საზოგადოდ არის ფეოდალიზმის დამახასიათებელი თვისება).[441] ვითარების ასეთი მობრუნების მიუხედავად, უზენაესი ხელისუფლების შეზღუდვის და განაწილებული ძალაუფლების ტრადიციას უკვალოდ არ ჩაუვლია; მართალია, რუსეთის იმპერიის მიერ ქართული ქვეყნების განადგურებით აქ არსებული სამართლებრივი ინსტიტუტებიც წარსულში დაინთქა, მაგრამ ძველი სამართლებრივი კულტურის მენტალური კვალი არ გამქრალა და ქართული ისტორიის ცარისტულ პერიოდში საპროტესტო სოციალური მოძრაობის თავისებურებებში იჩინა თავი.[442]

საბოლოოდ, ქვეთავის დასკვნის სახით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ *საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი წარსული იმ ოთხივე ისტორიული წინაპირობების არსებობას გულისხმობს, რომელსაც ფ. ფუკუიამა კანონის უზენაესობის დამკვიდრების კეთილ საწინდრად მოიაზრებს.*

მეტის თქმაც შეიძლება: ქართული ისტორიის პატრონყმული პერიოდი ლიბერალიზმის სხვა მნიშვნელოვან წინაპირობებსაც გულისხმობდა:

ა. პატრონყმული სოციალური ქსოვილი - როგორც ვნახეთ - ჯგუფის, ან უფრო დაზუსტებით, ნათესავისაგან (სულ ერთია "ქართველთა ნათესავის", ანუ თემისაგან, თუ "მეფეთა ნათესავის" ანუ "საზეპურო ერისგან") პიროვნებების, ოჯახების გამოყოფის გზით იქსოვებოდა; ოჯახები თანდათან იძენდნენ კერძო-ოჯახურ საკუთრებას; მიწის *პირადი საკუთრებაც* იქვე გაჩნდა "აგარაკების" სახით.[443] კერძო საკუთრება კი, როგორც ვიცით, "ლიბერალური იდეოლოგიის საფუძვლადმდებარე

---

[441] "პროფ. ვ. სპასოვიჩის აზრით ინკვიზიციური პროცესი დასავლეთ ევროპაში იყო ის საბრძოლო საშუალება, რომლის მეშვეობითაც დასავლურმა მონარქიამ დააამარცხა ფეოდალური ანარქია." – გიორგი ნადარეიშვილი, *ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია* (თბილისი: ბონა კუზა, 2005), 71.

[442] ამაზე იხილეთ: ივანე ჯავახიშვილი, "Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.," *ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად, 5,* (თბილისი: პალიტრა L, 2012), 101-127.

[443] იხ. ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე.* 282.

პრინციპია."[444] სამართალსუბიექტების ინდივიდუალიზაციის მაშინდელი პროცესი სოციოეკონომიკური ევოლუციის იმ სამომავლო ფაზას ამზადებდა, სადაც პიროვნების საყოველთაო გათავისუფლება უნდა მომხდარიყო.

ბ. პიროვნების თავისუფლებას პოლიტიკური და ინსტიტუციური უზრუნველყოფა სჭირდება, *პიროვნების ინტერესების დამცველი სასამართლო სისტემა* მესაკუთრეთა და მფლობელთა სოციალური შრის წარმოქმნის კვალობაზე იქმნებოდა. "საკუთრება ის საძირკველია, რომელზეც პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებები აფუძნია და თავისუფლების საწინდარს ქმნის."[445] თავისუფალი მეთემეების რიგებიდან მიწის მესაკუთრეთა გაჩენა-გამრავლება კი, ქართული საზოგადოების შემთხვევაში, ჯერ კიდევ პატრონყმობის წინარე ხანაში დაიწყო.

გ. კოლეგიალური მმართველობის, ანდა წინა ქვეთავში ხსენებული, ჟან-ჟაკ რუსოსეული "სუვერენიტეტის აქტის" კიდევ ერთ და თავისებურ პრეცედენტს გვიანფეოდალური "სათავადოც" ქმნიდა: მისი უზენაესი ხელისუფალი, თავადი მიწას "მამულობით" ფლობდა, რაც პირადი საკუთრებისკენ დაძრული პროცესის შუალედურ, ბოლომდე არ მიყვანილ მდგომარეობად გვესახება; ეს "მამულობით ფლობა" სახლიშვილებს შორის განაწილებული ("საუფროსო" წილი, "საუმცროსო" წილი) კერძო-საოჯახო საკუთრების ფორმა იყო, მაგრამ რაკი სათავადოების მამულზე მეფესაც ჰქონდა პრეტენზია და უფლება, ხელშეუვალ კერძო საკუთრებად იგი ვერ ჩაითვლებოდა (მეფეს მამულის ჩამორთმევა და სხვისთვის გადაცემა შეეძლო, ოღონდ ორად ორ შემთხვეაში: თუ მემამულე მეფის სამსახურზე ხელს აიღებდა და გაორგულდებოდა; თუ მემამულე უმემკვიდრეოდ გადაეგებოდა და ამოწყდებოდა).[446] სავსებით პირადი საკუთრების, ე.წ. "სათავისთავოს" და "საკუთარისგან" განსხვავებით, სათავადოს მამული პირობითი საკუთრების ნიშნებს ინარჩუნებდა; *და მაინც, რაკი სათავადო თავისებურ წოდებრივ-*

---

[444] იხ. Andrew Heywood, *Politics*, (Palgrave Macmilan. Third edition published 2002), 43.

[445] "Property provides the key to the emergence of political and legal institutions that guarantee liberty" - Pipes, *Property and the Freedom,* XII.

[446] ამაზე იხილეთ: დავით გვრიტიშვილი, *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათვადოები* (თბილისი: სახელგამი, 1955); ნოდარ ასათიანი, *საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში* (თბილისი: თსუ შრომები ტ. 77, 1959); ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები 2* (თბილისი: მეცნიერება, 1965).

წარმომადგენლობით ორგანიზაციას - სახელშეკრულებო პირობით გაერთიანებული ოჯახების ყრილობას ("ძმად შეყრილობას") წარმოადგენდა, ისიც შედარებით მცირე სოციალური ჯგუფის ურთიერთთანხმობაზე და ერთგვარ თანხმობაზე დაფუძნებული კოლეგიალური მმართველობის მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნიდა.

დ. აღსანიშნავია, რომ გვიანშუასაუკუნეებში გათავისუფლებულ გლეხთა ფენა გამოიკვეთა. "XVIII საუკუნის დასაწყისისათვის მათი რიცხვი უკვე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სპეციალური მუხლი იქნა შეტანილი, რომელიც თავდახსნილი გლეხის ინტერესების დაცვას ეხებოდა."[447] ასეთი გლეხების თავისუფლების საწინდარი მიწის საკუთრეობა იყო:

"შეძლებული გლეხები თავიანთ მიწებს ... დაქირავებულ მოჯამაგირეთა შრომით ამუშავებდნენ. ... გავრცელებული იყო აგრეთვე ჭარბმიწიანი გლეხების მიერ მიწების საღალოდ გაცემა. შეძლებულ გლეხთა მეურნეობაში პროდუქტებს არა მარტო ოჯახის საჭირობისათვის აწარმოებდნენ, არამედ საბაზროდაც."[448]

ე. ლიბერალიზმის არსი *კონსტიტუციონალიზმში* და *კანონის უზენაესობაში* ვლინდება. ამ კონტექსტში ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ პატრონის და ყმის ურთიერთობა ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების მადასტურებელი ხელშეკრულებით რეგულირდებოდა; ორმხრივი ვალდებულების და პასუხისმგებლობის სულისკვეთება - რამაც საზოგადოებრივი ვერტიკალის ფორმირების კვალობაზე, ადრეული ფეოდალიზმის დროიდან მოიკიდა ფეხი საქართველოში და თანდათანობით "საზეპურო ერის" სუბკულტურის ("ვეფხისტყაოსნის კულტურის") სახე შეიძინა - ავტოკრატორის ვოლუნტარიზმის შეზღუდვის და თანხმობაზე დამყარებული მმართველობის (თამარის დროინდელი დარბაზის, როგორც პარლამენტის) სამართლებრივ და მენტალურ პირველსაფუძველს ამზადებდა. თუკი "განკერძოებული ჯგუფების მიერ ერთმანეთის წინაშე ნაკისრმა ვალდებულებებმა დროთა განმავლობაში საჯარო განზომილება შეიძინა და კონსტიტუციური მმართველობის საძირკველი განასკვა ევროპაში,"[449] იგივეს თქმა საქართველოზეც არის მართებული, იმ შესწორებით კი,

---

[447] გივი ჯამბურია, ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობასა და სახელმწიფო წყობილებაში, *საქართველოს ისტორია II*, (თსუ: 2008), 386

[448] ibid., 385.

[449] "The reciprocal obligation between private parties acquired in time a public dimension and provided the foundation of constitutional government in Europe." - Pipes, *Property and Freedom*. 106.

რომ ზემოხსენებული საძირკვლის შესატყვისი ზედნაშენი, შიდასოციალურ მიზეზებთან ერთად პერმანენტული საგარეო აგრესიის შედეგადაც ჩამოიშალა.

IV

რუსულ მახეში

მეცხრამეტე საუკუნე კატასტროფით დაიწყო თავისუფლების და ქრისტიანული იდენტობისათვის ისლამურ დესპოტიებთან ათასწლოვან ომში დაღლილი ქართული საზოგადოებისათვის. სწორედ მაშინ, როცა ევროპულმა სახელმწიფოებმა მთელ დედამიწის ზურგზე გაავრცელეს თავიანთი გავლენა, ირან-ოსმალეთთან ბრძოლებში დაუძლურებული და ქრისტიანული დასავლეთისგან დახმარების მოლოდინში სისხლისგან დაწრეტილი ქართული სახელმწიფოები - ერთი მეორის მიყოლებით დაინთქა რუსული იმპერიის წიაღში.[450] სოციალური, პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელება ქართველ ხალხს რუსული აბსოლუტიზმის პირობებში მოუწია: გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე კი ოდინდელი "წვრილი ერის" მემკვიდრე და ჩამომავალი - გლეხობა გახდა.

"ნუ გათათრდები"

თუ ქართული საზოგადოების განვითარებას თვალს პიროვნების თავისუფლების ნიშნით გავადევნებთ, ისტორიული ევოლუციის ორ, ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებულ, გეზს აღმოვაჩენთ: მეცამეტე საუკუნემდე ქვეყნის სოციო-ეკონომიკური პროფილი დასავლეთევროპული ფეოდალური საზოგადოების იდენტურად გამოიყურებოდა; ქართული საზოგადოება ტიპოლოგიურად ევროპულ

[450] "უბედო კაცს დანა კუდზე გადაუტყდაო, სწორედ ასეთი უბედურება დაემართა საქართველოს. მან ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც მოიტანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დროშა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე. კიდევ რამდენიმე ათეული წლის გამძლეობა ... და მისი შემდგომი ისტორიაც სხვაგვარი იქნებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის მზე სწორედ მაშინ ჩაესვენა, როდესაც მსოფლიო ჰორიზონტზე გარიჟრაჟდა ახალი ისტრიული დღე, როდესაც კაცობრიობა იწყებს გადასვლას თავისი განვითარების ახალ საფეხურზე, როდესაც ხალხთა შინაგანი აღნაგობა და საერთაშორისო ძალთა ურთიერთობა რადიკალურად იცვლება. ეს იყო უდიდესი ისტორიული ხანა, როდესაც მწიფდებოდა ... ისლამის კულტურული გაკოტრება და მისი პოლიტიკური კრახის დასაწყისი." - გრიგოლ ლორთქიფანიძე, *ფიქრები საქართველოზე* (თბილისი: თსუ, 1995), 42-43.

ცივილიზაციას განეკუთვნებოდა.[451] ქვეყნის სოციალურ ინფრასტრუქტურაში მაშინ *პიროვნული თავისუფლების* იდეა რეალიზდებოდა, - მართალია, რთული, იერარქიულად ახარისხებული უფლებამოვალეობითი აკიდოს სახით, მაგრამ - მაინც; პიროვნული თავისუფლების მაგარანტირებელ საზოგადოებრივ წყობად ლიბერალური დემოკრატია სწორედ ფეოდალურ-პატრონყმული ქსოვილის თანდათანობითი გადაკეთების და ტრანსფორმირების შედეგად გაინასკვა ევროპის მყარზე.[452] ევროპული ცივილიზაციისადმი კუთვნილების ხსოვნას ქართული საზოგადოება თუნდაც *ქრისტიანობისთვის თავგამოდებული ბრძოლის* და ევროპელ ჯვაროსნებთან უნისონში მიღწეული შთამბეჭდავი სამხედრო წარმატებების გამო ვერ მისცემდა დავიწყებას;[453] ჩვენი პოლიტიკური ელიტის მომეტებული ნაწილი დღესაც დარწმუნებულია, რომ ქართული საზოგადოება ცივილიზაციური იდენტობით ევროპას განეკუთვნება. ევროპარლამენტის ტრიბუნიდან პრემიერ ჟვანიას წარმოთქმული სიტყვები: ვარ ქართველი, მაშასადამე - ვარ ევროპელი,[454] ამის დასტურია.

---

[451] "ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს წყობილებას, ე. წ. ფეოდალიზმს." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია,* წიგნი I, 249.

[452] მაგალითად, პარლამენტი, როგორც ვნახეთ, სწორედ შუა საუკუნეებში ჩაისახა: "This development of the representative system and of parliaments was one of the gratest achievements of the Middle Ages.

[წარმომადგენლობითი სისტემის და პარლამენტის აღმოცენება შუა საუკუნეების ერთი-ერთი უდიდესი მიღწევა გახლდათ]." - Finer, edit., "The intermediate ages", *The History of Government II*, 1025.

[453] აი, როგორ განმარტავს ცივილიზაციურ იდენტობას სამუელ ჰანთინგტონი:

"Civilizations are differentiated from each other by history, language, culture, traditon, and most importantly, religion.

[ცივილიზაციები ერთმანეთისგან ისტორიით, ენით, კულტურით, ტრადიციებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რელიგიით განსხვავდება]." - Armand Clesse and others, eds., 9.

[454] წმინდანად შერაცხული წინაპრის, ვახტანგ გორგასლის ანდერძი ასე ჟღერდა: "სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ." - ჯუანშერი, "ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა," *ქართლის ცხოვრება* (თბილისი: ნიკე, 1996), 182.

"ბერძენი" აქ "სპარსელის" საპირისპირო პოლიტიკურ ორიენტირს მონიშნავს დასავლურ-აღმოსავლური, ანუ ევრაზიული, მეტოქეობის შუაგულში მოქცეული სამეფოს სუვერენული უფლებისთვის თავგანწირული გვირგვინოსნის თვალთახედვაში. ამ დანაბარების საზრისი, დასავლური არჩევანისთვის საპროგრამო მნიშვნელობის მინიჭებაშია. ამ მიზეზითაც ებრძოდნენ მერე ქართველები ისლამურ აღმოსავლეთს ევროპელ ჯვაროსნებთან უნისონში:

"დავით აღმაშენებლის დროს ქართველებისა და ლათინი ჯვაროსნების ურთიერთობებს სპორადული ... ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით - თამარის, ლაშა-გიორგის და რუსუდანის დროს ეს ურთიერთბა თანმიმდევრულ პოლიტიკურ სახეს იძენს." - დავით თინიკაშვილი, *ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკნეებში*, სადისერტაციო ნაშრომი (თბილისი: ილიაუნი, 2015), 209. http://iliauni.edu.ge/uploads/other/16/16825.pdf (23. 05. 2018).

ასეთი გამოცდილების მიუხედავად, საქართველოს სოციალური ევოლუციის ვექტორი - ასე, დაახლოებით მეცამეტე საუკუნიდან - საპირისპირო მიმართულებით შებრუნდა, რაც დაყმევებული გლეხების პირადი თავისუფლების უკიდურესობამდე შეზღუდვაში და აქედან გამომდინარე შედეგებში გამოიხატა; საქართველოს სამეფო-სამთავროების სოციო-ეკონომიკური ანაგისი დროთა განმავლობაში "აზიურ", ანუ პიროვნული თავისუფლების უარმყოფელ თარგზე გაეწყო; ისლამურ იმპერიებთან "ქართველობის" შენარჩუნებისთვის უმაგალითო ომების გამსწორებელი მეფე-მთავრები თანდათან "გათათრდნენ".[455] ეს კია, რომ აზიურ ყაიდაზე გადაწყობილი ქვეყნის "საზეპურო ერი" ერთი ნიშნით კვლავინდებურად განირჩეოდა მეზობელი ქვეყნების ელიტებისგან - სარწმუნოების მიხედვით, იგი ძირითადად ისევ ქრისტიანობის აღმსარებლად რჩებოდა; პიროვნების თავისუფლების ნიშნით, საქართველო გვიან შუა საუკუნეებში უკვე აღმოსავლური წრის ქვეყანა გამხდარიყო და "გათათრებულიყო", მაგრამ რელიგიური კუთვნილებით ის მაინც ქრისტიანულ დასავლეთს ენათესავებოდა; და ეს იმის მიუხედავად, რომ ქართულმა ეკლესიამაც, როგორც სოციალურმა და პოლიტიკურმა ინსტიტუტმა, ინვოლუციის იგივე ტრაექტორია მოხაზა, რაც ზოგადად ქართულმა საზოგადოებამ და ქართულმა სამეფო-სამთავროებმა.[456]

თავის დროზე ქართული ქრისტიანობა - და ამას ივანე ჯავახიშვილი ასაბუთებდა - სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლებით კათოლიციზმთან, ანუ დასავლურ ქრისტიანობასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ბიზანტიურ ორთოდოქსიასთან.[457] მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული კი

---

[455] ტერმინი "ქართველობა" ეთნო-ნაციონალურ კუთვნილებაზე მეტად, სამეურნეო-პოლიტიკური და მორალური ღირებულებების ერთგვარ თაიგულს აღნიშნავდა და სწორედ იმ აღმოსავლურ წყობას უპირისპირდებოდა, რომელსაც ტერმინი "თათრობა" გამოხატავდა:

"მესხეთის გლეხობამ მტკიცედ და დიდხანს ვიდრე ფეოდალებმა, დაიცვა მამაპაპეული ენა, კულტურა, სარწმუნოება (ქართეევლობა)." - ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 224-225.

[456] ილიას უახლოესი თანამებრძოლი და მასავით მუხანათურად მოკლული, ცნობილი იურისტი, ნიკო ხიზანიშვილი (1850-1906) საეკლესიო სიგელ-გუჯრებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ "უფლებრივი პროგრესის მოძრაობაში სასულიერო წოდებას ... მონაწილეობა არ მიუღია. ... სასულიერო წოდების შეხედულებით გლეხი იყო ნივთი, საგანი." - ნიკო ხიზანიშვილი, *რჩეული იურიდიული ნაწერები* (თბილისი: მეცნიერება, 1981), 33.

[457] "ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის "Corpus juris canonici"-ს მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წესწყობილებით ბევრი თვისებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს." - ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია,* წიგნი I, 37.

ვითარება თანდათან შეიცვალა და ქართული სასულიერო წოდება ჯერ ბერძნული ეკლესიის იდეოლოგიურ ხლართებში გაება,[458] მერე კი - რუსულის,[459] რაც ლოგიკურიც იყო: ქართულ ეკლესიასაც იგივე ბედი უნდა სწეოდა, რაც მთელ დანარჩენ საზოგადოებას; ეკლესიაც და სამეფოც, გვიან შუა საუკუნეებში ბატონყმურ სამეურნეო თუ სოციალურ ბალავარს ეფუძნა და ერთი და იგივე საგარეო პოლიტიკურ რკალში იყო მოქცეული.

მაშ, მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ქართველები "გათათრდნენ" ანუ მათი სოციო-პოლიტიკური ღირებულებების სისტემა მონობა-მორჩილების და არა პიროვნული თავისუფლების თარგზე გაეწყო, ისლამური გარემოცვის ფონზე, ქრისტიანული (არსებითად კი საკუთარი ეროვნულ-კულტურული) იდენტობის შენარჩუნებისათვის ხმალამოწვდილი ელიტა, თავს კვლავაც საერთოქრისტიანული სამყაროს წინაბურჯად მოიაზრებდა და ისლამურ იმპერიებს "საღვთო ომის" სიფიცხით ებრძოდა, *არადა, ევროპასთან მიახლოება, ბატონყმური მონობისგან ქვეყნის გამოხსნის გარეშე, პრინციპულად იყო შეუძლებელი;* ბატონყმური ფორმაცია ქართულ სამეფოს ძალის კანონიერი გამოყენების მონოპოლიურ უფლებას უსპობდა, ხელმოცარულ სახელმწიფოდ (failed state)[460] აქცევდა და საგარეო-პოლიტიკური

---

[458] ქართველები რომის ეკლესიასთან ერთობას კარგა ხანს არ იშლიდნენ:

"როგორც მეფე გიორგი მერვემ გამოიჩინა ერთგულება და ერთობა რომის ეკლესიისადმი, ისე მისი შვილიც კოსტანტინე მესამეც მამის კვალს გაჰყვა. რომის პაპას ალექსანდრე მეექვსეს (ვგონებ 1495 წელს) შესანიშნავი წერილი მისწერა და ელჩად გაუგზავნა ნილო მონაზონი რავდენსამე სხვა პირთან ერთად ... რათა პაპს განუცხადოს თავისი ერთგულება და მორჩილება, სთხოვოს ... ფლორენციის კრების გარდაწყვეტლება რომის ეკკლესიასთან ძველი ერთობის განსაახლებელ-დასამტკიცებლად. ამას მოწმობენ ეგრეთვე ძველი მწერლებიც." - მღვდელი მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე* (ტფილისი: სიესტა, 2011), 64.

პაპმა თხოვნა შეუსრულა და მეფე კონსტანტინეს და ფლორენციის კრების გადაწყვეტილება გამოუგზავნა: "ჩვენ სიტყვა-სიტყვით ამოვსწერეთ და გიგზავნით. ამასაც იგივე ძალა აქვს, როგორც პირველში დადგენილს ჰქონდაო" (ibid., 66).

შემდეგ ავტორი სხვადასხვა საბუთებსა და მათ შორის ჯრუჭის სვინაქსარსაც იშველიებს, "რომლის XIII-XV საუკუნეთა აღაპებში მრავალი იტალიური სახელია მოხსენიებული. ... ეს არა თუ ამტკიცებს ქართველი ბერების და იტალიელების მეგობრობას, არამედ მათ სარწმუნოებრივს ერთობასაც ცხადად გვიჩვენებს" (ibid., 68), მაგრამ "რაც აქამდე ვნახეთ, იმის სრულიად წინააღმდეგ სურათს წარმოგვიდგენს XVI საუკუნე" (ibid., 69).

[459] ამაზე იხილეთ ვ. ა. თორაძე ნ. ვ. თორაძე, "საქრთელოს ეკლესიის აკლება", *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში* (თბილისი: რუბიკონი, 1995), 175-191.

[460] "A weak state where social and political structures have collapsed to the point where the government has little or no control.

მიმართულებით რაიმე გარღვევას გამორიცხავდა; მოურავების უფლების გაფართოების დაუღალავი მცდელობა[461] და სამეფო სახლის ბევრი სხვა ღონისძიებაც მოწმობდა, რომ ქვეყნის მესვეურებს სავსებით გაცნობიერებული ჰქონდათ საქართველოს სოციალურ ევოლუციაში მომხდარი მეტამორფოზის საბედისწერო პოლიტიკური შედეგები; ისლამური იმპერიების მარწუხებისაგან საქართველოს გამოხსნის მრავალსაუკუნოვანი დავიდარაბა, ამიტომ, ქვეყნის სოციო-პოლიტიკური სისტემის რეფორმირებისათვის მწვავე ბრძოლის ფონზე იყო გაჩაღებული. შიგა სოციალური წყობის რეფორმირებას არაერთი სახელმწიფო მოღვაწე ლამობდა; მუსლიმური იმპერიების ბოლომოუღებელი აგრესიის მაპროვოცირებული მიზეზიც ეს იყო: ირან-ოსმალეთის მესვეურებს, ცხადია, ახსოვდათ, რასაც წარმოადგენდა ქართული სახელმწიფო მათთვის თვალსაწიერ ნამყოში და იმასაც მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ საქართველოს იმჟამინდელ სისუსტეს სათავადოების ის ბატონყმური თარგი განაპირობებდა, რომლის რეფორმირების შესაძლებლობასაც სამეფო სახლებს, შიგაანტაგონისტებზე არანაკლები გულმოდგინებით, სწორედ ირან-ოსმალეთი უზღუდავდა; სოციალური წყობის რეფორიმირების მოწადინე ხელმწიფეები ამაოდ დაშვრნენ: ქვეყანამ ვერ გადალახა ბატონყმური ჯებირი, ვერ მოიცილა "ხელმოცარული სახელმწიფოს" მაპირობებელი სოციო-ეკონომიკური წყობა და, "ევროპულ თარგს" ვერ დაუბრუნდა, მაგრამ წინა აზიის პოლიტიკურ გაწამაწიაში ირან-ოსმალეთის კონკურენტის, ქრისტიანული რუსეთის ჩაბმამ ქართულ სამეფო სახლებს - პირველ ხანებში მაინც - მემამულური სისტემის მოშლის და ქვეყნის ევროპულ სახელმწიფოდ ტრანსფორმირების მინავლული იმედი გაუღვიღვა.[462] სულ ტყუილად! სიმბოლურია და რუსმა მოხელეებმა ერეკლე II-ს

[სუსტი სახელმწიფო, სადაც სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები იმ დონემდეა დადამბლავებული, რომ სახელისუფლო კონტროლი ან მოისუსტებს ან საერთოდაც აღარ არსებობს]." - The Free Dictionary, *failed state,* https://www.thefreedictionary.com/failed+state (12. 06. 2018).

[461] დიდი მოურავის, გიორგი "სააკაძის იდეალი მეფის ხელისუფლების გაძლიერება იყო, ეს კი თავადების უფლების შეზღუდვის გარეშე ვერ მოხდებოდა. ასევე მიუღებელი იყო თავადებისთვის საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა." - ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 229.

[462] სამეფო კარს შემუშავებული ჰქონდა ქვეყნის ევროპული რეფორმირების მოდელი. "ერეკლეს ესმოდა, რომ საქართველოს გამოხსნა, გაძლიერება და მისი მომავლის უზრუნველყოფა ქვეყნის ევროპულად გარდაქნას... შეეძლო მხოლოდ. ამიტომაც იყო, რომ მეფე ისე არაფრისკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ეროპულად გარდაქმნისაკენ." - ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები VI,* 456.

ევროპაში წარგზავნილი ელჩები დაუპატიმრეს.[463] ქართული სამეფო სახლისთვის ცხადი გახდა, რომ მუსლიმური იმპერიების მარწუხებისგან გათავისუფლების და მათ მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებისთვის[464] ბრძოლაში პეტერბურგი ვერაფერიშვილი მოკავშირე იქნებოდა: რუსეთი თვითონაც ბატონყმური იმპერია გახლდათ და ანტიბატონყმური რეფორმა არაფრად ეპიტნავებოდა, ხოლო ქართველი თავადი ქრისტიანულ რუსეთშიც ისე პოულობდა მისი ანტისახელმწიფებრივი და სეპარატისტული ხუშტურების დასაყრდენს, როგორც ისლამურ იმპერიებში:

"თავადები, რომელთა რიცხვი 40-ამდე იყო, შეიკრიბნენ სარდალ ივანე ორბელიანის სახლში და რუსეთის წარმომადგნელის თანდასწრებით სურვილი გამოთქვეს რუსეთის მმართველობის დამყარების შესახებ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ."[465]

ბატონყმური სოციალური წყობის გადახალისებისათვის ბრძოლაში რუსეთი ისევე უვარგისი, უფრო მეტიც, მტრული სახელმწიფო გამოდგა, როგორც ირანი ან ოსმალეთი; საქართველოს შიგასოციალური წინააღმდეგობა რუსეთმა თავის დიდმპყრობელური ინტერესის სასარგებლოდ გამოიყენა და ისედაც მომაკვდავი ქართული სახელმწიფოს სრული განადგურება მოახერხა. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს პეტერბურგმა, ფარული თუ ღია მოქმედების

"ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი.. ხედავდა "ევროპული" წესების უპირატესობას და ამ წესების საქართველოში გადმონერგვას ცდილობდნენ. არაერთი კანონ–პროექტი იწერებოდა ამ დროს საქართველოს სოციალურ–პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული ცხოვრების მოწესრიგების მიზნით. ... ძლიერდებოდა რწმენა, რომ "ევროპული" წესები უნდა შემოვიდეს, რომ სათავადოების პოლიტიკურ სისტემას უნდა დღე დაელიოს." - ibid., 471.

[463] "1781 წ. ერეკლემ წერილები გაგზავნა ევროპაში გერმანიის (რომის) იმპერატორის და ვენეციის რესპუბლიკის სახელზე.... წერილების წამღებ კათოლიკე პატრს (მღვდელს) უნდა გაევლო რუსეთი, სადაც ის გააჩერეს და წერილები ჩამოართვეს."- სარგის კაკაბაძე, *კრწანისის ომი* (თბილისი: მეცნიერება 1991), 29.

[464] იხ. "ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ; არტიკული მეოთხე სეპარატისა", *ქართული სამართლის ძეგლები 2*, 481.

[465] მიხეილ რეხვიაშვილი, ნუგზარ რეხვიაშვილი, *საქართველოს ისტორია* (ქუთაისი: საზოგადოება "სტამბის" საგამომცემლო ცენტრი, 2000), 790.

და კიდევ "რაც შეეხება რუსეთთან უშუალოდ შეერთების მომხრე პარტიებს, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მეფის დროს შეიქმნა, იგი დღე-დღეზე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ამ პარტიის წარმომადგენლები იმთვითვე დაუახლოვდნენ რუსულ მმართველობას." - მამია დუმბაძე, "ბრძოლა ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის", *საქრთველოს ისტორიის ნარკვევები 5,* 835.

"რუსოფილურ ჯგუფში შედიოდნენ წინათ პეტერბურგში ელჩად მყოფი გარსევან ჭავჭავაძე, მისი სიმამრი ქაიხოსრო ავალიშვილი... გოგია ციციშვილი, რომელსაც ღალატისათვის ყურები ჰქონდა დაჭრილი და სხვანი... რუსეთის მოიმედეთა ჯგუფს ემხრობოდნენ სომხური სარწმუნოების გავლენიანი თავადები და ... დიდი მოქალაქეების მეტი წილიც..." - სარგის კაკაბაძე, *კრწანისის ომი*, 60.

წყალობით, ქართველ წარჩინებულთა რიგებში საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევის მომხრეები გაიმრავლა. ხანგრძლივი ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად[466] რუსეთმა თოფის გაუსროლელად დაიკავა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური პლაცდარმი. ამ წარმატებული სპეცოპერაციის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის ინტერესებისადმი შეორგულებული და მენტალურად გაორებული ქართული "დარბაზბატონების" ანტისახელმწიფოებრივი სულისკვეთება რომ არა.[467] შინაგანად გაორებულ თავადაზნაურობას "ევროპაში" (ქრისტიანულ ორბიტაზე) დაბრუნებაც სურდა და დაყმევებული და პირად საკუთრებაში მოქცეულ გლეხობაზე შეუზღუდავი უფლების შენარჩუნებაც. ჩრდილოეთის ევრაზიული იმპერია კი სწორედ ამ წინააღმდეგობრივი სწრაფვის საფერ საზოგადოებას ასახიერებდა. რუსი ჩინოვნიკის და ჯარისკაცის მუნდირმა ქართულ ელიტას რუსეთის ევროპულობის ილუზია შეუქმნა, არადა, მუნდირის მიღმა "ევროპის ჟანდარმი"და ანტიპოდი იმალებოდა.[468] "გათათრებულმა" ქართულმა ელიტამ რუსეთთან შეერთებით ისლამური ალყის გარღვევის და ქრისტიანულ ევროპაში "დაბრუნების" ოდინდელი წადილიც აიხდინა და უფასო მუშახელზე, საკუთარ ყმებზე მებატონის უფლებაც შეინარჩუნა, მაგრამ რუსული აბსოლუტიზმის წნეხის ატანა მაინც გაუჭირდა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში რუსული

---

[466] იმის ნაცვლად, რომ თავის ხელდებულს დახმარებოდა, პეტერბურგმა ერეკლე II-ს უარი უთხრა კრედიტის გამოყოფაზე, მაშინ როცა აღა-მაჰმად ხანს აღმოუჩინა ფინანსური შემწეობა და ქართლ-კახეთზე გასალაშქრებლად წააქეზა: კავკასიის ლინიის სარდლის გუდოვიჩის პირით აღუთქვა ჩაურევლობა და თბილისის სანახებში დისლოცირებული ორი რუსული ბატალიონი უკანვე გაიწვია. - კაკაბაძე, *კრწანისი ომი.* 53.

პეტერბურგს არც საქართველოს საშინაო საქმეებში პირდაპირი ჩარევა უთაკილია. პირიქით, მისი მზვერავები ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულში იჩხრიკებოდნენ, ხოლო ქართლის ტახტზე რუსეთის არმიის საიმპერატორო გვარდიის ოფიცერი, *ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი ("გუზინსკი")* აყენებდა პრეტენზიას და ხელისუფლებას დამხობას უმზადებდა. - ibid., 17-19.

[467] კრწანისის ომის წინ, მაგალითად, თავადებმა, ვისაც სამხედრო მობილიზაციის მოვალეობა ეკისრა, გამიზნულად ჩაშალა ეს ლაშქართწვევა, ხოლო ქიზიყის ყოფილმა მოურავმა რევაზ ანდრონიკაშვილმა, ნაცვლად იმისა რომ საბრძოლოდ გამზადებული 2 000-კაციანი რაზმეული მთავარსარდალთან მიეყვანა, გზად გადაყრილი შამშადილელი ლტოლვილები დააყაჩაღა, ნადავლი ჯარისკაცებსაც გაუნაწილა და რაზმი უკან გააბრუნა. - ibid., 96-97.

[468] რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, ვენის კონგრესის შემდეგ "საღვთო კავშირის" შექმნით რუსეთს ევროპის ჟანდარმის სახელი დაუმკვიდრდა. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90 (7.06.2018).

ხაფანგისგან თავის დაღწევა დააპირა. თუ საკითხს უფრო ფართო კონტექსტიდან შევხედავთ, 1832 წლის შეთქმულება „დეკემბრელების“ ამბოხის ქართულ-პატრიოტულ ვარიაციას წარმოადგენდა, მაგრამ შეთქმულება ჩავარდა და თავადაზნაურობა ბედს დამორჩილდა. ქართველი ხალხი კი საკუთარი უფლების დასაცავად უკვე ისედაც ელიტისგან დამოუკიდებლად იბრძოდა: საოკუპაციო რეჟიმის სალდათების და რუსული ადმინისტრაციის აღვირახსნილობით განაწამები გლეხობა ამბოხს ამბოხზე აწყობდა, თავადაზანაურობა კი მოგვიანებით ერთვებოდა ხოლმე აჯანყებაში.[469]

მეცხრამეტე საუკუნის 50–იანი წლებიდან, როცა ქართული სამეფო - სამთავროები რუსეთმა საბოლოოდ გაანადგურდა,[470] ქართველ ხალხს საკუთარი სახელმწიფოს სრული არარსებობის პირობებში მოუწია ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელება. ქართული თავადაზნაურობის განდგომას კი ხელი იმპერიის კავკასიური სტრატეგიის ცვლილებამაც შეუწყო: დათრგუნვის და სასტიკი რეპრესირების პოლიტიკა გადაბირების მრავალნაცადმა პროექტმა ჩაანაცვლა: დაარსდა კავკასიის მეფისნაცვლის ინსტიტუტი, რომლის სათავეშიც დახვეწილი და მოქნილი ადმინისტრატორი *მიხეილ ვორონცოვი* ჩააყენეს. მისმა მოღვაწეობამ (მოიცავს 1844-1855 წლებს) ქართული თავადაზნაურული ელიტის პროიმპერიული ვნება გამოაცოცხლა.

მეფისნაცვლი ზოგიერთ, მისი მთავარი მიზნის თვალსაზრისით უმტკივნეულო, კულტურული დაწესებულებების გახსნის უფლებას რთავდა

---

[469] თავდაპირველად "Грузин. Крестяньство было в выжидательном положении, так как оно в глубине души еще надеялось на улучшение своего положения благодаря русским. ... Но прошло не много времени и грузинские крестьяне потеряли надежду и симпатию к русскому правлению.

[ქართველი გლეხობა მოცდას მჯობინობდა, რადგან გულისგულში ჯერაც უღვივოდა საკუთარი მდგომარეობის რუსების წყალობით გაუმჯობესების იმედი. ... მაგრამ ცოტა ხანში ქართველ გლეხებს იმედი გაუცრუვდათ და რუსული ხელისუფლება აითვალწუნეს]." - ჯავახიშვილი, "Политическое и социальное движение в Грузии в XIX", *ქართველი ერის ისტორია 5* (თბილისი: პალიტრა L, 2012), 101.

"საქართველოში ხმები ირხეოდა, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ ბატონყმობა გაუქმდებოდა... იმ დროის დოკუმენტები და თვითმპყრობელობის ისტორიკოსები ერთხმად აღიარებდნენ, რომ დასაწყისში ქართველი გლეხები რუსებს სიმპათიურად უყურებდნენ." - მამია დუმბაძე, "ბრძოლა ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები 5,* 830.

[470] იხ. ეთერ ორჯონიკიძე, "ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში", *საქ. ისტ. ნარკვევები 5* (თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970), 191-227.

იხ. აგრეთვე: მერაბ ვაჩნაძე, "გურიის, სამეგრელი, სვანეთის და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება", *საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე,* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 124-130.

ქართულ საზოგადოებას, რითაც იმპერიისადმი მათი ლოიალობის მოპოვებას ახერხებდა.[471] "ვორონცოვს სჯეროდა, რომ განათლებას უპირატესი როლი ეკისრა კავკასიის ასიმილაციაში. სკოლები ქართველებს მეტი დაუარსეს - ვიდრე სომხებს, ხოლო სომხებს მეტი - ვიდრე აზერებს და კავკასიის მთიელებს "[472] ოღონდ, "მიხეილ ვორონცოვი, პირველ რიგში, რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური და ულმობელი კოლონიზატორი იყო. მისი მთავარი ამოცანა კავკასიის რუსეთის იმპერიასთან შერწყმა იყო."[473]

"მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში კავკასიის მმართველობის რეორგანიზაციას ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების შემდგომი კოლონიზაცია, ეროვნული და სოციალური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა."[474]

მეფისნაცვალმა ვორონცოვმა, მაშასადამე, თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად უკვე მთელ ქართულ ელიტას გაუძლიერა იმპერიისადმი ლოიალობის მანამდე მინავლებული სულისკვეთება, რომელმაც შედეგი ყირიმის საბედისწერო ომშიც (1853-1856) გამოიღო და მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებშიც:

"ნიშანდობლივია, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცეს დასაწყისის მზარდი ანტაგონიზმის ხანაში კავკასიელები, კაცმა რომ თქვას, რუსებს კი არ უარყოფდნენ და რუსები კი არ ეჯავრებოდათ, არამედ - მხოლოდ მათი იმპერატორი. შედარებით თავისუფალი სისტემის პირობებში რუსებთან თანაცხოვრების უპირატესობის შეგნება მეფისნაცვალ ვორონცოვის და მისი შემდგომი მმართველების იმპერიულმა ხელისუფლებამ დატოვა მემკვიდრეობად."[475]

---

[471] იხ. დიმიტრი შველიძე, "კავკასიისა და საქართველოს კოლონიური მმართველობის რეორგანიზაცია" *"საქართველოს ისტორია - XIX საუკუნე"* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 117.

[472] "Vorontsov was determined that education play a preeminent role in the process of the Caucasians' assimilation. Many more schools were built for Georgians than for Armenians, and more for Armenians than for Azeris and highland Caucasians" - L. H. Rhinelander, "Viceroy Vorontsov's Administration of the Caucasus". *Transcaucasia, Nationalism, and Social Change. Essays in the History of Armenia, Azerbaijan, and Georgia.* edited by Ronald Grigor suny (Ann Arbor The University of Michigan Press. 1996), 99.

[473] შველიძე, "კავკასიისა და საქართველოს კოლონიური მმართველობის რეორგანიზაცია", *საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე,* 117.

[474] ibid., 118.

[475] " It seems remarkable that in the late nineteenth and early twentieth centuries, an age of increasing antagonisms, Caucasians by and large did not hate or reject the Russians - only their emperor. Preference for a positive association with them in a freer system was a legacy of the Russian imperial rule of Viceroy Vorontsov and his successors" - L. H. Rhinelander, "Viceroy Vorontsov's Administration of the Caucasus", 104.

"ქედმოუხრელი ერთგულება"

ძალმორჭმულ ევროპულ სახელმწიფოთა საზღვაო დესანტის შავი ზღვის სანაპიროზე მოდგომამ - ყირიმის ომში - მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა რუსეთის კავკასიაში ბატონობას.[476] ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია–უნგრეთის, ნეაპოლის სამეფოს და ოსმალეთის შეიარაღებულმა ძალებმა ერთობლივად გაილაშქრეს რუსეთის წინააღმდეგ; გააფთრებულები იბრძოდნენ ჩრდილოკავკასიელი მიურიდებიც.[477] შედეგად რუსეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდა, *მაგრამ სამხრეთ კავკასიაში მისი ჰეგემონობა არამცთუ არ შერყეულა – კიდეც განმტკიცდა; ლომის წილი საქმის ასე შემობრუნებაში ქართულ თავადაზნაურობას ეკუთვნის!*[478] ქართულმა ლაშქარმა, "მილიციამ", რომლის სათავეშიც, რასაკვირველია, ქართველი თავადაზნაურები იდგნენ,[479] გმირულად და თავდადებით იბრძოლა "დაკარგული ქართული მიწების გამოსახსნელად";[480] ბალკანეთიდან კავკასიამდე გადაჭიმული საბრძოლო მოქმედებების თეატრის კავკასიის მონაკვეთზე კოალიციური ძალების დამარცხების მიზეზიც ეს გახდა:

ქართველი ისტორიკოსები, გვერდს უვლიან ხოლმე იმ ერთი შეხედვით უცნაურ გარემოებას, რომ ოსმალეთის ქართველობა ამ ომში "სამშობლოს რუსული უღლისგან გასათავისუფლებლად " იბრძოდა. დამახასიათებელია გურიაში, ნიგოეთთან მომხდარი ბრძოლის ეპიზოდი, სადაც გურულმა აზნაურმა *ერასტი*

---

[476] "მათი მხოლოდ გამოჩენაც კი შავ ზღვაზე საკმარისი იყო იმისათვის, რომ რუსეთი კავკასიის საბოლოო დაკარგვის სერიოზული საფრთხის წინაშე მდგარიყო." - ორჯონიკიძე, *ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში,* 200.

[477] "ყოველთვის მოსალოდნელი იყო რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მიურიდების, შამილისა და მუჰამდ-ემინის შემოჭრა."- ibid., 195.

[478] "თვით სამეფო ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც კი იძულებულები იყვნენ ხაზგასმით აღენიშნათ ქართველი ხალხის ღვაწლი. … ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი კოლუბიაკინი წერდა, რომ 'ომში მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოვლინდა ადგილობრივი თავადაზნაურობის გულადობა.' " - Ibid., 215.

[479] "30-იანი წლების დამდეგს ცარიზმმა მიზანშეწონილად ჩათვალა ქართული მილიციის რეგულირება და ... მისგან ქვეითი ლეგიონი შექმნა. პირველი ქართული რეგულარული ლაშქრის მეთაურად იასე ანდრონიკაშვილი დაინიშნა. ეს ლეგიონი გახდა სახელოვან ქართველ სამხედრო მოღვაწეთა სამჭედლო." - შამშე მეგრელაძე, *საქართველო აღმოსავლეთის ომებში* (თბილისი: მეცნიერება, 1974), 11.

[480] ქართულმა მილიციამ "დიდი როლი შეასრულა 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის და 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. ფოთის აღებისას გენერალ გესის რაზმში 1500 კაცისაგან შემდგარი სამეგრელოს მილიცია მონაწილეობდა, ხოლო ბათუმისთვის ბრძოლაში, როდესაც რუსეთის რაზმი 2531 კაცს ითვლიდა, 1315 გურული მილიციელი იყო." Ibid., 11.

ჭყოიძემ (ზოგი ვერსიით ერასტი ჭანტურიამ)[481] მოწინააღმდეგის რაზმის უფროსს, *ჰასან–ბეის* "ხმლის ერთი მოქნევით მოჰკვეთა თავი და გენერალ ანდრონიკაშვილს მიართვა;"[482] ხალხის მეხსიერებაში საბრძოლო სიქველის ამ ეპიზოდმა მტკივნეული კვალი დატოვა, რადგან მომხდარი სხვა არა იყო - თუ არა "ქართველების თავის მოჭრა": ოსმალთა თორმეტიათასკაციანი კორპუსის თავმოკვეთილი მეთური - ჰასან ბეი, ისეთივე ქართველი (გვარად თავდგირიძე) გახლდათ, როგორც მისი თავის მომჭრელი ერასტი ჭყოიძე.[483] ჰასან ბეი, გურული თავადიშვილების ჩამომავალი, ქობულეთის ბეგი, რუსეთის იმპერიის მიერ გურიის სამთავროს გაუქმების გამო 1841 წელს ატეხილ აჯანყებაში თოფ-იარაღით და ტყვია-წამლით ამარაგებდა და თავშესაფარს აძლევდა ამბოხებულებს, - მონაწილეობდა აჯანყების მომზადებაშიც[484]... როგორიც არ უნდა ყოფილიყო ყირიმის ომში მონაწილე ქართველების პირადი განცდები, სინამდვილეში ისინი უცხო იმპერიების ინტერესებს ეწირებოდნენ: აუარებელი რიგითის გარდა ამ ომში ბევრი სახელგანთქმული სარდალიც დაიღუპა, მაგალითად: ზაქარია ანდრონიკაშვილი, დავით ვახვახიშვილი, (ამავე ომში დაეცა ვახვახიშვილის ოთხი ძმაც), იმერეთის მილიციის სახელოვანი მეთაური - ქაიხოსრო მიქელაძე, გენერალი ილია ორბელიანი. "ბრძოლებში დაიღუპნენ სარდლები ზვამბაია და შემდეგში მისი შემცვლელები, პოლკოვნიკი იოსელიანი..." [485]

წარუმატებლობის შემთხვევებში ქართველები პარტიზანულ ბრძოლებზე გადადიოდნენ; თვით სამეგრელოს დედოფალი "ეკატერინე დადიანი [იგივე ეკატერინე ჭავჭავაძე ა.ჯ.] შეუერთდა სახალხო ლაშქარს და პარტიზანულ ბრძოლებში პირად მონაწილეობასაც კი იღებდა." [486]

ქართული თავადაზნაურობის ასეთი, ერთი შეხედვით უცნაური, პოზიციის შედეგად "მეფის რუსეთმა თავი დააღწია საქართველოს დაკარგვის საფრთხეს.

---

[481] მერაბ ვაჩნაძე, "ყირიმის ომი და საქართველო," *საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე,* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 123.

[482] ეთერ ორჯონიკიძე, *ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება*, 204.

[483] ცნობილი სიმღერა "ხასანბეგურა" მოკლული თავდგირიძის სახლიშვილის შექმნილია: "ჰასან ფაშა ჩემი ძმაი, თავმოჭრილი დავინახე, რადგან ჩემი ძმაი იყო, ბოლოს მაინც მე დავმარხე."- მეგრელაძე, *საქართელო აღმოსავლეთის ომებში,* 29.

[484]იხ. დიმიტრი შველიძე, "გურიის 1841 წლის აჯანყება", *საქართველოს ისტორია - მე-19 საუკუნე* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 120.

[485] ორჯონიკიძე, *ყირიმის ომი,* 213.

[486] Ibid., 215.

საქართველო–ამიერკავკასიის შენარჩუნება მან ქართველი ხალხის ენერგიული მხარდაჭერით შეძლო." [487]

და იქვე - "თავისი ყოველდღიური პარტიზანული თავდასხმებით სამეგრელოში მან [ქართულმა მილიციამ ა.ჯ.] დაამტკიცა შეუპოვრობა და *ქედმოუხრელი ერთგულება,"*[488] - ამას უკვე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, *გენერალი კოლუბიაკინი* წერდა თავის პატაკებში.[489]

ყველაზე დრამატული მოვლენები 1855 წელს განვითარდა: აფხაზეთში გადასხმული ოსმალური შენაერთის სარდალმა ომერ–ფაშამ დაამარცხა გენერალი ივანე მუხრან–ბატონი, მერე სამეგრელოს დედოფალს, ეკატერინე ჭავჭავაძეს, სამეგრელოს მთავრობა დაუდასტურა და დაუმტკიცა (თავის მხრივ) და რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა შესთავაზა.[490] ამავე დროს, ომერ-ფაშამ სასტიკად აკრძალა მოსახლეობის მიმართ ძალადობა, "მაგრამ თვითონ მეგრელები დაერივნენ ერთმანეთის დოვლათს."[491]

დედოფალი უარზე დადგა და საბაბად იმპერატორისთვის მიცემული ფიცი მოიშველია.[492]... ომერ-ფაშა და ფრანგი სამხედრო ემისრები რუსული იმპერიის კლანჭებისგან საქართველოს გამოხსნის და გაერთიანების გეგმებს ანდობდნენ გაჯიუტებულ დედოფალს, ის კი მათ წერილობით შემოთავაზებებს რუსეთის სარდლობას უგზავნიდა.[493] *ომის დამთავრების მერე ამაგდარი დედოფალი პეტერბურგში გაიწვიეს, დიდებული შეხვედრა მოუწყვეს, სამთავრო კი - გაუუქმეს!*[494]

---

[487] Ibid., 215.

[488] ორჯონიკიძე, *ყირიმის ომი,* 215.

[489] Ibid., 215

[490] "ომერ-ფაშას გეგმა მოკავშირეებმაც მოიწონეს, რადგან ... ინგლის-საფრანგეთის გეგმა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას ითვალისწინებდა."- მეგრელაზე, *საქართველო აღმოსავლეთის ომებში*, 41.

[491] მიხეილ რეხვიაშვილი, ნოდარ რეხვიაშვილი, *საქართველოს ისტორია* (ქუთაისი: საზოგადოება "სტამბის" საგამომცემლო ცენტრი, 2000), 860.

[492] "უშედეგოდ დამთავრდა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის გადმობირების ცდაც. წარმატება მოჰყვა მხოლოდ ფაშის დიალოგს მუჰამედ ემინთან (შამილის მოადგილე დასავლეთ კავკასიაში)." - მეგრელაძე, *საქართევლო აღმოსავლეთის ომებში,* 42.

[493] "ეკატერინე მტკიცედ იდგა რუსეთის ორიენტაციაზე. იგი ომერ-ფაშას მიერ გამოგზავნილ წერილებს რუსეთის სარდლობას უგზავნიდა." - ორჯონიკიძე, *ყირიმის ომი*, 214.

[494] სამეგრელოს სამთავროს ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზ დადიანი განათლების მისაცემად რუსეთში გაიწვიეს. "ეკატერინე ჭავჭავაძე იძულებული გახდა დასთანხმებოდა ამ წინადადებას. 1857 წელს სამეგრელოს სამთავროში დროებითი მმართველობა შემოიღეს. სამეგრელოს დროებითი მმართევლობის სათავეში ჩააყენეს რუსი გენერალი კოლუბიაკინი." - მერაბ ვაჩნაძე, "სამთავროების გაუქმება," *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე,* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 126.

ევროპული ძალმორჭმული სახელმწიფო (ამჯერად უკვე გერმანია) რუსეთს ნახევარი საუკუნის მერეც დაუპირისპირდა. აი, მაშინ კი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი სხვაგვარად მოიქცა და დიდი სახელმწიფოების ურთიერთდაპირისპირება რუსული იმპერიული მარყუჟისგან ქვეყნის *გასათვისუფლებლად* გამოიყენა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, მაგრამ მალევე (1921 წელს) დაკარგა, რისი უმთავრესი გარეგანი მიზეზი, გერმანიის დამარცხება გახდა. ყირიმის ომის შემთხვევაში კი პირიქით მოხდა: ომში რუსები დამარცხდნენ, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ ეს ხელსაყრელი გარემოება გაუშვა, მეტიც, *სწორედ ყირიმის ომის მერე გადაწყვიტა იმპერიამ უკანასკნელი ქართული სამთავროების: სამეგრელოს, სვანეთის და აფხაზეთის ლიკვიდირება*!!!

ქართული ელიტის პრორუსული პოზიციის გააქტიურება იმპერიის მესვეურთა გააზრებული პოლიტიკის შედეგად მოხდა, მაგრამ ამის მიუხედავად, პრორუსული განწყობა მაინც არ ყოფილა ქართული საზოგადოების ერთადერთი სულისკვეთება. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა სარბიელზე ილია გამოვიდა, ქართული საზოგადოების შეგნებაში არსებითი ხასიათის ცვლილება მოხდა. გაჩნდა ერთიანი და სუვერენული საქართველოს, როგორც ქართული საზოგადოების მამოძრავებლის იდეა.[495] თუ მანამდე ასეთი იდეა ყოველგვარი პრაგმატული დანიშნულების გარეშე არსებული ლიტონი აზრი იყო, ახლა მეცხრამეტეს ბოლოს, ამ იდეის სოციალიზაცია მოხდა; პირველი მსოფლიო ომის წინ "საქართველო" უკვე სოციო-პოლიტიკური განზომილებების მქონე წარმონაქმნად ქცეულიყო.[496] სწორედ ამ ფაქტზე რეაგირების გამო მოხდა, რომ 1882 წლიდან იმპერიულმა ხელისუფლებამ თვით ტერმინის "საქართველო" საჯარო ხსენებაც კი ოფიციალურად აკრძალა,[497]

---

[495] "XIX საუკუნის 30-40-იან წლებიდან... მიმდინარეობს განსაკუთრებით ინტენსიურად ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი. ... 60-70-იან წლებში... ქართველები წარმოადგენდნენ ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილ ადამიანთა მყარ ერთობას." - პროკოფი რატიანი, "ქართველი ერის ჩამოყალიბება", *საქართველოს ისტორია, ტ. 2,* ნიკო ბერძენიშვილის რედ. (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962), 98.

[496] წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სკოლები, სახელმძღვანელოები, მედია, დრამატული საზოგადოება, ბანკები, პოლიტიკური პარტიების წინამორბედი დასები, ეროვნული იდეის მხარდამჭერი ბურჟუაზია მათი ცალკეული წარმომადგენლოების სახით....

[497] "90-იან წლებში კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართული ლაპარაკიც იკრძალებოდა. ... 1882 წელს ოფიციალურად აკრძალეს ქართველთა სამშობლოს სახელის 'საქართველოს' საჯაროდ ხსენება." – მიხეილ გაფრინდაშვილი, "ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა", *საქ. ისტ. ნარკვევები 5.* (თბილისი: საბჭოთა საქართელო, 1970), 460.

ხოლო 90–იანი წლებიდან ქართულ ენაზე არათუ სწავლება, სკოლებში ლაპარაკიც კი აღარ დაიშვებოდა,[498] მაგრამ, ამან საქმეს ვერ უშველა. საქართველოს ცნებამ პოლიტიკური შინაარსი აღიდგინა. დავიწყების ღველფიდან პოლიტიკური პარამეტრების ხელახლა გამოჩხრეკის ეს სასწაული ილია ჭავჭავაძის და მისი თანადასელების მონაგრებულია. *სწორედ ილიას თავგანწირული მოღვაწეობის შედეგად მოხერხდა ეროვნული თავისუფლების იდეის ინსტიტუციონალიზაცია, რამაც რუსული იმპერიის უსასტიკესი რეაქცია გამოიწვია. მაგრამ ილიამ დაასწრო იმპერიას* – ეროვნული თავისუფლების ღერძულა იდეას, რომელზეც ილიამ მთელი მისი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობა აკინძა, უკვე დაეპყრო საზოგადოებრივი შეგნება და ადამიანთა გულები,[499] – მის ამოშანთვას რეპრესიები ვეღარ შველოდა.

[498] "მუნჯი მეთოდის დანერგვას თან ახლდა სკოლებიდან ქართველ მასწავლებელთა გამოდევნისა და მათ მაგიერ უწიგნურ რუსიფიკატორულ ელემენტთა გაბატონების შეუნელებელი პროცესი." - ავთანდილ იოსელიანი, "რეაქციული ძალების შემოტევა ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ" *ნარკვევები 5,* 645.

[499] იხ. ომარ გოგიაშვილი, *ილია დღეს. იდეოლოგია, პოლიტიკა* (თბილისი: 2008), 70-81

დაყმევებული "წვრილი ერის" მანიფესტი

მაგრამ ჩვენ, ცოტა არ იყოს, გავასწარით მოვლენებს, რის გამოც ისევ ილიას სარბიელზე გამოსვლის წინარე ხანას უნდა დავუბრუნდეთ.

1832 წლის შეთქმულების ჩავარდნის და ეროვნული თავისუფლების იდეაზე ხელის ჩაქნევის მერე, გამათავისუფლებელი მოძრაობის ორიენტირი ეროვნული ნიშნულიდან სოციალურზე გადაცოცდა, ხოლო მოძრაობის მედროშედ უკვე არა თავადაზნაურება, არამედ ოდინდელი "წვრილი ერის" შთამომავალი - უბრალო ხალხი, გამოდიოდა.

"სხვებზე უწინ მთიელი ქართველები გაწბილდნენ, ვინც იმ მიდამოში ცხოვრობდნენ, სადაც საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა. თუმც კი რუსული მთავრობა გადასახადისაგან შვიდი წლით გათავისუფლებას დაჰპირდათ, პირველსავე წელს დაიწყეს მოსაკრებლის ამოღება, თანაც აუცილებლად ვერცხლის ფულით და ორი წლის სარგოსი ერთად. ... 1804 წელს ... ყველა ქართველმა მთიელმა თქვა უარი და აჯანყდნენ."[500]

აჯანყებას აჯანყება მოსდევდა.[501]

იმპერია კი ამასობაში გულმოდგინედ ცვლიდა საქართველოს სოციალურ ინფრასტრუქტურას:

"რუსეთის ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის შედეგად ქართულმა არისტოკრატიამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანდათან დაკარგა ჯერ პოლიტიკური ძალაუფლება, შემდგ კი - სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ერის მაორგანიზებელი მედროშის როლი."[502]

---

[500]"Раньше всех пришлось разочароваться горца-грузинам живущим по той местности, где проходит Военногрузинская дорога. Не смотря на то, что русское правительство обещало в продолжение 7 лет не брать податей в первый-же год начали с них взискивать и притом непременно денгами, серебром и за два года. ... В 1804 г. ... все горцы-грузини отказались и восстали.“ - ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია 5 (*თბილისი: პალიტრა L, 2012), 108.

[501] მთიულეთის 1804 წლის აჯანყებას 1810 წლის იმერეთის აჯანყება მოჰყვა, 1812-1813 წლებში კახეთის გლეხობა აჯანყდა, რასაც მერე ყველა სოციალური ფენა შეუერთდა; 1819-1820 წლებში იმერეთს, რაჭასა და გურიაში იფეთქა სახალხო აჯანყებამ; 1841 წელს ისევ გურია აჯანყდა. - იხ. მიხეილ რეხვიაშვილი, ნუგზარ რეხვიაშვილი, *საქართველოს ისტორია, 810*-841.

აჯანყების ცეცხლი არ ქრებოდა აფხაზეთში: 1810, 1821, 1824, 1840, 1866, 1877-1878. - იხ. დიმიტრი შველიძე, *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა,* 130-133.

[502] დიმიტრი შველიძე, "რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში", *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 72.

მე-19 საუკუნის შუა წლებისთვის, ამიერკავკასიაში უკვე ფულად-სასაქონლო და სამრეწველო ურთიერთობები ვითარდებოდა – ტაატით, მაგრამ - მაინც.[503] ეკონომიკურმა საიხლემ თავისებური სოციალური მობილობაც მოიყოლა; ამავე დროს – განსაკუთრებით ნაპოლეონური ომების შემდეგ – სოციალური გათავისუფლების ლიბერალურმა იდეამ, ეტყობა, ევროპის სამეზობლო პერიფერიებზეც თანდათან მოიკიდა ფეხი და როცა ყირიმის ომმა გლეხობა სულ გააჩანაგა, ხოლო არისტოკრატიამ დანაკარგის ანაზღაურება და შეცვლილი დროების შესაბამისი, გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისევ ამ გაჩანაგებულ გლეხთა წრეგადასული ექსპლოატაციით სცადა[504] - სოციალური სტიქიაც აბობოქრდა. სოციალური, ეროვნული თუ პიროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლით გადაბუგული ქართული ისტორიის ამ მონაკვეთზე გამაოგნებელი ამბები დატრიალდა:

1856-1857 წლებში მღელვარების ტალღამ სამეგრელოს გადაუარა, მხარეს, რომელსაც განსაკუთრებით დაეტყო ყირიმის ომის გამაპარტახებელი შედეგები. გლეხები - არც მეტი, არც ნაკლები - არსებული წყობილების შეცვლის პროგრამით აჯანყდნენ:[505] დაამარცხეს თავადაზნაურთა შეიარაღებული რაზმები, აიღეს სამთავროს დედაქალაქი - ზუგდიდი, შექმნეს დროებითი მთავრობა და ადგილობრივი მმართველობის მოსაწყობად სოფლებში თავიანთი ნდობით აღჭურვილი პირები დანიშნეს,[506] – ერთი სიტყვით, ხელისუფლება მთელ სამეგრელოზე გაავრცელეს. მიზანი, ერთხელაც გავიმეორებეთ, ახალი წყობის ჩამოყალიბება და ქვეყნის ახლებურად ადმინისტრირება იყო.[507] სახელმძღვანელო იდეა ასე ჟღერდა: *"თავადთა და აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს, რადგან*

---

[503] ვითარდებოდა: მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება, გაჩნდა აბრეშუმსახვევი და საძახავი საწარმოები, ტყავის, მაუდის, ავეჯის, ლითონჩამომსხმელი, თუ და მექანიკური ქარხნები. - იხ. დიმიტრი შველიძე, "საქართველო XIX საუკუნის 30-50-იან წლებში, ეკონომიკური განვითარება", *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე* (თბილისი: არტანუჯი, 2004), 101-106.

[504]იხ. პროკოფი რატიანი, "გლეხთა მოძრაობის გაძლიერება, დიდი აჯანყებები". *საქ. ისტ. 2. ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962), 7-12.

[505] აჯანყება სოფლებში: თამაკონში და სალხინოში დაწყებულა და მთელი სამეგრელო მოუცავს. აჯანყებულთა რაოდენობა 20 000 კაცს ითვლიდა, რაც მაშინდელი დემოგრაფიული მოცემულობის გათვალისწინებით, სამეგრელოს მთელი მოსახლეობის მონაწილეობას ნიშნავდა. ხელმძღვანელები გლეხები იყვნენ: უტუ მიქავა, კოჩა თოდუა, უტუ თოდუა, ლევან კვარაცხელია, დათიკა გეგია, სხვები...

[506] ჯავახიშვილი, *ქართელი ერის ისტორია 5.* 119-121.

[507] მაგალითად, ერთ–ერთმა ლიდერმა "კოჩა თოდუამ გაიჩინა ადიუტანტები, შიკრიკები, მდივანი, რომელიც ბრძანებებს უწერდა. მთელი ამალა დაჰყვებოდა, ზოგჯერ ტახტრევანით დაჰყავდათ..." - მიხეილ რეხვიაშვილი, ნუგზარ რეხვიაშვილი, *საქართველოს ისტორია,* 862.

ყველა ადამიანები ძმები არიან".[508] თავადაზნაურობამ დახმარებისთვის იმერეთში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ნაწილებს მიმართა. რუსებმა ვითარება სათავისოდ გამოიყენეს და – სამეგრელოს სამთავროს შემდგომი შებოჭვის და დამორჩილების მიზნით – აჯანყებულებთან მოლაპარაკება გააბეს; აჯანყების მეთაურმა, *უტუ მიქავამ* ზემოთ უკვე ნახსენებ გენერალ კოლუბიაკინს (სამეგრელოს მთავართან მოლაპარაკების შუამავალს) რვა მუხლიანი პეტიცია წარუდგინა, – *ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის ნამდვილი მანიფესტი:*

"1. კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს

2. აღიკვეთოს ადამიანებით ვაჭრობა

3. აღიკვეთოს გადასახადების თვითნებური გადიდება

4. მიეცეს გლეხს ყველა *ადამიანური უფლება*

5. დაწესდეს *კანონზე დამყარებული მმართველობა* მებატონეთა გაუკითხავი მმართველბის მაგივრად

6. მოისპოს ტანჯვა–წამების არსებული მეთოდები

7. დაკანონდეს გლეხთა *საკუთრების ხელშეუხებლობა*

8. გაძლიერდეს პატივისცემა ხალხის ადათ-ჩვეულებებისადმი" [509] (ხაზგასმები ჩვენია).

კოლუბიაკინი "სამეგრელოში ჩავიდა და დარწმუნდა, რომ გლეხები სამართლიანად ჩიოდნენ და მოძრაობის დამშვიდების ნაცვლად, საჭიროდ მიიჩნია სამეგრელოს ავტონომია გაეუქმებინა და ეს მხარეც რუსული სამფლობელოებისთვის მიეერთებინა." [510]

აჯანყება ჩაახშეს, თავკაცები გააციმბირეს; თუმცა გლეხები ამის მერეც კარგა ხანს განაგრძობდნენ ბრძოლას, ამჯერად უკვე ორივეს: ქართული თავადაზნაურობის და რუსული სამხედრო ნაწილების, წინააღმდეგ...

სოციალური ისტორიის ეს დრამატული ფურცელი გვაუწყებს, როგორ დაამუხრუჭა რუსულმა იმპერიამ ქართული ქვეყნის სოციალური განახლების და

---

[508] რატიანი, *გლეხთა მოძრაობის გაძლიერება, დიდი აჯანყებები,* 9.

[509] ილია ანთელავა, "კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმების წინარე ხანის საქართველოში", *საქ. ისტ. ნარკვევები 5*, 234.

[510] "... по приезде в Мингрелию убедился в справедливости жалоб крестьян и вместе с успокоением движения признал необходимым уничтожить самостоятельность мингрельской автономий и присоединит ее к руск. Владениям." - ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია 5*, 121.

აღორძინებისკენ მისწრაფება და ჩაახშო თავისუფლებისადმი სულისკვეთება. გლეხური რევოლუცია, რაზეც მერე (70–იანი წლებიდან) რუსი ნაროდნიკები და რევოლუციონერები იოცნებებენ[511] - იმპერიის ხელდებულ პაწია სამთავროში უკვე მომხდარი და იმპერიული მანქანის მიერ მისიკვდილებული გამოცდილება გახლდათ. ნიშანდობლივია, რომ ეს რუსულ-ქართული სიამტკბილობის ერთადერთი და უნიკალური რეციდივი არ ყოფილა: სხვა ქართული ქვეყნების შემთხვევაშიც მოხდა მსგავსი მოვლენები. "შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში." [512]

---

[511] "სოციალისტური საზოგადოების მთავარ შემოქმედად რუსი ხალხოსნები გლეხობას მიიჩნევდნენ. სწორედ გლეხობის საყოველთაო ამბოხს უნდა მოესპო რუსეთში არსებული წყობილება. ხალხოსნების აზრით რუსი გლეხი ბუნებით სოციალისტი იყო." - მიხეილ ბახტაძე, "სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში. ხალხოსნობა საქართელოში", *საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე",* 181.

[512] პროკოფი რატიანი, *გლეხთა მოძრაობის გაძლიერება, დიდი აჯანყებები,* 10.

1857 წელს - იმერეთში, ხოლო 1862 წელს - გურიაში შეიარაღებულ გამოსვლას სამგზის ჰქონდა ადგილი. მღელვარებებს აშკარად გამოხატული ანტიბატონყმური ხასიათი გააჩნდათ (იხ. ანთელავა, *კლასობრივი ბრძოლის გამწვავება,* 241). ურჩობის და მასობრივი აჯანყების ფაქტები ამავე პერიოდის ქართლშიც მრავლად არის, მაგალითად, 1864 წელს გლეხთა აჯანყება თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში მოხდა. 1865 წელს - ისევ სამეგრელო აჯანყდა, ხოლო 1866 წელს დიდი საერთო სახალხო *აჯანყება აფხაზეთში* მოხდა. "აჯანყებამ თითქმის მთელი აფხაზეთი მოიცვა და იარაღის ქვეშ 20 000 კაცი დააყენა." (ibid., 251). აჯანყებულებმა გაანადგურეს რუს კაზაკთა რაზმეული, ბრძოლით აიღეს აფხაზეთის მთავრის სასახლე ლიხნში, ალყა შემოარტყეს და აიღეს სამთავროს დედაქალაქი ცხუმი. იმპერიის ხელისუფლებამ საზღვაო დესანტი გადმოსხა, აჯანყებულები განდევნა, მერე მთელი აფხაზეთი ჯარებით გაძეძგა და სასტიკი ტერორი გააჩაღა; აჯანყება ჩახშობილ იქნა.

1865 წელს სოციალური მღელვარების მძლავრმა ტალღამ თბილისს გადაუარა – უკმაყოფილოები იყვნენ ახალფეხადგმული საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებსაც უბრალო მუშები და ხელოსნებიც აჰყვნენ, აგრეთვე პროლეტარული, თუ დეკლასირებული ელემენტები, რომელთა რიცხვი საიმდროოდ გაზრდილიყო (ibid., 253); ყველა ფენა რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ მოიმართა. "მთვრობასთან სამდურავი თბილისის მსხვილ ბურჟუაზიასაც ჰქონდა. 'პირველხარისხოვანი მოქალაქეები' უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ახალმოსული ვაჭრების გავლენის ზრდის გამო, რასაც მათი აზრით მთავრობაც უწყობდა ხელს. საილუსტრაციოდ ისინი სპარსეთიდან ჩამოსულ გალუსტ შერმაზან–ვართანოვის თბილისის ქალაქის თავად არჩევას ასახელებდნენ." (Ibid., 253). საერთოდ, ცარისტული ადმინისტრაცია მეტროპოლიის ბურჟუაზიის უპირატესი ხელშეწყობის, პროტექციონიზმის გზას დაადგა და ადგილობრივი ბურჟუაზია - რომელიც ადრე მას პოლიტიკურ მოკავშირედ ეგულებოდა - შეავიწროვა. მათი პროტესტიც ამან გამოიწვია, საპროტესტო მოძრაობა კი აჯანყებაში გადაიზარდა. მაშინდელ "ერევანსკის" (დღევანდელი "თავისუფლების") მოედანზე თავმოყრილ ათიათასამდე ადამიანს დასამშვიდებლად მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელმა, პოეტმა-გენერალმა გრიგოლ ორბელიანმაც მიმართა, მაგრამ უშედეგოდ (ibid., 255). საქმეში ჟანდარმები და და თბილისის გარნიზონის ჯარები ჩარიეს, თუმცა მათაც ვეარფერი გააწყვეს. აბობოქრებულმა თბილელებმა მიწასთან გასწორეს ქალაქის თავის, საძულველი *შერმაზან-ვართანოვის* სასახლე, მერე ჩუღურეთში დაარბიეს გადასახადების ამკრეფის *ბაჟბეუკ-მელიქოვის* საცხოვრისი, თვითონ მელიქოვი ჩაქოლეს. ხელისუფლებამ კაზაკთა ცხენოსანი რაზმი მოიშველია ვინმე *ზარიძის* მეთაურობით და ცეცხლი გახსნა. მიხეილის (მერე მარქსის, ახლა მშრალ) ხიდთან სასტიკი ომი გაჩაღდა, მრავალი მოიკლა, კაზაკთმეთაური ზარიძე მძიმედ დაიჭრა. მეორე დღეს კიდევ უფრო სასტიკი ომი ატყდა მეტეხის ხიდთან... აჯანყების გაფართოების შიშით, ხელისუფლებამ დედაქალაქს ალყა შემოარტყა, ხოლო თვით დედაქალაქში ყველა მთავარი ქუჩა ჯარმა ჩახერგა (იხ. პროკოფი რატიანი, *გლეხთა მოძრაობის*

რუსული ადმინისტრაცია ხელოვნურად აბრკოლებდა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ბუნებრივ მდინარებას; ცარიზმის მიდრეკილებამ, კაბინეტური და ვოლუნტარისტური გადაწყვეტილებებით ემართა სოციალური პროცესები, საზოგადოება სახიფათო ნიშნულთან დააყენა: მოსახლეობის ფართო ფენების თავისუფლების მეტისმეტი შეზღუდვის მიზეზით ქვეყანა ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტდა და საგარეო უსაფრთხოების პრობლემები გაუმძაფრდა, რამაც იმპერიის მესვეურებს *ლიბერალური შინაარსის რეფორმების* გატარებისკენ უბიძგა. ხელისუფლებამ ბატონყმობის გაუქმება განიზრახა.

"ყირიმის ომში განცდილმა დამამცირებელმა მარცხმა, როცა რუსეთი მისსავე მიწა-წყალზე დამარცხდა, მისივე მტკიცებით 'გახრწნილი დასავლეთის' ჯარებთან ბრძოლაში, შეაგნებინა ქვეყნის მმართველ წრეებს, რომ რუსეთი ვეღარ დარჩებოდა ძალმორჭმულ სახელმწიფოდ, თუკი მოსახლეობის ძირითად ნაწილს მაინც მონობაში დატოვებდა და ყოველგვარ სამეურნეო და სამართლებრივ უფლებას აყრიდა. ხშირად იმოწმებენ, რომ ცარი ალექსანდრე II თავის გარემოცვას ეუბნებოდა, თითქოს უმჯობესია ბატონყმობის პრობლემა მშიდობიანად გადაწყდეს ზემოდან, ვიდრე ძალმომრეობით ქვემოდანო." [513]

რუსული იმპერიის წიაღში მოქცეული ქართული საზოგადოება გზაგასაყართან აღმოჩნდა: მღელვარე სოციალურმა პროცესებმა გამოააშკარავა, რომ არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური წესრიგი ვერ შენარჩუნდებოდა; ქართულ საზოგადოებას - როგორც დავინახეთ - არსებული წყობილების ლიბერალური რეფორმირების საკუთარი რესურსი გააჩნდა, მაგრამ ველიკოდერჟავულმა პოლიტიკამ ქართველი ხალხის (ჩანს, არც ისე "წვრილი ერის", როგორც ეს მათ სოციალურ ანტაგონისტებს წარმოედგინათ) რეფორმისტული

გაძლიერება, დიდი აჯანყებები, 16-17). ხელისუფლება მარტო სამხედრო მოქმედებით არ შემოფარგლულა, მან სცადა გადაებირებინა აჯანყების მონაწილე მსხვილი ბურჟუები და შეძლებული მოქალაქეები. "ამ მიზნით მთავრობის ერთგული ქალაქის თავი *შერმაზან-ვართანოვი* გადააყენა და მის ადგილზე თბილისის ბურჟუების სასურველი კანდიდატი *აბესალომოვი* დანიშნა." (ibid., 17). ყოველივე ამან და კიდევ ახლადშემოღებული დამამძიმებელი გადასახადების გადახდევინებაზე მთავრობის უარმა – ვითარება დაამშვიდა. აჯანყების აქტიური მონაწილეები, სულ 80 კაცი, გააციმბირეს. აჯანყებას საზღვარგარეთ მყოფი *ნ. ნიკოლაძე* ა. გერცენის ლონდონში გამომავალ გაზეთ "კოლოკოლში" გამოეხმაურა (იხ. ibid., 17).

[513] "Russia’s humiliating defeat in the Crimean War, in which she was beaten on her own soil by the armies of the allegedly 'decadent' West, brought home to the country’s ruling circles that Russia could not remain a great power as long as the bulk of fer population remained in bondage devoid of an legal and economic rights. In an oft-quoted remark, the new tsar, Alexander II, told his nobles that it was better to solve the issue of serfdom peacefully, from above, than have it solved violently for below." – Pipes, *Property and Freedom,* 203.

მისწრაფება დათრგუნა და პროცესებს ჩიხური მიმართულება მისცა: ბატონყმობის გაუქმების იმ კაბალური პროექტით, რომელიც იმპერიის ადმინისტრაციამ საზოგადოებას თავს მოახვია (გლეხებს, არსებითად, უმიწოდ ათავისუფლებდნენ და სოფლელ პროლეტარებად აქცევდნენ),[514] სოციალური დაძაბულობა მხოლოდ დროებით განელდა.[515]

ახალი ქართული ელიტის ფორმირება შოკური თერაპიის შედეგად

მომხდარი სოციო-ეკონომიკური ძვრების შედეგად, გლეხობის ნაწილი უმიწოდ დარჩა და გაბოგანოვდა (გაპროლეტარდა),[516] მეორე ნაწილს მცირე ნაკვეთები გააჩნდა, რაც სააარსებო მინიმუმის მოსარეწად არ ჰყოფნიდა და ისინიც დამატებითი შემოსავლის საპოვნელად უმიწოდ დარჩენილ თანამოძმეებთან ერთად ეხეტებოდნენ უზარმაზარი იმპერიის კიდით-კიდე; სოფლის გაბოგანოებულ-გაპროლეტარებული მკვიდრების რაოდენობა 90–იან წლებში მთელი გლეხობის 30–35% შეადგენდა,[517] ოღონდ პროლეტართა რიგებს მარტო ქართველი გლეხები არ

---

[514] "The Emancipation Edict made provisions allowing the peasant to withdraw from the commune and set up a family farm, but they were hedged with so many formalities that very few took advantage of them.

[გათავისუფლების ბრძანებულება შეიცავდა დებულებებს, რაც უფლებას აძლევდა გლეხს დაეტოვებინა სასოფლო თემი და საოჯახო მეურნეობა მოეწყო, მაგრამ მას იმდენი ფორმალობა ეღობებოდა, ამ უფლებით მხოლოდ ძალიან ცოტამ ისარგებლა]." – ibid., 204.

[515] საზოგადოებრივი უკმაყოფილების გრიგალი თავის თავში ჩაეხვა და, მცირე ხნის მერე (უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში) ომების, რევოლუციების და გადატრიალებების კასკადის სახით დაატყდა თავს განაწამებ მოსახლეობას: ცარისტულმა რეჟიმმა მოსახლეობის ყველაზე ქმედუნარიანი და სისხლსავსე ნაწილი იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში გაჟლიტა და მის წერამწერალს ბოლშევიკებს მოუსუფთავა ისტორიის სარბიელი.

"Economist Alec Nove, in his more cautions computations, arrives at comparable estimations of the cost of Stalinism. And the figure of twenty million is now the most widely accepted in Russia.

This figure is twice the number of all losses in the First World War, and approximately the same as the Soviet losses in the Second World War. As such it is the largest single harvest of terror in history.

[ეკონომისტი ალიკ ნოუვე თავის ზედმიწევნილ გაანგარიშებაში სტალინიზმის დანაკარგების შეფასება-შედარებს ახდენს. და საყოველთაო აღიარებით რუსეთის დანაკარგს ახლა ციფრი ოცი მილიონი გამოსახავს.

ეს ციფრი ორჯერ აღემატება პირველ მსოფლიო ომში რუსეთის დანაკარგს და დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც საბჭოთა დანაკარგი მეორე მსოფლიო ომში. კაცმა რომ თქვას, ის ტერორის შედეგად მომკილი უდიდესი მოსავალია საკაცობრიო ისტორიაში]" (Martin Malia, *The Soviet Tragedy,* 263).

[516] "რეფორმის შემდეგ პერიოდში მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელში ჩაიგდეს აგრეთვე ვაჭარ-მრეწველებმა, მთავრობის მოხელეებმა და სხვა პარაზიტულმა ელემენტებმა. ... ამ პროლეტარად ქცეულ გლეხებს არსებობის არავითარი წყარო არ გააჩნდა, გარდა საკუთარი მარჯვენის გაქირავებისა." - პროკოფი რატიანი, "მიწათმფლობელობა საქრთველოში რეფორმის შემდეგ და გლეხთა აგრარული მოძრაობა", *საქართველოს ისტორია 2,* 130.

[517] ბენდიანიშვილი, "კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება", *ნარკვევები 5,* 372.

ავსებდნენ. თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქების სარეწებში სომხური დიასპორიდან გამოკრეფილი მეტი და მეტი მიგრანტი იყრიდა თავს:

"ძველაღმოსავლური ტრადიცია ახალგამოჩეკილ ნუვორიშებს ეროვნული პატრონების და ფილანტროპების ფუნქციებს აკისრებდა. სომხური ეკლესია, რომელთანაც ისინი მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ, სულ უფრო მეტი კარგი საქმის საკეთებლად, მაგალითად, კულტურული დაწესებულების დასაარსებლად, ანდა სომეხი ეროვნების მუშების დასაქირავებლად აქეზებდათ... სომეხი კაპიტალისტები, მუსლიმი კაპიტალისტების მსგავსად, მაინცდამაინც მათივე თემიდან გამომავალ მუშებს ასაქმებდნენ. საწარმოს მმართველ სომეხ ზედამხედველს სომეხი მუშები მამა-მარჩენლად და კეთილისმყოფელად აღიქვამდნენ - პირად, ვინც ასაქმებდათ და ჯამაგირს აძლევდათ. რელიგიური და ეროვნული სოლიდარობის ეს სიღრმისეული განცდა კლასობრივი შეგნების აღმოცენებას უშლიდა ხელს. იგივე იყო აზერბაიჯანელი მუშების შემთხვევაშიც, მაშინ როცა ქართველებისთვის მრეწველი და მეპატრონე - ყოველთვის უცხოელი და ძალიან ხშირად სომეხი იყო. შესაბამისად ქართველებს შორის კლასობრივი შეგნება სწრაფად გაღვივდა, რადგან ეროვნულ ცნობიერებასთან და ქსენოფობიასთან იყო გადაჭდობილი". [518]

შექმნილი ვითარება ისედაც უფლებააყრილი და გაღატაკებული ქართველი გლეხობის ყოფის გაუარესებას და, კაცმა რომ თქვას, დევნილების მდგომარეობაში ჩაცვენას მოასწავებდა; წარმმართველი და ხელმძღვანელი სოციალური ელემენტის გარეშე დარჩენილი ერი სრული განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული ბურჟუაზია, კლასი, რომელსაც მომავალი უნდა კუთვნებოდა, ევროპელ, რუს და სომეხ თანაკლასელებთან შედარებით მკვეთრად მოისუსტებდა, ხოლო თავადაზნაურული ელიტა, რომლის ხელშიც

[518] "An ancient eastern tradition obliged these nouveaux riches to assume the functions of national patrons and philanthropists. The Armenian Church, to which they remained very attached, encouraged them to do more and more good works and to found cultural institution, but also to hire Armenian workers… the Armenian capitalist, just like the Muslim capitalist, exploited essentially the workers of his own community. With Armenian manager running the firms, Armenian workers perceived the boss… as a benefactor, who dispensed jobs and pay. This vague feeling of religious an national solidarity prevented the emergence of a class consciousness. It was the same with the Azeri workers, whereas for the Georgian industrial bourgeoisie, the owner was always a foreigner and very often an Armenian. Accordingly, class consciousness among Georgians emerged all the more quickly because it went hand in hand with national consciousness and xenophobia" - Anahide Ter Minassian "Nationalism and socialism in the Armenian Revolutionary Movement (1887-1912)", *Transcaucasia, Nationalism, and Social Change.* 163.

რეფორმის შედეგად ბლომად მიწები მოექცა, მაინც პარაზიტთა სოციალურ შრედ ყალიბდებოდა და გადაგვარების ნიშნებს ავლენდა; მიწაზე შრომის ახლებურად ორგანიზების და თანამედროვე მეურნეობის მოწყობის უნარ-ჩვევა - თუ უმცირეს ნაწილს არ მივიღებთ მხედველობაში - მან ვერ გამოიმუშავა. მემკვიდრეობით მიღებულ სიმდიდრეს - მიწას, ბრწყინვალე წოდება უმეტეს შემთხვევაში ყიდდა და აგირავებდა, ხოლო მიღებულ შემოსავალს ფუქსავატურ ყოფაში ფლანგავდა.[519]

გადასხვაფერდა სასულიერო წოდებაც. ავტოკეფალიის გაუქმების მერე 1811 წელს ისინი სახაზინო აზნაურების ("დვორიანსტვოს") რიგებში გადარიცხეს,[520] საეკლესიო ქონება რუსეთის იმპერიის სახაზინო საკუთრებად გადააფორმეს, ღვთისმსახურებს კი ჯამაგირი დაუნიშნეს,[521] მაგრამ პროფესიული გამოყენების სივრცე საგანმანათლებლო და სასულიერო სფეროდან ქართულის გამოდევნის და რუსული ენის გაბატონების მიზეზით შეუზღუდეს. 21-დან 5-ამდე შეამცირეს ეპარქიათა რიცხვიც...

რეფორმამდელი ვითარება სხვა იყო: ქვეყნის მრავალსაუკუნოვანმა მესვეურმა, ქართულმა თავადაზნაურობამ, თავდაპირველად, რუსეთთან შეერთების მიზეზით, ოდინდელი სამხედრო და პოლიტიკური უფლება კი დათმო, მაგრამ მერე იმპერიის სამსახურში ჩადგომით (განსაკუთრებით მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დროიდან) რამდენადმე, ადგილობრივი გავლენის ადმინისტრატორის დონეზე, მაინც აღიდგინა.[522] ბატონყმურმა იმპერიამ ამ - მართალია მისთვის უცხო, არარუსული წარმომავლობის, მაგრამ მაინც - თავადაზნაურობას, წოდებრივი პრივილეგიებიც შეუნარჩუნა და დიდად არც მისი ეკონომიკური საფუძველი - მიწა და უფასო მუშახელი (ყმები) - შეუმცირებია. ასე რომ, თავადაზნაურობა

---

[519] "თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილისთვის ფულის ერთადერთ წყაროს მიწა წარმოადგენდა. ... ცალკეული ოჯახის მემკვიდრეობით საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი თანდათან მცირდებოდა. ... მიწის მყიდველი ძირითადად ისევ სომეხი ბურჟუაზია იყო... ქართველი თავადაზნაურობის გაღატაკება და არაქართული ბურჟუაზიის ეკონომიკური გაძლიერება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა." - ვახტანგ გურული, "ეროვნული მოძრაობის XIX საუკუნის 80-90-იან წლებში." *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე,* 138.

[520] ბონდო კუპატაძე, "საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა XIX საუკუნეში", *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე,* 27.

[521] Ibid., 29.

[522] "ქართველი თავადაზნაურობის რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩასაყენებლად დიდი მუშაობა გასწია ჯერ მთვარმართებელმა პავლე ციციანოვმა (რომელმაც მეფის სამსახურში მყოფი პირებისთვის ჩინი და პენსიები დაანიშვნინა), შემდგომში კი მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა, რომელმაც დაასრულა ამ წოდების ჩამოყალიბების და იმპერიის ერთგულ მსახურებად ქცევის პროცესი." - Ibid., 27.

მატერიალური თვალსაზრისით ჯერ არ გაკოტრებულიყო და საქართველოს რუსეთთან "შეერთების" სიმწარეს ისე მძაფრად არ განიცდიდა, როგორც მოგვიანებით. აი, როცა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების და 60-იანი წლების რეფორმების წყალობით ფეხქვეშ მიწა გამოეცალა – მისი ისტერიული კივილიც გაისმა: "*იყიდება საქართველო!"* - აკრიახდნენ დაქვრივებული დედასამშობლოს აქამდე გატრუნული ჭირისუფლები და ის კი აღარ ახსოვდათ, რომ საქართველო უკვე კარგა ხანი იყო - საერთოდ არ არსებობდა! მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესი საბოლოოდ აქრობდა ძველ, ჯერაც შემორჩენილი სოციალური წესრიგის ნიშანწყალს და ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფილმა მესვეურებმა ახლა უფრო ხელშესახებად განიცადეს სახელმწიფო ინტერესებისადმი მათი შეორგულების ტრაგიკული შედეგი. ძველი დიდკაცობის ცნობილ წარმომადგენელს, გრიგოლ ორბელიანს მოვუსმინოთ:

"აქაური ამბები არა არის რა მწუხარების მეტი, ... ყოვლის თავადაზნაურის სახე არის მოღრუბლული გამწარებულის ფიქრებით სიღარიბისა გამო. მთლად ჩვენი საზოგადოება არის ჩაფლული გადუხდელს ვალში და გამომხსნელი არსად არის, არათუ საქმით, ცარიელი სიტყვაც კი არ ისმის ნუგეშისცემისა. *მთლად საქართველო იყიდება* და თუ გამოჩნდა ვინმე ფულიანი ის დიახ, იაფად და ადვილად შეიქმნება ბატონად ქართლისა და კახეთისა."[523]

ქართულ თავადაზნაურობას, მის მომეტებულ ნაწილს, როგორც ეს ყირიმის ომისდროინდელი ვითარების აღწერისას ვნახეთ, იმპერატორისადმი ლოიალობის დემონსტრირების გარდა, რაიმე სხვა სამოქმედო იდეა, კაცმა რომ თქვას, არც გააჩნდა. "დვორიანსტვოს" რიგებში გადარიცხული თავადაზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენელი, სინამდვილეში, უკვე აღარც იყო ქართველი, თავადაზნაურობა როგორც პოლიტიკური ფუნქციის მატარებელი კლასი - გაპომეშჩიკების და გარუსების გზას ადგა; ქართული ფეოდალური კლასის, როგორც ელიტის, იდეა ჯერ კიდევ 1832 წლის შეთქმულების დროს აღარ იყო უალტერნატივო, 60–იანი წლების რეფორმებმა კი, საერთოდაც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წამოჭრა, მერე კი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, როცა კაპიტალიზმის განვითარებამ ტემპი აკრიფა და აგრარული ცივილიზაცია ადგილს ინდუსტრიულს უთმობდა, საზოგადოების

[523] ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ.1, 323 (ციტირებულია *საქართველოს ისტორია 2*-დან).

მორფოლოგიაც ეკონომიკური სიახლეების კვალობაზე გადასხვაფერდა. ქართული თავადაზნაურობა უცხო ეთნო-რელიგიური წარმომავლობის ბურჟუაზიის წინაშე თმობდა პოზიციებს;[524] მართალია, აქა-იქ ზოგიერთმა ქართველმა თავადმაც შეუწყო ფეხი დროის მოთხოვნას და მანუფაქტურა დააარსა,[525] მაგრამ საქმეს ვერც ამან და ვერც ევროპული ტიპის მეურნეობების მოწყობის გახშირებულმა პრეცედენტმა უშველა,[526] - *საკმარისად გავლენიანი ეროვნული ბურჟუაზიის ფორმირება ქართულ საზოგადოებას ბედის კარაბადინში არ ეწერა:* ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანას (1872) ევროპული საქონლის მოზღვავება მოჰყვა და ახალგამოჩეკილ ქართველ მეწარმეებს კონკურენციის პირობები დაუმძიმდათ, მანუფაქტურები კი საერთოდ გაკოტრდა.[527] და ეს მაშინ, როცა მოძლიერებული სომხური ბურჟუაზია, ახალი ეკონომიკური მესვეური, თავის უფლებების გაფართოვებისთვის იბრძოდა, ქართული თავადაზნაურობის საუკეთესო, მორალურად და იდეურად ჯანსაღი, ნაწილი კი მზარდი გავლენის ახალ სოციალურ აქტორად - "ინტელიგენციად" ყალიბდებდებოდა და უიდეო და უიდეალო ნაწილისგან (რომლის უბადლო გროტესკული ნიმუშები ილიამ ლუარსაბ თათქარიძის და კნეინა დარეჯანის სახით

---

[524] "საქართველოს თითქმის არ ჰყოლია საკუთარი ნაციონალური ბურჟუაზია. საშუალო კლასის როლს აქ სომხები ასრულებდნენ, რომლებიც თავიანთი სიმდიდრის და პრაქტიკულად მთელ ქართულ ეკონომიკაზე მონოპოლიის მოპოვებითთვის სძულდათ.... გარკვეული თვალსაზრისით ეროვნული გრძნობა აქ კლასობრივს შეერწყა; ნაციონალური ბრძოლა და კლასობრივი ბრძოლა ერთმანეთს დაემთხვა." - ფირუზ ქაზიმზადე, *ბრძოლა ამიერკავკასიისათვის - 1917-1921.* მთარგმნელი ქეთი ქანთარია. (თბილისი: პოეზია, 2016), 28.

[525] მაგალითად, ატენის ხეობის სოფელ ღვარებში მემამულე ელიზბარ ერისთავს 1843 წლიდან მინის დიდი მანუფაქტურა დაუარსებია. ამზადებდნენ სასარკე მინას, საფთიაქო ჭურჭელს, წელიწადში 100 000-ამდე ღვინის ბოთლს და მისთ. სარეწი აღჭურვილი ყოფილა წყლის ბორბლით, იყენებდნენ მექანიკურ საშუალებებსაც - პროკოფი რატიანი, "კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში", *საქართველოს ისტორია2.* 47.

[526] საბაზრო პროდუქციის წარმოება დაუწყიათ: დიმიტრი აფხაზს, სოლომონ გურგენიძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, სოლომონ ანდრონიკაშვილს, სიმონ შალიკაშვილს, ივანე სულხანიშვილს, ნიკო ჩიჯავაძეს, კონსტანტინე ერისთავს, მიხეილ ნაკაშიძეს, ივანე მუხრან–ბატონს და სხვებს - იხ. ანთელავა, ორჯონიკიძე, "ფეოდალურ ბატონყმური სისტემის რღვევა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები 5,* 47.

მაგრამ მალე, მათი სარეწების ნაცვლად ევროპული ამოქმედდა. მაგალითად უკვე 1882 წელს ბორჩალოს მაზრაში ბარონ კუჩენბახის მინის დიდი ქარხანა გაიმართა. - იხ. რატიანი, "კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში", *საქართველოს ისტორია 2,* 54.

[527] ცარისტული რეჟიმი არც მათ (უცხოელი კაპიტალისტების) მიმართ იყო დიდად კეთილგანწყობილი. მაგალითად, ჯერ კიდევ 1853 წელს სოფელ დრეში ამოქმედებულ და მანქანებით აღჭურვილ კ. მეიცნერის მაუდის ფაბრიკას მეფის მთავრობამ რეალიზაციის პრობლემები შეუქმნა და აიძულა დახურულიყო. "ფინანსთა მინისტრი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ამ ფაბრიკის სრული დატვირთვით მუშაობა ზარალს მიაყენებდა შიდა (რუსეთის) გუბერნიაში არსებულ ფაბრიკებს" - ibid., 48.

დახატა) განირჩეოდა.[528] ისინი "თერგდალეულების" სახელით გამოვიდნენ საზოგადოებრივ სარბიელზე. მათ რიგებში - თავის თავად ცხადია - ისევ არისტოკრატიის წრიდან გამოსული ადამიანები ირიცხებოდნენ, მაგრამ *ისინი უკვე არა თავადაზნაურებს,* არამედ *ინტელიგენციას ასახიერებდნენ და ახალ სოციალურ შრედ ყალიბდებოდნენ.* ეს ცვლილება არსებითი მნიშვნელობის სიახლე იყო.[529] დასავლური ტიპის უნივერსიტეტებში ცოდნამიღებული ახალგაზრდების მიერ გაჩაღებული საქმიანობა უპრეცედენტო სიახლე გახლდათ ქართული საზოგადოების ცხოვრებაში. მათი ლიდერის, *ილია ჭავჭავაძის* გამოჩენით ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური იდეოლოგიების ერას დაედო დასაბამი და მალე პოლიტიკური საზოგადოებაც - ჯერ ინტელიგენტური "დასების", ხოლო მერე და მერე პარტიების სახით - ჩამოყალიბდა.[530]

ახალი ციკლის დასაწყისი

ქართული სახელმწიფოს განადგურება ძირითადად პიროვნების სოციალური გათავისუფლების პროცესის ჩიხში შესვლამ განაპირობა. სახელმწიფოს საბოლოო კვდომას წინ დასუსტების ხანგრძლივი პერიოდი უსწრებდა - თანამდევი ქაოსით; ადამიანის უფლებების მაგარანტირებელი სახელისუფლო საწყისის შებოჭილობის და განუკითხავობის ხანა დიდხანს გაგრძელდა: საუკუნეების განმავლობაში არ იცვლებოდა ვითარება, რომელიც ყველაზე უკეთ თომას ჰობსის პოსტულატით - "ყველას ომი ყველას წინააღმდეგ" გამოითქმოდა.[531] "ერის" და "ქვეყნის" გამოხსნა-

---

[528] "ილია აღნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოება [უმეტესწილად და მთლიანობაში ა.ჯ.] იდეას და იდეალებს მოკლებული, თავის მიზნებსა და ამოცანებზე არ, თუ ვერ დაფიქრებული, სხვადასხვა მენტალიტეტის უაზრო ნაზავია. ... 'ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის რისთვის ცხოვრობს... უფრო ვაი იმ საზოგადოებას, რომლემაც არამც თუ ეს, ისიც არ იცის, რომ უნდა ცხოვრობდეს უთუოდ რისთვისმე!' " - ომარ გოგიაშვილი, *ილია დღეს,* 54.

[529] შესაბამისად, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება: "ეროვნულ მოძრაობას სათავეში ედგა ქართველი არისტოკრატია" (იხ. " "*საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე,* 131) - არაზუსტად ასახავს რეალობას.

[530] 1892 წელს ქუთაისში გაიმართა "საქართველოს თავისუფლების ლიგის" დამფუძნებელი ყრილობა. იმავე წლის დეკემბერში სოფელ ყვირილაში შედგა ქართველი სოციალისტების პირველი კონფერენცია. მოგვიანებით, 1994 წელს, გიორგი წერეთელმა ამ პირველ ქართულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას მესამე დასი უწოდა.

"დაწყებული 1893 წლიდან, როცა რამდენიმე ინტელექტუალი შეიკრიბა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ პატარა სოფელში ახალი სოციალისტური ორგანიზაციის შექმნის მიზნით... სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს ყველაზე ავტორიტეტული პარტია შექმნეს." - სტივენ ფ. ჯონსი, *სოციალიზმი ქართულ ფერებში* (თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011), 63.

[531] "war of all against all".

გათავისუფლება პოლიტიკური დღის წესრიგის უპირველეს ამოცანად ბატონყმური უუფლებობის დამკვიდრების დღიდან დადგა, ხოლო იდეოლოგიების გავრცელების ხანაში *ლიბერალიზმმა*, როგორც გამათავისუფლებელმა იდეოლოგიამ - ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებული პოლიტიკურ დატვირთვა შეიძინა.

60-იანი წლების ლიბერალური რეფორმები უმნიშვნელოვანესი მოსაბრუნია ქართული საზოგადოების ისტორიაში: გლეხი მებატონის საკუთრებიდან გათავისუფლდა (თუნდაც ჯერ მხოლოდ ფორმალურად), შეიქმნა თვითმმართველობის სისტემა, თანდათან იბმებოდა სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელი: საკრედიტო ამხანაგობები, სავაჭრო–გამსაღებელი საზოგადებები და ასე შემდეგ; ყალიბდებოდა პოლიტიკური პარტიები, ისახებოდა და ძლიერდებოდა მედია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რეფორმაციის ეს პროცესი ცალმაგი არ გახლდათ. სვლები საპირისპირო მიმართულებითაც კეთდებოდა: ხელისუფლების მიერ დაკანონებული გამოსასყიდები და გამოსყიდვის პროცესზე მებატონის ვეტოს უფლება, რაც თავადაზნაურთა მოთხოვნის შესაბამისად დაკანონდა, სწორედ საერთო დინების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ქართული ელიტა - მისი შედარებით მცირერიცხოვანი საუკეთესო ნაწილის გარდა - ლიბერალიზმის იდეის პრაქტიკული რეალიზაციის წინააააღმდეგ მოიმართა.[532]

"In such condition, there is no place for industry; because the fruit therefore is uncertain: and consequently no culture of the earth; no navigation, nor use of the commodities that may be imported by sea; no commodious building; no instruments of moving, and removing, such things as require much force; no knowledge of the face of the earth; no account of time; no arts; no letters; no society; and which is worst of all, continual fear, and danger of violent death; and the life of man, solitary, poor, nasty, brutish, and short.

[ასეთ პირობებში ადგილი აღარ რჩება რაიმეს მოსარეწად, რადგან საეჭვოა, რომ შრომის ნაყოფით ისარგებლებ კაცი; ჰოდა, ამის გამო, აღარც მიწათმოქმედებისთვის იწუხებს ვინმე თავს და აღარც ზღვაოსნობისთვის; აღარც ის ნივთები და საქონელი მზადდება, რაც ზღვით შეიძლება გაიტანო და აღარც დიდ შენობებს აგებენ; აღარ მზადდება ისეთი ნივთების გადასატან-გადმოსატანი ხელსაწყოები, რომლის დაძვრასაც მრავალი მუშახელი სჭირდება; აღარც დედამიწის ზურგის შესწავლა ხდება, აღარც დროის აღნუსხვა; აღარც ხელოვნება; აღარც სწავლულობა; აღარც რიგი და წესი და რაც ყველაზე უარესია, ძალადობრივი სიკვდილის მუდმივი შიში და საფრთხე მეფდება; ჰოდა ადამიანის ცხოვრებაც სულით ობლობა, ყარიბობა, სიდუხჭირე, სისაპყრე, პირუტყვული ყოფა და დღემოკლედ ცხონებაა"], - Thomas Hobbes, *Leviathan,* edit with an introduction by C. B. Macpherson, (Peenguin books 1968), 186.

[532] ასეთი სოციალური ფსიქოლოგია არ ყოფილა ქართული თავადაზნაურობის ექსკლუზიური თვისება. ინდუსტრიულმა რევოლუციებმა, ჰოლანდიასა და ბრიტანეთშიც კი გამოავლინა მსგავსი რეაქცია:

"Just as the Dutch had been left behind by the eighteenth-century industrial revolution, some economic historians suggest that coal-shaped Britain was left behind by a "second industrial revolution" circa 1900 … Critics also dwelt on how the estate-owning elite of the time looked askance at industry, science, and technology.

მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესების მიუხედავად, ლიბერალური რეფორმები - საერთო ჯამში - მაინც უდიდეს პროგრესს მოასწავებდა ქართული საზოგადოების ისტორიაში: მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა პიროვნული თავისუფლება დაიბრუნა. გლეხის ყიდვა–გაყიდვა და გაცვლა-გაჩუქება უკვე აღარ შეიძლებოდა. გლეხს შეეძლო თავისუფლად ექორწინა, მიეტოვებინა სოფელი, ჩაბმულიყო ვაჭრობაში, ჩაწერილიყო მოქალაქედ, გადაქცეულიყო დაქირავებულ მუშად...[533] ერთი სიტყვით, ბატონყმურ მონობას ბოლო მოეღო და *სოციალური ევოლუციის და პიროვნული თუ ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალი ციკლიც დაიწყო.*

უძველეს ხანაში სოციალური პირამიდის უქვედაეს დონეზე, ინდივიდუალური, პიროვნული თავისუფლების მოსწრაფე მეთემე თანასწორობაში, და ამ აზრით, თავისუფლებაში (არავის დაქვემდებარებაში) იმყოფებოდა. ის ან სოციალური პირამიდის აღმავალ კიბეზე ადიოდა და პიროვნულ, ე.წ. დიდ თავისუფლებას მიელტვოდა, ან - და ასეთი უმრავლესობა იყო - კაბალაში მოქცეული თემის მკვიდრად რჩებოდა და, სამეურნეო-ეკონომიკური ვალდებულებების წნეხის წყალობით, თანდათან სამართლებრივი უუფლებობის ტყვეობაში ექცეოდა. ყმა გლეხების უფლებების განუხრელი შეკვეცის პროცესი, საბოლოოდ, მისი უფლებების უკიდურესი დაკნინებით, ფაქტიურად, მონობის მდგომარეობაში მათი მოქცევით დასრულდა. ზემოთ, ქართული სოციალური ისტორიის შუასაუკუნეობრივ პერიოდში საზეპურო ერის წრეგადასულ სოციალურ თავმოყვარეობაზე ("თიმოსზე") საუბრისას, ქართველი გლეხობის შემთხვევაში შრომის გზით გათავისუფლების პირობების ფაქტიურ არ არსებობას ვამტკიცებდით. და აი, ბატონობის და მონობის დიალექტიკის ბოლო ციკლის აღსრულების დრო - თუმც კი დიდი დაგვიანებით -

---

[თუ მეთვრამეტე საუკუნის ინდუსტრიულმა რევოლუციამ ჰოლანდიას გვერდი აუარა, ეკონომიკის ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ "მეორე ინდუსტრიულმა რევლუციამ", ასე დაახლოებით 1900-იანი წლებისთვის - ქვანახშირის ხარჯზე აღზევებული ბრიტანეთი ჩამოარჩინა... კრიტიკოსებს არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ მიწა-მამულების მფლობელი მაშინდელი ელიტა ათვალწუნებით უმზერდა წარმოებას, მეცნიერებას და ტექნოლოგიებს]." - Kevin Phillips, *American Theocracy. The Peril and Politics of Radical Religion, Oil, and Borrowed Money in the 21st Century* (Viking, 2006), 16.

[533] "გლეხს პირადი თავისუფლება მიეცა. ამიერიდან მემამულეს აღარ შეეძლო გლეხის არც ყიდვა და გაყიდვა, არც გაცვლა ან გაჩუქება, როგორც ამას ბატონ-ყმობის დროს ჰქონდა ადგილი. მემამულე ვეღარ ჩაერეოდა გლეხის პირად ოჯახურ ცხოვრებაში, ვერ აუკრძალავდა მას ქორწინებას. გლეხს უფლება მიეცა თავისი სახელით დაედო ხელშეკრულება, ჩაბმულიყო ვაჭრობა-მრეწველობაში, შეეძინა უძრავ-მოძავი ქონება." - პროკოფი რატიანი, "ბურჟუაზიული რეფორმები საქართველოში" *საქართველოს ისტორია 2,* 34-35..

საქართველოშიც დადგა. პიროვნება მებატონის კუთვნილებიდან გათავისუფლდა, ის იმპერიის გარკვეული უფლებამოსილებების მქონე ქვეშევრდომად იქცა. მისი გათავისუფლება ისე არ მოხდა, როგორც ამას დიდი გერმანელი, ჰეგელი განმარტავს, - ანუ შრომის გზით, არამედ - უფრო, ბრძოლის და იმპერატორის პოლიტიკური გადაწყვეტილების წყალობით, მაგრამ პიროვნული ღირსების შრომის გზით რეალიზებისთვის მას უკვე გზა ხსნილი ჰქონდა და სწორედ მაშინ, ურბანულ ცივილიზაციაზე გარდამავალ ხანაში (მე-19 მე-20 საუკუნეების მიჯნაზე) რუსეთის იმპერიას – და მათ შორის, რასაკვირველია, "ქართულ გუბერენიებსაც" – პოლიტიკური ექსტრემიზმის სუსხიანმა გრიგალმა გადაუარა და პიროვნული თავისუფლების რეალიზაციის პირობები ისევ დააზრო.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი ლიბერალური იდეოლოგიის ქართულ საზოგადოებაში გავრცელების ისტორიული წინაპირობების გამორკვევის მცდელობაა. ქართული ისტორია აქ ლიბერალიზმის ძირითადი იდეის, პიროვნული *თავისუფლებისათვის* ბრძოლის კონტექსტშია გააზრებული, ხოლო ქართული სახელმწიფოს კვდომა და ხელახალი აღორძინება - ამ ბრძოლაში მიღწეული წარმატებების და განცდილი მარცხის პირდაპირ შედეგად მიჩნეული.

სოციალური თავისუფლება საწყისი, პრეისტორიული საურთიერთო მოცემულობაა. საზოგადოების წევრთა თავისუფლების შინაარსი სოციალური ორგანიზმის გართულების კვალობაზე ტრანსფორმირდებოდა, ხოლო „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში“ გაწერილი ანაბანას სადაგი თავისუფლების რეალიზების პირობები – თავისუფლების ძიებაში არაერთგზის მწარედ ხელმოცარული ქართული საზოგადოების შემთხვევაში – მხოლოდ დღეს, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გახდა რეალური. მანამდე, ისტორიული ევოლუციის ათასწლოვან ხვეულებში მოხეტიალე საზოგადოებას სუიციდური თვითუარყოფის ფაზის გავლა მოუწია. ქართულმა საზოგადოებამ თავისუფლების და უფლებამოსილებების ქვემორე მეტამორფოზები განიცადა:

პირველყოფილ თემში შემავალი "შვილები" ("ძმები", "მკვიდრები") თავისუფლები იყვნენ: არავის (არც თემის შიგნით და არც თემის გარეთ) ემონებოდნენ და არც არავის წინაშე ჰქონიათ რაიმე (სამეურნეო, ან პოლიტიკური) ვალდებულება; მათი თავისუფლება საყოველთავო თანასწორობაში გამოიხატებოდა; თემში შემავალი ადამიანები ერთობლიობაში დაუსახსრავ, იერარქიას მოკლებულ სოციალურ პირველუჯრედისებს შეადგენდნენ;[534]

კერძო საკუთრების გაჩენით, თემში სოციალური ვერტიკალი წარმოიქმნა და "ნათესავი" ორად გაიყო: სამეფო (ანუ მფლობელთა და უფლებამოსილთა) სახლად (იმავე "საზეპურო ერად", ანუ "სეფედ") და რიგითი წევრების სამკვიდროდ ("წვრილ ერად"). პირველის თავისუფლება "გადიდდა", ანუ დანარჩენი "წვრილი ერის" მიმართ ხარკის მიმთვისებლის უფლებამოსილებით გამდიდრდა, ხოლო მეორის - ხარკის

[534] რასაკვირველია, ასეთი წარმოდგენა რეალობის გამარტივებული სურათია და არაფერს ამბობს თემის წევრების არც სქესობრივ და არც ასაკობრივ სხვაობებზე, ისევე როგორც, პრაქტიკულად თემში მცხოვრებ, მაგრამ წევრობის უფლების არმქონე პირებზე - სამხედრო ტყვეები იქნებოდნენ ისინი, თუ ხიზნები.

გადახდის ვალდებულებით დაიმცრო. პირველის თავისუფლებამ თანდათან ძალაუფლების ნიშნები შეიძინა, ხოლო მეორის თავისუფლება - "საზეპურო ერის" საძალაუფლებო მარწუხებში გამოემწყვდა, მაგრამ პიროვნულ, ისევე როგორც კომლების, დონეზე მაინც მოახერხა თავისი უფლების (თავისუფლების) შენარჩუნება;

კერძო საკუთრების შემდგომმა გავრცელებამ და სათემო საკუთრების შემდგომმა შეზღუდვამ თავისუფლების შინაარსი თანდათან შეცვალა და ნათესავისადმი კუთვნილების (ანდა თემის მკვიდრობის) ნაცვლად - ის მიწის *მესაკუთრეობის* ნიშნით განსაზღვრა;[535]

რაკი ეკონომიკურად შეჭირვებულმა "მდაბურების" ფენამ მიწა პირად საკუთრებაში ვერ მოაქცია - მისი წევრების უმრავლესობა გაგლეხდა (დაგლახაკდა) და დაყმევდა. დაყმევება თავისუფლებასთან მიმართებაში ორგვარი იყო:

ყმობა, როგორც სოციალური ვერტიკალის, იმავე ფეოდალური კიბის, საფეხურებზე შედგომა - თავისუფლებაგადიდებული გვარების სანათესაოში მოქცევის და გადიდგვაროვნების გზით ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებამოსილების მოპოვებას მოასწავებდა, ხოლო ამ ვერტიკალს გარეთ დარჩენილი დაგლეხებული (დაგლახაკებულ-გაღატაკებული) მდაბურების შემთხვევაში - ყმობა, თავისუფლების დაკარგვას და კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაში ადამიანების (ოჯახების) მოქცევას ნიშნავდა. პიროვნული თავისუფლების ამ განადგურებით "დიდ თავისუფლებას" ნაზიარები აღზევებული კლასის *უფლებამოსილებაც* (დროთა განმავლობაში, თავისუფლების სიმძიმის ცენტრი ნებიერი მოქმედებიდან უფლებამოსილებისკენ ინაცვლებდა) მწარმოებელი მოსახლეობის წრეგადასულ ექსპლოატაციაში რეალიზდა, რამაც სოციალურ კლასთა ურთიერთობა უაზროდ დაასახიჩრა და ზნეობრივი პარამეტრები დააკარგვინა: ბატონის და ყმის ურთიერთობას, მორალური გამართლება აღარ ეძებნებოდა;

პოლიტიკა - არისტოტელეს თანახმად - *ზნეობრივი* საქმიანობაა და მიზნად სამართლიანი საზოგადოების შექმნას ისახავს;[536] *უზნეობის* მორევში ჩათრეული ბატონყმობის დროინდელი ქართული საზოგადოება, ამიტომ, პოლიტიკის სივრცეს უნდა მოწყვეტოდა და მოწყდა კიდეც თავისებურად:

---

[535] კერძო საკუთრების გარეშე პიროვნული თავისუფლება ვერ რეალიზდება. წყარო პაიპსი...

[536] "In Politics, Aristotle declared that … … politics is an ethical activity concerned with creating a "just society" - Andrew Heywood - "Politics" N.Y. 2002 Second edition. pg. 8. ISBN 978-0333-97131-4

თუ XII საუკუნის ბოლოს, პატრონყმობიდან ბატონყმობაზე გარდამავალ ფაზაში, მიწისმფლობელმა მაგნატებმა წარმომადგენლობითი საკრებულოს დაარსებით მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკური სისტემა შეცვალეს და შეზღუდული მონარქიით ჩაანაცვლეს, ბატონყმურ ხანაში მმართველი კლასის პოლიტიკური ნება საჯარო-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობისგან დაიცალა და კერძო-სამამულო ინტერესების მსახურებით შემოიფარგლა. დიდგვაროვნებმა და დიდებულებმა ეროვნული და პიროვნული თავისუფლების მთვარი მაგარანტირებელი ინსტიტუტი, ქართული სახელმწიფო - ბატონყმურ ფაზაში - თავზე დაიმხეს. ამ საბედისწერო აბრუნდის შედეგად როგორც "ზეპური", ისე "წვრილი" ერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტთან ერთად პიროვნულ თავისუფლებასაც დაემშვიდობა;

სახელმწიფოს აღდგენისთვის მებრძოლი ძალების ბოლო ციტადელს მაინც სამეფო სახლი (დაქუცმაცების გამო - სამეფო სახლები) წარმოადგენდა. მისი პოლიტიკური შესაძლებლობები, გარკვეული ზიგზაგების მიუხედავად საერთო ჯამში მაინც განუხრელად კნინდებოდა და სამამულო სისტემის დანამატად გადაგვარების ნიშნებს ავლენდა; არაერთი გაბრძოლების და დიდი შემართების მიუხედავად, სამამულო ინტერესების მძევლობისგან თავისუფალი პოლიტიკური ინსტიტუციების დაფუძნება უსასტიკესი საგარეო-პოლიტიკური წნეხის მიზეზითაც ვერ მოხერხდა და ქართული ისტორიის ბატონყმური ციკლი სრული ნაციონალური კატასტროფით დაიხურა;

ქრისტიანობის მაღალი იდეალების და "ვეფხისტყაოსნის" კულტურის აღმსარებელი "ქართველი ერი" საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა "ქართველობის" (რომლის ცნებაში ქართული სახელმწიფოც ისევე იგულისხმებოდა, როგორც ქართული ეკლესია და საადგილმამულო ურთიერთობის სისტემა) გადასარჩენად, მაგრამ მისსავე თანამოძმეზე გაბატონებისთვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში "გამარჯვებული" მოდგმა მისდა გასაოცრად დამარცხდა: თავისულებისადმი მისი ოდინდელი სულისკვეთება - თანდათან და განუხრელად - თვითგანადგურების ნიჰილისტურ ინსტინქტამდე გაიხრწნა, - ქართული თავადაზნაურობა მენტალურად "გათათრდა" ("გარუსდა") და სოციალური და პიროვნული თავისუფლებისთვის

ბრძოლის წინა ხაზზე ოდინდელი "წვრილი ერის" უფლებააყრილი შთამომავალი, ქართველი გლეხობა გამოვიდა;[537]

ლიბერალური რეფორმები, რომელიც რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის 60-70-იან წლებში განხორციელდა, უდიდეს რევოლუციურ მოსაბრუნს წარმოადგენდა ქართული საზოგადოების ევოლუციაში. თავადაზნაურული წარმოშობის, მაგრამ უკვე ინტელიგენციად გარდაქმნილი "თერგდალეულების" შემთხვევაში, პიროვნული და ეროვნული გათავისუფლების საკითხი ისევ ორგანიზებული სოციალური დაჯგუფების ხელში მოექცა; "თერგდალეულები", საერთო ჯამში, თავისუფლების თანამედროვე, ლიბერალ–დემოკრატიული გაგების ადეპტებად მოევლინენ მაშინდელ ქართულ საზოგადოებას.

ილიას პოლიტიკური ფილოსოფიის კვლევას ჩვენი შრომის მეორე ნაწილი მიეძღვნება.

ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს ნაკლად ილია სოციალური ისტორიის გაუაზრებლობას მიიჩნევდა.[538] რაკი საქართველოს სოციალური ქსოვილის და პოლიტიკური განვითარების კულმინაციური ფაზა თამარის ხანაა, ილიას სწორედ დავით აღმაშენებლის და თამარის "ოქროვან ხანაზე" დაკვირვებით ცდილობდა "ჩვენი ისტორიის 'ბალავრის ქვების' მოძიებას და მის საფუძველზე ახალი ქართული სახელმწიფოებრივობისათვის მყარი საძრიკვლის შექმნას"[539]

თავისი ეროვნული პროგრამა ილიამ ქართული განმანათლებლობის პეპერას, ვახუშტი ბაგრატიონის კონცეპტუალურ ქარგას დააყრდნო. ვახუშტის თანახმად, ქართველი ერის თვითცნობიერება (ქართველების ერთიანობის შეგნება) სამ ბურჯს ეფუძნა: ენას, სარწმუნოებას[540] და ქართულ სახელმწიფოს, როგორც სამეფოს.[541]

---

[537] ეს საკითხი, განსაკუთრებით კი მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების სახალხო მღელვარებების ისტორია, მეტ ყურადღებას და შესწავლას იმსახურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში...

[538] "ეგ ოხერი ჩვენი ისტორია (იგულისხმება - ისტორიოგრაფია ა.ჯ.) ... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს." (ციტირებულია წიგნიდან ო. გოგიაშვილი "ილია დღეს", თბ. 2008, 233).

[539] გოგიაშვილი, *ილია დღეს,* 221.

[540] ვახუშტისთვის ქართველთა ეროვნული იდენტობის საძირკველში დევს არა ზოგადად ქრისტიანობა, არამედ *ქართული ქრისტიანობა.* მისი *"რჯულით ქართველი"* ან *"სარწმუნოებით ქართველი"* იმ საფუძვლადმდებარე ფაქტის ცოდნას ემყარება, რომ ქართული ეკლესია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი იყო და არავითარ შემთხვევაში არ ახდენდა არც ერთი სხვა ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციის დუბლირებას. დოგმატური შემადგენლის იდენტურობის მიუხედავად, ქართული ეკლესია არც ბერძნულის, არც რომის და არც მით უფრო, რუსული

ვახუშტის კვალდაკვალ ილიაც "სამ საუნჯეზე" - ენაზე, მამულზე და სარწმუნოებაზე ლაპარაკობდა.[542] მაგრამ ილიამ მამულის ანუ ქართული სახელმწიფოს შემთხვევაში არსებითი ხასიათის სიახლეც შეიტანა: სამეფო და მეფე ზეცის მანდატს და შესაბამისად საკრალიზებულ სახელმწიფოს ასახიერებდა, მაშინ როდესაც - ილიას "მამულის" ცნებაში დესაკრალიზებული, მოდერნული ანუ *ხალხის* მანდატის მქონე სახელმწიფოს იდეა ეგულებოდა;[543] ილიას და მისი თანამებრძოლების განმანათლებრული საქმიანობის სამიზნე ჯგუფი მარტო თავადაზნაურობა არ ყოფილა; ილია ფართო სოციალურ საფუძველს დასწვდა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და ეროვნული იდენტობის ამაღორძინებელი სხვა საშუალებებით რიგითი ადამიანები შემოჰყავდა განახლებულ ერში (ანუ პოლიტიკური ინტერესის მქონე საზოგადოებაში) და ეროვნული მეობის მქონე ადამიანების დემოგრაფიულ საყრდენს გაბოგანოების გზაზე დამდგარი და მისსავე სამშობლოში დევნილად გადაქეული იმ "წვრილი ერის" ხარჯზე აფართოებდა, ვინც ასე თავგამოდებით იბრძოდა თავისუფლებისათვის.

ლიბერალიზმის წინაპირობების ქართულ ისტორიაში ძიება ილიას პოლიტიკურ ფილოსოფიაზე და მსოფლმხედველობაზე დაკვირვებამ გადაგვაწყვეტინა: ილიამ აკი ვახუშტის ტრიადას მეოთხე არსებითი ელემენტი დაამატა - *ქართული ისტორია,* ქართველი ხალხის იმ ერთიანი პოლიტიკური ინტერესის შეგნება და განცდა,

---

მართლმადიდებელი ეკლესიის ანალოგი და იგივური დაწესებულება არ ყოფილა. და რა სამწუხაროა, რომ ეს გაგება სადღეისოდ ამოშანთულია ქართული ეკლესიის მსახურთა უმრავლესობის შეგნებიდან.

[541] უფრო დაზუსტებით, ვახუშტისთვის, როგორც ბაგრატიონთა სახლიშვილისთვის, ქართული სახელმწიფო - სამეფო სახლთან, დინასტიასთან ორგანულად იყო დაკავშირებული, რაც, მაშინდელი რეალობის გათვალისწინებით, სავსებით გასაგები დისპოზიციაა.

[542] მამულის ცნებაში ილია ქართული სახელმწიფოს გარდა სხვას არც არაფერს მოიაზრებდა. ილიას არ შეეძლო ვახუშტის მსგავსად ტერმინი "სამეფო", ან "სახელმწიფო" ეხმარა თავის პუბლიკაციებში და ის უფრო ფართო სემანტიკური შინაარსის მქონე, არსებითად ბუნდოვანი, სიტყვით - "მამულით" ჩაანაცვლა; უფრო დაზუსტებული განმარტების საშუალებას მას არსებული ცენზურა არ მისცემდა.

ზოგ შემთხვევაში "ენას" ილია "ეროვნების" მნიშვნელობითაც ხმარობდა: "მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული მამულს და ეროვნებას და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა [ეს სამება] წაიმძღვარა წინ" - ("ივერია" N 9. 1888, 2).

[543] "ერეკლე მეფის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში ილია გაიხსენებს ხალხურ ლექსს - ,,ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე... ბაგრატიონთა გვარია.“ მეფის სიმბოლო აქ მნიშვნელოვანია. მეფის სიკვდილის შემდეგ მოხდა მისი მამულში განსხეულება, რაც მემკვიდრეობად ერგო ხალხს. სწორედ ამაში ვლინდება ემანსიპაციის პროცესი. ამ მხრივ რევოლუცია იყო მეფობის ინსტიტუტის დესაკრალიზება. სეკულარიზაციის ამ პროცესმა შექმნა პოლიტიკა, როგორც საერო სივრცის ნაწილი" - (სერგო რატიანი – „სარწმუნოებით ქართველი“: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება". სტატია კრებულში - "ქართველი ერის დაბადება". თბ. 2011. გვ. 50).

რომელიც მას წინარე საუკუნეებიდან მოსდგამდა. ეს მეოთხე ელემენტი ილიამ მკაფიოდ გამოაცალკევა თავის ნაწერებში:[544]

"ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა".[545]

რუსულმა იმპერიამ მეცხრამეტე საუკუნის 60-70-იანი წლებში ქართული პოლიტიკური სისტემის ბოლო ინსტიტუციური ნარჩენები გააქრო და საქართველო ისტორიული მეხსიერების სახითღა შემორჩა ხალხის ხსოვნაში. ილიასთვის ეს "ისტორიული მეხსიერება" ის ნაცარწაყრილი ნაღვერდალი იყო, რაც "უკეთეს ხვალეში" სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის სახით უნდა გაღვივებულიყო. მართალია, ქართული სახელმწიფო ინსტიტუციურად უკვე ბუნებაში აღარ არსებობდა, მაგრამ საქართველო, როგორც იდეალური მოცემულობა ჯერაც ცოცხლობდა ხალხის შეგნებაში. მთავარიც ეს იყო: ილიას მოეხსენებოდა, რომ იდეას ობიექტივაცია ანუ ხორცშესხმა შეუძლია გარკვეულ პირობებში. და როცა ის ეროვნულ ინსტიტუტებს აყალიბებდა (ბანკი, წერა-კითხვის საზოგადოება, თეატრი, მედია საშუალებები და სკოლები...), სწორედ ეროვნული სახელმწიფოს, ანუ პოლიტიკური საქართველოს ძველისძველი იდეის ახლებურ გასაგნება-ობიექტივაციას ახდენდა. სწორედ ამიტომ დაამატა მან ვახუშტის ტრიადას ისტორიზმის მეოთხე ელემენტი[546].

"როგორც კაცად არ იწოდება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს - ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს,"[547] - წერდა ილია; ისტორია მისი ლიბერალური იდეოლოგიის და პოლიტიკური ფილოსოფიის საძირკველია.

---

[544] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვახუშტიც არ იდგა შორს ამ მეოთხე ელემენტისგან. მართალია, მას სათნადო ფორმულირება არ მოუხდენია, მაგრამ "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", გეოგრაფიასთან ერთად ქართლის მატიანესაც მოიცავს, საქართველოს გაბმულ ისტორიას „დასაბამიდან“ - XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ვახუშტის გარჯა სწორედ ისტორიის არსებითი მნიშვნელობის შეგნებითი იყო გაპირობებული და მოტივირებული.

[545] ილია თხზულებანი. ტ. 6. გვ. 58.

[546] "ამ ცნობიერებით იკვლევდა ილია ჭავჭავაძე საქართველოს მომავალს, როგორც წარსულზე და აწმყოზე დაფუძნებულს. "აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა" - ხშირად იმეორებდა ილია გ.ვ. ლაიბნიცის (1646-1716) ამ სიტყვებს" - (გ. თევზაძე - "ილია და თანამედროვე აზროვნება". გვ. 4).

[547] ილია ჭავჭავაძე, "დავით აღმაშენებელი", *თხზულებანი* (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1984), 604.

წინამდებარე კვლევაში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ილია არ შემცდარა: ქართული ისტორიის წიაღში გადგმული თავისუფლებისადმი სწრაფვის იდეური და კულტურული საძირკვლები ნამდვილად ღრმაა; შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ქართული საზოგადოების დასავლური, ლიბერალური ღირებულებებით დაინტერესება მხოლოდ გლობალიზაციის პროცესისადმი ფეხის შეწყობის სურვილით, ან საგარეოპოლიტიკური კონიუნქტურის კარნახით კი არ არის გამოწვეული, არამედ საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობის მავალდებულებელი იმპერატივითაც.

ბიბლიოგრაფია

პირველწყაროები

1. ბაგრატიონი, დავით. *საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა.* აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1959.
2. ბასილი ეზოსმოძღვარი. "ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი". *ძველი ქართლის ცხოვრება.* გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა. თბილისი: ნიკე, 1996: 383-413.
3. "გარიგება ხელმწიფის კარისა". წიგნში: ივანე ჯავახიშვილი, *ქართული სამართლის ისტორია I.* თბილისი: მეცნიერება, 1982: 373-405.
4. დოლიძე, ისიდორე. *ძველი ქართული სამართალი: ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი. აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი. ბაგრატ კურაპალატის სამართალი. კანონიკური სამართალი.* ტექსტი გამოიკვლია და ლექსიკონი დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953.
5. ვახუშტი ბატონიშვილი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი. ქართლის ცხოვრება IV.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვთ ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: 1973. http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/mgeo/vaxtbagr/vaxtb.htm (02.06.2018).
6. თაყაიშვილი, ექვთიმე. *ხელმწიფის კარის გარიგება. ტფილისის ქართული ძეგლები - IV,* კანონდმებლობა N 1. თბილისი: უნივერსიტეტის გამოცემა, 1920, 34-35.
7. ----------. *საქართველოს სიძველენი. ტ. I. გამოცემა II, წიგნი I.* ტფილისი: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1920. http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/617/1/saqartvelos%20sidzveleni%20tomi%20I.pdf (19. 05. 2018).
8. ---------- . *საქართველოს სიძველენი. ტ. II.* ტფილისი: საქართველოს საისტორიაო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1909. http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/619 (19.05. 2018).
9. ---------- . *საქართველოს სიძველენი. ტ. III.* ტფილისი: საქართველოს საისტორიაო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1910. http://dspace.gela.org.ge/handle/123456789/621 (19.05.2018).
10. ჟამთააღმწერელი. *ასწლოვანი მატიანე.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1987.
11. ჟორდანია, თედო. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. წიგნი I.* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტფილისი: მ. შარაძის სტ., 1892.
12. ჟორდანია, თედო. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის და მწერლობისა. წიგნი II.* შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხ., 1897.

13. *სამართალი ბატონისშვილის დავითისა.* ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1964.
14. *სამართალი ვახტანგ მეექვსისა.* ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებელები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1981.
15. *ქართლის ცხოვრება, ტომი I.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: სახელგამი, 1955.
16. ----------, *ტომი II.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1959.
17. *ქართული სამართლის ძეგლები I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული.* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერებათა აკადემის გამომცემლობა, 1963.
18. ---------- *II.* საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1965.
19. ---------- *III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს).* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1970.
20. ---------- *IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს).* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1972.
21. ---------- *V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს).* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1974.
22. ---------- *VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს).* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1977.
23. ---------- *VII. სასამართლო არზა-ოქმები (XVIIIს).* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1981.
24. ---------- *VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო სამართლებრივი აქტები.* ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება, 1985.
25. *ქართული ძეგლები - IV. კანონმდებლობა N1. თაყაიშვილი ე. ხელმწიფის კარის გარიგება.* ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1920.
26. "ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი". *ძველი ქართლის ცხოვრება.* გამოსაცემად მოამზადეს აკადემოკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა. თბილისი: ნიკე, 1996: 298-300.
27. *ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ. (რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე). საქართველოს ისტორიის წყაროები, 62; ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, IX. თბილისი: მეცნიერება, 1992.
28. *ძეგლის დადება გიორგი მეხუთის ბრწინვალისა,* ტექსტი მოამზადა, რუსულად თარგმნა, საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1988.

29. უცნობი მემატიანე, "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". *ძველი ქართლის ცხოვრება.* გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსებმა ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა. თბილისი: ნიკე, 1996: 304-383.
30. "ხელმწიფის კარის გარიგება". *ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები.* თბილისი: 1970.

სამეცნიერო ლიტერატურა

31. აბაშმაძე, ვახტანგ. *ქართული ინტელექტუალური ფენომენები - ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები.* თბილისი: თსუ, 1992.
32. ავალიშვილი, ზურაბ. *ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1989.
33. ანთელავა, ილია. *XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები.* თბილისი: განათლება, 1980.
34. ანთელავა, ირაკლი. "კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმების წინარე ხანის საქართველოში". *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 5.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970: 227-272.
35. ანთელავა, ირაკლი. ორჯონიკიძე, ეთერ. "ფეოდალურ ბატონყმური სისტემის რღვევა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება". *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 5.* თბილისი: საბჭოთა საქართელო, 1970: 40-67.
36. ასათიანი, ნოდარ. "საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში." *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. 77.* თბილისი: თსუ, 1959. http://umurgulia82.blogspot.com/2018/04/blog-post_18.html (15.06.2018).
37. ასათიანი, ნოდარ. "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა XIII საუკუნის პირველ მეოთხედში," *საქართველოს ისტორია, ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით, ტ. II.* თბილისი: თსუ, 2008: 10-19.
38. ბადრიძე. შოთა. "საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 3.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979: 296-316.
39. ბაქრაძე, აკაკი. *ილია ჭავჭავაძე. წიწამური.* თბილისი: ნაკადული, 1984.
40. ბახტაძე, მიხეილ. "სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში. ხალხოსნობა," *საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004: 179-181.
41. ბერდიაევი, ნიკოლაი. *ერი და კაცობრიობა.* მთარგმნელი ზურაბ კიკნაძე. თბილისი: ლომისი, 1993.
42. ბერდიაევი, ნიკოლაი. "თავისუფლება," *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე.* შემდგენელი, რედაქტორი და შესავალი წერილის ავტორი გ. ნოდია. თბილისი: CIPDD, 1994: 208-219.
43. ბერდიაევი, ნიკოლაი. "ფილოსოფიური ჭეშმარიტება და საინტელიგენციო სიმართლე," *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე.* შემდგენელი, რედაქტორი და შესავალი წერილის ავტორი გ. ნოდია. თბილისი: CIPDD, 1994: 16-35.

44. ბერძენიშვილი, მაქსიმე. *მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის. ყაზარმობის რაობისათვის.* თბილისი: მეცნიერება. 1983.
45. ბერძენიშვილი, ნიკო. *საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II.* თბილისი: მეცნიერება, 1956.
46. ----------. *საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი III.* თბილისი: მეცნიერება, 1965.
47. ----------. *საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI. საქართველო XI-XVIII საუკუნეებში,* თბილისი: მეცნიერება, 1973.
48. ----------. *საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VII.* თბილისი: მეცნიერება, 1975.
49. ----------. *საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VIII. მეორე გამოცემა. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის.* თბილისი: მეცნიერება, 1990.
50. ----------. *საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. დაბეჭდილია გ. ნიორაძის წიგნში, ძველი ქვის ხანა კავკასიაში.* თბილისი: 1937. ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი. ttp://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/68378 (12. 06. 2018).
51. ბოგვერაძე, ანრი. "სოციალ-ეკონომიკური ვითარება VI-VIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში", *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 2* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973: 297-311.
52. ბოგვერაძე, *ანრი. მდაბიო. ქსე.* ტ. 6. თბილისი, 1983.
53. გაფრინდაშვილი, მიხეილი. "ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები 5.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970: 450-470.
54. გვიანიშვილი ნანული. *ანარქიზმის ისტორია საქართველოში.* თბილისი: ლეგა, 2005.
55. გვრიტიშვილი, დავით. *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები).* თბილისი: სახელგამი, 1955.
56. გოგიაშვილი, ომარ. *ილია დღეს. იდეოლოგია, პოლიტიკა.* თბილისი: 2008.
57. გურული, ვახტანგ. "ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 60-80-იან წლებში." *საქართველოს ისტორია - XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004: 131-145.
58. დე ტოკვილი, ალექსის. *დემოკრატია ამერიკაში.* ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ. თბილისი: რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
59. *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი I.* თბილისი: ილიაუნი, 2011.
60. დოლიძე, ისიდორე. *ძველი ქართული სამართალი.* თბილისი: მეცნიერება, 1953.
61. დუმბაძე, მამია. "ბრძოლა ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის." *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 4.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973: 830-836.
62. დუმბაძე მამია. "თავისუფალ მოლაშქრეთა ფენის წარმოქმნა." *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973: 555-559.
63. ვაჩეიშვილი, ალექსანდრე. *ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან III.* გ. თარხნიშვილის რედ. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1963.

64. ვაჩნაძე, მერაბ. "გურიის, სამეგრელი, სვანეთის და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება." *საქართველოს ისტორია - XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004: 124-130.
65. ვაჩნაძე, მერაბ. "ყირიმის ომი და საქართველო." *საქართველოს ისტორია - XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004: 121-124.
66. ზაქარია, ფარიდ. "არალიბერალური დემოკრატიის აღზევება". *საზოგადოება და პოლიტიკა N 3.* თბილისი: CIPDD. 2000: 27-50.
67. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, შედგენილი იანოშ კიშის მიერ: ი. ბერლინი, ფ. ჰაიეკი, რ. როულსი, რ. ნოზიკი და სხვები. თბილისი: ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა - ცის ნამი, 1997.
68. თევზაძე გურამ. *ახალი ფილოსოფიის ისტორია. ნაწილი 1. განმანათლებლობა.* თბილისი: Carpe diem, 2009. 10-12.
69. ----------. *ილია ჭავჭავაძე და თანამედროვე აზროვნება.* თბილისი: Carpe diem. 2010.
70. თინიკაშვილი, დავით. *ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკნეებში.* სადისერტაციო ნაშრომი ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტი თბ. 2015. http://iliauni.edu.ge/uploads/other/16/16825.pdf (09.06. 2018)
71. თორაძე, ვახტანგ. თორაძე, ნინო. *საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში.* თბილისი: რუბიკონი, 1995.
72. ითონიშვილი, ვალერიან. "ერთხელ კიდევ "ძეგლის დების" შესახებ." *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. 23–ე.* თბილისი: მეცნიერება, 1987: 46–69.
73. ინგოროყვა, პავლე. *გიორგი მერჩულე - ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან.* თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1954.
74. იოსელიანი, ავთანდილი. "რეაქციული ძალების შემოტევა ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ." *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 5.* თბილისი: საბჭოთა საქართეველო, 1970: 643-648.
75. კაკაბაძე, სარგის. *ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა.* თბილისი: დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1994.
76. ----------. *კრწანისის ომი.* თბილისი: მეცნიერება, 1991.
77. კიკნაძე, რევაზ. "ჟამთააღმწერელი და მისი ასწლოვანი მატიანე." წიგნში: *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე.* თბილისი: მეცნიერება, 1987: 10-37.
78. კუპატაძე, ბონდო. "საქართველოს ხელისუფლება და მოსახლეობა XIX საუკუნეში," *საქართველოს ისტორია - XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი 2004: 6-33.
79. ლომინაძე, ბაბილინა. "ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XII-XIV სს.," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 3.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979: 753-801.
80. ----------. "საქართველო XIV საუკუნის II ნახევარში, გიორგი ბრწყინვალე." *საქართველოს ისტორიის ნარკვევების. ტ. 3.* თბილისი: საბჭოთა საქართელო, 1979: 623-667.
81. ლორთქიფანიძე, გრიგოლ. *ფიქრები საქართველოზე.* თბილისი: თსუ, 1995.

82. ლორთქიფანიძე, მარიამ. "XI-XII სს. ისტორიის წყაროები," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 3.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979. 11-18.
83. ----------. "საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3.* თბილისი: საბჭოთა საქართევლო. 1979: 263-296.
84. მამულია, გურამ. *პატრონყმობა.* თბილისი: მეცნიერება, 1987.
85. მასხარაშვილი, სიმონ. *მატიანე ქართველთა,* მეორე გამოცემა. თბილისი: ელფის გამომცემლობა, 2006.
86. მახარაძე ირაკლი. ხეცურიანი ლაშა. *რუსულ–ქართული ტერორი. (1880-1924).* თბილისი: დიოგენე. 2009.
87. მეგრელიძე, შამშე. *საქართველო აღმოსავლეთის ომებში.* თბილისი: მეცნიერება, 1974.
88. მელიქიშვილი გიორგი. *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი.* თბილისი: 1973.
89. ----------. "ძველაღმოსავლური საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ხასიათიის საკითხი საბჭოთა მეცნიერებაში," *ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია.* თბილისი: თსუ, 1971: 21-35.
90. ----------. "ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები, " *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970: 570-620.
91. მესხია შოთა. "XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან. "საკარგავის" მნიშვნელობისათვის," *საისტორიო ძიებანი ტ. 1.* თბილისი: მეცნიერება, 1982: 324-375
92. ----------. *საისტორიო ძიებანი სამ ტომად ტ. 1.* რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი: მეცნიერება, 1982.
93. ----------. *საისტორიო ძიებანი ტ. 2.* ტომის რედაქტორი რ. მეტრეველი. თბილისი: მეცნიერება, 1983.
94. ----------. *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.
95. მეტრეველი, ვალერიან. *საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორია.* თბილისი: მერიდიანი, 2003.
96. მინდაძე, ნუნუ. "ქადაგობის საკითხისათვის საქართველოს მთიანეთში," *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტომი 23.* თბილისი: მეცნიერება, 1987: 174-181.
97. მონტესკიე, შარლ ლუი. *კანონთა გონი.* ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძემ. თბილისი: CIPDD, 1994.
98. მღვდელი მიქელ თამარაშვილი. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილი საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე.* ავტორის მიერ გამოცემული ტფილისი 1902 წელს. რეპრინტი. თბილისი: სიესტა. 2011.
99. მცხეთური ხელნაწერი. *ფსალმუნები.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1983.

100. ნადარეიშვილი, გიორგი. *სახელმწიფო, სამართალი და მორალური ნორმები ვეფხისტყაოსნის მიხედვით.* თბილისი: მეცნიერება, 2002.
101. ----------. *ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.* თბილისი: ბონა კაუზა, 2005.
102. ნოდია, გია. "დემოკრატიზაცია და გარე ფაქტორები: დემოკრატიული თეორია და საქართველოს მაგალითი,"*დემოკრატიზაცია საქართველოში გარე ფაქტორების როლი.* თბილისი: ილიაუნი, 2010: 7-50.
103. ----------. *დემოკრატიზაციის კრიზისი საქართევლოში? დემოკრატიული კონსოლიდაციის ხედვა, გზები და რესურსები.* თბილისი: CIPDD. 2012.
104. ----------. "ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი," *ქართველი ერის დაბადება.* ილია ჭავჭავაძესადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. თბილისი: ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტი, 2011: 144-174.
105. ----------. "ძველი ინტელიგენცია და ახალი ინტელექტულები საქართველოში: პარადიგმის ცვლა?" *საზოგადოება და პოლიტიკა, N 4.* თბილისი: CIPDD, 2002: 9-23.
106. ნოზაძე, ვიქტორ. *ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება.* სანტიაგო დე ჩილე: 1958.
107. ორჯონიკიძე, ეთერ. "ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართელოში," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები 5.* თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1970: 191-227.
108. პაპუაშვილი, თენგიზ. "საქართველოს ფეოდალური საზოგადოება აღმავლობის გზაზე. კულტურა, სწავლა განათლება და კულტურის ცენტრები," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 3.* თბილისის: საბჭოთა საქართევლო, 1979: 369-403.
109. ჟვანია, ზურაბ. *საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის სიტყვა წარმოთქმული ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე.* გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" N 23 (3064), 28 იანვარი, 1999.
110. ჟორდანია, თედო. *ბატონყმობა საქართველოში. თხზულებანი.* თბილისი: არტანუჯი, 2011.
111. რაისნერი ოლივერ. "ორი სამყაროს მგზავრი," *ქართველი ერის დაბადება.* თბილისი: 2011: 59-82.
112. რატიანი, პროკოფი. "ბურჟუაზიული რეფორმები საქართველოში," *საქართველოს ისტორია 2,* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962: 34-59.
113. ----------. "გლეხთა მოძრაობის გაძლიერება, დიდი აჯანყებები," *საქართველოს ისტორია 2.* ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962: 7-12.
114. ----------. "კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში," *საქართველოს ისტორია ტ. II.* ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით . თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962: 45-94.
115. ----------. "მიწათმფლობელობა საქართველოში რეფორმის შემდეგ და გლეხთა აგრარული მოძრაობა," *საქართველოს ისტორია, ტომი II.* დამხმარე სახელმძღვანელო ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962: *128-139.*
116. ----------. "ქართველი ერის ჩამოყალიბება," *საქართველოს ისტორია. ტომი II.* ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962: 94-102.

117. რატიანი სერგო. "სარწმუნოებით ქართველი: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება," კრებულში: *ქართველი ერის დაბადება.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011: 34-59.
118. რეხვიაშვილი, მიხეილ; რეხვიაშვილი, ნუგზარ. *საქართველოს ისტორია.* ქუთაისი: საზოგადოება "სტამბის" საგამომცემლო ცენტრი, 2000.
119. რუსთველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანში.* მესამე სასკოლო გამოცემა, გამოსაცემად მოამზადა და განმარტებები დაურთო ნოდარ ნათაძემ. თბილისი: განათლება, 1986.
120. რუსო, ჟან ჟაკ. *საზოგადოებრივი ხელშეკრულება.* ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ. თბილისი: 1997.
121. *საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004.
122. *საქართველოს ისტორია, ნაწილი I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.* ს. ჯანაშიას რედაქციით. ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას ავტორობით. თბილისი: საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა 1940. რეპრინტი პირვანდელი სახით. გამომცემელი შპს "გარულა".
123. *საქართველოს ისტორია. ტ. 2.* ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1962.
124. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად. ტ. 1. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე.* ტომის რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970.
125. ----------. *ტ. 2. საქართველო IV-X საუკუნეებში.* ტომის რედაქტორი შოთა მესხია. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
126. ----------. *ტ. 3. საქართველო XIII-XV საუკუნეებში.* ტომის რედაქტორები: ზურაბ ანჩაბაძე და ვიქტორ გუჩუა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979.
127. ----------. *ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.* ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
128. ----------. *ტ. 5. საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში.* ტომის რედაქტორი ირაკლი ანთელავა. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1970.
129. სენი, ამარტია. "დემოკრატია, როგორც უნივერსალური ფასეულობა," *საზოგადოება და პოლიტიკა N 3.* თბილისი: CIPDD, 2000: 5-21.
130. სმითი, ადამ. *გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ, ტომი I, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ,* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011.
131. სოსელია, ოლღა. "სახელმწიფო მმართველობის გადახალისების ცდები," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად. ტ. 4.* თბილისი: საბჭოთა საქ. 1973: 529-533.
132. სურგულაძე, ივანე. *დასტურლამალი.* თბილისი: ქსე 3. 1977. 396-397.
133. სურგულაძე, ივანე. *ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან.* თბილისი: განათლება 1965.
134. ----------. *საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის* თბილისი: თსუ, 1952.

135. ----------. *ქართული სამართლის ისტორიის წყაროები.* რედაქტორები: პროფ. ვ. მეტრეველი და პროფ. ნ. სურგულაძე. თბილისი: 2002.
136. ფირანიშვილი, პაატა. "ბატონყმობის გაუქმება საქართველოში," *საქართველოს ისტორია - XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004: 149-154.
137. ფრანკი, სემიონ. "რუსული რევოლუციის რელიგიურ-ისტორიული საზრისი," *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე.* შემდგენელი, რედაქტორი და შესავალი წერილის ავტორი გ. ნოდია. თბილისი: CIPDD, 1994: 2019-239.
138. ----------. "ნიჰილიზმის ეთიკა,"*რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე.* თბილისი: CIPDD, 1994: 35-67.
139. ----------. "უტოპიზმის ერესი," *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე.* თბილისი: CIPDD, 1994: 159-176.
140. ფუკუიამა, ფრენსის. *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი* თბილისი: CIPDD, 1999.
141. ფურცელაძე, დავით. *ძეგლის დება გიორგი V-ის ბრწყინვალისა.* ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძე. თბილისი: მეცნიერება, 1988.
142. ქაზიმზადე, ფირუზ. *ბრძოლა ამიერკავკასიისთვის 1917-1921.* მიხეილ კარპოვიჩის წინასიტყვაობით. თბილისი: პოეზია, 2016.
143. *ქართველი ერის დაბადება.* ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. (26-27 ნოემბერი 2007). გიგა ზედანიას რედაქტორობით. თბილისი: ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტი, 2011.
144. *ქართული ანდაზები.* შეადგინა აკაკი კანდელაკმა. თბილისი: საბჭოთა მწერალი, 1959.
145. ქიქოძე, მანანა. *ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.* თბილისი: მეცნიერება, 1988.
146. ----------. "სოციალური ურთიერთობის მოწესრიგების ცდები," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973: 393-398.
147. ყაზბეგი, ალექსანდრე. *თხზულებანი* . თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1985.
148. ყორანაშვილი, გურამ. *ილიას ფენომენი.* თბილისი: უნივერსალი, 2007.
149. შველიძე, დიმიტრი. *კავკასიისა და საქართველოს კოლონიური მმართველობის რეორგანიზაცია. საქართველოს ისტორია - XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004. 114-119.
150. შველიძე, დიმიტრი. "რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში," *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004: 60-78.
151. ----------. "*საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ.* თბილისი: მერიდიანი 2014.
152. ----------. "გურიის 1841 წლის აჯანყება," *საქართველოს ისტორია - მე-19 საუკუნე.* თბილისი: არტანუჯი, 2004: 119-121.
153. ----------. "აი, ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!" თბილისი: 2001.
154. შოშიაშვილი, ნოდარ. *"უფალი", ქსე* ტ. 10. თბილისი: 1986.
155. ----------. "აბულასანი", *ქსე, ტ. 1.* თბილისი: 1975.

156. ჩერქეზიშვილი ვარლამ. *თხზულებანი. ტ. 1.* საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შემდგენელი და რედაქტორი დიმიტრი შველიძე. თბილისი: კარპე დიემ, 2011.
157. წერეთლი, მოხაკო. *ერი და კაცობრიობა.* ედუარდ კოდუას რედაქტორობით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990.
158. ჭავჭავაძე ილია. ხუთტომეული. ტ. 4. თბილისი: 1985.
159. *ჭკუა ვაისაგან. კრებული.* თბილისი: ლიცეუმი, 1994.
160. ხიზანიშვილი, ნიკო. *რჩეული იურიდიული ნაწერები.* მოამზადა და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ. იურიდიული მონოგრაფია. თბილისი: მეცნიერება, 1982.
161. ჯავახიშვილი, ივანე. *ქართველი ერის ისტორია ხუთ ტომად. ტ. 2.* შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ჯაბა სამუშიამ. თბილისი: პალიტრა L, 2012.
162. ----------. *ქართველი ერის იტორია ხუთ ტომად. ტ. 5.* თბილისი: პალიტრა L, 2012.
163. ----------. "ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა," *თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. 8.* ტომის რედაქტორი მარიამ ლორთქიფანიძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.
164. ----------. "ქართველი ერის ისტორია. წიგნი I. (უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე)," *თხზულებანი 12 ტომად. ტ. I.* ტომის რედაქტორი ვალერიან გაბაშვილი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.
165. ----------. "ქართველი ერის ისტორია. წიგნი II. (VII-XII სს)," *თხზულებანი 12 ტომად. ტ. II.* ტომის რედაქტორი ვალიერიან გაბაშვილი. თბილისი: მეცნიერება, 1983.
166. ----------. "ქართველი ერის ისტორია. წიგნი III და IV (XIII-XIVსს)," *თხზულებანი 12 ტომად. ტ. III.* ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.
167. ----------. "ქართული სამართლის ისტორია. პირველი წიგნი და მეორე წიგნის პირველი ნაკვეთი,"*თხზულებანი 12 ტომად. ტ. 6.* ტომის რედაქტორი ისიდორე დოლიძე. თბილისი: მეცნიერება, 1982.
168. ----------. "ქართული სამართლის ისტორია. მეორე წიგნის მეორე ნაკვეთი," *თხზულებანი 12 ტომად. ტ. 7.* ტომის რედაქტორი ისიდორე დოლიძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.
169. ჯანაშია, სიმონ. "საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე,"*შრომები ტ. I.* თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949: 131-298.
170. ----------. "ფეოდალური რევოლუცია საქართველოში,"შრომები, ტ. I თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1949: 1-131.
171. ----------. "ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის," *შრომები ტ. II:* თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952: 341-438.
172. ----------. "საქართველოს ისტორია," *შრომები V.* თბილისი: მეცნიერება, 1986.
173. ჯამბურია, გივი. "სოციალური ურთრიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს.," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973: 187-225.

174. ----------. "შაჰ აბასის შემოსევები საქართველოში," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 4.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973: 262-274.
175. ----------. "საქართველოს სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრივი წყობილება XVI-XVII სს. ადგილობრივი მმართველობა," *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. 4.* თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973: 225-237.
176. ჯაფარიძე, ანანია.*ქართველთა დენაციონალიზაცია, გათათრება.* http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=patriarc&cl=CL3&d=HASHda05345f254c8b87205372.5.3 (15. 05. 2018).
177. ჯონსი, სტივენ. *სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივევრსიტეტი: 2011.
178. ჯონსონი, ჯანეტ ბუტოლფ და ჰ. ტ. რეინჰოლდსი ჯეისონ დ. მაიკოფთან ერთად. *პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.
179. ჯოხაძე, ავთანდილი. "ილია XXI საუკუნეში," *ქართული დიპლომატია. წელიწდეული N 14.* მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი: არტანუჯი, 2011: 157-172.
180. ----------. "ლიბერალიზმის სამართლებრივი წინაპირობები ქართულ ისტორიაში,"*რელიგია, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი* N2 2011. თბილისი: 2011: 74-91.
181. ----------. "პიროვნების თავისუფლების საკითხისთვის ქართულ ისტორიაში,"*რელიგია, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი* N1 2001. თბილისი: 2011: 71-85.
182. ----------. "ჩვენი ერთადერთი და განუმეორებელი ეკლესია," *რელიგია, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი* N4 2010.თბილისი: 2010: 74-86.
183. ჯოხაძე, ავთო. "პოლიტიკური ფორუმი: ათი შეკითხვა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე," *საზოგადოება და პოლიტიკა 6.* თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2007: 268-291.
184. ----------. "პრაქტიკულად მონოფიზიტური,"*რელიგია და საზოგადოება III* თბილისი: კავკასიური სახლი, წმინდა ირინეოს ლიონელის ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი, 2004: 29-40.
185. ----------. "სიკვდილი ბიზანტიურად", *საზოგადოება და პოლიტიკა* 4. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2002: 173-191.
186. ხერგიანი მირონ. *წიწამურიდან ჩვენამდე.* თბილისი: მერანი 1989.
187. ჰეივუდი ენდრიუ. *პოლიტიკური იდეოლოგიები.* თბილისი: ლოგოს პრესი, 2004. 1987.
188. ჰეივუდი, ენდრიუ. *პოლიტიკა.* თბილისი: საქართველოს მაცნე, 2008.

189. Ashcraft, Richard. *Locke's Two Treaties of Government.* Boston: Unwin Hyman, 1987.
190. Berlin, Isaiah. *Four essays on Liberty.* Oxford University Press, 1969.

191. Bosworth, C. E. (1995). *DĪVĀN – ii. GOVERNMENT OFFICE.* In Yarshater, Ehsan. Encyclopaedia Iranica. VII, 432–438;
192. Carothers, Thomas. "The Backlash Agianst Democracy Promotion",*Foreigh Affaits* (March/April, 2006).
193. Diamond, Larry. *The Spirit of Democracy.* New York: Macmillan, 2008.
194. Doyle, Michael W. "Liberalism and the Transition to a Post-Cold War System", *The International System After the Collapse of the East-West Order.* Edited by Armand Clesse, Richard Cooper, Yoshikazu Sakamoto. Dordrecht/Boston/London: Kluwer Academic Publishers, 1994: 85-105.
195. Duri, A. A. (1991). *Dīwān i.—The caliphate. The Encyclopedia of Islam*, New Edition, Volume II. Leiden and New York: BRILL: 323–327.
196. Fairbanks, Charls H. Jr., "Georgia's Societ Legacy", *Journal of Democracy*, Vol. 21, N 1 (January 2010): 144-151;
197. Fears, J. Rufus. *Freedom: The History of an Idea, History of Freedom.* FPRI - Foreign Policy Research Institute. https://www.fpri.org/article/2007/06/freedom-the-history-of-an-idea/ (22. 05.2018).
198. Finer, S. E. *ed., The History of Government from the Earliest Times. Volume 1. Ancient Monarchies and Empires.* Oxford University Press, 1999.
199. ----------*., The History of Government from the Earliest Times.* V*olume 2. The intermediate Ages.* Oxford University Press, 1999.
200. ----------*., The History of Government from the Earliest Times.* V*olume 3. Empires, Monarchies, and the Modern State.* Oxford University Press, 1999.
201. Frazer, Sir James George. *The Golden Bough: a Study of Magic and Religion.*
202. http://www.gutenberg.org/files/3623/3623-h/3623-h.htm (22. 05. 2018).
203. Fukuyama, Francis. *Transitions to the Rule of Law.* Journal of Democracy (Volume 21, January 2010, N 1): 31-44.
204. Gershman, Carl and Allen, Michael. "The Assault on Democracy Assistance", *Journal of Democracy,* Vo. 17. No 2, (April 2006): 36-51.
205. Goldberg Jonah. *Liberal Fascism . The Secrit History of the American Left, from Mussolini to the Politics of* Change. New York: 2007.
206. Hall, Manly. P. *The Secret Destiny of America; Western Culture a Thousand Years Before Columbus.* USA: Penguin Group, 1980.
207. Hegel, Georg Wilhelm Friedrich. *The Philosophy of Right,* trans. T. M. Knox. Oxford: Oxford University Press, 1967.
208. Heywood, Andrew. *Politics.* Second edition. Palgrave Macmillan, 2002.
209. Hobbes, Thomas. *Leviathan.* Edited with an introduction by C.B. Macpherson. First published 1651. Reprinted in the Penguin Classics 1985.
210. Huntington, Samuel. *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century.* Norman and London: University of Oklahoma Press, 1991.
211. ----------. *The Clash of Civilisations and the Remaking of World Order.* New York: First Touchstone Eridion 1997.
212. King, Charls. "Potemkin Democracy". In *The National Interest 64* (Summer 2001), 51-69.
213. Kissinger, Henry. *Diplomacy.* New York: Touchstone Rockefeller Center, 1995.
214. Koener, Kirk. *Liberalism and Its Critics.* Oxford: Taylor & Francis, 1985.

215. Krastev, Ivan; Leonard, Mark and Wilson, Andrew. *What does Russia think?* Edited by Ivan Krastev, Mark Leonard and Andrew Wilson. European Council on Foreign Relations. September, 2009.
216. Locke, John. *Two Treatises of Government*, ed. Thomas Hollis. london: A. Millar et al., 1764. <http://oll.libertyfund.org/titles/222> (25. 5. 2018).
217. Lord, Robert Hovard. "The Parliaments of the Middle Ages and the Early Mordern Period", *Catholic Historical Review 16*, (1930): 125-144.
218. McLaughlin, Paul. *Anarchism and Authority: A Philosophical Introduction to Classical Anarchism.* London and New York: AshGate Publishing, 2007.
219. Malia, Martin. *The Soviet Tragedy. A History of Socilism in Russia, 1917-1991.* New York: The Free Press, 1994.
220. Manent, Pierre, and Seigel, Jerrold. *An intellectual History of Liberalism.* Princeton University Press: 1996.
221. McFaul, Michael . "The Fourth Wave of Democracy and Dictatorship: Noncoopertarive Transitions in the Postcommunist World*," World Politikcs*, Vol. 54, No. 2 (Jan. 2002), 212-244.
222. Mitchell, Loncoln A. "Uncertain Democracy: U. S. Georgian Policy and Georgia's Rose Revolution," Philadelphia: University of Philadelphia Press, 2009.
223. Phillips, Kevin. *American Theocracy. The Peril and Politics of Radical Religion, Oil, and Borrowed Money in the 21st Century.* Viking, 2006.
224. Pipes, Richard. *Property and Freedom.* New York: Alfred A. Dnoph, 1999.
225. Rhinelander L. H. "Viceroy Vorontsov's Administration of the Caucasus", *Transcaucasia, Nationalism, and Social Change. Essays in the History of Armenia, Azerbaijan , and Georgia.* Edited by Ronald Grigor Suny. The University of Michigan Press, 1999): 87-109.
226. Riff, Michael. *Dictionary of Modern Political Ideology.* Manchester University Press, 1990.
227. de Ruggiero, Guido. *The History of European Liberalism, Boston, 1961.*
228. Schumpeter, Joseph. *Capitalism, Socialism, and Democracy.* New Yourk: Harper Perennial, 1942.
229. Sharma, Urmila & Sharma, S. K. *Forms of Government. Principles and Theory of Political Science*. Atlantic Pulishers & Distriburiors, 2007.
230. Strauss, Leo. *The Political Philosophy of Hobbes: Its Basis and Its Genesis.* Oxford: Clarendon Press, 1936. Reissued with new reface, Chicago P. 1952.
231. Strayer, Joseph R. *On the Medieval Origins of the Modern State.* Princeton Univerity Press, 1970.
232. Song, Robert. *Chirstianity and Liberal Society.* Oxford university Press, 2006.
233. Suny, Ronald Grigod. "The Emergence of Political Society in Georgia", *Transcaucasia, Nationalism, and Social Change. Essays*. The University of Michigan Press, 1999: 109-141.
234. Susser, Bernard. *Political Ideology in the Modern World*. Upper Saddle River: Allyn and Bacon, 1995.
235. Tamanaha, Brian, *On the Rule of Law* . Cambridge University Press, 2004.
236. Ter Minassian, Anahide. "Nationalism and socialism in the Armenian Revolutionary Movement (1887-1912)", *Essays in the history of Armenia, Azerbaijan, and Georgia - Transcaucasia, Nationalism, and Social Change.* Michigan: 1999: 141-187.

237. Zakaria, Fareed. *The Future of Freedom: Illibearl Drmocracy at Home and Abroad.* W. W. Norton & Company, 2003.
238. Wheatley, Jonathan. *Georgia from National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the Former Soviet Union.* Aldershot: Ashgate 2005.
239. Weber, Eugen. A Modern History of Europe: Man, Cultures and Societies from the Renaissance to the Present. W W Norton & Co, 1971.

240. Багратиони, Давид. *Обозрение Грузии по части прав и законоведения.* Издательство академии наук Тб.: 1959.
241. Бердиаев, Николай. *Философия Неравенства.* Москва Има-пресс. 1990.
242. ----------. *Русская идея. О Россий и русской философскои культуре.* Москва: 1990.
243. ----------. *Истоки и смысль русского коммунизма.* Москва, Наука, 1990.
244. Вардан Великий. *Всеобщая история, пер. Н. Эмина.* Москва, 1861. http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext3.htm
245. Гегель Георг Вилгелм Фридрих. *Философия права.* Пер. с нем. Ред и сост. Д. А. Керимов и В.С. Нерсесесянц. Москва: Мысль, 1990.
246. ----------. Сочинения Том IV, *Феноменология Духа.* М.: Издательство социально-политической литературы, 1959.
247. Лопухин А. П, "Христианство", *Энциклопедический словарь под редакций Аверинцева, С. С. т. 3*. Москва: Большая Российская Энциклопедия, 1995. 395-458.
248. Пайпс, Ричард. *Россия при старом режиме.* Москва: Захаров, 2004.
249. ----------. *Русская революция* Т. 1. 2. Москва. Захаров, 2005.
250. ----------. *Русская революция Т. 3. Россия под большевиками.* Москва: Захаров, 2005.
251. Протоиерей Василий (Кобахидзе). "О современном положений грузинской православной церкви, Роль православия в государствах и обшествах Грузии и Росии", *Материалы грузино-российской конференции.* Тбилиси: Heinrich Böll Stiftiung, 2004.
252. Рассел, Бертран. *История западной философии. Издание 3-е исправное.* Новосибирск: 2001.
253. Рябов, Пётр. *Мыслитель и анархист Варлам Черкесов: "Наука человечности" против "науки партий".* http://bakunista.nadir.org/index.php?option=com_content&task=view&id=305&Itemid
254. Фукуяма, Фрэнсис. *Доверие. Социальные добродетели и путь к процветанию.* Перевод с английского Д. Павловой, В. Кирющенко, М. Колопотина. Москва: Ермак, 2004.
255. Черкезов, Варлам. *Наконец-то сознались! Ответ к Каутскому.* Тифлис. Изд-во Теми. 1907.
256. ----------. *Предтечи Интернационализма. Доктрины Марксизма.* ПБ. М: Голос Труда, 1919.